მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

3.1972

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных
наук

თბილისი · 1972 · ТБИЛИСИ



მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

3.1972

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე ვ. გაბაშვილი,
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*).
Г. А. Меликишвили (*редактор*), Г С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაყიძე
Ответственный секретарь Э. Вашакидзе

შინაარსი

წერილები

ა. ათანელიშვილი, საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდი ბურჟუაზიული ისტორიკოსების შრომებში 7

ვ. ჩოჩუა, გერმანიის მმართველი წრეების პოლიტიკის კრახი მაროკოს მეორე კრიზისის დროს 24

ლ. ფრუიძე, ვენახის ტრადიციულ სახეთა ისტორიისათვის საქართველოში . . 31

პ. ძაჩაბელი, სასანური ტორევტიკის რამდენიმე ძეგლი საქართველოში . . . 48

დ. აბუაანდაძე, XV—XVIII სს. ქსოვილთა ორნამენტი ქართული მინიატურების მიხედვით 73

ა. ჭალდანი, სანცხვირიანი სახლი 95

ცნობები და შენიშვნები

მ. სურგულაძე, „მწერლები“ ძველ საქართველოში 113

ნ. მაჩაბელი, მზითვში შემავალი მომგებიანი ქონების ძირითადი ელემენტები . . 130

ვ. კეკელია, იმერეთის სამეფოში არსებულ „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტის შესახებ . 141

ზ. აბრბა, ადრე შუა საუკუნეების ბაზილიკის გათხრები გაგრის რაიონის სოფელ ალახაძეში 149

ვ. ხიდგინიძე, სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციისათვის 161

ვ. კოპალიანი, „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კუროპალატის საკითხისათვის . . . 171

გ. ელიავა, სამეგრელოს ტოპონიმიკური მასალა დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ . 177

პ. პაპიანი, ა. სოხაძე, ქართველთა წარმართული რელიგიის ერთი საკითხის შესახებ . 182

ჯ. სონღულაშვილი, ღვინის დაყენების ხალხური ტექნოლოგიის ზოგიერთი წესი აღმოსავლეთ საქართველოში 196

ჯ. გვეტაძე, ურარტუს მეფის სარდური II წარწერაში მოხსენიებული ტოპონიმის „უხიმეაშუს“ გაგებისათვის 208

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ვ. პერაძე, გ. ჯაფარიძე, ბადრი მჭედლიშვილი, ბაღდადის მდაბიო ხალხი პიჯრის V საუკუნეში, ბაღდადი, 1987 211

ა. ჟენთეშაშვილი, გერმანული საარქივო მასალები ამხილებენ 215

ქრონიკა და ინფორმაცია

ლ. ჯანაშია, საქართველოს საისტორიო საზოგადოების მესამე ყრილობა . . 220

მ. სამსონაძე, პროფესორ მ. პილიეკტოვის ხსოვნას . . . 223

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Л. АТАНЕЛИШВИЛИ, **Восстановительный период народного хозяйства Советской Грузии в трудах буржуазных историков** 7

В. ЧОЧИА, **Крах политики правящих кругов Германии во время второго Марокканского кризиса** 24

Л. ПРУИДЗЕ, **К истории традиционных виноградников в Грузии** 34

К. МАЧАБЕЛИ, **Несколько памятников сасанидской торевтики в Грузии** 48

Д. АБЖАНДАДЗЕ, **Орнамент тканей XV—XVII вв. по грузинским миниатюрам** 73

З. КАЛДАНИ, **Световой проем в древних сванских сооружениях** 95

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

М. СУРГУЛАДЗЕ, **«Писцы» в древней Грузии** 113

Н. МАЧАБЕЛИ, **Основные элементы имущества приданого, дающие прибыль** 130

М. КЕКЕЛИА, **Об институте «пицис каци» в Имеретинском царстве** 141

З. АГРБА, **Раскопки раннесредневековой базилики в селе Алахадзи** 149

Г. ЗЕДГИНИДЗЕ, **К локализации некоторых исторических пунктов Южной Грузии** 161

В. КОПАЛИАНИ, **К вопросу о куропалате «всего Востока»** 171

Г. ЭЛИАВА, **Топонимический материал Самегрело о структуре большой семьи** 177

К. КАХИАНИ, А. СОХАДЗЕ, **Об одном вопросе грузинской языческой религии** 182

Дж. СОНГУЛАШВИЛИ, **Некоторые народные технологические способы изготовления вин в Восточной Грузии** 196

Дж. ГВЕТАДЗЕ, **О топониме «ухимеашу», упомянутом в надписи царя Урарту Сардури II** 208

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. БЕРАДЗЕ, Г. ДЖАПАРИДЗЕ, **Бадри Мухаммад Фахад, Городские низы Багдада в V в. хиджры. Багдад, 1967** 211

А. МЕНТЕШАШВИЛИ, **Немецкие архивные материалы разоблачают** 215

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Л. ДЖАНАШИА, **Третий съезд Исторического общества Грузии** 220

М. САМСОНАДЗЕ, **Памяти профессора М. Полиевктова** 223

წ ე რ ი ლ ე ბ ი

არჩილ ათანელიშვილი

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდი ბურჟუაზიული ისტორიკოსების შრომებში

დასავლეთის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა და უწევს ქართული ემიგრაცია. იგი თავისი პასკვილებით არა მარტო თეორიულად აიარაღებდა რეაქციულ ისტორიოგრაფიას, არამედ დამახინჯებული ფაქტობრივი მონაცემებითაც ამარაგებდა მას ოღონდ სახელი გაეტეხა საბჭოთა საქართველოს პირველ ღონისძიებათათვის.

ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი გულმოდგინებით სცადეს საბჭოთა საქართველოში აგრარულ გარდაქმნათა ისტორიის გაყალბება. მათ დაეხმარა ემიგრანტი მენშევიკი ი. წერეთელი. იგი, ეხებოდა რა აგრარულ საკითხს მენშევიკურ საქართველოში, წერდა: „სამუშაომ, რომელიც პარტიამ (იგულისხმება მენშევიკური პარტია — ა. ა.) განახორციელა — დემოკრატიული რეფორმების სინამდვილედ ქცევა, ყოფილ მემამულეთა მიწების გამოსყიდვის გარეშე გლეხებისათვის გადაცემა, სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია, პოლიტიკური თავისუფლების განმტკიცება — უზრუნველყო უწინდელთან შედარებით ხალხის სიმპათიების ზრდა და ერთსულოვნება“[1]. მეორე ბურჟუაზიული ისტორიკოსის აზრით, „ეს აგრარული რეფორმა (ლაპარაკია მენშევიკების მიერ გატარებულ აგრარულ რეფორმაზე — ა. ა.) იმდენად კარგად პასუხობდა ქართველ გლეხთა მასების მოთხოვნილებებს, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობას მიწის ნაციონალიზაციიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგაც კი მისთვის ხელი არ უხლია“[2].

საქართველოში მენშევიკების მიერ გატარებული აგრარული რეფორმა წმინდა ბურჟუაზიული რეფორმა იყო: იგი ძირფესვიანად ვერ სპობდა მემამულურ მიწათმფლობელობას, განამტკიცებდა სოფლად კულაკურ-ბურჟუაზიულ მიწათმფლობელობას იმით, რომ ბოლოს არ უღებდა მიწაზე კერძო საკუთრებას და მემამულეთაგან ჩამორთმეულ მიწებს გლეხობას აძლევდა არა უფასოდ, არამედ ფასის გადახდით. ეს კი სოფლის ბობოლა კულაკებს პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა. მათ ხელში მიწის დიდი მასივები იყრიდა თავს. ღარიბი და საშუალო გლეხი ფაქტიურად კვლავ უმიწოდ რჩებოდა. მართალია, მენშევიკური მთავრობის მიერ მიწაზე დადებული ფასი მაინც და მაინც დიდი არ იყო, მაგრამ ასეთი ფასის გადახდა ღარიბი გლეხებისათვის არ იყო ადვილი[3].

---

[1] Der Terror gegen die sozialistischen parteien in Rußland und Georgien. R. Abramovitch, W. Suchomlin, I. Zereteli, Berlin, 1925. გვ. 85.

[2] La Georgie territoire et population. Histoire et litterature et arts—situation politique. 1937. გვ. 111.

[3] კ. ჩარკვიანი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, თბ., 1970, გვ. 66, 74—75, 77, 86.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საბჭოთა ხელისუფლების აგრარული ღონისძიებანი მიმართული იყო არა მსხვილმემამულური მიწათმფლობელობის, ის სოციალისტური რეფორმის (იგულისხმება მენშევიკური აგრარული რეფორმა — ა. ა.) შედეგად მოსპობილ იქნაო, არამედ საქართველოში მოქმედ მიწის წვრილმესაკუთრულ ფორმის წინააღმდეგ, რომლის აღმოსაფხვრელად ძალა იხმარეს[4]. ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლება პირველ რიგში ახდენდა მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას, რაც სამწუხაროდ, ნაციონალ-უკლონისტების წყალობით 1923 წლის გაზაფხულამდე გაჭიანურდა[5]; მეორეც, გასაკვირი არ იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მიწა ჩამოართვა არა მარტო მემამულეებს, არამედ იმათაც, ვინც მას უშუალოდ საკუთარი შრომით არ ამუშავებდა ან იჯარით სცემდა, პირველ რიგში კულაკებს[6].

მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შედეგი იყო საქართველოს მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიაც რომ განიცდიდა სურსათის ნაკლებობას. მეხშევიკებმა საქართველო მოწყვიტეს საბჭოთა რუსეთს, ქვეყანამ დაკარგა რუსეთის იაფი პური, გლეხობა იძულებული შეიქნა უარი ეთქვა სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარებაზე და მათ ხარჯზე გაეფართოვებინა მარცვლეული კულტურების არე. მაგრამ, ეს საქმეს მაინც ვერ შველიდა, ხალხი შიმშილობდა. მის მდგომარეობას აუარესებდა ქაღალდის ფულის გაუფასურება და სხვ.

ამიტომაც, საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა თავის პირველ მოვალეობად მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა დაისახა. 1921 წლის 21 მარტს მან მიიღო დეკრეტი „ყველა თავისუფალი მიწების სავალდებულო დათესვის შესახებ"[7]. სამი დღით ადრე საქართველოს სსრ მთავრობამ თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად შექმნა ცენტრალური დამთესი კომისია, რომელსაც მიეცა ერთი მილიარდი მანეთი, რითაც შეძენილ იქნა: თესლი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები (841.750.000 მან. ღირებული) და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვა მასალა[8].

თესვის კამპანიის შეფერხების მიზნით საბჭოთა ქვეყნის მტრები ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ მიწებისა და მოსავლის ჩამორთმევის შესახებ. 1921 წლის 10 მაისს გაზეთი „კომუნისტი" წერდა: „მიუხედავად ათასნაირი პროვოკაციული ხმებისა, ახალი ხელისუფლების მიერ გლეხებისაგან ნამუშევრის ვითომ განზრახული ჩამორთმევის შესახებ, რომელ ხმებსაც დაჟინებით ავრცელებენ რევოლუციის მტრები, ხვნა-თესვის კამპანია წარმატებით ჩატარდება. სათესი ფართობის გადიდებას და მუშაობის ნაყოფიერებას დიდად უწყობს ხელს რევოლუციური კომიტეტის ცნობილი დეკრეტი მიწის შესახებ"[9].

---

[4] La Georgie... დასახ. ნაშრომი, გვ. 111; D. Charachidze. H. Barbusse, Les Soviets et la Georgie, Paris, გვ. 162.

[5] ს. ორჯონიკიძე, სოფელში არსებულ უმსგავსობას მთელი სიმკაცრით ბოლო უნდა მოეღოს, გაზ. „კომუნისტი" № 17, 1923 წ., 25 იანვარი.

[6] მ. ჯიჯეიშვილი, საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ისტორიისათვის, თბ., 1970, გვ. 151.

[7] გაზ. „კომუნისტი", 1921 წ. 22 მარტი.

[8] ი. მ. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში, თბ., 1958, გვ. 156.

[9] ბ. ხასია, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, თბ., 1962, გვ. 117.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები კონტრრევოლუციური ემიგრაციის მონაჭორის საფუძველზე ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ მკითხველი იმის შესახებ თითქოს აღდგენით პერიოდში საქართველოში გლეხობას საკუთარი მიწების დამუშავება შეგნებულად შეემცირებინოს მოსავლის ჩამორთმევის შიშით, ნაწილობრივ კი ახალი რეჟიმისადმი ზიზღის შედეგად[10].

ბურჟუაზიული ისტორიკოსების მტკიცება ნათესი ფართობის შემცირების შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება, ამაში ადვილად დაგვარწმუნებს სტატისტიკური მასალების განხილვა:

წელი	ნათესი მ·წის ფართობი (დესეტინებში)[11]
1909—1913 წწ.	676699
1919	522353
1920	616351
1923	655123
1924	649800
1925	662300
1926	688000

წელი	პურეული კულტურების ფართობი (დესეტინებში)[12]
1909—1913	710800
1917	489116
1919	522353
1920	616351
1921	479369
1923	460986
1924	629000
1925	662300
1926	669600

მოსავალი ათას ფუთებში შეადგენდა 1909—1913 წწ.—42577,0-ს; 1925 წ—48690,3-ს, 1926 წ. — 42177,0-ს[13].

[10] I. Braunthal, Von Kommunismus zum Imperialismus, Wien, 1922, გვ.16; The first fifty years Soviet Russia by Jan Grey. London. 1967. გვ. 213; La Georgie sous la domination des armees Bolchevistes, Paris. 1921. გვ. 27. D. Charachidze, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

[11] საქ. კპ(ბ) V ყრილობა, თბ., 1927, გვ. 11. სხდომა მეორე. 1927 წ. 13 ნოემბერი.

[12] საქ. სსრ მთავრობის 1924 წ. მოქმედების მოკლე ანგარიში. ტფ., 1925, გვ. 47; საქ. სსრ მთავრობის 1925/26 წ. მოქმედების ანგარიში, ტფ., 1927, გვ. 59; საქ. სახალხო მეურნეობა 1924—1925 წწ., ტფ.. 1926 წ., გვ. 17; სტატისტიკური კრებული 1909—1921, ტფ, 1923, გვ. 15.

[13] საქ. სსრ მთავრობის 1925/26 წ. მოქმედების ანგარიში. ტფ., 1927, გვ. 60.

რაც შეეხება მევენახეობას, აქ შემდეგი სურათი გვაქვს: 1909—1913 წწ. საქართველოში ვენახების ფართობი შეადგენდა (ათას დესეტინებში) 45,0-ს, 1917 წ. — 37,5-ს, 1924 წ. — 35,7-ს, 1925 წ. — 34,2-ს[14]. მევენახეობის ფართობის შემცირება გამოწვეული იყო იმპერიალისტური ომით, მენშევიკების ანტიხალხური პოლიტიკით და ფილოქსერის სწრაფი გავრცელებით, რომელმაც 25 წლის განმავლობაში თითქმის 30 ათასი დესეტინა ვენახი გაანადგურა. მევენახეობის აღდგენა, მრავალი წლის ნგრევის შედეგების ლიკვიდაცია საბჭოთა მთავრობას რასაკვირველია არ შეეძლო თავის არსებობის პირველ ხუთწლედშივე.

სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობაზე მიგვითითებს ამ პერიოდის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ზრდაც. ასე მაგალითად, 1923—1924 წწ. ის შეადგენდა 100591000 მანეთს, 1924—1925 წწ. — 107024000 მანეთს, 1925—1926 წწ. კი — 115710009 მანეთს[15].

ამრიგად, ჩანს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პარტიისა და ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი იზრდება, კერძოდ, 1926 წელს მარცვლეულ კულტურათა ნათესი ფართობი ომამდელ დონეს აღწევს. საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქციის ზრდაც. მევენახეობაშიც, საერთო ფართობის შემცირების მიუხედავად, შეიმჩნევა ღვინის გამოსავლიანობის ზრდა. ყოველივე ეს კი საფუძველს აცლის ბურჟუაზიული ისტორიკოსების მტკიცებას ნათესი ფართობის, მათ შორის მარცვლეული კულტურების ფართობისა და მევენახეობიდან შემოსავლის შემცირების შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მენშევიკური მთავრობის დამხობის შემდეგ სოფლის მეურნეობაში და საერთოდ სახალხო მეურნეობაში სავალალო მემკვიდრეობა მიიღო. ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსის[16] აზრით, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას გამოუწვევია ეკონომიური კრიზისი და საწარმოო ძალების განადგურება, საბჭოთა რუსეთის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა თურმე საქართველოშიც გავრცელებულა და ქვეყნის ცხოვრებაც მოუშლია.

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) X ყრილობამ 1921 წელს შემოიღო ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის ეკონომიური აღორძინების მეცნიერულ მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა იყო. ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებამ საქართველოს ეკონომიური აღდგენისა და განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

საქართველოში ახალი ეკონომიური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას მრავალი ხელსაყრელი თავისებურება აპირობებდა. ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას დაემთხვა, ე. ი. სამოქალაქო ომში გამარჯვებულ რუსეთს შეეძლო საქართველოსათვის პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო დახმარება გაეწია და გაუწია კიდეც. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო

---

[14] საქ. კომპარტიის IV ყრილობისათვის, ტფ., 1925, გვ. 36; საქართველოს სახალხო მეურნეობა. 1924—25 წ., ტფ., 1926, გვ. 21.

[15] საქ. კომპარტიის V ყრილობა, ტფ., 1927, გვ. 6. სხდომა მეორე. 1927 წ. 13 ნოემბერი.

[16] I. Braunthal.. დასახ. ნაშრომი, გვ. 16. D. Charachidze.. დასახ. ნაშრომი, გვ. 163—165.

ისიც, რომ საქართველოს შეეძლო ესარგებლა რუსეთის გამოცდილებითაც. მ ე ო რ ე, საბჭოთა რუსეთმა კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ინტერვენციის უკუგდებით საიმედო საფარი შექმნა საქართველოში მშვიდობიანი მშენებლობისათვის. მ ე ს ა მ ე, საქართველოს არ გაუვლია სამხედრო კომუნიზმის პერიოდი და აქ საბჭოთა წყობილების მშვიდობიანი მეურნეობრივი მშენებლობა არსებითად ამ წყობილების დამყარებიდანვე დაიწყო. მ ე ო თ ხ ე, საქართველოს კაპიტალისტურ სამყაროსთან ეკონომიური ურთიერთობის დამყარების უფრო მეტი შესაძლებლობანი ჰქონდა, ვიდრე საბჭოთა რუსეთს და ა. შ.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა ეკონომიური ნგრევიდან იმპერიალისტების დახმარებით ცდილობდა გამოსვლას და მართლაც, უცხოეთის კაპიტალმა საქართველოში მენშევიკური ფულის შედარებითი სიმტკიცე, სამრეწველო პროდუქციის სიჭარბე და საგარეო ვაჭრობის ინტენსიურობა შექმნა. მაგრამ, მაშინ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში უცხო სახელმწიფოებისადმი დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევის პოლიტიკა არ ტარდებოდა და სახალხო მეურნეობის განვითარების არავითარი პერსპექტივა არ არსებობდა, საქართველოს იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიად გადაქცევა ემუქრებოდა[17]. ამ გზას საბჭოთა საქართველო, რასაკვირველია ვერ დაადგებოდა, იგი ქვეყნის შიგნით ეძებდა ეკონომიური ცხოვრების აღორძინების გზებს.

ბურჟუაზიული ისტორიკოსების განსაკუთრებული თავდასხმის საგანს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული აგრარული რეფორმა წარმოადგენს. მენშევიკური აგრარული რეფორმისგან განსხვავებით, რომელიც მიწის კერძო საკუთრების ფორმას იცავდა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული დეკრეტი მიწის შესახებ კერძო საკუთრებას აუქმებდა და მთელს მიწებს ხალხის საკუთრებად აცხადებდა. ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი განზრახ ამახინჯებს საბჭოთა ხელისუფლების აგრარული რეფორმის შინაარსს და მას სოციალისტ-რევოლუციონერების იდეებთან აიგივებს. რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიკოსები მიტრანი, დონერშტეინი და სხვები ცდილობენ დაამტკიცონ, **რომ თითქოს** ბოლშევიკურ აგრარულ რეფორმას გლეხობა არ გაჰყვა და ბოლშევიკები იძულებულნი გახდნენ ესერების აგრარული პროგრამა გაეტარებინათო. ასეთივე აზრს ავითარებს შ. ჩოჩიაც. მისი აზრით, საქართველოში განხორციელებული საბჭოთა აგრარული რეფორმა მთელ მიწას ხალხის საკუთრებად აცხადებდა, იქმნებოდა მთელი ხალხის კუთვნილი „მიწის ფონდი". ე. ი. ცხოვრებაში ტარდებოდა სოციალისტ-რევოლუციონერების იდეა „მიწის გასახელმწიფოებრივების" შესახებ[18].

შ. ჩოჩიას მტკიცება, რომ სოციალისტ-რევოლუციონერები „მიწის გასახელმწიფოებრიებას" მოითხოვდნენ, ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. აგრარულ საკითხში ესერების ძირითად ხაზს „მიწის სოციალიზაცია" წარმოადგენდა. მათი აზრით, მიწა გათანაბრებით საწყისებზე საზოგადოებრივ მფლობელო-

---

17 ს ა მ ს ო ნ მ ა მ უ ლ ი ა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგები და ამოცანები, თბ., 1930, გვ. 8, 11; საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 1970; А. И. Чохели, Французский капитал в Грузии, გვ. 20—52; კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131—150; E m a n u e l K u h n e, La Georgie libre (son passe—son present-son avenir—avec une carte) Geneve, 1920, გვ. 92. P a u l G e n t i z o n, La Resurrection Georgiene, Paris. 1921, გვ. 262—269.

18 Sch. Tschotschia. Agrarverfassung und Landwirtschaft in Georgien. Leipzig, 1927, გვ. 123.

ბასა და დემოკრატიულად ორგანიზებული თემებისა და თემთა ტერიტორიული კავშირის გამგებლობაში უნდა გადასულიყო, რასაც სოფლად ბურჟუაზიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ მივყავდით. ნახევრადბატონყმური თემის შუასაუკუნეებრივი კარჩაკეტილობა კი ნამცეც კავშირებად აქუცმაცებდა გლეხობასა და ხელფეხს უბორკავდა სოფლის პროლეტარიატს[19].

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლენინურმა დეკრეტმა „მიწის შესახებ" მემამულეებს ჩამოართვა მიწა და ის ხალხის საკუთრებად გამოაცხადა. 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლებისათვის აუცილებელ ამოცანად იქცა გლეხთა შორის მიწის განაწილების საკითხი. მიწის განაწილების კანონის შემუშავება იმ დროს საბჭოთა რუსეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ბოლშევიკურმა პარტიამ მიანდო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მემარცხენულ-ესერულ კოლეგიას. მის მიერ შემუშავებულ მიწის კანონის პროექტის გარშემო გამართულ კამათისა და უშუალოდ ვ. ი. ლენინის ჩარევის შედეგად ბოლშევიკებმა მიაღწიეს იმას, რომ კანონიდან „მიწის სოციალიზაციის შესახებ" ამოღებულ იქნა მუხლები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელ გლეხობას შორის კონფლიქტის ჩამოგდებას ითვალისწინებდა. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო და დაამტკიცა ის სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების III ყრილობამ 1918 წლის 31 იანვარს და ცაკ-მა იმავე წლის 9 თებერვალს. იმის გამო, რომ კანონში „მიწის სოციალიზაციის შესახებ" თავისი ანარეკლი ჰპოვა ესერების გათანაბრებით მიწათსარგებლობის პრინციპებმა ესერები და თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსები აცხადებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ცხოვრებაში ესერების აგრარული რეფორმა გაატარაო. გათანაბრებით მიწათსარგებლობა ბოლშევიკურ აგრარულ რეფორმიდან არ გამომდინარეობდა, კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ პარტიის ტაქტიკური ნაბიჯი იყო მხოლოდ და წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის შემდგომი განვითარებისათვის. ის ხელს უწყობდა: კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში სოფლის ღარიბთა გაერთიანებას პროლეტარიატთან, კულაკების ეკონომიური და პოლიტიკური ძალისათვის ძირის გამოთხრას, სოფლად საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, გლეხობის კოოპერირების წანამძღვრების შექმნას და სხვა. ამიტომაც, მუშათა კლასის დიქტატურის პირობებში მიწის გათანაბრებით სარგებლობა სოფლად ბურჟუაზიის დასუსტებას იწვევდა.

ესერები თავიანთ პროექტში გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობების შექმნით იფარგლებოდნენ; ბოლშევიკები კი გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობების მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობად გარდაქმნას ისახავდნენ მიზნად. ვ. ი. ლენინი აუცილებლად მიიჩნევდა აეხსნათ გლეხებისათვის, რომ მათთვის მიწის გადაცემა დიდს არაფერს ნიშნავდა. მთავარი იყო მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლა, რათა ამ ერთადერთი გზით თავი დაეღწიათ სიღატაკისათვის.

ბოლშევიკები ასევე არ იზიარებდნენ ესერების მოთხოვნას მიწის სამიწათმოქმედო თემების მიერ განაწილების შესახებ. სამიწათმოქმედო თემი კულაკთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, და ცხადია, რომ მის მიერ მიწის განაწილება სოფლის ღარიბ-ღატაკთ სარგებლობას არ მოუტანდა. მიწის განაწილება, საბჭოთა მთავრობის აზრით, სახელმწიფოსგან დანიშნულ ორგანოებს უნდა მოეხ-

[19] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 249.

დინათ. მათი საშუალებით სოფლის ღარიბ-ღატაკთა კომუნებსა და ამხანაგობებს პირველ რიგში უნდა მიეღოთ მიწა და მემამულეებისაგან ჩამორთმეული საწარმოო იარაღები. ეს კი გლეხთა კოოპერირებისთვის საუცხოო პირობებს ქმნიდა.

შ. ჩოჩია სინამდვილეს ამახინჯებს მაშინაც, როცა წერს: რომ „მენშევიკთა აგრარული რეფორმა მიწის კერძო საკუთრების უფლებას აღიარებდა, ბოლშევიკების კი — მიწის კერძო საკუთრების ფორმას აუქმებდა, ორივე რეფორმა გლეხებისათვის მიწის განაწილებას ისახავდა მიზნადო“[20]. მენშევიკთა აგრარული რეფორმა ქმნიდა და განამტკიცებდა მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძველს, კერძო საკუთრების შენარჩუნებით ინარჩუნებდა ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლუატაციის შესაძლებლობას; ბოლშევიკების აგრარული რეფორმა კი ძირფესვიანად სპობდა როგორც ფეოდალიზმის, ისე ბურჟუაზიული წარმოების წესის ყველა გამოვლინებას და საერთო სახალხო საკუთრების შექმნით საფუძველს უყრიდა ახალ სოციალისტურ წარმოების წესს. ამაში იყო ძირითადი გადამწყვეტი განსხვავება მენშევიკებისა და ბოლშევიკების მიერ გატარებულ აგრარულ რეფორმათა შორის.

საბჭოთა საქართველოში მიწის რეფორმის განხორციელება 1921 წლის 9 აპრილის დეკრეტით დაიწყო. მენშევიკური აგრარული რეფორმისგან განსხვავებით ის აგრარული საკითხის რევოლუციურად გადაჭრას ისახავდა მიზნად, ე. ი. მემამულეებს ართმევდა მიწებს გამოსყიდვის გარეშე და გადასცემდა უფასოდ გლეხებს, აუქმებდა მიწის კერძო საკუთრებას და სხვა. მაგრამ მიწის რეფორმის რევოლუციურად გადაჭრა საქართველოში სერიოზულ წინააღმდეგობებს წააწყდა. მის განხორციელებას ხელს უშლიდნენ კულაკები და მემამულენი, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებში შეპარული დამარცხებული კლასების წარმომადგენლები[21], ზოგიერთი პარტიული მუშაკის მცდარი შეხედულება საქართველოში მემამულური მიწების არარსებობის შესახებ[22], ნაციონალ-უკლონისტების მიერ მიწის რეფორმის ევოლუციური გზით გატარება, რაც ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებასა და შესწავლისათვის დროს მოითხოვდა და ასე თუ ისე აფერხებდა მემამულეებისათვის მიწების ჩამორთმევას[23]. ის რომ მემამულეებს და კულაკებს მიწა შერჩათ, რომ მიწის რეფორმის რევოლუციური განხორციელება მცირე ხნით შეფერხდა, ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა, როგორც ზევით ვნახეთ, გაიგეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ „მენშევიკური აგრარული რეფორმის“ გაგრძელებად.

საქართველოში მიწის რეფორმის რევოლუციურად გადაჭრა იმანაც შეაფერხა, რომ გლეხობის ერთი ნაწილი აჰყვა ანტისაბჭოთა პარტიების პროპაგანდას და მონაწილეობა მიიღო სვანეთში, მთიულეთში, გურიაში და სხვაგან 1922—1924 წლებში კულაკებისა და მემამულე თავად-აზნაურების მიერ მოწყობილ გამოსვლებში.

იმის გამო, რომ გლეხობის უმნიშვნელო ნაწილმა მაინც მიიღო მონაწილეობა კონტრრევოლუციურ გამოსვლებში, პარტიამ დაუყოვნებლივ მიიღო სა-

---

[20] Sch. Tschotschia, ღასახ. ნაშრომი, გვ. 123—124.

[21] საქ. კპ(ბ) IV ყრილობა, 30-XI—5-XII, 1925 წ. სტენოგრ. ანგარიში, ტფ., 1925, გვ. 27. 1925 წ. დეკემბრის 1. მეორე სხდომა.

[22] მ. კახიანი, პარტია და ტროცკისტული უკლონისტური ოპოზიცია საქართველოში, ტფ., 1927, გვ. 24.

[23] გაზ. „კომუნისტი“, № 164, 1921 წლის 18 სექტემბერი; 1922 წლის 27 იანვარი; 1922 წლის 4 თებერვალი.

თანადო ზომები ყველა იმ დეფექტისა და შეცდომის აღმოსაფხვრელად, რომელთა გამოყენებაც შესძლეს საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა.

მიუხედავად ასეთი დაბრკოლებებისა, ქართველი გლეხკაცობა ადგილებზე შეუდგა მიწის საკითხის რევოლუციურ გადაწყვეტას: ერეკებოდნენ მემამულეებს მიწებიდან და მას ერთმანეთში ინაწილებდნენ. მიუხედავად მნიშვნელოვანი შეცდომებისა, აგრარულმა რეფორმამ საქართველოში დიდი როლი შეასრულა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებასა და მშრომელი გლეხობის საბჭოთა ხელისუფლების გარშემო დარაზმვაში. ამიტომაც, ბურჟუაზიული ისტორიკოსების მტკიცება სოციალისტური რევოლუციის მიერ გლეხთა განადგურების, რეკვიზიციისა და სხვათა შესახებ ძირშივე მცდარია, მცდარია აგრეთვე აზრი, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ თითქოს „ერთი დარტყმით გააცამტვერა ქვეყნის საწარმოო ძალები“[24].

1921 წელს, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის წინ, ვ. ი. ლენინი კატეგორიულად მოითხოვდა გლეხობის საწარმოო ძალთა ასამაღლებლად სერიოზული ღონისძიებების გატარებას. მისი აზრით, ამის გაკეთება შესაძლებელი იყო სასურსათო პოლიტიკის შეცვლით — სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლით. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე საგადასახადო ურთიერთობების ისეთ გადაწყვეტას, რაც ხელს შეუწყობდა გლეხების პირად დაინტერესებას სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებაში. ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა ფულადი გადასახადის შემოღება, რომლის საშუალებით სოფლად წარმოებდა სოციალისტური ურთიერთობების განვითარება, კაპიტალისტური ელემენტების დაგროვების შეზღუდვა, მათი სამეურნეო ბრუნვიდან გამოდევნა და სხვ. ამ მხრივ საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენდა პროლეტარიატის რევოლუციური პოლიტიკის მთავარ იარაღს გარდამავალ ეპოქაში[25]. საბჭოთა ხელისუფლება წვრილსაქონელმწარმოებელთა გადარჩენას, მათ მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობებში გაერთიანებასა და სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმაზე ზრუნავდა. გლეხურ მეურნეობათა მკვეთრი დიფერენციაციის პირობებში კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მიმართული იყო ღარიბ და საშუალო გლეხთა გადასახადის შემცირებასა და კულაკობის დაბეგვრის გაძლიერებისაკენ, რაც ხელს უწყობდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის შემდგომ გამტკიცებას. საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობოდა იმ ჭეშმარიტებას, რომ სოფლად იძულების მეთოდით ვერაფერს მიაღწევდა, იძულების მეთოდით მთელ საქმეს დაღუპავდა. ასევე შეუძლებლად მიაჩნდა მას დაქსაქსული სოფლის მეურნეობის ერთბაშად გადაქცევა საზოგადოებრივ მეურნეობად. ამისათვის საჭირო იყო მთელი ეპოქა, უკეთეს შემთხვევაში, ერთიორი ათეული წელი[26]. „სახელმწიფო ყოველნაირად უწევდა დახმარებას გლეხობას: მიწათმოწყობის გატარება, ფულადი კრედიტის მიცემა, სათესლე სესხის გამოყოფა, აგროტექნიკური მომსახურება, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით მომარაგება, საგადასახადო შეღავათები ღარიბი და საშუალო გლეხობისათვის, კულაკების ექსპლუატატორული ტენდენციების შეზღუდვა — ყველა ამ ღონისძიებამ ზეგავლენა მოახდინა ღარიბ-საშუალო გლეხთა მეურნეობის ზრდაზე,

---

[24] I. Braunthal, დასახ. ნაშრომი, გვ. 16; D. Charachidze, ღასახ. ნაშრომი, გვ. 167.

[25] სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. 1, VII გამოცემა, თბ., 1954, გვ. 793.

[26] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 238—239; ტ. 28, გვ. 197; ტ. 33, გვ. 555.

განამტკიცა მათი კავშირი მუშათა კლასთან, კულაკური მეურნეობის გამოდევნაზე; 1924—1925 წწ. დაიკლო ფასებმა საწარმოო საქონელზე. გატარდა საერთო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირება"[27]. როგორც ვხედავთ, საბჭოთა ხელისუფლება არათუ არ ატარებდა გლეხობის განადგურების პოლიტიკას, ის წვრილგლეხურ მეურნეობას ხელს უწყობდა თავი დაეღწია გაღატაკებისა და კულაკის მხრივ ჩაგვრისაგან.

იმისათვის, რომ დაეკნინებინათ საბჭოთა ხელისუფლების ეს ღონისძიებები პარტიის მტრები, ცილისმწამებლურად აცხადებდნენ, რომ საბჭოთა მთავრობა გლეხების „სამხედრო-ფეოდალურ ექსპლუატაციას" ეწევაო. ისინი, სარგებლობდნენ რა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სამრეწველო ნაწარმის ფასებს შორის არსებული დისპროპორციით, აღნიშნავდნენ, რომ გლეხები გაცილებით მეტს იხდიდნენ და ფინანსურად უფრო შევიწროებულნი არიანო ვიდრე სამრეწველო პროლეტარიატი. ბურჟუაზიული ისტორიკოსებიც ემყარებიან რა ამ „მტკიცებას" მაშინდელ საქართველოში „ხედავენ" სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამრეწველო საგნებზე გადაცვლის შეუძლებლობას[28], რომ ქალაქის ნაწარმის სიძვირის გამო გლეხები, რომლებიც ის-ის იყო მიწის მეპატრონეებად იქცნენ და თავიანთ ნაკვეთებს თავს ევლებოდნენ, თითქოს უარს აცხადებდნენ მიეწოდებინათ საკვები ქალაქისათვის მთავრობის მიერ დაწესებული ფასებით[29].

გლეხობა, როგორც ცნობილია, აქტიურად მონაწილეობდა მრეწველობის აღდგენისა და მისი განვითარების საქმეში: უწევდა მას მატერიალურ-ფინანსურ და ფიზიკური შრომით დახმარებას, ამარაგებდა ქალაქს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ნედლეულითა და სამუშაო ძალით. იმავე დროს, როგორც მუშათა კლასი, ისიც განიცდიდა დიდ სიძნელეებს, იღებდა მატერიალურ მსხვერპლს. პარტია არ მალავდა, რომ გლეხური მოსახლეობა ზედმეტს იხდიდა სამრეწველო საქონელში და, რომ ნაკლებს იღებდა სოფლის მეურნეობის პროდუქციაში. ოთხი წლის განმავლობაში — ე. ი. 1924—25 — 1927—28 წწ. გლეხობამ სულ გაიღო 3 მლრდ. 712 მლნ. მანეთი. აქედან სოფლის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას დაუბრუნდა 1 მლრდ. 933 მლნ. მანეთი. ამის გარდა, ამ ოთხი წლის განმავლობაში შეღავათიანი გადასახადის, სახელმწიფოს მხრივ დახმარებისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ კერძო მესაკუთრეთათვის მიწის საფასურის გადახდისაგან განთავისუფლების შედეგად გლეხობას გაცილებით მეტი დარჩა, ვიდრე სამრეწველო ნაწარმში გადაიხადა ან ვერ მიიღო თავის პროდუქტში[30]. ასეთ პირობებში გლეხისთვის სამრეწველო საქონელში ზედმეტი სახსრების გაღება ასატანი იყო, ვინაიდან ყოველივე ეს გლეხობის მატერიალური მდგომარეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების პირობებში მიმდინარეობდა, მეორე, გლეხს ჰქონდა პირადი მეურნეობა — ბევრს საბჭოთა ხელისუფლებისგან მიღებული, — რომლის შემოსავალიც უადვილებდა გადაეხადა

---

[27] Ленинский кооперативный план и борьба партии за его осуществление. М., 1969, გვ. 59—60.

[28] La Georgie sous... დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

[29] The Soviet Union. The Land and its people. by George Jorre. London, New-York, Toronto. 1955, გვ. 107.; Jan Grey, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

[30] Б. А. Абрамов, Коллективизация сельского хозяйства—великая революция в социально-экономических отношениях и во всем укладе жизни социализма, М., 1967, გვ. 22.

ზედმეტი, მესამე, წლითიწლობით მცირდებოდა დისპროპორცია ფასებში, ე. ი. გლეხს უფრო მეტი საშუალება ექნებოდა მრეწველობის პროდუქციის ყიდვისათვის[31].

პარტიამ უარი განაცხადა ტროცკისტ-ზინოვიეველთა მოთხოვნაზე კიდევ უფრო აეწიათ ფასები სამრეწველო საქონელზე, რასაც შეეძლო გამოეწვია მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას შორის კავშირის გაწყვეტა; სამაგიეროდ გადამჭრელი ზომები მიიღო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე არსებული დაბალი ფასების აწევისა და სამრეწველო საქონელზე მაღალი ფასების დაკლების საქმეში. მიუხედავად ამისა, განსხვავება ჯერ კიდევ დიდი იყო და ფასების „მაკრატელი“ დარჩა 1929 წლამდე[32].

სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასების დაშორება უფრო მწვავედ იგრძნობოდა საქართველოში, რაც შემდეგი მიზეზით იყო გამოწვეული: 1. სამრეწველო საქონლის ძირითადი მასა საბჭოთა რუსეთიდან მოდიოდა, ამიტომაც, გზის ხარჯები უფრო აძვირებდნენ მას. 2. ადგილობრივ გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის საბაზრო ფასები უფრო მაღალი იყო, ვიდრე რუსეთიდან მოტანილი საქონლის ფასები, რადგან ჩვენში მრეწველობის განვითარება დაბალ დონეზე იდგა, რაც ზრდიდა საქონლის თვითღირებულებას და მაშასადამე საბაზრო ფასებსაც; 3. საქართველოს გეოგრაფიული პირობები და სუსტი ტრანსპორტი აძნელებდა საქონელბრუნვის გაშლას სოფელსა და ქალაქს შორის[33].

საქართველოს ბოლშევიკები თავიდანვე შეუდგნენ სოფელთან კავშირის განმტკიცებლად ფართო ღონისძიებების განხორციელებას. საქართველოს სმუს-ის პირველმა ყრილობამ (1921 წ. ოქტომბერი) განსაკუთრებული ადგილი დაუთმო გლეხობისათვის სამრეწველო საგნების წარმოებას[34].

„მაკრატელის“ პირების ერთმანეთთან დაახლოების საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია 1923 წლის დეკემბრიდან დაწყებულმა ფასების დაკლებამ სამრეწველო საქონელზე. საქართველოში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ხელისუფლებამ ოპოზიციის მოთხოვნაზე გლეხების გაძლიერებული დაბეგვრის შესახებ უარი განაცხადა და მთელი რიგი ღონისძიებებით უფრო განამტკიცა მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას შორის კავშირი. „ამ უკანასკნელ დროს ჩვენმა მთავრობამ შეამცირა ფასები მთელ რიგ სამრეწველო ფაბრიკატებზე. რუსეთში საქონლის ფასებმა საშუალოდ დაიკლო 28%. საქართველოში კი 29%...; ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში ამ ბოლო დროს უდიდეს ყურადღებას აქცევენ ფასების საკითხს. ამ მხრივ მუშაობენ უმთავრესად შინავაჭრობის კომიტეტი და ამიერკავკასიის ეკონომიური თათბირი. პირველ რიგში გაიაფებული იქნა პირველი მოთხოვნილების საქონელი“[35].

---

31 ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თბ., 1951, გვ. 300.

32 П. Б. Жибарев, Борьба Коммунистической партии за социалистическую индустриализацию СССР, М., 1967, გვ. 28; IV съезд Советов СССР. Стен. отч., М., 1967, გვ. 244. „Развитие союза рабочего класса и крестьянства в СССР“. Сб. стат., М., 1958, გვ. 133.

33 საქართველოს ისტორია, ტ. III, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1960, გვ. 31—32.

34 ა. კოჭლავაშვილი, მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში, თბ., 1966, გვ. 88.

35 კ. ორაგველიძე, „მაკრატლის“ შესახებ, თბ., 1924, გვ. 30.

პარტიისა და ხელისუფლების მიერ გატარებულ ენერგიულ ღონისძიებათა შედეგად მინიმუმამდე დავიდა განსხვავება სამრეწველო პროდუქციის ფასებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასებს შორის, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოსა და ამიერკავკასიის მასშტაბით. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ აპირებდა გლეხობის მოსპობას, მის განადგურებას, რომ ის გლეხობას არ თვლიდა მტრად, „რეაქციულ" ძალად. ამიტომაც, ბურჟუაზიული ისტორიკოსების მტკიცება, რომ კომუნისტებმა გლეხობის, როგორც კლასის განადგურება დაისახეს მიზნადო, კომუნისტური პარტიის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას არ შეესაბამება.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში სამრეწველო პროდუქციის ნაკლებობა მრავალი მიზეზით უნდა აიხსნას. საქართველო რევოლუციამდე მრეწველობის მხრივ განუვითარებელი ქვეყანა იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ მენშევიკური საქართველოსგან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის საქართველოს მრეწველობის ძირითადი კაპიტალი თავისი სიდიდით, მუშახელითა და მოწყობილობით ვერ ქმნიდა პროდუქციის ინტენსიური გამოშვების შესაძლებლობას, საწარმოთა თითქმის 75%-ის მოწყობილობა გაცვეთილი იყო, იგრძნობოდა კვალიფიციური მუშახელისა და მეცნიერულ-ტექნიკური ძალების უკიდურესი სიმცირე. საბჭოთა ხელისუფლება ის-ის იყო იწყებდა მრეწველობის აღდგენისა და მის რეკონსტრუქციის ღონისძიებების გატარებას, თავი იჩინა გამოუცდელობამ, ანტისაბჭოთა ელემენტების მავნებლურმა მოქმედებამ და სხვა.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები სამრეწველო პროდუქციის ნაკლებობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, მის მიერ მრეწველობის ნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარებას აწერენ. მათი აზრით, მრეწველობის წამყვანი დარგების — მარგანეცისა და ქვანახშირის ამოღების, ტყავის მრეწველობის, ელექტროენერგიის გამომუშავების — დაცემა თურმე, მეტ-ნაკლებად მოქმედ საწარმოთა „ნაციონალიზაციამ", კერძო მრეწველთა ინიციატივის მოსპობამ, ბიუროკრატიული სისტემის შემოღებამ და მეურნეობრივ საქმიანობაში ბოლშევიკთა უსუსურობამ გამოიწვია[36].

საქართველოში სამრეწველო პროდუქციის დაქვეითება გამოიწვია არა მრეწველობის ნაციონალიზაციამ, როგორც ამას „გვიმტკიცებენ" ბურჟუაზიული ისტორიკოსები, არამედ იმან, რომ საქართველოს ისედაც ჩამორჩენილი მრეწველობა, რომელიც იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა კიდევ უფრო გააჩანაგეს, აღნიშნული დროისათვის უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ 1921 წელს შეისწავლა საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ საწარმოო დაწესებულებათა 40% მენშევიკური ხელისუფლების პირობებში ნაწილობრივ ან სულ არ მუშაობდა. 1921 წელს კი (აღწერის მომენტისათვის) გამოკვლეულ საწარმოთა 73% მუშაობდა, არ მუშაობდა 27%. გარდა ამისა, საქართველოს მრეწველობას კიდევ უფრო დიდი უბედურება სჭირდა: მისი ძირითადი კაპიტალი, თითქმის მთლიანად განადგურებული მანქანები, გაცვეთილ და უვარგის მდგომარეობაში იყო. საერთოდ ნედლეულის უქონლობის გამო არ მუშაობდა სამრეწველო

[36] La Georgie sous.. დასახ. ნაშრომი, გვ. 25—26; I. Braunthal.. დასახ. ნაშრომი გვ. 17—18; D. Charachidze. დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

საწარმოთა 35%, მანქანების გაცვეთის გამო — 65%[37]. ეს კი თავისთავად ცხადია სამრეწველო პროდუქციის ზრდას ხელს არ უწყობდა.

საქართველოს მრეწველობაში ერთ-ერთი წამყვანი როლი მარგანეცის წარმოებას ეკუთვნოდა. მენშევიკური დიქტატურის არსებობის უკანასკნელ წელს მარგანეცის ამოღება თითქმის 8-ჯერ შემცირდა, გაპარტახებული იყო მაღაროები: ხის მოწყობილობანი დამპალი, ამოღების მექანიზაცია მოშლილი და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჭიათურის მარგანეცის ამოღების აღდგენასა და გაუმჯობესებას. მის მიერ გატარებული ღონისძიებებით დაჩქარდა მარგანეცის წარმოების ტემპი. საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოსა და საქართველოს სსრ მთავრობის 1924 წლის მოქმედების მოკლე ანგარიშიდან ჩანს, რომ მარგანეცის ამოღება (ათას ფუთებში) შეადგენდა:

წელი	მარგანეცის ამოღება (ათას ფუთებში)[38]
1909—1913	41429
1917	12488
1918	1583
1919	3345
1920	7358,8
1921	5611
1922	3245
1923	11846
1924	18374

მართალია, მარგანეცის წარმოებამ ომამდელ დონეს ვერ მიაღწია, მაგრამ საქმე გვაქვს მარგანეცის წარმოების არა დაცემასთან, როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიკოსები „გვიმტკიცებენ“, არამედ მის ზრდასთან.

---

[37] ი. მ. კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 199—200.

[38] სტატისტიკური კრებული, 1909—1921, ტფ., 1923, გვ. 49; საქ. სსრ მთავრობის 1924 წლის მოქმედების ანგარიში, ტფ., 1925, გვ. 98.

1924—25 წლის მეორე ნახევრიდან საბჭოთა ხელისუფლებამ ჭიათურის მაღაროები კონცესიონერს გადასცა. ჭიათურის მაღაროების აღდგენისა და ახალი ტექნიკის დანერგვის საქმე დიდ სახსრებს თხოულობდა, საბჭოთა მთავრობას კი არ შეეძლო ამ დროს გაეღო საჭირო თანხები მაღაროების ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის. ამიტომ, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ჭიათურის მრეწველობის სასწრაფო გაუმჯობესებას საკონცესიო პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე. მიუთითებდა რა ჭიათურის მარგანეცის საშუალებით სავალუტო ფონდის შექმნის შესაძლებლობაზე ვ. ი. ლენინი საქართველოს ბოლშევიკებს ავალებდა „ეკონომიური მხრივ ყოველნაირად, გაძლიერებით, სასწრაფოდ ყოფილიყო გამოყენებული“ კაპიტალისტური დასავლეთი კონცესიებისა და საქონელგაცვლის პოლიტიკაში[39]. იგი მიუთითებდა, რომ საკონცესიო ხელშეკრულება სამშვიდობო ხელშეკრულების დადება კი არ იყო კაპიტალიზმთან, არამედ ომი, მაგრამ ისეთი ომი, რომელიც ნაკლებად საშიში იყო მუშებისა და გლეხებისათვის, ვიდრე ომი ტანკებისა და ზარბაზნების გამოყენებით. „კონცესიები — ეს არის ომის განგრძობა სამეურნეო ნიადაგზე, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მაგრამ აქ კი აღარ ვანგრევთ, არამედ ვაკითარებთ ჩვენს საწარმოო ძალებს“[40]. საკონცესიო პოლიტიკა გულისხმობდა ეკონომიურ დათმობათა ფასად ჩვენში საწარმოო ძალების განვითარებას. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა ჩვენს სასარგებლოდ გამოყენებასა და დამატებითი მოწყობილობებისა და მანქანების მიღების, მსხვილი მრეწველობის განვითარების შესაძლებლობის შექმნას.

ამერიკელ ჰარიმანთან დადებული საკონცესიო პირობები ხელსაყრელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. კონცესიონერს უნდა გაედიდებინა წარმოება, შემოეტანა მანქანები, აეშენებინა ახალი ქარხნები, შეეცვალა რკინიგზის ვიწრო ლიანდაგი საჩხერედან შორაპნამდე ფართო ლიანდაგით. მუშებთან ურთიერთობა უნდა მოგვარებულიყო საბჭოთა სახელმწიფოს შრომის კანონების მიხედვით. კონცესიის დამთავრების შემდეგ მთელი ნაგებობანი და მოწყობილობანი საბჭოთა სახელმწიფოს საკუთრებაში გადიოდა ე. ი. მარგანეცის საბადოების საკონცესიოდ გადაცემის მიზეზი არა მარგანეცის წარმოების დაცემა იყო, არამედ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან სწრაფვა გამოეთავისუფლებინა თანხები მაღაროების კაპიტალდაბანდებისა და მის რეკონსტრუქციიდან, რათა შეემსუბუქებინა მძიმე ფინანსური მდგომარეობა და პარალელურად სარგებლობა ენახა კონცესიიდანაც. საბჭოთა ხელისუფლებას უცხოელებთან საკონცესიო ხელშეკრულების დადებისას მხედველობიდან არ გამორჩა მუშათა კლასის მდგომარეობაც — ის, როგორც დავინახეთ, საბჭოთა სახელმწიფოს შრომითი კანონებით დაიცვა.

მაგრამ გამოირკვა, რომ ჰარიმანი სრულიადაც არ აპირებდა ხელშეკრულების პირობების შესრულებას, პირიქით, ისწრაფვოდა წარმოების მოშლას ე. ი. აგრძელებდა ეკონომიურ ომს სოციალიზმის მშენებლობის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა საკონცესიო პირობები და უკვე 1929 წელს ჯერ კიდევ ძველი ტექნიკის ბაზაზე უკან მოიტოვა კონცესიონერი მარგანეცის ამოღების საქმეში.

---

[39] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 398.

[40] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 530.

პროდუქციის ზრდასთან გვაქვს საქმე ქვანახშირის მრეწველობაშიც:

წლები	ქვანახშირის ამოღება (ათას ფუთებში)[41]
1909—1913	3494
1917	3379
1919	2195
1920	4829
1921	4602
1922—23	1848,1
1923—24	3836,5
1924—25	4575,3
1925—26	5264,7

როგორც ვხედავთ ქვანახშირის ამოღებამ უკვე 1923—1924 სამეურნეო წელს გადააჭარბა ომამდელ დონეს.

იზრდება აგრეთვე ტყავისა და ფეხსაცმლის წარმოება. 1922—1923 წელს გამოქნილი იქნა 20535 ცალი მსხვილი ტყავი, 1923—1924 წწ. — 25242, 1924—1925 წწ. — 38820. ე. ი. აშკარაა ტყავის პროდუქციის მომატება. ტყავის პროდუქციას ზედ ემატება აგრეთვე ევროპული და აზიური ფეხსაცმელების დამზადებაც. ასე მაგალითად, 1922—23 წლისათვის დამზადებულ იქნა 4220 წყვილი ევროპული ფეხსაცმელი და 31281 წყვილი აზიური ფეხსაცმელი, 1923—24 წელს კი 6280 და 47435 ფეხსაცმელი[42].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ელექტროენერგიის წარმოებას მძლავრი სტიმული მისცა. 1921 წლამდე მეტისმეტად სავალალო მდგომარეობაში იყო საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგების საქმე. ამას თბილისის ელექტროსადგურების მდგომარეობაც გვიდასტურებს: აღნიშნულ დროისთვის მათი უმეტესობა მწყობრიდან გამოვიდა, არ არსებობდა კაპიტალური რემონტისა და ნაწილების შეცვლის შესაძლებლობა, ძრავების სიმძლავრე დაეცა 9500 ცხ. ძალისგან (1917 წლის დასაწყისისათვის) 3000 ცხ. ძალამდე[43]. მდგომარეობა არ გამოსწორებულა არც 1917—1921 წლებში, თე-

41 სტ. კრებული, გვ. 50; საქ. სსრ მთავრობის 1924 წლის მოქმედების მოკლე ანგარიში, ტფ., 1925, გვ. 99; საქ. სახალხო მეურნეობა 1924—1925 წწ., ტფ., 1926, გვ. 181; საქ. სსრ მთავრობის 1925—1926 წწ. მოქმედების ანგარიში, ტფ., 1927, გვ. 45.

42 საქ. სსრ მთავრობის 1924 წლის მოქმედების მოკლე ანგარიში, ტფ. 1925, გვ. 101; საქ. სახალხო მეურნეობა 1924—1925 წწ. ტფ., 1927, გვ. 184.

43 გ. ჩოგოვაძე. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საქართველოში„ თბ.„

ბერვლის გადატრიალება, ამიერკავკასიის რუსეთიდან ჩამოშორება და დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დანაწილება, მაშინდელი საქართველოს მმართველი ორგანოების მერყევი და გაურკვეველი საგარეო და სამრეწველო ეკონომიური პოლიტიკა — ყოველივე ეს ვერ იძლეოდა ელექტროფიკაციის განვითარებისათვის შესაფერის პირობებს[44].

ამიტომაც, საქართველოს საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ 1921 წლიდანვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის განსახორციელებლად.

მოსახლეობისა და წარმოებების ელექტროენერგიის მომარაგების მიზნით საბჭოთა ხელისუფლება იწყებს ჰიდროელექტროსადგურების შენებას ავჭალაში (1922 წ.). მდინარე აბაშაზე (1923 წ.), ცხინვალში (1925 წ.), მახუნცეთში (1924 წ.) და სხვ. ამასთანავე მიმდინარეობდა არსებული ელექტროსადგურების დანადგარების გაუმჯობესება და მათი ამუშავება. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებმა და სახალხო მეურნეობაში ჩაბმამ თავისი ნაყოფი გამოიღო: 1928 წელს ელექტროენერგიის წარმოება აღწევს 42 მილიონ კილოვატს საათებში[45], რაც ძენშევიკური საქართველოსთვის არნახულ რიცხვს წარმოადგენდა.

დამარცხებული კლასები და მათი პოლიტიკური პარტიების ნამსხვრევები ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ საქართველოში მიმდინარე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის, უმიზნოდ და უაზროდ მოეჩვენებინათ მძლავრი ელექტროენერგიის ბაზის შექმნა. ემიგრანტი კ. კანდელაკი აი რა გესლიანად აღწერს საბჭოთა ხალხის მოღვაწეობას ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის: „საქართველოს დღევანდელი სახალხო მეურნეობის ბურჯი ტალახიდან ვერ ამომძვრალა. ამავე დროს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი იხარჯება ავჭალის ელექტრონის სადგურზე და ამ „გაკეთებული დიდი საქმით“ ქვეყანაა გაყრუებული. ელექტროფიკაცია რა თქმა უნდა კარგი საქმეა, მაგრამ რისთვის? მრეწველობის გასავითარებლად, რომლის აღმასრულებელი მექანიზმი უკვე გაცვეთილია თვით ბოლშევიკების გადმოცემით, თუ თბილისში გზად გამვლელი დელეგატების თვალების ასაბრჭყვიალებლად?“[46].

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქვეყნის ელექტროფიკაციაში გადადგმულმა გიგანტურმა ნაბიჯებმა მრეწველობის ახალი დარგების აღმოცენება გამოიწვიეს. ელექტროენერგიის ის ბაზა, რომელიც 20-იანი წლების ბოლოს შეიქმნა, უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა 30-იან წლებში შექმნილ ახალ ფაბრიკა-ქარხნებს. ამიტომაც, საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ ახალი ღონისძიებები დასახეს საქართველოს მრეწველობის ელექტროენერგიით დაკმაყოფილების საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებები ძველი ფაბრიკა-ქარხნების აღდგენასთან ერთად ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგებით უზრუნველყოფდა საქართველოს მრეწველობის განვითარების სწრაფ ტემპებს აღდგენითი პერიოდის მანძილზე. აღნიშნულ პერიოდში დაიწყო და აშენდა: თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა ბათუმში (1923—1924 წწ.), ხე-ტყის

---

44 ბ. ჭიჭინაძე, ელექტროფიკაციის საქმე საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე, თბ., გვ. 32—33.

45 გ. ჩოგოვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

46 კ. კანდელაკი, რას ამბობენ ფაქტები (საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებიდან)), პარიზი, 1927, გვ. 38.

სახერხი ქარხანა ს. ნანუზ-ოღლში (1925—1926), ცხინვალის ხე-ტყის სახერხი (1921—1922), ქ. ქუთაისის ხე-ტყის სახერხი ქარხანა (1924), გრეხილ-ავეჯის ქარხანა მარელისში (1924), გრეხილ-ავეჯის ქარხანა ცხინვალში (1925), საკასრე მასალების ქარხანა ბორჯომში (1924), მაუდის ქარხანა თბილისში (1925), მაუდის ქარხანა ქუთაისში (1924), აბრეშუმის ძაფსართავი ოზურგეთში (1925), აბრეშუმის ძაფსართავი სამტრედიაში (1924—1925), აბრეშუმის საქსოვი ქარხანა ოზურგეთში (1925), აბრეშუმის საქსოვი ქარხანა თბილისში (1923—1925), სარექტიფიკაციო ქარხანა ქობულეთში (1922—1924)[47] და სხვ.

ახალი ფაბრიკა-ქარხნების მწყობრში ჩადგომამ ხელი შეუწყო საქართველოს მთელი სახალხო და მათ შორის მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდას: 1923—1924 წწ. (ათას მანეთებში) შეადგენდა: 16272-ს, 1924—1925 წწ. 21867-ს, 1925—1926 წწ. — 32352-ს[48].

იზრდებოდა მრეწველობის ხვედრითი წონაც მთელს სახალხო მეურნეობაში: თუ 1919 წ. 8,3% შეადგენდა, 1923—24 წ. — 13,9%-ს, 1924—25 წ. 17%-მდე ავიდა, 1925—26 წ. კი 21,9%-ს უდრის[49].

მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი იყო ის, რომ ბოლშევიკებს საქმე ჰქონდათ მრეწველობის არა უბრალო, არამედ სოციალისტურ საფუძველზე აღდგენასთან. აღდგენითი პერიოდის ბოლოს საქართველოს მრეწველობის ძირითად, წამყვან ძალად სოციალისტური სექტორი გვევლინება. 1923—24 წ. სოციალისტური მრეწველობის წილი საქართველოს მსხვილი მრეწველობის მთლიან პროდუქციაში 86,2%-ს შეადგენდა, ხოლო 1924—25 წ. იგი 90,5%-ს აღწევდა. ამრიგად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის, მშრომელთა ინიციატივისა და დაძაბული შემოქმედებითი შრომის შედეგად წარმატებით იქნა აღდგენილი მრეწველობა. მან მთელ რიგ დარგებში მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს. მაგრამ, ეს იყო ჩამორჩენილი, აგრარული, ქვეყნისათვის დამახასიათებელი მრეწველობა, აუცილებელი იყო მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის ხაზით გეგმაზომიერი მუშაობის დაწყება. ამიტომაც, სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დამლევს საქართველოს კპ(ბ) IV ყრილობამ განიხილა რა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების საკითხები აღნიშნა, რომ: „საქართველოში, ჩამორჩენილ და მრეწველობამოკლებულ ქვეყანაში, უმთავრეს ძირითად ამოცანას ახალი მრეწველობის მშენებლობა წარმოადგენს“[50]. საქართველოში მრეწველობის განვითარების ახალი ეტაპი უნდა დაწყებულიყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გატარებით.

ყოველივე ზემოთქმული საფუძვლიანად უარყოფს ბურჟუაზიული ისტორიკოსების მტკიცებას ბოლშევიკებს თითქოს არ შესწევდათ მრეწველობის განვითარების უნარი, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეფერხებულია საქართველოს ეკონომიური განვითარება და ა. შ. საინტერესოა, ამის საპირისპიროდ მოვიტანოთ ამონაწერი ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტის ნაწერებიდან: „ფაქტი გახდა, რომ კომუნისტური პარტიის XII ყრილობამ ი. სტალინის (ჯუღაშვილი) მოხსენებით დაადგინა არა მარტო კულტურული, არამედ ეკონომიური

---

47 საბჭოთა საქართველოს 10 წელი (სტატისტ. კრებ.), ტფ., 1931, გვ. 142—145.

48 საქ. კპ(ბ) V ყრილობა, ტფ., 1927, გვ. 6, სხდომა მეორე, 1927 წ., 13 ნოემბერი.

49 Промышленность Грузии за 40 лет, 1921—1961, Тб., 1961, გვ. 8.

50 საქ. კპ(ბ) IV ყრილობა, ტფ, 1926, გვ. 64. თეზისები ამხ. შ. ელიავას მოხსენებისათვის.

ნაციონალიზაცია არარუსულ რესპუბლიკების და ამით მოსპო იდეა საბჭოთა რუსეთის ახალ კოლონიალურ პოლიტიკისა განაპირებში; მართლაც, რომელი იმპერიალისტური მეტროპოლია არის, რომ კოლონიის ინდუსტრიალურ განვითარებაზე ზრუნავდეს. საბჭოთა ხელისუფლება კი ინდუსტრიალიზაციას ახდენს განაპირა რესპუბლიკებში, კერძოდ ამიერკავკასია — საქართველოში და ამით ის რეალურ დამოუკიდებლობას სჭედს"[51].

ბურჟუაზიული ისტორიკოსები აღდგენითი პერიოდის საქართველოს მრეწველობის განვითარებას განიხილავენ არა როგორც საბჭოთა ხელისუფლების დიდ მიღწევას, არამედ თვითდინებიდან გამომდინარე მოვლენას, რომელსაც თითქოს არავითარი გეგმაზომიერი ხასიათი არ გააჩნდა. მათთვის მრეწველობის განვითარებაში დაშვებული თითოეული გადახრა, შეცდომა, ან უზუსტობა სოციალისტური მეურნეობის დამახასიათებელი თვისებაა, ხარვეზების სისტემაა[52]. ზოგიერთი დარჩენილი მენშევიკი წერდა ჩვენი განვითარების უპერსპექტივობაზე, მაგალითად, 1928 წელს სეით დევდარიანი ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი"-ს ფურცლებზე აღნიშნავდა: „ეკონომიური განვითარების გზები ჯერ კიდევ არა გვაქვს სავსებით გათვალისწინებული. არ ვიცით რომელი გზით წავალთ, სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო განვითარების გზით. საქართველოს აქვს შესაძლებლობა გადაიქცეს მსხვილ ინდუსტრიულ ქვეყნად, თუ იგი უნდა დარჩეს ნედლეულის სფეროდ და ნედლეული უგზავნოს სხვა ქვეყნებს"[53].

ბურჟუაზიული ისტორიკოსების მტკიცების უსაფუძვლობა აშკარაა; საკ. კპ(ბ) XIV და XV ყრილობებმა ჯერ კიდევ 1925 და 1927 წლებში დასახეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დიადი გეგმები.

---

[51] გრიგოლ ეშაპელი, ახალი საქართველო, წერილების კრებული, 1924—1925, ტფ., 1928, გვ. 48.

[52] An Introduction to Russian history by Nicholas L. F. Chirovsky. New-York, 1967, გვ. 190.

[53] კ. გორდელაძე, კონდრატიევშჩინა საქართველოში, ტფ., 1931, გვ. 35.

ვაჟა ჩოჩია

გერმანიის მმართველი წრეების პოლიტიკის კრახი მაროკოს მეორე კრიზისის დროს

პირველი მსოფლიო ომის წინ იმპერიალისტური გერმანია წარმოადგენდა ნახევრად აბსოლუტურ მონარქიულ სახელმწიფოს. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკაში წამყვანი ბურჟუაზია იყო, მიწათმფლობელი არისტოკრატიის პოლიტიკური ბატონობა გერმანიაში კვლავინდებურად უცვლელი რჩებოდა. მათ შორის პოლიტიკური ბლოკი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც ქვეყნის შინაგან, ისე საგარეო პოლიტიკაში.

გერმანიის იმპერიის მმართველი წრეების გამომწვევი მოქმედება ხელს უწყობდა თავის ქვეყნის იზოლაციას საერთაშორისო ასპარეზზე. იმ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც გერმანია წარმატებას ვერ აღწევდა დიპლომატიური გზით, ცდილობდა საკითხი გადაეწყვიტა იარაღისა და შანტაჟის საშუალებით.

ექსპანსიონისტური პოლიტიკა, საერთაშორისო კონფლიქტების პროვოცირება, რომელიც ედო საფუძვლად გერმანიის მმართველი წრეების მისწრაფებებს, კარგად გამოჩნდა მაროკოს მეორე კრიზისის დროს. გერმანიამ გადაწყვიტა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა ანტანტის სიმტკიცე და თუ შეძლებდა კიდეც დაეშალა ის; ეს ხელს შეუწყობდა მას გამოსულიყო საგარეო პოლიტიკური იზოლაციის მდგომარეობიდან, რომელშიც აღმოჩნდა ჯერ კიდევ მაროკოს პირველი კრიზისის შედეგად, რაც დაადასტურა ალხესირასის კონფერენციამ[1].

გერმანიის რეაქციული პროპაგანდისტული აპარატი, განსაკუთრებით კი პანგერმანული პრესა, ქება-დიდებას ასხამდა იმპერატორ ვილჰელმ II საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებს და მიუთითებდა, რომ ისინი შეესაბამებოდნენ გერმანიის ეროვნულ ინტერესებს.

მაროკო მდიდარი იყო სასარგებლო წიაღისეულით, რომლის ხელში ჩაგდებისათვის ყოველ ხერხს მიმართავდნენ გერმანიის მძიმე მრეწველობის მაგნატები. მაროკოში მათი დამკვიდრების ცდებს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა საფრანგეთი, რომელიც მის მთლიან დაპყრობას ისახავდა მიზნად. გერმანიას მაროკო იზიდავდა სტრატეგიული მხრითაც, რადგან ის მდებარეობდა ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის გზაჯვარედინზე. მაროკოს ატლანტურ სანაპიროზე გერმანიის დაშვებას სამხედრო და პოლიტიკური მოსაზრებით ეწინააღმდეგებოდა ინგლისიც, მით უმეტეს, რომ გერმანიაში სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის პოლიტიკას იგი აღიქვამდა როგორც „წინააღმდეგობას ზღვებზე მისი მონოპოლიური ბატონობის შენარჩუნებისათვის"[2].

---

[1] გ. ქიღურაძე, ნარკვევები, პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 232—265.

[2] А. Фон Тирпиц, Воспоминания, пер., с нем., М., 1957, გვ. 221.

გერმანიასა და საფრანგეთს შორის 1909 წელს მიღწეული შეთანხმების თანახმად, გერმანია ცნობდა საფრანგეთის განსაკუთრებულ პოლიტიკურ და სამხედრო უფლებებს მაროკოში, მაგრამ ეკონომიური მოღვაწეობის სფეროში აღიარებული იყო გერმანული და ფრანგული კაპიტალის თანასწორობა[3].

1911 წ. დასაწყისში საფრანგეთმა მთელი მაროკოს ხელში ჩაგდების მიზნით, დაიწყო **მზადება.** იმავე წლის გაზაფხულზე იფეთქა მაროკოს მკვიდრი ტომების აჯანყებამ სულთანის წინააღმდეგ. აჯანყებული ტომები გაემართნენ მაროკოს დედაქალაქ ფეცისაკენ, შეშინებულმა სულთანმა თხოვნით მიმართა ფრანგებს სამხედრო დახმარებისათვის. ფრანგმა იმპერიალისტებმა დიდი არმია გააგზავნეს მაროკოში **ევროპელთა** დაცვისა და „უსაფრთხოების" აღდგენის საბაბით. საფრანგეთის ამ ნაბიჯმა დიდი აღშფოთება გამოიწვია გერმანიის რეაქციულ წრეებში, რომლებიც პრესის საშუალებით მოითხოვდნენ საპასუხო ღონისძიებებს. შოვინისტური გაზეთი „დი პოსტ" წერდა: „ალხესირასის ტრაქტატი თავის დროზე დადებულ იქნა იმ განზრახვით, რომ ასეთი გზით შეესაძლებელი ყოფილიყო მაროკოს სუვერენიტეტის და მთლიანობის უზრუნველყოფა. მოვლენათა მსვლელობამ აჩვენა, რომ ეს იმედი არარეალური აღმოჩნდა. საფრანგეთმა, — ალხესირასის ტრაქტატის ხელმომწერმა ერთ-ერთმა სახელმწიფომ, — თვითონ გააუქმა ის, დაარღვია რა მისი ძირითადი დებულებანი. ამგვარად, გერმანიის იმპერიამ მიიღო ახლა მოქმედების სრული თავისუფლება... დაუყოვნებლივი მოქმედება ჩვენ გვეჩვენება აუცილებლად"[4].

ფრანგები მკაცრად გაუსწორდნენ აჯანყებულებს, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია თვითონ ფეცში, სადაც მოკლეს ფრანგი პოლკოვნიკი მარშანი. საფრანგეთმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს ხელსაყრელი მომენტი ფეცის დასაკავებლად. 1911 წ. აპრილს საფრანგეთის მთავრობამ გააფრთხილა გერმანიის მთავრობა თავისი ჯარების ფეცში შესვლის შესაძლებლობის შესახებ. ამას მოჰყვა გერმანიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის კიდერლენ-ვეხტერის პასუხი, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ გერმანია წინააღმდეგი არ იქნებოდა ფრანგების მიერ მაროკოს ხელში ჩაგდებისა, მაგრამ იმ პირობით, თუ გერმანია მიიღებდა თუნდაც ერთ ნავსადგურს მაროკოს ატლანტის ოკეანის სანაპიროზე (მაგალითად, აგადირს) მისი მომიჯნავე ტერიტორიით.

საფრანგეთმა ეს წინადადება არ მიიღო და თავის მხრივ შესთავაზა შეთანხმებულიყვნენ სხვა კომპენსაციაზე და დროის მოგების მიზნით ის მოლაპარაკებას აჭიანურებდა. მაშინ კიდერლენ-ვეხტერმა ურჩია კანცლერს ბეტმან-ჰოლვეგს და იმპერატორს ენერგიული მოქმედებით აეძულებინათ საფრანგეთი წასულიყო დათმობაზე[5].

კიდერლენ-ვეხტერმა თავისი მოსაზრება ჩამოაყალიბა ვილჰელმ II წარდგენილ 1911 წლის 3 მაისის მემორანდუმში: „ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, — წერდა ის, — ჩვენთვის... მომავალი მოლაპარაკებისათვის ისეთი ობიექტი, რომელიც აიძულებს ფრანგებს წავიდნენ კომპენსაციაზე. თუ ფრანგები დამკვიდრდებიან ფეცში თავის თანამემამულეთა მიმართ „საფრთხის" თავიდან აცილების მიზნით, მაშინ ჩვენც გვექნება უფლება ასევე ვიმოქმედოთ ჩვენი თანამემამულეების მიმართ, რომელთაც ემუქრება საფრთხე. ჩვენ გაგვაჩნია დიდი

---

[3] А. Норден, Уроки германской истории, пер., с нем., М., 1948, გვ. 16.

[4] Цит. Г. Гейдорн, Монополии. Пресса. Война, пер. с нем., М., 1964, გვ. 441.

[5] Е. В. Тарле, Европа в эпоху империализма, 1871—1919 гг., Соч. том. 5, М., 1958, გვ. 193.

გერმანული ფირმები მოგადორსა და აგადირში. გერმანულ გემებს შეეძლოთ ხსენებულ ნავსადგურებში წასვლა ამ ფირმების დასაცავად. მათ შეეძლოთ იქ დარჩენა სრულიად მშვიდად ერთადერთი დავალებით — აიცილონ სხვა სახელმწიფოების შეჭრა სამხრეთ მაროკოს ამ უმნიშვნელოვანეს ნავსადგურში... ასეთი საწინდრით, ჩვენ შეგვეძლება მშვიდად ვადევნოთ თვალი მაროკოში მოვლენების შემდგომ მსვლელობას და დაველოდოთ, ხომ არ შემოგვთავაზებს საფრანგეთი შესაფერის კომპენსაციას, რის სანაცვლოდ ჩვენ დავტოვებდით ორივე ნავსადგურს"[6].

1911 წლის აპრილს მაროკოში შექმნილი მდგომარეობის გამო რურის მძიმე მრეწველობის მაგნატების გაზეთი „რაინიშ-ვესტფელიშე ცაიტუნგ" სტატიაში „მოქმედებანი, მოქმედებანი!" წერდა: „ლაპარაკია გერმანიის კაიზერის პატიოსნების შესახებ და გერმანელი ხალხი შესძლებს თავისი უფლებების დაცვას. დაე ფრანგები პატივს სცემდნენ ხელშეკრულებებს, და თუ მათ არ შეუძლიათ, ან არ სურთ ეს გააკეთონ, მაშინ ჩვენ მოვითხოვთ თანაბარ უფლებებს, მოვითხოვთ მაროკოს გაყოფას გერმანიის იმპერიასა და საფრანგეთს შორის. თუ ამას საფრანგეთი სერიოზულად გაუწევს წინააღმდეგობას — ოო, მაშინ ის იქნება პასუხისმგებელი ომისათვის"[7].

1911 წლის აპრილის ბოლოს რუსეთის ელჩის შემცვლელი ბერლინში შებეკო მოახსენებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს: „საზოგადოებრივი აზრი გერმანიაში ძალზედ შეშფოთებულია მაროკოს ამბებით... მაროკოს ირგვლივ პანგერმანული პრესის მიერ ატეხილი აჟიოტაჟი იმუქრება დაარღვიოს... ურთიერთობანი ბერლინსა და პარიზს შორის"[8].

საფრანგეთის ელჩს ბერლინში ჟიულ კამბონს დავალებული ჰქონდა განეცხადებინა გერმანიის მთავრობისათვის, რომ საფრანგეთის ღონისძიებანი მიმართულია ფეცის დასაცავად ... და „ღია კარების" პრინციპის სრული შენარჩუნებით. მაროკოს ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად. შემბეკო შემდეგ აღნიშნავს, რომ „საფრანგეთის ელჩის სიტყვებით, მისი განცხადება მიიღეს საკმაოდ ცივად და ბეტმან-ჰოლვეგმა აგრძნობინა მას, რომ ფეცის ოკუპაცია ფრანგების მიერ ჩაითვლებოდა ... ალხესირასის აქტის და საფრანგეთ-გერმანიის 1909 წლის შეთანხმების დარღვევად"[9].

მაისის ბოლოს ევროპულ გაზეთებში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანია იძულებული იქნებოდა დაკმაყოფილებულიყო საფრანგეთის მეორეხარისხოვანი კოლონიებიდან მცირეოდენი, უვარგისი ტერიტორიების კომპენსაციით. ამ ცნობებმა პანგერმანელების განსაკუთრებული გააფთრება გამოიწვია. რუსეთის ელჩი ბერლინში ოსტენ-საკენი თავის დეპეშაში საგარეო საქმეთა სამინისტროს მოახსენებდა, რომ ასეთი ცნობები „მიეწერება ფრანგულ და ინგლისურ წყაროებს", რომელთაც მიზნად ჰქონდათ

---

[6] Die Grosse Politik der Europäischen Kabinette, 1871—1914, Sammlung der Diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes (შემდეგში—Gr. Pol.), ტ. 29, № 10549, გვ. 105—107.

[7] Цит. Г. Гейдорн, დასახელებული ნაშრომი, გვ. 448—449.

[8] Архив внешней политики России Министерства иностранных дел СССР (შემდეგში—АВПР) ф. Канцелярия, д., 18, л. 99, Депеша Шебеко Нератову 15/28 апреля 1911 г.

[9] იქვე, ფ. 100.

„აემხედრებინათ საზოგადოებრივი აზრი გერმანიაში და განსაკუთრებით პანგერმანული წრეები, მთავრობის წინააღმდეგ“[10].

პანგერმანული პრესა მკვეთრად აკრიტიკებდა საგარეო საქმეთა უწყების სახელმწიფო მდივნის პოლიტიკას მაროკოს საკითხში. ოსტენ-საკენი იმავე დეპეშაში იტყობინებოდა: „საყოველთაო გერმანული პარტიის ორგანოები ერთსულოვნად გამოთქვამენ აღშფოთებას გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა მიმართ, ამასთან კიდერლენ-ვეხტერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოღვაწეობის ისტორიაში პირველად, პრესის გააფთრებული თავდასხმების ობიექტად იქცა“[11].

ვილჰელმ II-ის თანხმობით გერმანიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანა კიდერლენ-ვეხტერის მემორანდუმში დასახული გეგმა.

21 მაისს საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ფეცი. ეს აქტი გერმანიასა და მაროკოში აქტიური მოქმედებების დაწყების ნიშნად მიიჩნიეს.

კიდერლენ-ვეხტერმა მიიღო ვილჰელმ II ნებართვა აგადირში სამხედრო გემის გაგზავნის შესახებ. ქვემეხიანი ნავი „პანტერა“, რომელიც სამხრეთ აფრიკიდან ბრუნდებოდა, ბრძანების თანახმად, პირველ ივლისს შევიდა აგადირის ნავსადგურში და ჩაუშვა ღუზა[12]. ალხესირასის კონფერენციის დადგენილების თანახმად აგადირი დახურული იყო ყველა სახელმწიფოსათვის. მთელი მსოფლიო გერმანიის ასეთ მოქმედებას შეხვდა როგორც პროვოკაციას[13].

მეორე დღესვე პანგერმანელების ყველა გაზეთი მიესალმა ამ აქტს. გაზეთი „რაინიშ-ვესტფელიშე ცაიტუნგ“ პირველ გვერდზე ათავსებს სტატიას და კომენტარს უკეთებს დიდი სათაურით: „ვაშა! აი ეს გმირობაა!“. გაზეთი მოითხოვდა მაროკოს გაყოფას, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთს ომით ემუქრებოდა: „ახლა აგადირში რეიდზე გერმანული სამხედრო გემი დგას. ფრანგებს ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა შეგვითანხმდნენ მაროკოს გაყოფის შესახებ. თუ ისინი ამას არ მოისურვებენ მაშინ „პანტერას“ შეუძლია შეასრულოს საკმაოდ ცნობილი „ემსის დეპეშის“ მსგავსი როლი“ — წერდა სტატიის ავტორი[14].

ოსტენ-საკენი იტყობინებოდა აგადირში „პანტერას“ გამოჩენის შესახებ: „წარსულ შაბათს, „ჩრდილო-გერმანიის გაზეთის“ საღამოს გამოცემაში მოთავსებული ცნობა მაროკოს ნავსადგურ აგადირში სამხედრო გემის „პანტერას“ გაგზავნის შესახებ... აქ მიღებულ იქნა პატრიოტული ენთუზიაზმით“[15]. შემდეგ ოსტენ-საკენს მოყავს ფრანკფურტის გაზეთის აზრი, რომ „საფრანგეთს არ უნდა ეშინოდეს მაროკოში რაიმე განზრახვისა ტერიტორიული მონაპოვრების შესახებ, ვიდრე თვითონ არ განიზრახავს ამ ქვეყნის „ტუნიზაციას“[16].

---

[10] АВПР ф. Канцелярия, д. 19, л. 34—35, Остен-Сакен Нератову 7/20 мая 1911 г.

[11] იქვე.

[12] Gr. Pol., ტ. 29, გვ. 152.

[13] იქვე, № 10639, გვ. 228.

[14] Г. Хальгартен, Империализм до 1914 года, пер. с нем., М., 1961, გვ. 494.

[15] АВПР, ф. Канцелярия, д. № 18, л. 153, Остен-Сакен Нератову 22 июня/5 июля 1911 г.

[16] იქვე, ფ. 154.

„პანტერას“ აგადირში გაგზავნის მომენტში, გერმანელმა დიპლომატმა მეტერნიხმა ამ პროვოკაციული ნაბიჯის გასამართლებლად განუცხადა ლონდონში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივ თანაშემწეს ნიკოლსონს, რომ „1866 და 1870 წწ. შორის ყველა თავის მტერზე გამარჯვებული გერმანია დიდ ქვეყნად იქცა; ამასთან ინგლისმა და დამარცხებულმა საფრანგეთმა მას შემდეგ მოახდინეს მთელი მსოფლიოს გაყოფა, გერმანიას კი მათი ნამცეცებიღა ერგო. ეხლა შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა გერმანიას შეუძლია განაცხადოს პრეტენზია რაღაც რეალურსა და მნიშვნელოვანზე“[17]. ამით მეტერნიხმა არსებითად გამოხატა ინგლის-გერმანიის უთანხმოებათა არსი, რაც თავისთავად უკვე იმას მოწმობდა, რომ გერმანიის საფრანგეთთან შეტაკების მომენტში ინგლისი არ დარჩებოდა მაყურებლის როლში.

პანგერმანული კავშირის თავმჯდომარე ჰენრიხ კლასი, რომელმაც ეს პოსტი 1908 წელს დაიკავა, აქვეყნებს სპეციალურ ბროშურას „ვესტ-მაროკო დოიჩ“! ეს ბროშურა ოსტენ-საკენმა თან დაურთო თავის დეპეშას, რომელიც გაუგზავნა 1911 წლის 22 ივლისს (4 აგვისტოს) საგარეო საქმეთა სამინისტროს[18]. პანგერმანელების ხელმძღვანელი ჰ. კლასი, ამ ბროშურაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გერმანიის იმპერიის მონაწილეობის გარეშე მაროკოს საკითხი ვერ გადაწყდებოდა[19]. კლასი შემდეგ გულახდილად განმარტავს რისთვისაც სჭირდება მაროკო გერმანიის იმპერიალიზმს: „მაროკო შეიძლება იქცეს ჩვენი სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზრად, სახალხო კოლონიზაციისა და უმნიშვნელოვანესი მადნის აღმოჩენის და პლანტაციების ქვეყნად“[20]. კლასი მოითხოვდა მაროკოს მთელი ატლანტური სანაპიროს დაპყრობას. „ამ მიზნის მისაღწევად, — წერს ის, — გერმანია გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას“. აქ მას მხედველობაში აქვს აგრეთვე „უკანასკნელი შესაძლებლობა“ — ომი ევროპის დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ[21].

ცნობილი ჟურნალისტი მაქსიმილიან გარდენი თავის ჟურნალში „ცუკუნფტ“ წერდა: „მთელი მაროკო უნდა იყოს გერმანიის, რათა ეგვიპტისაკენ და ინდოეთისაკენ საზღვაო გზაზე იდგნენ გერმანული ზარბაზნები, ალჟირთან საზღვარზე კი იმყოფებოდნენ გერმანიის ჯარები“[22].

გერმანიის მთავრობა მაროკოში მოვლენათა მსვლელობის შესახებ არავითარ განცხადებებს არ აქვეყნებდა და ლოდინის ტაქტიკას ადგა. მას, უწინარეს ყოვლისა, აინტერესებდა ინგლისის პოზიცია. დასაწყისში გერმანია ფიქრობდა, რომ ინგლისი ნეიტრალური დარჩებოდა მაროკოს კონფლიქტის დროს. ამის საფუძველს იძლეოდა ფრანგების მიერ ფეცის ოკუპაციის შემდეგ ვილჰელმ II ვიზიტი ლონდონში დედოფალ ვიქტორიას ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით. ინგლისელებმა მაშინ გულითადი შეხვედრა მოუწყვეს

---

[17] Международные отношения в эпоху империализма. Док. из архивов царского и временного правительств, 1898—1918, сер. II, т. 18, ч. 1, № 220 (შემდეგში—межд. отношения...).

[18] См. АВПР ф. Канцелярия, д. 18, л. 164, Остен-Сакен Нератову 22 июля/4 августа 1911 г.

[19] H. Class, West-Marokko deutsch! München, 1911, გვ. 5.

[20] იქვე, გვ. 6.

[21] იქვე, გვ. 11.

[22] В. Бартель, Левые в германской социал-демократии в борьбе против милитаризма и войны, пер. с нем. М., 1959, გვ. 74.

კაიზერს. გერმანიაში, ასეთი დამოკიდებულება ჩათვალეს როგორც ინგლისის უკმაყოფილების გამოხატვა საფრანგეთის მოქმედებაზე. ვილჰელმ II ინგლისში ვიზიტის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, — წერდა ბეტმან-ჰოლვეგი 1911 წლის 21 მაისს, — რომ იქ უკმაყოფილონი იყვნენ მაროკოში საფრანგეთის მოქმედებით. იმ სითბოთი და მისალმების უშუალობით, რაც ინგლისელმა ხალხმა მის პატივსაცემად გამოიჩინა, მან დაასკვნა, რომ ხალხი ამგვარად არა მარტო მის პატივისცემას, არამედ გერმანიასთან დაახლოების სურვილსაც გამოხატავდა[23].

გერმანიის მმართველი წრეები ფუჭი ილუზიის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. ამას მოწმობდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის განცხადება გერმანიის მთავრობისადმი, რომ „ინგლისს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია არ დაინტერესდეს მაროკოს საკითხით, რამდენადაც საკუთარი ინტერესები გააჩნია მაროკოში, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე გერმანიის ინტერესებია“[24]. ინგლისის მთავრობის ამ განცხადებამ გერმანელ იმპერიალისტებს იმედები გაუცრუა. ისინი დარწმუნდნენ, რომ მწარედ შეცდნენ ინგლისის პოზიციის შეფასებისას. გერმანიის მოკავშირეები სამთა კავშირის ხაზით — ავსტრია-უნგრეთი და იტალია, მაროკოში უშუალო ინტერესების უქონლობის გამო ცდილობდნენ არ ჩარეულიყვნენ კონფლიქტში. გერმანიის მმართველმა წრეებმა შეაფასეს შექმნილი ვითარება და მაროკოში ფეხის მოკიდება სცადეს მოლაპარაკების გზით, იმ იმედით, რომ აიძულებდნენ საფრანგეთს წასულიყო დათმობაზე. მაგრამ, ეს არც ისე იოლი საქმე იყო. საფრანგეთი თავის მოკავშირეთა იმედით უკან არ იხევდა. ამან აიძულა გერმანია განეახლებინა მოლაპარაკებანი საფრანგეთთან კონპენსაციის შესახებ. გერმანიის მოქმედებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მეფის რუსეთის პოზიციამაც, რაც საფრანგეთის მიმართ თავისი ერთგულების დამოწმებით გამოხატა[25].

ბერლინში ჟ. კამბონთან მოლაპარაკების დროს კიდერლენ-ვეხტერი აცხადებდა, რომ ის იძულებულია გაითვალისწინოს გერმანიის „საზოგადოებრივი აზრის“ განწყობილება და ამიტომ მოითხოვს საფრანგეთის კონგოს მთლიანად[26].

ოსტენ-საკენი აღნიშნავს, რომ იმ დროს განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა კრებები, რომელნიც მკვეთრად გამოხატულ ანტი-ინგლისურ ხასიათს ატარებდნენ[27].

გერმანიის მმართველი წრეები საფრანგეთთან მოლაპარაკების დროს განაგრძობდნენ საფრანგეთის დაშინებას და მაროკოს საკითხით ინგლისის დაინტერესებულობის უგულვებელყოფას. ამას მოჰყვა რადიკალური ჯგუფის ლიდერის ლოიდ ჯორჯის ცნობილი სიტყვა, 1911 წლის 21 ივლისს მან განაცხადა:

---

[23] Gr. Pol., ტ. 29, № 10562.

[24] Межд. отнош..., Сер. 2, т. 18, № 167.

[25] იქვე, Сер., 2, т. 18, ч. 1, გვ. 175.

[26] Gr. Pol., ტ. 29, № 10607, გვ. 185.

[27] АВПР ф. Канцелярия, д. 18, л. 188, Остен-Сакен Нератову, 19 авг. 1 сент. 1911 г.

„თუ ჩვენ თავს მოგვახვევენ ისეთ ვითარებას, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება მშვიდობის შენარჩუნება მხოლოდ უარის თქმით იმ დიდ და კეთილშობილ როლზე, რასაც ინგლისი მრავალი ასეული წლების მანძილზე ახორციელებდა გმირულ მიღწევათა წყალობით ... მაშინ, მე პირდაპირ ვიტყვი, რომ ასეთი მშვიდობა ჩვენთვის დამცირება იქნებოდა“[28]. ეს გერმანიის პირდაპირი გაფრთხილება იყო, აქ მთელი სიღრმით იჩინა თავი ინგლის-გერმანიის შეურიგებლობამ. ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტი საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი. ინგლისი და გერმანია აღმოჩნდნენ ომის საფრთხის წინაშე. ეს იმ დროს, როცა თვითონ გერმანიასა და საფრანგეთს შორის მდგომარეობა ასეთ დაძაბულობამდე არ მისულა.

დიდი ბრიტანეთის ასეთმა პოზიციამ საფრანგეთი უფრო შეურიგებელი გახადა გერმანიის მიმართ. როგორც რუსეთის ელჩი პარიზში **იზვოლსკი** იტყობინებოდა, ჟ. კამბონმა განუცხადა კიდერლენ-ვეხტერს, რომ „საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება გერმანიას მაროკოს ნებისმიერ ნაწილში დამკვიდრებაზე“[29].

გერმანელი იმპერიალისტები დარწმუნდნენ, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ გამოსვლა შეუძლებელი შეიქმნა, ამიტომ მილიტარისტული პროპაგანდა მთელი ენერგიით მიმართულ იქნა ინგლისის წინააღმდეგ. ამით მათ სურდათ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემდგომი განვითარებისათვის, თანხების დამატებითი გამოყოფისათვის მიეღწიათ.

„ინგლისის წინააღმდეგ გაღიზიანების გრძნობა ... იზრდება უკანასკნელ დროს“. გერმანიის მთავრობა ხედავს თავის მთავარ მეტოქეს „ინგლისის და არა საფრანგეთის სახით“. გერმანიის ოფიციალური წრეები ადანაშაულებენ ინგლისის მთავრობას იმაში, რომ მას სურს აღეუშალოს მაროკოს კრიზისის მშვიდობიან მოგვარებას“, — წერდა ოსტენ-საკენი[30], ამჯერად გერმანიის მთავრობა სწორად აფასებდა ინგლისის მმართველი წრეების პოზიციებს, რომლებიც მზად იყვნენ ომი გაეჩაღებინათ გერმანიასთან. მაგრამ, ინგლისის მთავრობას ეშინოდა ქვეყნის შიგნით უკმაყოფილების ზრდისა, თუ სერიოზული საბაბის გარეშე თავს დაესხმოდა გერმანიას. ამიტომ დაინტერესებული იყო ომი გერმანიას დაეწყო.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ავგ. ბებელის აზრით, გერმანიის მრეწველობას უნდა ჰქონოდა სხვა სახელმწიფოების თანაბრად მაროკოში დაშვების შესაძლებლობა, მაგრამ, იგი „კატეგორიულად გამოდიოდა გერმანიის საფრანგეთთან ომში ჩაბმის წინააღმდეგ. გერმანული კრეისერის გაგზავნას აგადირში ის დიდ შეცდომად თვლიდა, რომლისთვისაც იმპერიის კანცლერსა და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანს, პასუხი უნდა ეგოთ რაიხსტაგის წინაშე“[31].

გერმანია იძულებული ხდება უკან დაიხიოს. მაროკოს მეორე კრიზისი, რომელმაც კოლონიური ტერიტორიების გადანაწილების გამო ომის საფრთხე წარმოშვა დასასრულს მიუახლოვდა. საფრანგეთსა და გერმანიას შორის 1911 წლის 4 ნოემბერს დადებულ შეთანხმებას ხელი მოაწერეს კიდერლენ-ვეხ-

---

[28] Э. Д. Морель, Десять лет секретной дипломагии, М., 1924, გვ. 145—146.

[29] Межд. отнош..., Сер. 2, т. 18, № 192.

[30] АВПР ф. Канцелярия, д. 18, л. 189, Остен-Сакен Нератову 19. авг./1 сент. 1911 г.

[31] იქვე, л. 191—192, Шебеко Нератову 2/15 сент. 1911 г.

ტერმა და ჟიულ კამბონმა. შეთანხმება შეიცავდა ორ დამოუკიდებელ ხელშეკრულებას — ერთი ეხებოდა მაროკოს, მეორე აფრიკის ეკვატორული ნაწილის სამფლობელოებს[32].

პირველი ხელშეკრულებით, რომლის თანახმად უქმდებოდა საფრანგეთ-გერმანიის 1909 წლის შეთანხმება მაროკოს შესახებ, გერმანია ცნობდა საფრანგეთის უპირატეს პოლიტიკურ უფლებებს მაროკოში, რაც არსებითად ამ ქვეყანაზე პროტექტორატის დაწესებას ნიშნავდა. მეორეს მხრივ, საფრანგეთი აღიარებდა იქ ყველა სახელმწიფოსათვის სრული ეკონომიური თანასწორობის გარანტიას. მეორე ხელშეკრულებით გერმანია იღებდა საფრანგეთისაგან კონპენსაციის სახით საფრანგეთის კონგოს მნიშვნელოვან ნაწილს 275.000 კმ² ტერიტორიით, თავის მხრივ კი თმობდა საფრანგეთის სასარგებლოდ მიწის პატარა ზოლს ჩადის ტბის მახლობლად. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა აგრეთვე სხვადასხვა დადგენილებებს დათმობილ ტერიტორიებზე მიმოსვლის საშუალებათა გამოყენების შესახებ[33].

ვ. ი. ლენინი ასე ახასიათებს ამ მორიგებას: „Грабят („делят") Марокко. Обменивают Марокко на Конго"[34].

კომპრომისმა მაროკოს საკითხზე საფრანგეთშიც და განსაკუთრებით გერმანიაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შეთანხმებას უარყოფითად შეხვდნენ პანგერმანელები და მას პროტესტით გამოეხმაურნენ. რუსეთის ელჩი ბერლინში აცნობებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს: „თითქმის მთელი პრესა, რომელიც არ იმყოფება მთავრობის გავლენის ქვეშ, განსაკუთრებით კი პანგერმანული ორგანოები, მასში გერმანიის მთლიან დამარცხებასა და საფრანგეთის წინაშე კაპიტულაციას ხედავენ. აშკარად გამოითქმის აზრი, რომ არ არის საჭირო გყავდეს სანიმუშო არმია და მძლავრი. ფლოტი თუ საჭირო მომენტში არ ისარგებლებ საკუთარი ძალით, უკან დაიხევ უფრო სუსტი მოწინააღმდეგის წინაშე"[35].

მაროკოს შესახებ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების განხილვა კარდახშულ ვითარებაში მიმდინარეობდა რაიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში[36]. განხილვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ოფიციოზურმა ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა პირველი სხდომის ოქმის ტექსტი. კიდერლენ-ვეხტერმა რაიხსტაგში ვრცელი სიტყვა წარმოთქვა და გაამართლა გერმანელი კრეისერის აგადირში გაგზავნა. მან მთელი პასუხისმგებლობა საფრანგეთს დააკისრა და განუმარტა დეპუტატებს, რომ სამხედრო გემის გაგზავნა აგადირში მიზნად ისახავდა მხოლოდ თანასწორობის გარანტიის მოპოვებას ვაჭრობისა და მრეწველობის სფეროში; რომ ხომალდის გაგზავნას მიზნად ჰქონდა გერმანიის ქვეშევრდომების სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა. შემდგომ მან ილაპარაკა საფრანგეთთან მოლაპარაკების მსვლელობაზე და წარმოადგინა დადებული შეთანხმება როგორც გერმანიის დიპლომატიის გამარჯვება. კიდერლენ-ვეხტერმა აღნიშნა რომ ინგლისი აქტიურად ერეოდა მაროკოს საკითხში და ენერგიული მხარდაჭერა აღმოუჩინა საფრანგეთს[37]. ამ ცნობამ გამოიწვია ახალი ანტიინგ-

[32] АВПР. ф. Канцелярия. д. 18. л. 218, Остен-Сакен Нератову 27 окт./9 ноябр. 1911 г.

[33] იქვე.

[34] В. И. Ленин. соч. т. 39, გვ. 668.

[35] АВПР ф. Канцелария. д.18. л. 219. Остен-Сакен Нератову. 27. окт./9 нояб. 1911 год.

[36] იქვე. л. 245. Остен-Сакен Нератову 24/11 ноября 1911 г.

[37] იქვე, л. 246.

ლისური გამოსვლები გერმანიის ბურჟუაზიულ პრესაში. „თითქმის ყველა მიმართულების პრესა მეორე დღესვე თავს დაესხა, ინგლისს კრიტიკული სტატიებით, — წერდა ოსტენ-საკენი, — ამასთან, ის ხაზს უსვამდა იმის აუცილებლობას, რომ მხედველობაში მიეღოთ ინგლისთან შეტაკების შესაძლებლობა, რომელიც ამჯერად აცილებულ იქნა, გარკვეულ გარემოებათა დამთხვევისას მთლიანად არსებობს ახლაც და იარსებებს შორეულ მომავალშიც. მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვანია იცოდე, სად ეძებო მტერი, უკანასკნელი თვეების მოვლენებმა კი ნათლად აჩვენეს, სად იმყოფება ის; ეს პრესის ზოგიერთი ორგანოს აზრით, მთელი კრიზისის ერთ-ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს“[38].

ეს გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს გამოხატავდა, რომელიც სახმელეთო და საზღვაო ძალების გამალებული შეიარაღების კურსს ატარებდა. ოსტენ-საკენი წერდა, რომ პანგერმანული წრეების გაზეთების ოფიციოზური ცნობების შედეგად „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გერმანია განვლილ ზაფხულს ბეწვზე ეკიდა ინგლისთან სამხედრო შეტაკების მხრივ“[39].

კიდერლენ-ვეხტერი რაიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში იცავდა საფრანგეთსა და გერმანიას შორის 1911 წლის 4 ნოემბრის შეთანხმებას. ასეთივე თვალსაზრისს იცავდა ბეტმან-ჰოლვეგი რაიხსტაგში გამოსვლისას. ამის საფუძველზე მილიტარისტები აკეთებდნენ დასკვნებს, რომ აუცილებელია გერმანიის შეიარაღების შემდგომი გაძლიერება.

კანცლერის სიტყვა რაიხსტაგის სხდომაზე გააკრიტიკეს სოციალ-დემოკრატებმა. ავგუსტ ბებელი აღნიშნავდა, რომ გერმანიის იმპერიალისტურ პრესაში ატეხილი კამპანია გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სისუსტის შესახებ, რომელიც თითქოსდა გამომჟღავნდა განვლილი კრიზისის დროს, მიზნად ისახავდა მიეღწიათ სამხედრო-საზღვაო უწყების ფონდში ახალი კრედიტების გამოყოფისათვის. ბებელი აფრთხილებდა მმართველ წრეებს, რომ გერმანიის მიერ ახალი საზღვაო კანონის მიღება საფუძველს აძლევდა ინგლისს გაეძლიერებინა თავისი ფლოტი პრინციპით: ორი ერთეული ერთის წინააღმდეგ. ყოველივე ეს ძალზედ ამწვავებდა წინააღმდეგობას ინგლისსა და გერმანიას შორის.

მაროკოს ავანტიურა გერმანიის იმპერიალიზმის დამარცხებით დამთავრდა. მან თავის საწადელს ვერ მიაღწია. „იმ დროს გერმანია გამოსახავდა სფინქსს ე. ი. არსებას, რომელიც გამოცანებს სთავაზობდა მთელ მსოფლიოს, მაგრამ საბოლოოდ თვითონვე იჩეხებოდა უფსკრულში“[40]. ადმირალი ტირპიცი თავის მოგონებებში წერდა გერმანიის დიპლომატიური მარცხის შესახებ მაროკოს მეორე კრიზისის დროს მაგრამ ამას ისე აკეთებდა, რომ ეს ფაქტი გამოეყენებინა ახალი საზღვაო შეიარაღების დასასაბუთებლად[41].

---

[38] АВПР, ф. Канцелария, д. 18, л. 246.

[39] იქვე.

[40] Г. Хальгартен, დასახ. ნაშრომი, გვ. 491.

[41] А. Фон Тирпиц, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

მაროკოს მეორე კრიზისი მოწმობდა, რომ გერმანიის იმპერიალისტურმა საგარეო პოლიტიკამ კიდევ ერთხელ განიცადა მძიმე დარტყმა, გაუარესდა მისი საერთაშორისო მდგომარეობა კონტინენტზე, რაც ხელს უწყობდა გერმანიის იზოლირებული მდგომარეობის შემდგომ გაძლიერებას. მაროკოს მეორე კრიზისის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმი. მან ხელი შეუწყო გამალებული შეიარაღების დაჩქარებას ყველა იმპერიალისტურ ქვეყანაში, კერძოდ კი გერმანიაში და გაზარდა მსოფლიო ომის წარმოშობის საფრთხე.

ლევან ფრუიძე

ვენახის ტრადიციულ სახეთა ისტორიისათვის საქართველოში

ცალკეული მიკრორაიონის ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით ქართველმა ხალხმა ვაზის ფორმირების სხვადასხვა წესი შეიმუშავა. ნიშანდობლივია, რომ ვენახის სახეთა მრავალფეროვნების მხრივ ლეჩხუმს საქართველოს ვერც ერთი კუთხე ვერ შეედრება. ჩვენი საველე-კვლევითი მუშაობის შედეგად იქ, საქართველოში ცნობილი ვენახის ყველა ტიპი გამოვლინდა: მაღლარი, დაბლარი, ოლიხნარი, ტალავერი, სანაპირაო ანუ ღობის ტალავერი, ნაგებობაზე აყოლილი ვაზი ანუ კედლის ტალავერი.

მაღლარი. ამ ტერმინს ჯერ კიდევ ვახუშტი ხმარობს: ზემო იმერეთში მრავლად არის „ვენახიანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსაც უწოდებენ მაღლარსა ანუ ბაბილოსა“[1], „ვენახი მაღლარი“ ნახა, აგრეთვე, ვახუშტიმ ოკრიბაში, ოდიშსა და გურიაში[2].

ლეჩხუმში „მაღლარი“ ზოგადი მნიშვნელობით იხმარება და აღნიშნავს ცოცხალ ხეებზე ან დიდრონ ხელოვნურ საყრდენებზე აშენებულ ვაზების კრებულს.

ხელოვნურ საყრდენებიან მაღლარს ჩვენ ოლიხნარად მივიჩნევთ და ცალკე განვიხილავთ, ხოლო, რაც შეეხება, ხეებზე ფორმირებულ ვაზნარს, მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის შედეგად ორ ჯგუფად „დობიროდ“ და „ხემამულად“ ვყოფთ.

აკად. ი. ჯავახიშვილს გამოკვლეული აქვს, რომ „დობილო“ ძველ ქართულში მაღლარის აღსანიშნავად, სახელდობრ „ბაბილოს“ სინონიმად იხმარებოდა, ხოლო „ბაბილო“ ჯერ კიდევ V—VI სს. მაღლარის გამომხატველი ყოფილა[3]. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ „დობილო“ ანუ ლეჩხუმურ-რაჭულად „დობირო“ უფრო იმ ადგილს ეწოდება, სადაც უწინ მაღლარი ვაზი იყო[4], ამიტომ იგი უმეტესად ტოპონიმიკაშია ფეხმოკიდებული[5]. დაახლოებით, ასეთივე მნიშვნელობითაა ეს ტერმინი დამოწმებული იმერეთში[6]. ხოლო ენათმეცნიერი ლ. ასათიანი

---

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 163.

[2] იქვე, 170_5, 176_{28}.

[3] ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, 1935, გვ. 308; ა. ჩიქობავა, ერთი ძველი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძის შესახებ მევენახეობის ტერმინში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954.

[4] შდრ. მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1951, გვ. 86; ს. ჩოლოყაშვილი, თანამედროვე მევენახეობა, თბ., 1935, გვ. 62.

[5] მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუშ, IX, 1938.

[6] ნ. ჯოხაძე, ლ. ლეჟავა და ზ. ჭუმბურიძე, მევენახეობის ძირითადი ტერმინები კახეთსა და იმერეთის ზოგიერთ კუთხეში, თსუ, სტუდენტთა შრომების კრებული, ნაწ. III, 1948, გვ. 79.

აკად. გ. ჩიტაიას მითითებით „დობირო“ მთის წინა ზოლის ნიადაგს აღნიშნავს (Г. Читая, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952).

წერს: „ქართულ კილოებში „დობირო ორი მნიშვნელობით იხმარება, ერთია, როგორც აღვნიშნეთ, ხეზე აშვებული ვაზი, მეორე, ადგილი, სადაც ხეზე აშვებული ვაზი არის გაშენებული“[7]. მე-19 ს. ცნობილი პუბლიცისტის ილია ჭყონიას განმარტებით: „დობილო ასე ეძახიან დასავლეთ საქართველოში ერთს რომელიმე ადგილს ხშირად გაშენებულ ხეებზე აშვებულ ვენახს“[8]. მაშასადამე, დობილო-დობირო „ხეებზე აშვებულ“ ვაზნარს ჰქვია და აქედან გამომდინარე, ადგილსაც ასე ეწოდება. ბუნებრივია, დობირო სანამ ტოპონიმიკურ სახელწოდებად იქცეოდა, მას გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და ჩვეულებრივი მაღლარისაგან რაღაცით განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ამას ლეჩხუმის მევენახეობა-მეღვინეობის მკვლევარი ა. იაკოვლევიც ადასტურებს: ორბელ-დეხვირის მიდამოებში „ყველგან მოსჩანს მაღლარი ვენახები წესიერად გასხლულ კოპიტებზე, ხოლო ჩრდილო ფერდობებზე თხმელის მთელი კორომებია, რომელზედაც შეყოლილია ვაზი. ასეთი ნაკვეთის ადგილობრივი სახელწოდებაა დობირო“[9]. მართალია, აქაც დობირო ადგილის სახელია, მაგრამ ის სწორედ ისეთ ადგილს ჰქვია, სადაც თხმელის კორომებზე ვაზებია აშვებული, რომელთაც ადამიანის ხელი ნაკლებად ეტყობოდა და თუ მთლად ველური არა, ნახევრადველურ მდგომარეობაში მაინც იყო.

ისტორიული საბუთებიდანაც ჩანს, რომ „დობირო“ „ნამუშაკევი ვენახისაგან“ განსხვავდებოდა, ისინი ჩვეულებრივ, ცალკე მოიხსენებიან: „ჩ~ნ მეფეთ-მეფემან გ~ი და დედოფალმან რუსუდან... ძემან ჩ~ნმან ბაგრატ შემოგწირეთ... ცხუკურს (ხონის რ. — ლ. ფ.) თორმანეული სასახლე მისითა სახასოთა ალაგებითა და ვენახებითა და სათიბებითა, დობიროებითა“ (1568 წ.)[10]. ეს განსხვავება უკეთ რომ დავინახოთ, მოვიტანთ ამონაწერს სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის „უსტარიდან“: „სავენახე არს ორ გვარი: დობილო და სავენახე. დობილოდ უწოდებენ ვაზთა მათ აშვებულთა მაღალთა ხეთა ზედა, რომელთაცა აშვებიდგან ხეზედ არღა გასხლავენ ათ-თორმეტ წლის და ადგილ-ადგილ ათ-თხუთმეტი წლის განმავლობაში და მერმე გადაჭრიან რტოთა რამდენი ნამეტნავათ აღორძინებულ იქნებიან და დამაჩრდილობელ ვაზთა და თვით ვაზთაცა გასხლავენ და მესამეს წელის კვალადვე გამოიღებს ნაყოფსა ნასხლევი იგი“[11]. დობიროს მოვლის მსგავსი წესი ლეჩხუმშიც დადასტურდა.

იმერეთის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით მაღლარი ორი სახისა იყო: მთხრობელები ანსხვავებენ ნარგავ მაღლარს და „ტყე-მაღლარს“[12]. სწორედ „ტყე-მაღლარის“ სინონიმი უნდა იყოს ლეჩხუმში დობირო, ხოლო „ნარგავი მაღლარისა“ — ხემამული. მართლაც, ველზე შეკრებილი მასალა გვიჩვენებს, რომ ისევე, როგორც სამეგრელოში, ლეჩხუმში დობიროს 10—15 წელიწადში ერთხელ სხლავდნენ, ხოლო მის საგანგებო ფორმირებასა და დამუშავებაზე თავს არ იწუხებდნენ. რაც შეეხება ხემამულს, ეს იყო იდეალუ-

---

[7] ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა... გვ. 37, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1950, ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.,

[8] ი. ჭყონია, სიტყვის კონა, პეტერბურგი, 1910.

[9] А. А. Яковлев. Виноградарство и виноделие в Лечхумском уезде. ССВВК. III, 1896, გვ. 72.

[10] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 410.

[11] ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, ტფ., 1939, გვ. 100.

[12] ლ. გაბუნია, მასალები იმერეთის მევენახეობის შესახებ, კრებული საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 110.

რად ფორმირებული და თვალსაჩინოდ მოვლილი ვენახი, არანაკლებ ინტენსიური, ვიდრე დაბლარი. „ნოეოე ობოზრენიეს“ უცნობი კორესპონდენტი წერს: საყრდენების „ფორმირება ადრევე იწყება, როდესაც ღეროს სიგრძე $1^1/_2$ გოჯს აღწევს. ამავე დროს ან ერთი წლით ადრე, ხის ახლოს ვაზს რგავენ. შემოდგომაზე ან ზამთარში ნორჩი იფნის ღეროს 1—$1^1/_2$ არშინ სიმაღლეზე გადაჭრიან. ზაფხულში, წამოზრდილი ყლორტებისაგან, მათი რაოდენობის, განლაგების და სხვათა მიხედვით, ორს ან სამს ტოვებენ, დანარჩენები კი ძირშივე იჭრება. დარჩენილი ყლორტებიც შეიკვეცება არა უმეტეს 2—3 კვირტისა. მეორე შემოდგომის დამლევს, დატოვებული კვირტების რაოდენობის მიხედვით, ახალი ყლორტებია ამოზრდილი. ამათგან, თითოეულ შარშანდელ როკზე მხოლოდ ორორს ტოვებენ, სხვებზე უკეთესად განლაგებულს, რათა შემდეგში მიიღონ კათხისებური ვარჯი. ეს ყლორტები ქვედა ორ კვირტზე იკვეცება, ყველა სხვა დანარჩენ ყლორტს, რომელიც კი გარედან ან შიგნიდან წამოიზრდება, უსათუოდ მოაშორებენ. ასე გრძელდება ყოველ წელიწადს, ვიდრე ხე ცოცხლობს და ვაზის კულტურისათვის გამოიყენება. თანდათანობით იქმნება კათხის ფორმის ვარჯი, იმდენად სრულყოფილი, რომ თვით გოშეს, რომელიც ნაყოფის მომცემი ხეების ფორმათა შექმნის არქიტექტორი, სახელგანთქმული და დახელოვნებული ოპერატორია, თვალი ზედ დარჩებოდა.

„კათხები“ დიდი ზომისანი ხდებიან მაღლა, სადაც გადაჭრილი ყლორტების ბოლოებია, რომელთა რაოდენობა წლობით შესამჩნევად იზრდება, თუმცა ისინი მუდმივ მეჩხერდებიან. წარმოიქმნება თითქმის სრული სიმრგვალე, ანდა ოდნავ ელიფსისებური ზოლი, ხშირად 3 ან მეტი საჟენი დიამეტრისა.

სასიამოვნო სანახავია ასეთი ქმნილება შემოდგომით, ფოთოლცვენის შემდეგ, როცა ადამიანის მთელი ზრუნვა ჩანს. მეტადრე მომხიბვლელია ვაზის განაწილება ვარჯის როკებსა და ტოტებზე. უზარმაზარი კათხის შიგნით არ აღმოჩნდება არც ერთი ზედმეტი ყლორტი, არც ერთი ტოტი. მათ გარეთაც ვერ ნახავთ არასწორად განლაგებულს. ეს გასაგებიცაა: ვარჯის ჩამოყალიბებისას მოხრილი ყლორტები სწორდებიან, სხვები გარეთ გადაიხრებიან, დანარჩენები თუ ერთმანეთთან ძალზე ახლოს ამოიზრდებიან და საჭირონი არიან, განმბჯენით გაიწევ-გამოიწევიან. ერთი სიტყვით, აკეთებენ ყველაფერს, რათა მიიღონ რაც შეიძლება სწორი კათხისებური ვარჯი. ვაზის ღერო იფნის ტანს მიყვება, რომელსაც 8—10 გოჯი დიამეტრისათვის მიუღწევია, შემდეგ 2—3 პირველად მსხვილ, მოკლე და 5—6 გოჯიან როკზე გადადის, მერე კვლავ ტოტებს შეუყვება და მომდევნო წლების ნაყარს სულ კენწერომდე გასდევს, სადაც საჭიროა, რქებს ახვევენ.

ვაზს ხეზევე სხლავენ, რადგან ის წლების მანძილზე იმდენად ეხვევა მას, რომ შეუძლებელია გამოხსნა-განცალკევება. ვაზის ღონიერი ზრო, ჩვეულებრივ, გრძელ რქებს დაიყრის, რომელთა უმეტესობა ახლახანს ნაჩვენები გზით განაწილდება, სხვები კი „კათხას“ სხვადასხვა სიმაღლეზე ქამრებივით გარს ერტყმიან“[13].

ამ თარგმანის შინაარსი ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება. უცნობი კორესპონდენტი ლეჩხუმის მაღლარების თვითმხილველია და ამიტომ მისი ნაწერი ადგილობრივ მევენახეთა მაღალი ხელოვნების დამადასტურებელი უტყუარი საბუთია.

---

[13] В.-П.-Л. Сванетия и Лечгум. НО. № 2297. 1890. გვ. 3.

* * *

წერილობით ცნობებს ლეჩხუმის მაღლარებზე და საერთოდ ვენახის ფორმებზე შედარებით მრავლად ვხვდებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ლაჯანურის ხეობაში თხმელებზე შეშვებული მაღლარები ნახა გერმანელმა მეცნიერმა გუსტავ რადემ[14], ბოტანიკოსმა ნ. სრედინსკიმ[15] ორბელური ვენახები აქო, ხოლო იტალიელი მეცნიერი ემილ ლევიე აღტაცებული წერს: „ორბელიდან რომ გავედით, ერთ მშვენიერ და მეტად მდიდარ მხარეში ვიმოგზაურეთ. ვაზი ადამიანის მონად გამხდარა, ერთი ხიდან მეორეზე გადადის, სწორედ ისე, როგორც ტოსკანაში“[16]. „კავკასიის მეღვინეობის ნარკვევის“ მონაცემებით გასული საუკუნის 70-იანი წლებისათვის ლეჩხუმში 1,800 დესეტინა ვენახი იყო, აქედან 800 დესეტინა მაღლარი[17]. დ. ნოსოვიჩის მასალების მიხედვით 80-იან წლებში ლეჩხუმის ვენახების ფართობი 173,64 დესეტინას უდრიდა, აქედან ნახევარი მაღლარი იყო, ხოლო ნახევარი დაბლარი[18]. ე. დანდუროვს ვენახის ძირითად სახედ ლეჩხუმში მაღლარი მიაჩნია[19], ხოლო ა. იაკოვლევი აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის დამლევს აქ მაღლარს ვენახების მხოლოდ 34% ეკავა[20], 1903 წლისათვის კი საბოლოოდ გაბატონებულა დაბლარი[21]. ეს პროცესი მაღლარის სრული გადაშენებით დამთავრდა.

მაღლარი (ხემამული) გავრცელებული იყო ლაჯანურის ხეობაში მთლიანად, ხოლო ცხენის წყლის ხეობაში „სარეწკელას“ ზემოთ, ჩოლურის თემის ჩათვლით. მაღლარი ცალკე ვენახებად და აგრეთვე დაბლართან შერეული სახით დასტურდება რიონის ხეობის სოფლებშიც[22], ამჟამად მთელს ლეჩხუმში, გარდა ორბელისა, ვენახის უმთავრესი ტიპი დაბლარია.

დ ა ბ ლ ა რ ი. ხელოვნურ საყრდენზე (ჭიგო — ხარდანი — სარი) გაწყობილ ვენახს, რომლის სიმაღლე საშუალოდ მეტრნახევარია, დაბლარი ეწოდება. ვახუშტის ცნობით არგვეთში „არს ქართლისებრ, ვენახი დაბლარი“[23], ასევე ვაკე იმერეთში „ვენახი დაბლარნი არიან მრავლად“[24]. თანამედროვე ლეჩხუმში ტერმინი „ვენახი“ მსაზღვრელის გარეშე „დაბლარის“ შინაარსს გამოხატავს. ეს გარემოება ალბათ იმანაც განაპირობა, რომ დღეს ამ კუთხეში ძირითადად დაბ-

---

14 Г. Радде, Путешествие Мингрельских альпах, ЗКОРГО, VII, 1866, გვ. 48.

15 Н. Срединский, Очерк Растительности Рионского Басейна, Одесса, 1874, გვ. 69.

16 ემილ ლევიეს მოგზაურობა კავკასიაში, მოამბე, № 8, 1894, გვ. 34.

17 Очерк виноделия Кавказа, ССК, III, 1875, გვ. 216.

18 Д. П. Носович, Экономический быт государственных крестьян в Лечхумском уезде, Кутаиской губернии, МДИЭПГКЗ, 1, 1885, გვ. 180.

19 Е. Дандуров, Заметки о положении виноградарства в Лечгумском уезде, КСХ, № 80, 1895, გვ. 1377.

20 ა. იაკოვლევი, დას. ნაშრ., გვ. 87.

21 К. Чиджавадзе, Виноградарство и виноделие Лечхумского и Рачинского уездов, КСХ, № 481, 1903, გვ. 1077.

22 С. Н. Тимофеев, Отчет о действиях Лечхумо-Рачинской филоксерной партии в 1892 г., ОГШГИДКФК, Тиф., 1893, გვ. 17—18.

23 ვახუშტი, დას. ნაშრ., გვ. 163_5.

24 იქვე, გვ. 164_{11}.

ლარი — „ნამყენი ვენახებია“. რაც შეეხება ძველებურ დაბლარს, იგი ორი სახისა იყო „ჩხიროდი“[25] და „ხაჩირი“[26].

მთხრობელთა განმარტებით „ჩხიროდი ვენახი, უწინდებური დაბალი ვენახი იყო, ხარდანზე მიშობილი, მარა ერთმანეთში არეული ვაზებით“. ლეჩხუმში შეკრებილი შინამრეწველობის მასალების მიხედვით: „სარებ მისმულ, დაბალ მაწულს „ჩხიროდს“ ვეტყვით“. ე. ი. „ჩხიროდი ვენახი“ რაჭაში დადასტურებული „ძველი ვენახის“[27] იდენტურია. „ხაჩირიც“ ძველ, დაბალ ვენახს ერქვა, მაგრამ ჩხიროდისაგან განსხვავებით იგი „ხაჩირში იყო მოყვანილი“ ე. ი. მას თავისებური დაგეგმარება და მწკრივები გააჩნდა. მაგრამ „ხაჩირი ვენახის“ საწინააღმდეგო განმარტებას გვაძლევს მ. ალავიძე: „ხაჩირი ვენახი ძველებური ვენახი. დაუმყნელ ვაზებს გადაწვენით გაამრავლებდნენ, იგი მწკრივად არ იყო გაშენებული“[28]. განმარტების ბოლო ნაწილს ვერ დავეთანხმებით, რადგან სიტყვა „ხაჩირი“[29] დღესაც ფართოდ იხმარება რაჭა-ლეჩხუმის ხუროებს შორის. ისინი სანამ სახლის ან რაიმე ნაგებობის საძირკველს გასკვნიან, უსათუოდ „ხაჩირში მოიყვანენ“: კუთხეებს „გონიოთი დააყენებენ“ — გაასწორებენ და დიაგონალებად „ლენძებს“ გაუბამენ. თქმა „ხაჩირში მოეიყვანეთო“ ნიშნავს საიმედოდ გავასწორეთო. „ხაჩირის“ ეტიმოლოგია ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ იგი რომ „სისწორის“ — „გასწორების“ შინაარსის მატარებელია, ეს ფაქტია.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ძველად ლეჩხუმში დაბლარის გავრცელების ასეთი სურათი გვაქვს: კლდედაღმართის სოფლებში, სახელდობრ დერჩში, ორხვსა და ტვიშში მაღლარებთან ერთად გვხვდებოდა მწვანეს დაბლარი ვენახები, როგორც ცალკე ნარგავები, ისე მაღლართან შერეული. ალექსანდრეულისა და მუჯურეთულის დაბლარები უწინაც იყო ალპანის სანახებში, ასევე ნაწილობრივ ლაჯანურის ხეობაში — ჭილეშში. უსახელოურის დაბლარებს ეკავა ოყურეშ-ისუნდერის მიკრორაიონი. ა. იაკოვლევის ცნობით დეხვირისა და ცაგერის ვენახების ნახევარი დაბლარი იყო[30].

ო ლ ი ხ ნ ა რ ი. სამიდან ხუთ მეტრამდე სიმაღლის ხელოვნურ ან ცოცხალ, ვერტიკალურ საყრდენებზე გამართულ ვაზნარს „ოლიხნარი“ ეწოდება. ვენახის ეს ტიპი და ტერმინი მე-19 საუკუნის დამლევს იმერეთში გამოავლინა აგრონომმა ე. ნაკაშიძემ[31]. ამავე ავტორის მითითებით ოლიხნარი მწკრივად დარგული ვენახი იყო, ხოლო ასეთივე სახის უწესრიგოდ განლაგებულ ვაზებს „ხარდნის

---

25 შდრ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ჩხიროდი“ და „ჩხირა“, აგრეთვე ლ. გაბუნიას მიერ იმერეთში გამოვლენილი „რეული“ (დას. ნაშრ., გვ. 112). „ჩხიროდი“ ტოპონიმიკაშიც არის ფეხმოკიდებული, იხ. მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი.

26 იხ. შინამრეწველობის მასალები, მევენახეობა-მეღვინეობა ლეჩხუმში.

27 ლ. ფრუიძე, მევენახეობა-მეღვინეობა რაჭაში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი, ინახება ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

28 მ. ალავიძე, მასალები ლეჩხუმური ლექსიკისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 13, 1955, გვ. 70.

29 „ხაჩირი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მ. ალავიძის მონაცემების მიხედვითაა შესული: „ხაჩირი (ხაჩირისა) დაუმყნობელი ვაზის გადაწვენით გაშენებული ვენახი (მ. ალავიძე)“. საგულისხმოა, რომ ლექსიკონის შემდგენლებს ჩვენთვის სადაო ადგილი განმარტებაში არ შეუტანიათ.

30 ა. იაკოვლევი, დას. ნაშრ., გვ. 87.

31 Е. К. Накашидзе, Виноградарство в Имерети. ССВВК. II. 1896, გვ. 14.

ვენახი" ერქვა[32]. ეთნოგრაფ ლ. გაბუნიას მონაცემებით კი „მაღლარსა და დაბლარს შორის თავისებურ, გარდამავალ ფორმას წარმოადგენს ოლიხნარი (ანუ ხარდნის ვენახი). ოლიხნარში ვაზები მიშვებულია საგრძნობლად უფრო მაღალ ხელოვნურ კაპებიან საყრდენზე, რომელიც იმერეთის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით იხსენიება: ზემო იმერეთში მას ო ლ ი ხ ს უწოდებენ, ხოლო ქვემო იმერეთში ჯ ღ ა ს (ვანის რაიონი) და ჩ ა ნ გ ა ლ ს (ოკრიბა). გარდა კაპიანი, ქიმებიანი საყრდენისა გამოიყენებოდა ცოცხალი, ტანმორჩილი ხე, რომელიც საგანგებოდ იყო ტოტებწაჭრილი, თავგადაბელილი. ოლიხი სხვადასხვა სიმაღლის იყო $3^1/_2$ არშინიდან 5 არშინამდე"[33].

სიტყვა „ოლიხნარის" ეტიმოლოგიას იძლევა აკად. ი. ჯავახიშვილი და ასკვნის, რომ „ო ლ ი ხ ნ ა რ ი ლიხნარზე ანუ მაღალ ბუჩქნარზე გასაშვები ვაზის აღმნიშვნელი უნდა იყოს"-ო[34]. ჩვენი ვარაუდით „ოლიხნარი" მწიგნობრული ტერმინი ჩანს „ოლიხიდან" ნაწარმოები. ლეჩხუმში ეს სიტყვა საერთოდ არ დასტურდება, მის ნაცვლად იხმარება „მ ა ღ ლ ა რ ი", „ხ ა ლ ა ხ ი ნ ი ს. ვ ე ნ ა ხ ი". „ხ ა ლ ა ხ ი ნ ი ტოტებიანი ხარდანი ან ხე, რომელზედაც ვაზი ადის" — განმარტავს მ. ალავიძე[35]. „ხარდანი" ლეჩხუმში მცირე ზომის ჰიგოსაც ჰქვია და 4—5 მეტრიან სწორ „სორსალ", ვაზის საყრდენად განკუთვნილ ლატანსაც[36]. აქედან გამომდინარე, ხალახინის ვენახი მაღალ ქიმებიან ბოძებზე გაშვებული ვაზნარია, ხარდნისა კი სწორ ლატნებზეა ასული. ხშირად ორივე ტიპის საყრდენი ერთ ვენახშია მოცემული. ჩვეულებრივ, ხალახინი დაესხმა „ცალფა ვაზს", ხოლო ხარდნები ვაზის ერთ ძირზე ნაყარ რამდენიმე (ორიდან ათამდე) მძლავრ ზროს. ასეთ „თავმოწონებულ ნერგზე" 200—300 კგ ყურძენი იკრიფება. ამჟამად ამ ტიპის ვენახები ძირითადად ლაჯანურის ხეობაშია, ისიც კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. ვისაც სოფელი ორბელი უნახავს, ვერ დაივიწყებს ტანმაღალი ვაზნარების მუქმწვანე იარუსებს, რომელთაც მთელი მიდამო მოუცავთ და თითქმის ოდა-სახლებიც დაუფარავთ. ხალახინისა და ხარდნის ვენახებს შეხვდებით, ავრეთვე, ქვემო სვანეთში, მეტადრე რცხმელურსა და მის მახლობელ სოფლებში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ვენახის ეს ფორმა ძველად მთელ ლეჩხუმში ყოფილა გავრცელებული, ოღონდ ხემამულთან ან დაბლართან შერეული სახით.

მე-19 საუკუნის ავტორები უმეტესად ცალ-ცალკე იძლევიან ლეჩხუმში მაღლარ და დაბლარ ვენახთა ფართობების რაოდენობას, ოლიხნარს კი ცალკე არ გამოჰყოფენ. უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე ისინიც ამ ფორმას მაღლარად თვლიდნენ. მაგრამ ა. იაკოვლევს ყურადღება მიუქცევია ჩხუტელის, ცაგერის, ორბელისა და დეხვირის საზოგადოებებში ვაზის ფორმირების თავისებური წესისათვის, „რაც იმაში გამოიხატება, რომ ვაზის ერთი ძირიდან ამოსულია რამდენიმე გრძელი ამონახეთქი, რომლებიც 5—7 საყრდენზეა აზიდული. საყრდენები მწკრივად ან დედოვაზის ირგვლივაა განლაგებული და ერთმანეთისაგან 1—2 არშინითაა დაშორებული. ისინი იფნის, მუხის

---

[32] Е. К. Накашидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 14, 17.

[33] ლ. გაბუნია, დას. ნაშრ., გვ. 115—6.

[34] ი. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტ. II, გვ. 310.

[35] მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938; ე. ბერძენიშვილის მიხედვით „ხალახინი" (რჯ. ვ. ჯ.) დიდი ჰოგრი, ხალა, ხალხა, ხოლი (სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბურგი, 1912).

[36] იხ. ორბელში ჩვენი ჩაწერილი მასალა, რვეული II.

ან წიფლის ხისაა, ქერქისაგან გასუფთავებულია, აქვთ 2—$2^1/_2$ საჟენი სიმაღლე დაახლოვებით 1 ჩეტვერტი დიამეტრი, ვაზის ფორმირების ეს ხერხი იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ იგი წარმოადგენს გარდამავალ ფორმას მაღლარი კულტურიდან დაბლარისაკენ"[37].

საყრდენებზე ვაზის მსგავსად განლაგება, „ხარდნის ვენახის" სახით, ლეჩხუმის ყოფაში დღესაც კარგად არის შემონახული. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ იგი მაღლარსა და დაბლარს შორის გარდამავალი სახეა, რასაც ოლიხნარის შესახებ სხვა მკვლევარებიც ვარაუდობენ, გადასინჯვა ესაჭიროება.

ტ ა ლ ა ვ ე რ ი. ორი ან სამი მეტრის სიმაღლის ხელოვნურ საყრდენებზე ჰორიზონტალურად განლაგებულ ვაზებს ტალავერი ეწოდება. ტალავერი ანუ „ტარაველი" — „ტარაბელი" მთელს ლეჩხუმშია გავრცელებული, ოღონდ არა როგორც ვენახის დამოუკიდებელი ტიპი, არამედ ცალკეული ვაზის ფორმირების საშუალება. ტალავრებს ჩვეულებრივ შეხვდებით ჭურისთავების, წყაროს თვლების, ეზოების, ვენახის ნაპირების, გზების, ბილიკების და სხვათა საჩრდილობლად.

გერმანელ მეცნიერს გუსტავ რადეს ლენტეხში ტალავრით დაბარდნილ ქუჩებში გაუვლია. იგი წერს: „სოფელ ლენტეხზე გამავალი გზები უმთავრესად ვაზის ამწვანებული გრილიანდების თაღებ ქვეშ მიემართებიან. ვაზს აქ ქართული წესით უვლიან, ის მაღალ ბოძებზე აჰყავთ და უხეშ ჰორიზონტალურ ხარიხებზე ჰიმავენ. ამრიგად ქუჩები სახურავებქვეშ არის მოქცეული"[38]. ასეთივე ტალავრები მან ზემო სვანეთის სოფელ ლიაშიც ნახა[39]. მხცოვან მთხრობელთა გადმოცემით ძველად სოფლის გზებისა და წყაროების ტალავრებით შემკობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, დღეს კი ეს კარგი ტრადიცია დავიწყებულია.

ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ტალავერი დასავლეთ საქართველოში მევენახეობის დამხმარე სახეა, მას უფრო დეკორატიული[40] — ესთეტური დანიშნულება აქვს, ვიდრე სამეურნეო, ამიტომ ვაზის ფორმირების ეს წესი მევენახეობის განვითარების შედარებით გვიან საფეხურზე უნდა იყოს წარმოქმნილი. მაგრამ ჩვენთან იგი უძველესი დროიდანვე ჩანს, რის დამადასტურებელ საბუთად შეიძლება გამოგვადგეს არგონავტების მითში შემონახული კოლხეთის მეფე აიეტის ოთხი დიდებული შადრევნის აღწერა, რომელთაც „ფარავდა ხშირ ფოთლოვანი და ჩრდილოვანი ვაზები"[41]. ამ მხრივ საინტერესოა რადეს ცნობა, რომ მურის ციხის ძირთან „სამხრეთით მდებარეობს ქვებით ძალიან გულმოდგინედ ამოშენებული წყარო, რომელიც ვაზის მწვანე ფოთლებითაა დაფარული"[42]. ეს ფაქტი ტრადიციის უწყვეტობის მაჩვენებელია. აქვე უნდა გავითვალისწინოთ რომ აკად. ი. ჯავახიშვილი „ტ ა ლ ა ვ ე რ ს" მევენახეობის ძველ ქართულ ტერმინად მიიჩნევს[43]. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს ქართული მევენახეობის ადრეულ ეპოქაში სრულყოფას. ირკვევა, რომ ჩვენი ხალხისთვის ვაზი ჯერ კიდევ უძველეს დროში არა მარტო სამეურნეო მცენარე

37 ა. იაკოვლევი, დას. ნაშრ., გვ. 19.

38 გ. რადე, დას. ნაშრ., გვ. 68.

39 იქვე, გვ. 153.

40 შდრ. ალ. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963, გვ. 42.

41 ალ. ჰყონია, ისტორიული ნარკვევი, ტფ., 1890, გვ. 32.

42 გ. რადე, დას. ნაშრ., გვ. 54.

43 ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, გვ. 310.

იყო, არამედ წყაროსთვლების, გზების, ქუჩების და სხვათა გასამშვენიერებელი საშუალებაც, რაც თავისთავად გემოვნების მაღალი დონის მაჩვენებელია.

სანაპირაო ანუ ღობის ტალავერი. რაჭა-ლეჩხუმში ვენახის ნაპირებს ზოგჯერ მიუყვება ნაწილობრივ ვერტიკალურ და ნაწილობრივ ჰორიზონტალურ საყრდენებზე განლაგებული ვაზები, რომელთაც სანაპირაო ანუ ღობის ტალავერი ეწოდება[44]. აქ საყრდენები და ფორმა შერჩეულია ვაზის ცალკეული ჯიშების მოთხოვნილებათა და სიძლიერის გათვალისწინებით. საერთოდ სანაპირაო ტალავერისა და ოლიხნარის რაღაც ნარევის შთაბეჭდილებას ტოვებს.

კედლის ტალავერი ანუ ნაგებობაზე აყოლილი ვაზი. ზოგჯერ ვაზს სახლის აივნებზე ან შრამელ-ბურულებზე უშვებდნენ. ნაგებობათა კოლორიტულ არქიტექტურას სავსე მტევნებით დახუნძლული ვაზები ორიგინალურად ერწყმოდა და სასიამოვნო სანახაობას ქმნიდა. ვაზის ფოთლებით დაფარული და გაგრილებული აივანი ზაფხულობით სასიამოვნო სამყოფი იყო. ერთი უცნობი მოგზაური, რომელსაც ქუთაისში უცხოვრია, კმაყოფილი წერს: „ჩემს აივანს ვაზები ჩრდილავდა, ოთახებში ყოველთვის სუფთა ჰაერი იყო“[45]. მოხუც მთხრობელთა გადმოცემით, ძველად ლეჩხუმში „თავმომწონე მოსახლეს“ „კედლის ტალავრებით“ დამშვენებული „ცხენის გასაჭენებელი“ აივნები ჰქონდა. ხანდახან საწოლი ოთახის ფანჯრებსაც ვაზით მოსავდნენ და „მწიფე ყურძენს ლოგინიდან წყვეტდნენ“. ამჟამად ლეჩხუმში „კედლის ტალავერს“ იშვიათად ვხვდებით.

მოტანილი მასალებიდან ცხადი ხდება, რომ საკვლევ რაიონში ვენახის ძირითადი სახეები მაღლარი და დაბლარია, ხოლო სხვა დანარჩენი დამხმარე ხასიათს ატარებს. ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქმის ასეთივე მდგომარეობაა მთელი საქართველოს მასშტაბით. მაგრამ ცალკეულ კუთხეებში უპირატესობა ვენახის რომელიმე სახეს აქვს, ლეჩხუმში კი, ტერიტორიის ამ მცირე მონაკვეთზე, ვენახის ტიპების განსაცვიფრებელ მრავალფეროვნებას ვხვდებით, ბუნებრივია, ეს ფაქტი ახსნას საჭიროებს. ვაზის ფორმირების სხვადასხვა წესის არსებობა და სიცოცხლისუნარიანობა თავისთავად გასაგებია. მიწის უკმარისობა აიძულებდა ადგილობრივ გლეხს თითოეული მტკაველი რაციონალურად გამოეყენებია, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიეღო, თან არ ივიწყებდა ესთეტურ მხარესაც, ცდილობდა მისი კარმიდამო, ვენახი „თვალის გასახარი“ ე. ი. გარეგნულად მიმზიდველი, სრულქმნილი ყოფილიყო. ამ თვალთახედვით ვაზი მრავალმხრივ შესაძლებლობას იძლეოდა, ამიტომ ძველთაგანვე შეიქმნა და საუკუნეთა მანძილზე დაიხვეწა ვაზის ფორმირების მრავალფეროვანი ხერხები, რომელთა უმეტესობა ლეჩხუმმა დღემდე შემოინახა. მაგრამ მევენახეობის, როგორც საქართველოს ეკონომიკის უმთავრესი დარგის სიმძიმე ვენახის ორ სახეს მაღლარსა და დაბლარს აწვა. ასევე იყო ლეჩხუმში. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ კუთხემ ორივე ტიპი შეისისხლხორცა, არა როგორც ერთმანეთის გამომრიცხავი, არამედ ორივე ძირითადი. ნათელი რომ გახდეს, თუ რამ განაპირობა ეს, საჭიროა ერთმანეთთან შედარებით განვიხილოთ, რამდენად რენტაბელური და რაციონალურია მაღლარი და დაბლარი.

---

[44] შდრ. ლ. ფრუიძე, სადისერტაციო ნაშრომი.

[45] Рассказы о Кутаисе. Кавказский календарь на 1853 г., Тб., 1852, გვ. 302.

ფილოქსერისა და ვაზის სოკოვან დაავადებათა გავრცელების შედეგად მევენახეობის ბედით მრავალი სამეცნიერო დაწესებულება და ენთუზიასტი დაინტერესდა. ალბათ არასდროს იმდენი არ დაწერილა მეურნეობის ამ დარგის შესახებ, რამდენიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა მთელი სირთულით დადგა ვაზის კულტურის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ავტორები იძლეოდნენ ქართული ვენახის ორი ძირითადი ტიპის მაღლარისა და დაბლარის კრიტიკულ შეფასებას. სოკოვანი დაავადებანი საბედისწერო აღმოჩნდა მაღლარისათვის. საუკეთესო ღვინით განთქმული კუთხეები გურია და სამეგრელო უვენახოდ დარჩა. ნადგურდებოდა იმერეთისა და ლეჩხუმის მაღლარებიც. ვენახის ამ სახის საველალო მდგომარეობა საზოგადოებას აღელვებდა. ზოგს მიაჩნდა, რომ მაღლარმა, როგორც მევენახეობის არქაულმა სახემ თავისი დრო მოჭამა და ამიტომ საჭიროა ყველგან დაბლარი გაშენდესო[46]. ზოგი პირიქით, მხარს უჭერდა მაღლარის შენარჩუნებას განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ბარში, სადაც ნესტიანი ნიადაგი და ჰავა იყო[47]. კამათი ტენდენციურ ხასიათს ატარებდა, ერთი მხარე ცდილობდა დაემტკიცებინა რა მაღლარის ყოველმხრივი უპირატესობა, არ ერიდებოდა დაბლარის დაკნინებას, ასეთივე გაუმართლებელ ხერხს მიმართავდნენ მოწინააღმდეგენი. სხვათაშორის, ამ საკითხის შესახებ პირდაპირი თუ არაპირდაპირი ხასიათის დავა დღემდე გრძელდება. ჩვენი აზრით, დავა მაშინ იქნება შედეგის მომტანი, თუ გავითვალისწინებთ ცალკეული მიკრორაიონის ეკოლოგიურ პირობებს. მაგალითად, გურია-სამეგრელოში 1875 წლამდე დაბლარი ვენახი არ იყო[48]. თუ ე. ნაკაშიძეს ვერწმუნებით, დაბლარის გაშენება ამ კუთხეებში მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როცა ტყეები გაიჩეხა და ჭაობები ამოშრა. მაშასადამე, მაღლარი გურია-სამეგრელოსა[49] და საქართველოს ზღვისპირეთისათვის ვენახის აუცილებელ და თავის დროზე შეუცვლელ ტიპს წარმოადგენდა. მაგრამ ლეჩხუმში ბუნებრივი პირობები მაღლარისა და დაბლარისათვის ერთნაირი იყო. ამიტომ ამ ორი სახის გვერდიგვერდ არსებობა ახსნას თხოულობდა, რაც ძალაუნებურად იტვირთეს გასული საუკუნის მკვლევარებმა.

დ. ნოსოვიჩის აზრით, მაღლარსა და დაბლარს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მაგალითად, თანაბარ ფართობზე დაბლარი გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის ყურძენს იძლევა, ვიდრე მაღლარი, სამაგიეროდ მაღლარის უპირატესობა ის არის, რომ ხეებს შორის მეტია სახნავად თუ სათიბ-საძოვრად გამოსაყენებელი თავისუფალი ადგილი. ამიტომ მცირემიწიანი სოფლები მაღლარს ამჯობინებენ, ხოლო მიწით მდიდარი — დაბლარს. დამუშავების

---

[46] Ю. И. Маглари и даблари в Абхазии и в Мингрелии, КСХ, № 12, 1894. კ. ჩოჯაევი, დასახელებული ნაშრომი.

[47] პ. ყიფიანი, სამეგრელოს მევენახეობა, ივერია, № 229, 28/X, 1890; ე რ. ნაკაშიძე, მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოსა, აჭარასა და აფხაზეთში, თბ., 1929.

[48] კ. ჩარკვიანი, მევენახეობის მდგომარეობა რეფორმის შემდგომ საქართველოში, საქართველოს ეკონომისტი, № 10, 1958.

[49] სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამეგრელოში დაბლარი ძველათაც იყო, რის დამადასტურებლად ავტორები უთითებენ დ. დადიანის ზემოთ მოხსენებულ „უსტარს“. ამ კუთხეში დაბლარის არსებობის შესახებ სხვა მყარი საბუთი ჯერჯერობით არ მოიპოვება. ვფიქრობთ, ეს საკითხი სამეგრელოს მევენახეობის ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგად გადაწყდება.

სიადვილით კი მაღლარი სჯობს დაბლარს, არ საჭიროებს საყრდენების ცვლას, ახვევას და სხვ.[50].

ვენახის აღნიშნულ სახეთა შედარებისას მსგავსი ფაქტორები აქვს მოცემული ე. დანდუროვს, ოღონდ უმატებს, რომ მაღლარი კარგად არის დაცული ცხოველებისა და ფრინველებისაგან, სამაგიეროდ საწამლოდ, სასხლავად და საკრეფად ძნელი მისადგომია, თან შედარებით დაბალხარისხოვან ღვინოს იძლევა[51]. ი. მოისეევი უპირატესობას დაბლარს ანიჭებს, რადგან ის გაცილებით უკეთესი ხარისხის ღვინოს აყენებსო[52]. ასევე ლეჩხუმში დაბლარი კულტურის თავგამოდებულ დამცველად გვევლინება კ. ჩიჯავაძე[53]. რაც შეეხება იაკოვლევს იგი, არსებითად, რაიმე უპირატესობას არც ერთ ტიპს არ აძლევს, ოღონდ აღნიშნავს, რომ მაღლარის შემცირება გამოიწვია დაბლარის ორი საუკეთესო ჯიშის ალექსანდრეულის და უსახელოურის გავრცელებამ და მაღლარის მკურნალობის სიძნელემ[54].

რა თქმა უნდა, აქ წამოყენებული ყველა ფაქტორი მეტ-ნაკლებად საფუძვლიანია, მაგრამ არა ძირითადი. ქრონიკული მცირემიწიანობა ლეჩხუმზე ნაკლებად რაჭას არ აწუხებდა, მაგრამ იქ მხოლოდ დაბლარ ვენახებს ვხვდებით. მიუღებელია დ. ნოსოვიჩის მტკიცება, თითქოს მცირემიწიან სოფლებში მაღლარი იყო, ხოლო მიწით მდიდარ სოფლებში დაბლარი. ოყურეშ-ისუნდერის და ალპანის მიკრორაიონს ძველთაგანვე მხოლოდ დაბლარი ვენახები ჰქონდა, მაგრამ მიწა უხვად როდი მოეპოვებოდა, პირიქით მათი რელიეფი უფრო დანაწევრებული და გაცილებით ნაკლებ სავარგულებიანია, ვიდრე ლაჯანურის და სარეწკელას ზემოთ ცხენისწყლის ხეობა. ამგვარად მიწის სიმცირის ან სიმდიდრის ფაქტორი ვენახის სახეთა გავრცელების განსაზღვრაში არაა არსებითი. მიუღებელია, აგრეთვე მოსაზრება, რომ თითქოს მაღლარი დაბლარზე ნაკლებ მოსავალს იძლეოდეს, პირიქით, მაღლარები სწორედ უხვმოსავლიანობით იყვნენ ნაცნები. დამუშავების სირთულითაც ორივე სახეს თანაბარი მონაცემები აქვს. მართალია, მოვლის სიადვილით დობირო გამოირჩევა, მაგრამ ლაჯანურის ხეობის ხემამულები სამუშაოთა რიცხვით და მოთხოვნილებით დაბლარსაც კი აჭარბებდა. რაც შეეხება ღვინის ხარისხს, ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით შავი კაპისტონის, აფხაზურის, ხიხვის და სხვ. მაღლართა ღვინოები ტოლს არ უგდებდნენ განთქმულ უსახელოურს და ალექსანდრეულს. თუ კი მათ აღიარება ვერ ჰპოვეს, ეს იმიტომ, რომ სოკოვანმა დაავადებებმა და ფილოქსერამ ვენახის მაღლარი ფორმა სწორედ მაშინ მოსპო, როცა ჩვენში სასაქონლო მეღვინეობა ფეხს იკიდებდა. ძველად კი, მოხუცი ლეჩხუმელი მევენახეების მტკიცებით, ღვინის ხარისხზე ვენახის სახე ნაკლებ მოქმედებდა. ამ საქმეში ძირითადი იყო ვაზის ჯიშისა და ნიადაგის თავისებურებანი, ადგილობრივი ჰავის ავ-კარგი და ღვინის დაყენების ოსტატობა, სხვა დანარჩენი კი მეორე ხარისხოვან როლს ასრულებდა. ამასთანავე, თუ მეღვინეობის ისტორიას გავითვალისწინებთ, ჩხავერისა და ოჯალეშისათვის „მაღლარობას“ ხელი არ შეუშლია სახელგანთქმულ ღვინოთა შორის უპირველესნი ყოფილიყვნენ.

---

50 დ. ნოსოვიჩი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 180—181.

51 ე. დანდუროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1377.

52 И. Моисеев. О виноградарстве и виноделии в Лечхумском уезде. ВВ; № 7. 1899.

53 კ. ჩიჯავაძე, დასახელებული ნაშრომი.

[4] Ш. Я. Амиранашвили, Грузинская миниатюра, М., 1966, გვ. 31; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1971, გვ. 287; Л. А. Шервашидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 80, 94.

ვის ორნამენტულ მოტივებსაც, ცხადია, რომ რეალური ცხოვრებიდან აიღებდა. XVI ს. ორნამენტული სახეები განხილულია ხელნაწერი წიგნების — „იოსებ ზილიხანიანის“ (S—1283), XVI ს. კონდაკის (H—511) და „მარხვანი მეწიეთისანის“ (Q—642) მინიატურების მიხედვით.

XVII ს. ორნამენტულ მოტივებს განვიხილავთ შემდეგი ხელნაწერების მინიატურების მიხედვით — „ვეფხისტყაოსნის“ (H—599, S—5006), „უთრუთსაამიანის“ (S—1594), „შაჰ-ნამეს“ (S—1580, собр. цар. Иозина—15), აგრეთვე სასულიერო ხასიათის ხელნაწერების H—98, H—342, H—1452, A—619, A—901, A—907, Q—811, ქიმ— 358 მინიატურების მიხედვით.

მინიატურული მხატვრობა, გარდა იმისა, რომ მას დიდი მხატვრული ღირებულება აქვს, ზოგჯერ წარმოადგენს თავისებურ წყაროს ეპოქის შესასწავლად. ამ მხრივ მეტად საინტერესოა თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ (H—599). მისი მინიატურები, რომლებზედაც მხატვრის თანადროული პერიოდია ასახული, განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობისაა. იგი მეტად საინტერესო მასალას იძლევა XVII ს. დასავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრების შესახებ[5]. ამდენად მათი ყველა მონაცემი საგანგებოდაა გასათვალისწინებელი.

XVIII ს. ორნამენტული მოტივების შესასწავლად გამოვიყენეთ „ქილილასა და დამანას“ (P_2, S—3702), „ჩარდავრიშიანის“ (H—386), „აბდულმესიანის“ (S—395), „დავითნის“ (H—913) და სასულიერო ხასიათის ხელნაწერთა (H—156, H—1194, H—2076, H—2077, H—2905, A—425, A—994, A—1385, Q—103, Q—331) მინიატურების მონაცემები.

მასალის შესწავლა ასეთი მრავალრიცხოვანი ძეგლების მიხედვით ნავარაუდევი იყო იმ მიზნით, რომ ნათლად წარმოგვედგინა ის მრავალფეროვანი ორნამენტული სახეები, რომლებიც აღნიშნული პერიოდის საქართველოში გავრცელებული ქსოვილებისათვის იყო დამახასიათებელი და თვალი გაგვედევნებინა მისი განვითარების გზისათვის.

გამოკვლევამ დაგვანახა, რომ ქსოვილების შესამკობად გამოყენებული იყო როგორც გეომეტრიული, ისე მცენარეული ორნამენტი. აქედან გამომდინარე, ორნამენტის ხასიათის მიხედვით შეიძლება გარკვევით გამოვყოთ ქსოვილების ორი ჯგუფი: I. გეომეტრიული ორნამენტებით შემკული ქსოვილები, II. მცენარეული ორნამენტებით შემკული ქსოვილები.

I. გეომეტრიული ორნამენტებით შემკული ქსოვილები

გეომეტრიული ორნამენტი, რომელიც თავისი ფესვებით ღრმად იჭრება შორეულ წარსულში, ქსოვილის შესამკობად ძალიან ადრე შევიდა ხმარებაში. მისი ყველაზე მარტივი სახე, რაც ამ პერიოდის ქსოვილებზე გვხვდება, არის პარალელურად განლაგებული ხაზები. ის გვხვდება სხვადასხვა სახით — თანაბრად დაცილებული ერთნაირი სიგანის ზოლებად, წყვილ-წყვილად და სამწყებად (ერთმანეთთან სიმეტრიულად დაშორებული), აგრეთვე წყვეტილ ხაზებად დალაგებული (ტაბ. I, სურ. 1)[6]. ისინი გამოირჩევიან ორნამენტის

---

[5] Ш. Я. Амиранашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 41; შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 395; „ვეფხისტყაოსნის დასურათება“, შ. ამირანაშვილის წინასიტყვაობით, თბილისი. 1966. გვ. 26; Л. А. Шервашидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

[6] H—1565, გვ. 191; H—98, გვ. 33; H—599, გვ. 89; Q—330, გვ. 101.

სიმარტივითა და კონტრასტული ფერების კარგი შეპირისპირებით. ეს ორნამენტი საკვლევი პერიოდის მთელ მანძილზე გვხვდება. იგი დამახასიათებელია როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქსოვილთა ორნამენტაციისათვის[7].

შემდეგ მოტივს წარმოადგენს ერთმანეთის პარალელურად განლაგებული ტეხილი ხაზების წყება (ტაბ. I, სურ. 2)[8]. ასეთი სახის ქსოვილებზე მეტად სასიამოვნოდაა გადაწყვეტილი ფერების შეხამება, რომელიც ძირითადად ერთ ტონშია მოცემული. მუქი ფერის ხაზები ამავე ფერის ბაც ფონზე არ არღვევს ქსოვილის საერთო ფერადოვნებას და მიმზიდველს ხდის მას. აღნიშნული ორნამენტი ხშირად გვხვდება ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე (ქვაზე, ხეზე, თიხაზე, ლითონზე)[9] და მას საქართველოში არსებობის ხანგრძლივი პერიოდი აქვს. ეს სახე ქსოვილის ორნამენტად გამოყენებულია XV საუკუნეში.

სიმარტივით გამოირჩევა ორნამენტული მოტივები, რომლებიც წერტილებისაგან შედგენილი სახეებითაა გადმოცემული. იგი გვხვდება ფონზე უწესრიგოდ მიმოფანტული, ზოგჯერ კი სიმეტრიულად და სხვადასხვა წესით განლაგებული. სამკუთხა დალაგებული წერტილებისაგან შედგენილი სახე კი, უკვე ტრადიციადაა ქცეული და საქართველოში უძველესი დროიდან ჩანს გამოყენებული. იგი გვხვდება ნივთიერი კულტურის თითქმის ყველა ძეგლზე. საკვლევი პერიოდის ქსოვილებზე კი იგი გამოყენებულია განუსაზღვრელად. გვხვდება როგორც ცალკე სახით, ისე სხვა ორნამენტებთან შერწყმულად, მათთან კავშირში. ფერთა შეხამება ასეთ ქსოვილებზეც სასიამოვნოდაა გადაწყვეტილი (ტაბ. I, სურ. 3)[10]. ეს სახე ქსოვილის ორნამენტად გამოყენებულია მთელ საკვლევ პერიოდში.

ქსოვილების შემდეგი ორნამენტული მოტივი წარმოადგენს მახვილი კუთხეებისაგან შედგენილ სახეებს. ისინი ერთმანეთის მიმართ კუთხეებითაა მიმართული და განლაგებულია ერთ ხაზზე; ზოგჯერ კი გვხვდება ერთმანეთში შერწყმულად და ჭადრაკულად განლაგებულიც. გვხვდება აგრეთვე მახვილი კუთხეები წერტილებით, სამწერტილებით (ტაბ. I, სურ. 4)[11]. ეს სახეები ქსოვილებზე მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში შეინიშნება. იგი გვხვდება ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ძეგლზეც.

---

[7] Альбом индийских и персидских миниатюр XVI—XVIII вв. под ред. Л. Т. Гюзаляна, М., 1962, таб. 22; А. В. Банк, Византийское искусство в собраниях Советского Союза. Л.-М., 1965, таб. 298; Армянская миниатюра, Ереван, 1969; К. К. Керимов, Султан Мухамед и его школа, М., 1970.

[8] H—1665, გვ. 191.

[9] Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959, таб. 20, 21; ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბილისი, 1939, ტაბ. I, VII; Н. Г. Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тбилиси, 1958, სურ. 6, 15, 16, 17; ა. კრავჩენკო, ნ. ყარალაშვილი, ქართული ორნამენტი, თბილისი, 1958, ტაბ. 56, 61, 64, 67; ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი (VI—XIV სს.), თბილისი, 1964, სურ. 7; М. Гараканидзе, Грузинское деревянное зодчество, Тбилиси, 1959, სურ. 39ა, ტაბ. 226, 230.

[10] H—98, გვ. 24, 43, 48, 76, 77; H—156, გვ. 1; H—342, გვ. 339; H—386, გვ. 58; H—599, გვ. 85, 171, 187, 213; H—913, გვ. 93, 94; H—1665, გვ. 188, 194; H—2076, გვ. 20, 47; S—1272, გვ. 4, 18, 25; S—3702, გვ. 29, 58, 95; Q—103, გვ. ა, 261, 314, 555.

[11] H—913, გვ. 25, 65, 93; H—1665, გვ. 191, 203; A—425, გვ. 89; S—5006, გვ. 43; ქიმ—358, გვ. 7, 15.

ორნამენტადაა გამოყენებული ერთმანეთის მიმართ ურთიერთპერპენდიკულარულად დალაგებული ხაზებისაგან შედგენილი სახე, ზოგჯერ ხაზებს შორის წერტილებით. ხაზები ხშირად კლაკნილადაა გადმოცემული, რაც კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის ქსოვილს (ტაბ. I, სურ. 5, 6)[12]. განსაკუთრებით მიმზიდველია ფერთა შეხამება — ძირითადად ღია ფერებში გადაწყვეტილი. გვხვდება ვარდისფერთან — იასამნისფერის, სალათისფერთან — მწვანის, ღია ცისფერთან — ლურჯის, ღია იისფერთან — მუქი იისფერის შეხამება. აგრეთვე კონტრასტული ფერების დაპირისპირებაც — მუქ ყავისფერ ფონზე თეთრი ფერის ორნამენტი. ასეთი სახის ქსოვილები XV—XVII სს. მთელ მანძილზე შეინიშნება. ამგვარი მოტივი ხშირად გვხვდება აღმოსავლეთის ქვეყნების ქსოვილებზეც[13].

შემდეგი ორნამენტი წარმოადგენს პარალელური მოკლე კლაკნილი ხაზებისა და სამკუთხად დალაგებული სამი წერტილისაგან შედგენილ კომპოზიციას. ასეთი სახეები XV—XVII სს. მთელ მანძილზე გვხვდება (ტაბ. I, სურ. 7)[14]. ანალოგიური სახის კაბა აცვია პაატა მაღალაძეს წინარეხის ფრესკაზე, სადაც წერტილების მაგიერ რგოლებია მოთავსებული[15].

გვხვდება ერთი წერტილიდან სამი მიმართულებით გამოსული ხაზებით შედგენილი ორნამენტი (ტაბ. I, სურ. 8)[16]. ეს მოტივი დამახასიათებელი იყო სასანური ქსოვილებისათვის; მას ვხვდებით ბიზანტიურ ქსოვილებზეც[17]. კონსერვატიზმის წყალობით, ეს მოტივი საუკუნეების განმავლობაში განაგრძობდა არსებობას.

მთელ საკვლევ პერიოდში ქსოვილის ორნამენტად გამოყენებულია მოკლე ისრებისა და რგოლებისაგან შედგენილი სახეები (ტაბ. I, სურ. 9, 10)[18]. მსგავსი ორნამენტული სახეები გვხვდება მრავალი ქვეყნის ორნამენტაციაში. მოკლე ისრებისაგან შემკობილი ქსოვილის კაბა აცვია ლევან კახთა მეფეს გრემის ფრესკაზე (XVI ს.)[19].

ქსოვილის შესამკობად გამოყენებულია ჯვრის მსგავსი ორნამენტი გადაკვეთის კუთხეებში წერტილებით, აგრეთვე ვარსკვლავისებური სახეები. ასეთი მოტივი გვხვდება ზოგჯერ ცენტრში წრეხაზითა და წერტილებით (ტაბ. II, სურ. 1, 2)[20]. მსგავსი ორნამენტული სახეები გვხვდება ნივთიერი კულტურის მრავალ ძეგლზე. იგი გამოყენებულია პალეოგრაფიულ ნიშნად, მინიატუ-

---

[12] H—1665, გვ. 193, 194; H—75, გვ. 5, 39, 50, 51, 54; H—913, გვ. 47, 58.

[13] Классифицированное собрание узоров тканей, т. 5, Токио, 1892, გვ. 5.

[14] H—75, გვ. 32, 51, 122, 124, 160; H—342, გვ. 545, 548; H—1665, გვ. 193; A—619, გვ. 228; A—907, გვ. 25.

[15] გ. ბოჭორიძე, ანდერძი პაპუა მაღალაძისა 1681 წლისა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. IX B (1), თბილისი, 1936, გვ. 51; Le Caucase pittoresque dessiné d'apres nature le prince Gregoire Gagarine, Paris, ტაბ. XLV.

[16] H—75, გვ. 143, 184, 194, 201, 235, 237, 281; H—1665, გვ. 191.

[17] A Survey of Persian Art from prehistoric times to the present Arthur Uphan Pope, I, London, 1938, გვ. 681—715; ტ. III, გვ. 2047, ტაბ. 663; Классифицированное собрание..., გვ. 5; Otto von Falke. Kunstgeschicht der Seidenweberei, I, სურ. 126.

[18] H—75, გვ. 61; H—1665, გვ. 208; ქმ—358, გვ. 4, 18, 24, 31; S—1283, გვ. 31, 60, 112, 197.

[19] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1971, გვ. 382.

[20] H—913, გვ. 58, 65; S—1278, გვ. 6, 25; H—75, გვ. 51, 64, 74, 119, 154, 160, 164; H—1665, გვ. 191.

რების მოსართავად[21] და სხვ. ასეთი სახიანი კაბა აცვია ქობალია ქველს წალენჯიხის ფრესკაზე (XV ს.)[22], ასეთია რაჭის ერისთავის კაბა სორის ფრესკაზე (XV—XVI სს.)[23]. ეს ორნამენტი ქსოვილების შესამკობად გამოყენებულია მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში.

ქსოვილის შესამკობად ხშირად გამოყენებულია რგოლები, სამკუთხად დალაგებული რგოლები, რგოლები გარშემო წერტილებით და სხვ. ისინი კომპოზიციურად სხვადასხვაგვარადაა დალაგებული. გვხვდება ვერტიკალურ ხაზზე და ჰადრაკული წესით დალაგებულიც (ტაბ. II, სურ. 3)[24]. ასეთი სახიანი მოსასხამი აცვია თინათინ ბატონიშვილს გელათის მთავარი ტაძრის სამხრეთ მინაშენის დასავლეთ ეკვდერის ფრესკაზე (XVI ს.)[25]; რგოლებითა და წერტილებით შემკული ქსოვილის კაბა აცვია ნანა დედოფლის ამალის ერთ-ერთ წევრს სვეტიცხოვლის ფრესკაზე (XVII ს.)[26]. მსგავსი ორნამენტული სახეები გვხვდება ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ძეგლზე[27].

ხშირად გვხვდება ორნამენტი, რომელიც წარმოადგენს ჰადრაკულად განლაგებულ წრეებს გარედან სამი კაუჭით (ტაბ. II, სურ. 4)[28]. ეს მოტივი ტრადიციული ჩანს ქართულ ორნამენტაციაში და მას ძველად სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამ მოტივის მსგავსი გამოსახულება გვხვდება დაღესტნურ ორნამენტშიც და მას ირმის გამოსახულებას უკავშირებენ[29]. შესაძლოა ქსოვილის თეთრი ფერიც ან ამ მოტივის თეთრი ფერით გადმოცემაც ამაზე მიგვანიშნებდეს და ირმის კულტის ანარეკლი იყოს. ირმის კულტი საქართველოსა და კავკასიაში ცხოველთა მფარველ ღვთაებასა და უძველეს მონადირეობასთან იყო დაკავშირებული. ის დანარჩენი ნადირისაგან თეთრი ფერით ან თეთრი რქებით გამოირჩეოდა[30]. საუკუნეების განმავლობაში ამ მოტივს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგული აქვს და ამ შემთხვევაში წმინდა დეკორატიულ მოტივადაა ქცეული. ასეთი სახიანი კაბა აცვია ზურაბ მაღალაძეს წინარეხის ფრესკაზე (XVI ს.)[31], ასეთია სვეტიცხოვლის ფრესკაზე „ფხიზელი თვა-

---

[21] Р. О. Шмерлинг, Художественное оформление Грузинской рукописной книги IX—XI вв., I, Тбилиси, 1967, გვ. 58, 79, 100, 102, 106; ლ. ქაჯაია პირობითი ნიშნები ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში, პალეოგრაფიული ძიებანი, II, გვ. 40; H—54.

[22] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, კრებული „ძველი საქართველო", ტ. III, თბილისი, 1914—1915, გვ. 221.

[23] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბილისი, 1963, გვ. 25.

[24] A—425, გვ. 103; A—1385, გვ. 156; H—98, გვ. 76, 77; H—386, გვ. 88; H—511, გვ. 15; Q—331, გვ. 101; S—1580, გვ.172.

[25] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 381.

[26] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 386; ვ. ბერიძე, მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი" და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XV—B, თბილისი, 1948 ,გვ. 141—143.

[27] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 3, 14; Р. О. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тбилиси, 1962, გვ. 245, სურ. 27.

[28] H—98, გვ. 43.

[29] Э. В. Кильчевская, От изобразительности к орнаменту, М., 1968, გვ. 36.

[30] მ. ხიდაშელი. ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბილისი, 1972, გვ. 63, ტაბ. IV, V, VI, VII.

[31] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51; Gregoire Gagarine, დასახ. ნაშრომი, ტაბ. BLI.

ლის" კომპოზიციაში სარეცელზე გადაფარებული ქსოვილის ორნამენტული მოტივიც (XV ს.)[32].

ქსოვილის შესამკობად ხშირად იყენებდნენ წრეებს მის გარშემო დასმული ოთხი წერტილით. იგი გამოყენებულია როგორც ცალკე, ისე სხვა ორნამენტულ სახეებთან შერწყმულად—წერტილებთან, სამკუთხედებთან, სამწერტილებთან (ტაბ. II, სურ. 5)[33]. აღნიშნული სახე გვხვდება თითქმის მთელი XV—XVIII სს. განმავლობაში. ასეთი სახეები ხშირად გვხვდება ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშებსა და ფრესკებზე[34]. გამოსახულია აგრეთვე სამკუთხედები ბოლოებში მოკლე ხაზებით. მას ვხვდებით როგორც ცალკე, კომპოზიციურად სხვადასხვაგვარად განლაგებულს, ისე ქსოვილისათვის დამახასიათებელი სხვა ორნამენტული დეტალების თანხლებით (ტაბ. II, სურ. 6)[35]. მსგავსი სახეებიანი ქსოვილები გვხვდება კედლის მხატვრობაშიც (უბისი, სვეტიცხოველი და სხვ.).

ქსოვილების მომდევნო სახე კვადრატების ბადისაგან შედგება. იგი სხვადასხვა ვარიაციითაა წარმოდგენილი — შუაში წერტილებით, წერტილწრეებისაგან შედგენილი ყვავილოვანი ორნამენტით, ხაზებით, რგოლებით, ჯვრებით, ურთიერთგადამკვეთი ხაზებითა და სხვ. (ტაბ. II, სურ. 7)[36].

ქსოვილზე მეტად სასიამოვნოდ აღიქმება რომბებისაგან შედგენილი ბადის ორნამენტული სახე. რომბების ბადე გადმოცემულია სწორი ხაზებით, წერტილებით, მოკლე ისრების მწკრივით, გრეხილი ღეროებით. რომბები ხან დატოვებულია დამატებითი დეტალების გარეშე, ხან კი მასში მოთავსებულია წერტილები, სამკუთხად დალაგებული წერტილები, მოკლე ისრებისაგან მიღებული სახეები, წრეები ჯვრის მკლავების მსგავსი მოკლე ისრებით, ისრებს შორის სამწერტილებით და სხვ. (ტაბ. II, სურ. 8, 9, 10)[37]. ეს ორნამენტული მოტივი ხშირად გვხვდება ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლებზე, აგრეთვე ხელნაწერთა ყდებზე გადაკრულ დაჩითულ ქსოვილებზე[38]. რომბების ბადისაგან შედგენილი ორნამენტით მოხატული კაბა აცვია ერეკლე კახთა მეფეს ნინოწმინდის სიგელის მინიატურაზე[39].

ზემოთ განხილული ორნამენტებით შემკული ქსოვილები გამოირჩევა ნახატის კარგი შესრულებით. მათ კომპოზიციაში ჩანს პროპორციულობა და კანონზომიერება. დეტალები გადმოცემულია დიდი სიფაქიზითა და მონდომებით. ასეთივე ხასიათშია გადმოცემული ფერთა გამაც. ბაც ვარდისფერ ფონზე ვერცხლისფერი რომბები და სამწერტილები მეტად სასიამოვნოდ აღიქმება; იგივე თითქმის ცისფერი, თეთრი და ყვითელი ფერების შეხამებაზე. რომბების ოქროსფერ ფონს კარგად ეხამება შავი კლაკნილი ღეროები, ცისფერი და წითელი

---

[32] Н. И. Толмачевская, Фрески древней Грузии, Тбилиси, 1940, სურ. 40.

[33] ქიმ—358, გვ. 19, 22, 26...; A—619, გვ. 118.

[34] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 3, 125...; შ. ამირანაშვილი, უბისი, თბილისი, 1929, ტაბ. XXIX, LIII, LXVI, LXXV, LXXXII; ი. ლორთქიფანიძე, ფრესკული მხატვრობა სოფელ ნაბახტევიდან (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 1969, ტაბ. XXXXVI.

[35] S—1283, გვ 86, 451, 492; H—98, გვ. 50.

[36] H—386, გვ. 19; H—98, გვ. 25, 38, 39, 44, 76; H—1452, გვ. 3.

[37] H—913, გვ. 93, 94; H—2905, გვ. 91; P_2, გვ. 122, 144; H—1665, გვ. 161.

[38] A—496; H—1367.

[39] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბილისი, 1914, ტაბ. II.

წინწკლები. მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ფერთა კონტრასტული დაპირისპირებაც (მწვანე — შავთან), ნახატი იმდენად ფაქიზია ქსოვილზე, რომ ის მსუბუქად აღიქმება და არ ამძიმებს მას. მუქ იისფერ ფონზე ორნამენტის ოქროსფერით გადმოცემა მეტისმეტად ანაზებს ქსოვილს და არბილებს მის საერთო შთაბეჭდილებას. რომბების მოტივი ქსოვილებზე მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში გვხვდება.

II. მცენარეული ორნამენტებით შემკული ქსოვილები

მცენარეული სამყარო განუსაზღვრელ საზრდოს აძლევდა მხატვარს ახალ-ახალი ფორმების შესაქმნელად. ამიტომაა, რომ ამ სახეებით შემკული ქსოვილები დიდსა და საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს. მრავალფეროვანმა მასალამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო მოტივების რამდენიმე ქ ვ ე ჯ გ უ ფ ი ორნამენტის ხასიათისა და კომპოზიციური მრავალფეროვნების გათვალისწინებით:

1. როზეტების სახით წარმოდგენილი ყვავილოვანი მოტივები,
2. რტო-ყვავილოვანი მოტივები,
3. ყვავილის მთლიანი ძირებისაგან შედგენილი მოტივები,
4. გრეხილ-ღეროვანი ორნამენტული მოტივები,
5. რომბულ ბადეში ჩასმული მცენარეული მოტივები,
6. ზოლებითა და მცენარეული სახეებით შედგენილი მოტივები.

1. როზეტების სახით წარმოდგენილი ყვავილოვანი მოტივები

საკვლევი პერიოდის ქსოვილებზე ხშირად გვხვდება ყვავილების გამოხატვა როზეტების სახით, რომლებიც კომპოზიციურად სხვადასხვაგვარადაა დალაგებული; იგი განლაგებულია როგორც ჰორიზონტალურ ხაზზე, ისე ჭადრაკული წესითაც. გამოსახვის ხერხიც ერთნაირი როდია. გვხვდება როგორც სტილიზებული, ისე შედარებით რეალისტური გამოსახვა. შევნიშნავთ, რომ ორივე ეს ტერმინი — სტილიზებული და რეალისტური — პირობითია და მხოლოდ მეტნაკლებად გამოხატავს მათ რეალურ შინაარსს. ისინი იხმარება ორნამენტის მხოლოდ ორი განსხვავებული მანერის გადმოსაცემად. სავსებით ვეთანხმებით ე. კვერფელდტს, რომელიც აღნიშნავს:


«На первый взгляд может показаться странным говорить о реализме рисунков на тканях. Ткань по своей природе по принципам композиции ткацкого рисунка, как и по приему повторяющегося рисунка, как и по приему повторяющегося ритма декора, так тесно связана с идеей плоскости, что малейшее стремление нарушить эту идею привело бы к разрушению реальности самого предмета»[40].

სტილიზაციის შედეგად ზოგჯერ ორნამენტის ამოცნობაც კი ძნელდება. ისინი მეტისმეტად სქემატურია — მოხაზულია მხოლოდ კონტურები. გვხვდება ჰორიზონტულ ხაზზე განლაგებული ოთხფურცლიანი, ექვსფურცლიანი, რვაფურცლიანი ყვავილების, ფოთლებისა და მცენარის ნაყოფების მსგავსი გამო-


[40] Э. К. Квердфельдт, Черты реализма в рисунках на тканях и коврах времени Сефевидов, Труды отдела истории культуры и искусства Востока, т. III, Л., 1940, გვ. 261.



1




2




3



4




5




6




7



8




9




10


II




1




2




3




4




5




6




7




8




9




10




1




6




2




7




3




8




4




9




5





10



1



2



3



4



5



6


7


8


9


10



1




2



3



4




5



6



7



8




9




10

VI




1




6




2



7



3



8



4




9




5





10


1



2



3


4



5


6


7


8


9



10



1



2



3

სახულებები (ტაბ. III, სურ. 1, 2, 3)[41]. ორნამენტი ყოველთვის სიმეტრიულადაა განლაგებული. ზოგჯერ მათ შორის, ქსოვილის ფონზე დამატებითი დეტალებია შეტანილი — რგოლები, წერტილები. გვხვდება აგრეთვე პარალელურად გავლებული კლაკნილი ხაზები, რომლებსაც თითქოს მოძრაობის რაღაც ელფერი შეაქვთ ორნამენტის აღქმის საერთო შთაბეჭდილებაში. ფერთა შეხამება სასიამოვნოდაა გადაწყვეტილი, მიუხედავად კონტრასტული ფერების დაპირისპირებისა. ქსოვილის ღია სალათისფერ ფონზე სქლად მოხაზული ოქროსფერი ორნამენტის მოთავსება (ტაბ. III, სურ. 3), მართალია, ამდიდრებს ქსოვილის საერთო შთაბეჭდილებას, მაგრამ ამავე დროს ამძიმებს კიდეც მას. ოთხფურცლიანი ყვავილოვანი ორნამენტი იმეორებს იმ ტრადიციულ მოტივს, რომელიც ხშირად გვხვდება ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ძეგლზე — ლითონზე, ქვაზე, ხეზე. ხშირია მისი გამოყენება ფრესკულ მხატვრობაშიც, აგრეთვე ხელნაწერთა მოსართავად. ანალოგიური ორნამენტითაა შემკული ხელნაწერთა ყდებზე გადაკრული დაჩითული ქსოვილებიც[42].

ქსოვილების ნაწილზე ორნამენტული სახეები განლაგებულია ჰადრაკულად. ყვავილების გამოსახულებები მიღებულია წერტილ-წრეებით, რგოლებით, ურთიერთგადამკვეთი ხაზებითა და ხაზების გასწვრივ მოთავსებული რგოლებით, ოვალებით, მოკლე ისრებისაგან შედგენილი გამოსახულებებით შუაში წრეებით და სხვ. (ტაბ. III, სურ. 4, 5, 6, 7)[43]. მათი კომპოზიცია დახვეწილია; ცალკეული ელემენტების სტილიზაციაც კი ლამაზი და მიმზიდველია. ამ სახის ორნამენტებით შემკულ ქსოვილებზე საერთო შთაბეჭდილების გასამდიდრებლად, თითქოს თავისუფლად, მაგრამ ამავე დროს გეგმაზომიერად მიმოფანტულია წერტილები, სამწერტილები, კლაკნილი პარალელური ხაზები, წერტილებისაგან შედგენილი ყვავილოვანი ორნამენტები და სხვ. (ტაბ. III, სურ. 8, 9, 10)[44].

ქსოვილის შესამკობად გამოყენებული ჩანს სხვადასხვაგვარად გადმოცემული ფოთლოვანი ორნამენტული სახეები, მანებისაგან შედგენილი ორნამენტული მოტივი, სადაც მანებს შორის ოთხფურცლიანი ყვავილები და სამწერტილებია მოთავსებული, ბროწეულის ნაყოფის მსგავსი გამოსახულებებისაგან შედგენილი სახეები (ტაბ. IV, სურ. 1, 2, 3)[45]. ორნამენტადაა გამოყენებული, აგრეთვე, მანების ფორმის სამფურცლიანი სტილიზებული ყვავილებისაგან შედგენილი სახე ყვავილებს შორის რგოლებით (ტაბ. IV, სურ. 4)[46]. ანალოგიური სახის კაბითაა შემოსილი გელათის მთავარი ტაძრის სამხრეთ მინაშენის დასავ-

[41] A—194, გვ. 51; S—1594, გვ. 15, 16, 20; Q—103, გვ. 72; 172, Собр. царевича Иоанна—15, გვ. 422; H—2905, გვ. 68; A—425, გვ. 84—85; S—1283, გვ. 55.

[42] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 413—414, 543; რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბილისი, 1954, გვ. 28, 29, 32, 33, 35, 45, 55, 57, 79; Р. Шмерлинг, Малые формы..., გვ. 131, ტაბ. 14, 23; Н. Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, სურ. 126, 130; ა. კრავჩენკო, ნ. ყარალაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 20, 27, 28; H—2074; S—1249; Q—642; Q—755.

[43] S—1283, გვ. 94; S—1278, გვ. 6; H—1194, გვ. 38; 84; S—1580, გვ. 122, 129, 130; S—1594, გვ. 2, 11, 13, 16; S—5006, გვ. 13, 22, 28, 31, 90; H—1665, გვ. 194; Собр. царевича Иоанна—15.

[44] H—2077, გვ. 230; H—599, გვ. 3, 332; S—1283, გვ. 97; S—1594, გვ. 21, 24, 34.

[45] H—98, გვ. 77; H—2077, გვ. 299, 230, 231; Q—103, გვ. 1, 102, 117, 195, 314; A—425, გვ. 58, 103; H—599, გვ. 159, 360.

[46] H—75, გვ. 157; H—1665, გვ. 203.

ლეთ ეკვდერის დასავლეთ კედელზე ბატონიშვილი ვისი (XVI ს.)[47]. მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ დედოფლის კაბის ფერთა შეხამებაც ზუსტად ემთხვევა მინიატურებზე მოცემული ქსოვილის ფერთა შეხამებას — ღია იისფერ ფონზე მუქი იისფერი სახეებია დატანილი. ასეთი ზუსტი დამთხვევა ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდის ძეგლზე შეუძლებელია შემთხვევითი იყოს. დამთხვევა იმდენად დეტალურია, რომ გვაფიქრებინებს მათი ერთი წყაროდან მომდინარეობის შესაძლებლობას. სავარაუდოა, რომ საწარმო-სახელოსნო, სადაც ასეთი მოტივებით შემკული ქსოვილები მზადდებოდა, ძველი ტრადიციების ერთგული იყო და ერთი და იგივე ნიმუშით ხანგრძლივი დროის განმავლობაში სარგებლობდა.

მხედველობაში ვიღებთ რა იმ გარემოებას, რომ ამ მოტივით შემკული ქსოვილების პარალელების მიკვლევა ვერ მოხერხდა სხვა ქვეყნების სათანადო მასალაში, აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ერთი და იგივე ორნამენტული მოტივი გვხვდება ორი სხვადასხვა ხასიათის, ქრონოლოგიურად განსხვავებულ ძეგლზე, გამოვთქვამთ სავარაუდო მოსაზრებას ასეთი მოტივით შემკული ქსოვილების ადგილობრიობაზე. ამ მოსაზრებას, ჩვენი აზრით, უნდა ამაგრებდეს მათი ფერადოვანი გამის ანალოგიური გადაწყვეტაც. ეს არჩევანი და დამთხვევა ფერებისა, როგორც ჩანს, არ უნდა იყოს შემთხვევითი და ნაკარნახევი უნდა იყოს იმ ტრადიციით, რაც საქართველოში წარმოებული ქსოვილებისათვის იყო დამახასიათებელი.

ბიზანტიური წყაროებით ცნობილია, რომ ანდრონიკე კომნენოსი (1183—1185 წწ. ეკავა კეისრის ტახტი) ყოველთვის ატარებდა იისფერი ქართული ქსოვილისაგან შეკერილ ზედა სამოსელს. როდესაც ბიზანტიის იმპერატორი მანუელ კომნენოსი გარდაიცვალა, დელეგაციას, რომელმაც ანდრონიკეს იმპერატორობა სთხოვა, იგი იბერიული ქსოვილისაგან შეკერილ იისფერ წამოსასხამში წარუდგა[48].

ქსოვილების ფერთა ასეთი შეხამების მეტად მრავალ მაგალითს იძლევა მინიატურული მხატვრობა, რაც შესაძლოა ჩვენში იისფერ ქსოვილთა წარმოების მართლაც ტრადიციულობის მანიშნებელი იყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყვავილოვანი ორნამენტის ნაწილი ზოგჯერ შედარებით რეალისტურადაა გადმოცემული. შესაძლებელია მისი ფორმების ამოცნობა, იგრძნობა მოძრაობის რაღაც ელემენტები. ქსოვილებზე დატანილია ოთხფურცლიანი, ხუთფურცლიანი, შვიდფურცლიანი ყვავილები და ფოთლოვანი ორნამენტები. ნახატი შესრულებულია ფაქიზად და დახვეწილად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ფორმები ზოგად ხაზებშია მოცემული, ორნამენტი მაინც მკვეთრად იკითხება. გემოვნებითაა შერჩეული ფერადოვანი გამა — წითელსა და შავინდისფერს კარგად ეხამება ოქროსფერი, ბაც ყავისფერ ფონზე მშვენივრად აღიქმება რბილი ყვითელი ფერის ნაზი ყვავილები (ტაბ. IV, სურ. 5, 6, 7, 8, 9, 10)[49].

---

47 შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 348; რ. მეფისაშვილი, გელათი, თბილისი, 1965.

48 ნიკიტა ხონიატე, ისტორია. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VI, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 123—124; შ. ამირანაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 348.

49 S—1278, გვ. 30; S—1594, გვ. 12, 146, 147; A—425, გვ. 86; H—1665, გვ. 217; S—1580, გვ. 190; Q—103, გვ. 194; H—599.

ზემოთ განხილული ორნამენტების ნაწილი დამახასიათებელი ჩანს ჩვენში წარმოებული ქსოვილებისათვისაც. ხელნაწერთა ყდებზე შემონახულია მსგავსი ორნამენტული სახეებით დაჩითული ქსოვილები[50], რომელთა ორნამენტები ისეთივე მრავალფეროვნებით ხასიათდება, როგორც მინიატურებზეა წარმოდგენილი. ნაწილი ამ მოტივებისა (ტაბ. IV, სურ. 1, 2, 5, 6, 7), ტრადიციული ჩანს საქართველოსათვის და გამოყენებულია ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ძეგლზე[51]. საფიქრებელია, რომ ფეიქარი ხელოსნებიც იმ ტრადიციული მოტივებით იქვებებოდნენ და ქსოვილებზე გადაჰქონდათ ის სახეები, რომლებზედაც თვალი შეჩვეული ჰქონდათ. მაგ., ტაბ. IV, სურ. 7 მოცემული ორნამენტის მსგავსი სახეებიანი კაბები აცვიათ ბატონიშვილებს გელათის ჩრდილო-აღმოსავლეთ მინაშენის სამხრეთი კედლის ფრესკაზე, პაატა წულუკიძეს — ნიკორწმინდის ფრესკაზე. მსგავსი ორნამენტითაა შემკული სავარძლის ქსოვილი ლაგურკას ღვთისმშობლის ხატზე[52]. ასეთი სახიანი ქსოვილია გამოსახული ნაკიფარის ფრესკაზე დიოკლეტიანეს მიერ წმ. გიორგის დაკითხვის კომპოზიციაშიც.

ასეთი მოტივები ქსოვილებზე მთელ საკვლევ პერიოდში გვხვდება.

2. რტო-ყვავილოვანი მოტივები

ამგვარი ორნამენტული მოტივი, რაც საკვლევი პერიოდის ქსოვილებზეა გამოყენებული, წარმოადგენს მცენარის ცალკეული რტოებისაგან შედგენილ სახეებს. მათი კომპოზიცია წინა ქვეჯგუფში განხილულის მსგავსია. ორნამენტი დალაგებულია ორგვარად — ჰორიზონტულ ხაზზე და ჰადრაკული წესით. მისი გამოსახვის ხერხიც ორნაირია — სტილიზებული და რეალისტური.

გვხვდება ჰორიზონტულად განლაგებული ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული სტილიზებული ყვავილების რტოების განლაგება. ღეროები მოცემულია ოდნავ მოხრილად. ამ დეტალს ორნამენტის საერთო დინამიკის შესაცვლელად რაღაც როლი აკისრია. ალბათ, მოძრაობის გამოტახვისა (ტაბ. V, სურ. 1)[53]. კომპოზიციურად მსგავსია მოტივი, სადაც განსხვავება მხოლოდ ღეროების მდგომარეობაშია. ღერო აქ გასწორებულია. მართალია, ნახატის საერთო დინამიკა ხაზოვანია, მაგრამ ყვავილის ღეროები ისეა დახრილი ერთმანეთის მიმართ, რომ უწყვეტ ვერტიკალურ ღეროს ჰქმნის და მიუხედავად მკვეთრი სტილიზაციისა, ვერტიკალური მოძრაობის იერს ატარებს, რასაც ხელს უწყობს როზეტების თავისებური სიმრგვალე. ამ მშვიდ, გაწონასწორებულ კომპოზიციაში შთაბეჭდილებას აძლიერებს ერთ ტონში გადაწყვეტილი ფერადოვანი გამაც, სადაც ღია იისფერ ფართოდ დატოვებულ ფონზე მკვეთრად და გრაფიკულად იკითხება ორნამენტის დეტალები (ტაბ. V, სურ. 2)[54]. ანალოგიურ ორნამენტულ მოტივში ახალი დეტალების გაჩენა — დამატებითი ღეროებისა და სტილიზებული ყვავილების როზეტებად მოთავსება ფონზე, მართალია, ამდიდ-

---

[50] S—1249; A—86; A—134 და სხვ.

[51] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 18—20, 43, 118, 126; გ. ჩუბინაშვილი, დავით გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები, თბილისი, 1948, ტაბ. 28; Р. Шмерлинг, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 1, 3, 75, 93, 112; რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, გვ. 23, 64; H—54, გვ. 13, 54, 60, 109, 150, 233, 248, 256...

[52] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 55.

[53] S—1580, გვ. 83, 130.

[54] A — 425, გვ. 84, 87.

რებს ქსოვილის ნახატს, მაგრამ ამავე დროს ამძიმებს კიდეც მას (ტაბ. V, სურ. 3)[55].

ორნამენტულ მოტივებს შორის გვხვდება კომპოზიციურად სხვადასხვაგვარად გადმოცემული წიწვოვანი სახეები; ისინი ერთმანეთისაგან, ძირითადად, რაღაც უმნიშვნელო დეტალებით განსხვავდება. საერთოდ კი, მათი გადმოცემა მეტისმეტად სქემატურია (ტაბ. V, სურ. 4)[56]. მათ კომპოზიციურ ნახატში შეიმჩნევა სიბრტყისადმი დახრილად განლაგება.

გვხვდება ორნამენტები, რომელთა გადმოცემაში ჩანს რეალურობისაკენ სწრაფვა და ამასთან ერთად მოძრაობის ელემენტის გაძლიერება. მხატვარი ორნამენტულ დეტალებს საგანგებოდ ამუშავებს და უახლოებს მას მცენარის რეალურ სახეს (ტაბ. V, სურ. 5, 6, 7)[57]. ეს მომენტი, საერთოდ, მკვეთრად აღინიშნება XV სუკუნიდან მოყოლებული აღმოსავლური, კერძოდ სპარსული და ინდური წარმოების ქსოვილთა ორნამენტაციაში[58].

ორნამენტადაა გამოყენებული ჭადრაკულად განლაგებული სამყურა ფოთლების გამოსახულებებისაგან შედგენილი ნახატი. ისინი ნაზ, ელასტიურ მოძრაობაშია მოცემული. მათი მოძრაობა თითქოს კანონზომიერებას ემორჩილება, მაგრამ ამავე დროს ცალკეული დეტალების მოძრაობა თავისუფალი და შეუზღუდველია. ამას კი თავისებური რიტმი შეაქვს ქსოვილის დინამიკასა და აღქმაში. წითელ ფონზე ფაქიზად დატანილი ოქროსფერი სახეები ანელებს ფონის სიმკვეთრესა და მას სადღესასწაულო იერს აძლევს (ტაბ. V, სურ. 8, 9)[59].

სამყურა ფოთლების გამოსახულება არც თუ ისე იშვიათია საქართველოს სინამდვილეში. იგი გვხვდება ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ძეგლზე, მათ შორის დაჩითულ ქსოვილებზეც (H—3061). ასეთია წმინდა გიორგის მოსასხამის სახე ალავერდის ფრესკაზე (XVI ს.)[60], ლევან კახთა მეფის კაბის ქსოვილი ალვანის ფრესკაზე (XVI ს.) და სხვ.

ქსოვილის ნახატის დეტალები ზოგჯერ დაკვირვებითაა დამუშავებული და ნახატის საერთო სურათიც სიფაქიზით გამოირჩევა, მაგრამ მათი კოლორიტი ცივია ფერთა არაჰარმონიული შეხამების გამო (ტაბ. V, სურ. 10)[61].

ზემოთ აღწერილი ორნამენტული მოტივები კომპოზიციური აგებისა და გადმოცემის ხერხებით სპარსული და ინდური წარმოების ქსოვილთა ორნამენტების მსგავსია[62]. აღნიშნულ მოტივებს ქსოვილის შესამკობად იყენებდნენ XVII—XVIII სს. მთელ მანძილზე.

---

55 S — 1580, გვ. 63.

56 S — 5006, გვ. 14, 19; S — 3702, გვ. 19, 58.

57 S—1580, გვ. 119; P_2, გვ. 3, 8, 19, 23; S—1580, გვ. 72, 488; H—1452, გვ. ა.

58 Б. Дени ке, Искусство Востока; Очерк Мусульманского Востока, Казан, 1925, გვ. 198; Н. Н. Соболев, Очерки по истории украшения тканей, М.-Л., 1934, გვ. 117—141; Т. Арманд, Орнаментация ткани, М.-Л., 1931, გვ. 33.

59 A—425, გვ. 55, 87; H—599, გვ. 1, 159, 213, 232, 248; S—1580, გვ. 187; A—901, გვ. 1, 2.

60 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 388.

61 P_2, გვ. 16.

62 Альбом индийских и персидских миниатюр, таб. 34, 68, 99.

3. ყვავილის მთლიანი ძირებისაგან შედგენილი მოტივები

ამ ქვეჯგუფში განვიხილავთ ქსოვილებს, რომელთა ორნამენტი შედგენილია ყვავილების მთლიანი ძირებისაგან. ასეთი სახეები ქსოვილებზე საკვლევი პერიოდიდან მხოლოდ XVII—XVIII სს. მინიატურებზე გვხვდება. ამ ორნამენტების კომპოზიციური ნახატი ზემოთ განხილულთა მსგავსია. ასეთი მოტივების გადმოცემისას განსაკუთრებით ნათლად ჩანს რეალიზმისაკენ სწრაფვა. ყვავილების ღეროები მეტისმეტად რეალურად აღიქმება, იგრძნობა თავისუფლება და სიცოცხლე, მოძრაობის რიტმულობა და შეუზღუდველობა. ნახატი გამოირჩევა ცალკეული დეტალების ზედმიწევნით დამუშავებით, რაც მეტისმეტი მონდომებითა და სიფაქიზითაა შესრულებული (ტაბ. VI, სურ. 1—10)[63]. შეინიშნება ორნამენტზე კონტურის შემოვლება ორნამენტის ფორმისა და მოძრაობის ხაზგასასმელად. კონტურის შემოვლებით ნახატს გამომსახველობა ემატებოდა და უფრო კონკრეტული ხდებოდა (ტაბ. VI, სურ. 10). შთაბეჭდილებას აძლიერებს გემოვნებითა და თავისებურად შერჩეული ფერთა გამა. ჭარბობს ღია, ნათელი კოლორიტი. ფერები ჰარმონიულად და მდიდრულადაა ერთმანეთთან შეთვისებული. ჭარბად იგრძნობა ოქროს გამოყენება, რაც საზეიმო ჟღერადობას მატებს ქსოვილის შთაბეჭდილებას. ღია ნაცრისფერს კარგად ეხამება ნარინჯისფერი, მწვანე და წითელი; თეთრს — ღია და მუქი მწვანე ტონები და წითელი. მეტად ეფექტურია ოქროსფერის, მწვანის, წითლისა და ღია იისფერის შეხამება; ოქროს, სოსანისფერისა და მწვანის შეთვისება; ღია ვარდისფერის, ოქროსა და შავი ფერის ურთიერთშეპირისპირება, მწვანეგარეულ ოქროსა და სოსანისფერის შეხამება.

ორნამენტის აგების წესითა და ხასიათით, მათი გადმოცემის პრინციპებითა და ორნამენტის დაყენების წესით ეს მოტივები მსგავსია ამავე პერიოდის ფრესკულ მხატვრობაში წარმოდგენილ ქსოვილთა და დაჩითულ ქსოვილთა ორნამენტებისა. ამ ორნამენტული მოტივების მსგავსია მარიამ დედოფლისა და ბატონიშვილ ოტიას სამოსელის ქსოვილის ორნამენტები სვეტიცხოვლის ფრესკაზე (XVII ს.)[64], ლიპარტიანი გიორგი ჩიქოვანის კაბისა მარტვილის ფრესკაზე (XVII ს.)[65], დავით წულუკიძის მეუღლის მოსასხამის ქსოვილის სახე ნიკორწმინდის ფრესკაზე (XVII ს.)[66], ბეჟან და პაატა წულუკიძეების კაბებისა ამავე ფრესკაზე (XVII ს.). ასეთივეა ლევან კახთა მეფისა და დავით ბატონიშვილის კაბების ქსოვილების ორნამენტები ნინოწმინდის სიგელის მინიატურაზე (XVIII ს.)[67].

---

[63] P_2, გვ. 5, 7, 9, 12, 17, 92, 125, 155, 162, 178, 193; S—3702, გვ. 46, 95, 139, 141; Собр. царевича Иоанна—15, გვ. 468; Q—811, გვ. 6; H—1452, გვ. 417; S—5006, გვ. 10, 13, 14, 16, 23, 33.

[64] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

[65] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ძველი საქართველო, ტ. III, თბილისი, 1913—1914, გვ. 118—119.

[66] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 88; ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

[67] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. II, III.

ასეთი სახეებიანი ქსოვილები საქართველოში XVII—XVIII საუკუნეებში იყო გამოყენებული. ამ ქსოვილთა ორნამენტები ხასიათითა და კომპოზიციური წყობით, გამოსახვის ხერხებითა და მეთოდებით (ყველა ორნამენტული სახე ერთ სიბრტყეზეა მოცემული, ყოველგვარი რელიეფისა და სიღრმის გარეშე) მეტად ახლო მსგავსებას ამჟღავნებს სპარსულ და ინდურ სათანადო მასალასთან, სადაც ეს მოტივები მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი[68].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მცენარეული ორნამენტის ასეთი გამოსახვის საწყისი სპარსეთიდან მომდინარეობს; როდესაც წარმოების ტექნიკის შეცვლასთან ერთად შეიცვალა ორნამენტის გამოსახვის ხერხები — ორნამენტი დაუახლოვდა საგნის ნატურალურ სახეს, შედარებით რეალისტური გახდა. ე. კვერფელდტი აღნიშნავს:

«Для них растительный мотив в рисунке ткани не есть цветок, срезанный садоводом, а реальное, живое создание природы со своими функциями жизни, создавшей его. Изображенный в ткацком искусстве цветок — реальный продукт природы, уходящий корнями в почву и листьями и цветами колеблящийся на солнечном воздухе. Фон восточной ткани с изображением цветов воспринимается глазом как густой луг или степная почва, из которых реально вырастает изображаемое растение»[69].

ორნამენტის გადმოცემის ამ ახალმა მეთოდმა დიდი როლი შეასრულა და გავლენა მოახდინა მრავალ ხალხთა ორნამენტაციაზე[70].

მსგავსი პრინციპი ქსოვილზე მცენარეული მოტივების გადმოცემისა, საქართველოშიც იყო გამოყენებული, რასაც კარგად ადასტურებს დაჩითული ქსოვილების ორნამენტი.

უცხო ქვეყნებთან საქართველოს გამუდმებული კონტაქტი, კულტურული თუ სავაჭრო ურთიერთობა, ხელს უწყობდა ახალი ორნამენტული და დეკორატიული ელემენტების შემოტანასა და გავრცელებას, ამიტომ არაა გამორიცხული, რომ აქ საქმე გავლენასთან გვქონდეს და აღნიშნული მასალაც ამის ანარეკლს წარმოადგენდეს.

4. გრეხილ-ღეროვანი ორნამენტული მოტივები

საკვლევი პერიოდის ქსოვილებზე გვხვდება ორნამენტები, რომელთა კომპოზიცია დამყარებულია ვერტიკალურად მოთავსებულ გრეხილ ღეროზე. შეინიშნება ღეროების სხვადასხვაგვარად დალაგება — პარალელურად მიმავალი ხაზებით, როდესაც გრეხილი ღეროს მოძრაობა თანმიმდევრულად და ჰარმონიულად მიყვება ერთმანეთს და პირისპირ დალაგება (თუ შეიძლება ასე ითქვას), რომლის შედეგადაც ოვალური როზეტების მსგავსი სახეები წარმოიქმნება (ტაბ. VII, სურ. 1, 2, 3, 4, 5)[71].

---

[68] Альбом индийских и персидских миниатюр, таб. 21, 34, 50, 57, 60, 79, 92, 99.

[69] Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

[70] Т. Арманд, დასახ. ნაშრომი, გვ. 33; Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრომი, გვ. 261—279; Б. Денике, დასახ. ნაშრომი, გვ. 198—199; Н. Ф. Лорениц, Орнамент всех времен и стилей, СПб., 1898, таб. 21.

[71] H—1665, გვ. 198; Собр. царевича Иоанна—15, გვ.101, 143; A—425, გვ. 87; H—2077, გვ. 229; Q—642, გვ. 1.

განსხვავება ორნამენტულ მოტივებში არც თუ ისე დიდია; პრინციპი მათი აგებისა, მათი კომპოზიციური სქემა ერთნაირია. ღეროების ორივე მხრიდან სიმეტრიულად ყვავილებისა და ფოთლების გამოსახულებებია მოთავსებული, რომელშიც არაჩვეულებრივი თავშეკავება, სისადავე და ლაკონიურობა იგრძნობა. ორნამენტების განლაგება გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება — სახეები იმ ზომითა და რაოდენობითაა მოცემული ქსოვილზე, რომ ფონის დიდი ნაწილი თავისუფალი დარჩეს, ხაზი გაესვას ორნამენტის მასშტაბს და მკვეთრად გამოჩნდეს ღეროების მოქნილი, თანმიმდევრული მოძრაობა, კომპოზიციის რიტმულობა. ყველა დეტალი მონდომებითა და სიფაქიზითაა შესრულებული, გემოვნებითაა შერჩეული ფერთა შეხამება, ნახატი ზოგჯერ კონტრასტული ფერების ურთიერთდაპირისპირებაზეა აგებული, სადაც წითელი, მწვანე და ყავისფერის ფონზე მკვეთრად იკითხება თეთრი ფერის ორნამენტი, ხან კი შეთანხმება ერთტონალობაშია გადაწყვეტილი — ყვითელისა და ოქროს შეთანხმება, რაც ძალზე ჟღერადს ხდის ქსოვილს; ზოგჯერ კი ოქროს გეგმაზომიერი და თანმიმდევრული გამოყენებით შეზღუდული და შერბილებულია წითელი ფერის სიმკვეთრე.

ძირითადი ღეროების მარჯვნივ და მარცხნივ სიმეტრიულად მოთავსებული ყვავილებისა და ფოთლების ღეროები თანდათან იზრდება, იშლება და ავსებს ქსოვილის ფონს. ხშირად ღეროების განშტოებები ისე იხლართებიან ერთმანეთში, რომ მათ შორის ზღვარის გარჩევაც არ ხერხდება, ღეროების განშტოება მთლიანად ფარავს ქსოვილის ზედაპირს; იკარგება საერთო კომპოზიციური ნახატი (ტაბ. VII, სურ. 6, 7, 8, 9, 10)[72]. მართალია, კომპოზიციურ ნახატს კონკრეტულობა დაკარგული აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ორნამენტია დიდი გემოვნებით გადმოცემული, იგრძნობა თავისუფლება და შეუზღუდველობა, დეტალების გულდასმით დამუშავება. ნახატს აქვს ნაზად დახრილი ყვავილებისა და ფოთლების მსუბუქი, მოქნილი რკალები. განსაკუთრებით მიმზიდველია მათი საერთო მხატვრული გადაწყვეტა და სტილი, რომელშიც დიდი გემოვნება ჩანს. ოქროსფერს, რომლითაც გამდიდრებულია ქსოვილის ჟღერადობა, კარგად ეხამება ფირუზისფერი და თეთრი, მწვანე და შავინდისფერი, იისფერი და ცისფერი.

ორნამენტის ეს სახე მინიატურულ მასალაში XV საუკუნეშიც შეინიშნება; მომდევნო საუკუნეებში კი, განსაკუთრებით XVII—XVIII საუკუნეებში იგი ფართოდ ჩანს გამოყენებული.

მსგავსი ორნამენტიანი ქსოვილები ფრესკულ მხატვრობაში და ჭედური ძეგლების სათანადო მასალაშიც აღინიშნება, სადაც ეს მოტივი უფრო რთულ და ორნამენტულ ფორმაში გვხვდება. ასეთია ნანა დედოფლის კაბის ქსოვილის სახე სვეტიცხოვლის ფრესკაზე (XVII ს.)[73], დავით აღმაშენებლის კაბისა — გელათის ფრესკაზე (XVI ს.)[74], გიორგი II-ისა და ბატონიშვილის კაბებისა — გელათის წმ. გიორგის ეკლესიის ფრესკაზე (XVI ს.)[75], მანუჩარ დადიანის მეუღ-

---

[72] Q—331, გვ. 15, 17; P_2, გვ. 22, 23, 32, 40, 48; H—1194, გვ. 84, 191; S—1580, გვ. 27; Собр. царевича Иоанна—15, გვ. 101.

[73] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 386; ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 141—143.

[74] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 381.

[75] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 381—382; ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

ლის კაბისა — წალენჯიხის ფრესკაზე (XVI ს.)[76], უფლისწულის კაბისა — ნეკრესის ფრესკაზე (XVI ს.) და სხვ.

საზოგადოდ ეს ორნამენტული მოტივი ტრადიციულია ქართული ორნამენტული ხელოვნებისათვის და ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ძეგლზე გვხვდება[77]. ასეთი სახეები პარალელებს პოულობს სპარსულ მასალასთან, სადაც ეს მოტივი ქსოვილებზე XVI ს. ბოლოდან შაჰ-აბაზ დიდის ეპოქიდან (1587—1627)[78] აღინიშნება.

5. რომბულ ბადეში ჩასმული მცენარეული მოტივები

ნახატის ხასიათისა და კომპოზიციის თვალსაზრისით ცალკე გამოიყოფა ორნამენტული მოტივი, რომელიც წარმოადგენს კლაკნილი ღეროებისაგან შედგენილ რომბების ბადეს ფოთლოვანი ორნამენტით შუაგულში (ტაბ. VIII, სურ. 1)[79]. ასეთი ქსოვილები კომპოზიციურად XV—XVIII სს. გავრცელებული ამგვარივე გეომეტრიული ორნამენტის მსგავსია. ნახატი მეტად ფაქიზადაა შესრულებული, ფოთლები ნაზ მოძრაობაშია მოცემული. სასიამოვნოდაა შერჩეული ფერადოვანი გამაც. თეთრ ფონს კარგად ეხამება მწვანე ღეროები და ფოთლები, აგრეთვე შვინდისფერი რგოლები.

მსგავსი ორნამენტული მოტივი გვხვდება ქართულ დაჩითულ ქსოვილებზეც, რომლებიც XVII—XVIII სს. თარიღდება.

6. ზოლებითა და მცენარეული სახეებით შედგენილი მოტივები

ამ ჯგუფში გამოვყავით ზოლიანი ქსოვილები, რომლის სხვადასხვა ფერის ზოლებში მოთავსებულია მანების მსგავსი სახეები მასში ჩახატული ოთხფურცლიანი სტილიზებული ყვავილებით (ტაბ. VIII, სურ. 2)[80]. ქსოვილი სასიამოვნოდ აღიქმება, ორნამენტის დეტალები კარგადაა დამუშავებული, ხოლო ფერთა გამა დიდი გემოვნებითაა შერჩეული. ცისფერ ფონზე კარგად აღიქმება თეთრი, ლურჯი და წითელი ფერის, ხოლო ღია ვარდისფერზე — თეთრი და ლურჯი ფერის ლაქები.

მსგავსი ყვავილებით შემკული ქსოვილები გვხვდება ამ პერიოდის (XVII ს.) სხვა მინიატურებზეც, დაჩითულ ქსოვილებზე, ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ძეგლზე, რაც, უდაოდ, ტრადიციულობის მაჩვენებელია.

ზემოთ აღწერილი გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებისაგან განსხვავდება და თავისებურებით გამოირჩევა ქართული ასო „ჰ"-ს მსგავსი ორნამენტული მოტივი. იგი სრულიად განცალკავებით დგას სხვა ორნამენტებთან შედარებით და ამდენად ცალკე შეიძლება მისი გამოყოფა. ეს მოტივი

---

[76] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში..., გვ. 221.

[77] Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 15; Р. О. Шмерлинг. Малые формы..., ტაბ. 14; რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, გვ. 32, 46, 58, 88.

[78] И. Н. Соболев, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

[79] P_2, გვ. 16.

[80] Н — 599, გვ. 499.

გვხვდება მხოლოდ XV საუკუნეში. მისთვის პარალელის მოძებნაც ვერ მოხერხდა (შესაძლოა იგი რომელიმე ასტრალური გამოსახულებიდან მომდინარეობდეს). მიუხედავად ორნამენტის თავისებურებისა, ამ სახით შემკული ქსოვილის კომპოზიციურ გადაწყვეტაშიც და ფერთა შეხამებაშიც ახალი არაფერია — წითელ ფონზე თეთრი ფერის ორნამენტი ჰადრაკულადაა განლაგებული (ტაბ. VIII, სურ. 3)[81].

ამრიგად, XV—XVIII სს. საქართველოში გავრცელებულ ქსოვილთა ორნამენტი მინიატურების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ქსოვილების შესამკობად გამოყენებულია გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები, რომელთა მრავალფეროვანი ფორმების დატანა ქსოვილებზე შეუზღუდველია.

გეომეტრიული სახეებიდან გვხვდება სწორი, გრეხილი, ტეხილი და წყვეტილი ხაზები, წერტილ-წრეები, რგოლები, ნახევარწრეები, სამკუთხედები, ჯვრისმაგვარი სახეები, კვადრატებისა და რომბების ბადეები და სხვ. ეს მოტივები გამოყენებულია როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთადაც — ხან ერთნაირი უფლებებით, ხან კი ერთ-ერთის გამოყენებით ფონის დასამუშავებლად (დამატებითი დეტალების შეტანის მიზნით).

მცენარეული სამყარო ქსოვილებზე განუსაზღვრელადაა წარმოდგენილი. ისინი ნაირსახოვნადაა გადმოცემული; გვხვდება როგორც ყვავილების, ფოთლებისა და მცენარის ნაყოფების მსგავსი გამოსახულებების სახით, ისე ყვავილის რტოებისა და მთლიანი ძირების სახით. ამ მოტივების გამოსახვის ხერხი სხვადასხვაა. გვხვდება როგორც სტილიზებული, ისე შედარებით რეალისტური გამოსახვა. სტილიზაცია ზოგჯერ იმ ზომამდეა დაყვანილი, რომ მცენარის ფორმების ამოცნობაც კი ძნელდება, ზოგჯერ კი, მიუხედავად იმისა, რომ ფორმები ზოგად ხაზებშია მოცემული, ორნამენტი კარგად იკითხება. რეალისტურად გადმოცემულ სახეებში კარგად ჩანს მცენარეთა სამყაროზე საგანგებო და გულმოდგინე დაკვირვება. ორნამენტის ცალკეული დეტალები გულდასმითა და მონდომებითაა დამუშავებული — ყველა ფორმა რეალურ სახესთანაა მიახლოებული.

მცენარეთა სამყაროს გადმოცემის ორივე ეს ხერხი, მეტ-ნაკლები უპირატესობითა და ინტენსივობით მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში მოქმედებს.

ორნამენტული მოტივი კარგადაა დამუშავებული. ის ყოველთვის ისეა გამოკვეთილი, რომ ხაზი აქვს გასმული ყოველ დეტალს, ფორმასა და მდგომარეობას. ფორმების გადმოცემა ზოგადიც არის და დეტალურიც. მცირე მასშტაბის მიუხედავად, ის მოხერხებულად, ლაკონიურადაა დამუშავებული და გარკვევით იკითხება. ფორმები მოხაზულია როგორც მსუბუქი და მოქნილი ხაზებით (რითაც ნახატის ჰაეროვნებაა მიღწეული), ისე სქელი, მასიური, უხეში ხაზებით (რომლითაც დამძიმებულია ორნამენტული ნახატი). მოტივების ცალკეული დეტალების გართულებითა და გამრავალებით დეკორის ორნამენტულობაა მიღწეული.

ორნამენტის ცალკეული დეტალები მონდომებითაა დამუშავებული. მათი მოძრაობა თავისუფალი და შეუზღუდველია; მათი რიტმული გადმოცემითა და გეგმაზომიერი განლაგებით კარგად იგრძნობა ორნამენტის საერთო დინამიკა, რაც სხვადასხვაგვარადაა გამოხატული.

[81] H — 1665, გვ. 200, 207.

ორნამენტის საერთო შთაბეჭდილების გასამდიდრებლად, ცალკეული დეტალების ფორმისა და დინამიკის გადმოსაცემად და ხაზგასასმელად ორნამენტის ნახატში ზოგჯერ დამატებითი დეტალია შეტანილი (შემოვლებულია კონტური).

განსაკუთრებით მიმზიდველია ორნამენტის მხატვრული გადაწყვეტა, რომელიც კომპოზიციური ნახატის, ორნამენტული მოტივების გამოსახვის ხერხითა და ფერთა ჰარმონიული შეთანხმებითაა მიღწეული. ნახატი ფაქიზად და დახვეწილადაა გადმოცემული, რასაც ხელს უწყობს ფორმისა და ფერადოვნების კარგი შესამება. ნახატზე ყოველთვის კარგად გამოირჩევა მხატვრულად და მონდომებით დამუშავებული ცალკეული დეტალები.

ორნამენტის კომპოზიციური გადმოცემა მრავალგვარია. მისი ნახატი სხვადასხვა პრინციპზეა აგებული. ვხვდებით ერთმანეთის მიმართ პარალელურად დალაგებული მოტივების ვერტიკალურ ხაზზე განლაგებას, ერთი მიმართულებით ან ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული სახეების ჰორიზონტულ ხაზზე და ჭადრაკული წესით დალაგებას. რიგ შემთხვევაში ორნამენტის კომპოზიციური წყობა დამყარებულია ვერტიკალურად კლაკნილ ღეროზე, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ სიმეტრიულად მოთავსებულია ორნამენტის სხვა დეტალები, გვხვდება კომპოზიცია, რომლის სქემა კვადრატებისა და რომბების ბადეზეა დამყარებული.

ორნამენტული მოტივები ნახატზე სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. სახეები მოცემულია ერთი მიმართულებით, ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ან სიბრტყისადმი დახრილად.

ქსოვილის საერთო შთაბეჭდილების გასამდიდრებლად ან დინამიკის შესაცვლელად კომპოზიციურ ნახატში ზოგჯერ დამატებითი დეტალებია გამოყენებული. კომპოზიცია დახვეწილი, სუფთა და ლაკონიურია. ნახატი არაა გადატვირთული. ორნამენტული მოტივების გამოყენება თავშეკავებული და განსაზღვრულია. მათ დაპირისპირებაში ჩანს სიმეტრიულობა და კანონზომიერება.

საგანგებო ყურადღება აქვს დათმობილი ფონის დამუშავებას, ის ყოველთვის ისეა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ორნამენტის აღქმას. არ არის გადატვირთული სახეებით. ორნამენტული მოტივები იმ ზომითა და რაოდენობითაა დატანილი ქსოვილზე, რომ ფონის გარკვეული ნაწილი თავისუფალი რჩება და ქსოვილის ზედაპირზე მკაფიოდაა გამოყოფილი. ხაზი აქვს გასმული მასშტაბსა და მდგომარეობას, ნათლად აღიქმება და იკითხება. ორნამენტი ფონზე თავისუფლადაა მიმოფანტული და არასოდეს არ ამძიმებს ქსოვილის აღქმის საერთო შთაბეჭდილებას.

გარდა სადა ფონისა, გვხვდება დამატებითი დეტალებით დამუშავებული ფონი, რაც ისევ ორნამენტისა და ქსოვილის საერთო შთაბეჭდილების აღქმას უწყობს ხელს. დამატებითი დეტალები ზოგჯერ ქსოვილის ორნამენტის გასამდიდრებლადაა გამოყენებული, ზოგჯერ კი ორნამენტის დინამიკის შესაცვლელად. ფონზე თავისუფლად, მაგრამ ამავე დროს გეგმაზომიერადაა მიმოფანტული წერტილები, წრეები, კლაკნილი ხაზები, გეომეტრიული და ყვავილოვანი მოტივების როზეტები. ფონი დამუშავებულია ოქროსა და ვერცხლის ძაფებითაც.

განხილულ მასალაზე ფერთა გამა სასიამოვნოდაა გადაწყვეტილი. ფერთა შეხამებაში დიდი გემოვნება იგრძნობა. ორნამენტის ფერი ყოველთვის კარგად

ეხამება ქსოვილის საერთო ფერს, ისინი ჰარმონიულად და მდიდრულადაა ერთმანეთთან შეთვისებული. ფერთა შეხამებაში ჭარბობს ღია, ნათელი კოლორიტი. ჩანს კონტრასტული ფერების დაპირისპირებაც, რის შედეგადაც ორნამენტი ყოველთვის მკვეთრად იკითხება ქსოვილის ზედაპირზე. გამოყენებულია ერთ ტონში გადაწყვეტილი ფერთა შეხამებაც. ღია ფერის ფონზე მუქი ფერის ორნამენტის დატანა ამახვილებს აქცენტს ორნამენტზე და ქსოვილის ფერადოვნებას სასიამოვნო ელფერს აძლევს. ჩანს ოქროსა და ვერცხლის ძაფების გამოყენებაც, რაც ამდიდრებს, ჟღერადობას აძლევს ქსოვილს და სადღესასწაულო ელფერს ანიჭებს. ოქროს გემოვნებით გამოყენებით ზოგჯერ შეზღუდულია მკვეთრი ფერების სიძლიერე და შერბილებულია ქსოვილის საერთო შთაბეჭდილება[82].

მინიატურული მხატვრობის მონაცემების მიხედვით საქართველოში (XV—XVIII სს.) გავრცელებულ ქსოვილთა ორნამენტული მოტივები საუკუნეების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

XV ს. ქსოვილთა ორნამენტები ძირითადად გეომეტრიული ხასიათისაა, მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებულია მცენარეული ორნამენტიც. ქსოვილის ნახატში აღარ იგრძნობა ის ბრწყინვალება, რაც წინა პერიოდის ქსოვილებს ახასიათებდა. ორნამენტი გამარტივებულია და დაკარგული აქვს ძველი მასშტაბები, მაგრამ მიუხედავად მცირე ზომისა, კარგად იკითხებაქსოვილის ზედაპირზე. იგრძნობა მისწრაფება სისადავისაკენ. ქსოვილის ორნამენტული ნახატი არ არის გადატვირთული, სახეები ძირითადად მოცემულია დამატებითი დეტალების გარეშე. გამოყენებულია კომპოზიციური აგების თითქმის ყველა ხერხი.

მცენარეული ორნამენტი მოცემულია მხოლოდ როზეტის სახით წარმოდგენილი ყვავილებისა და ვერტიკალურ გრეხილ ღეროზე აგებული მოტივის სახით, რაც სტილიზებული სახითაა გადმოცემული. როზეტების კომპოზიციური ნახატი ჰადრაკულია.

დიდი გემოვნებითაა შერჩეული ფერთა შეთანხმება, რაც გადაწყვეტილია როგორც ღია ფერების შეხამებით, ისე კონტრასტული ფერების ურთიერთდაპირისპირებით. გამოყენებულია ერთ ტონში გადაწყვეტილი ფერთა შეხამებაც. ნათელ, ღია ფერებში ჭარბობს იისფერი, სალათისფერი, ვარდისფერი, ცისფერი ტონები. მიმზიდველადაა დაკავშირებული ერთმანეთთან კონტრასტული ფერები: წითელთან, მწვანესთან, შავინდისფერთან — თეთრი და შავი, თეთრთან — წითელი და შავი, ლურჯთან და ყავისფერთან — თეთრი.

XVI ს. ქსოვილის ორნამენტად გამოყენებულია როგორც გეომეტრიული, ისე მცენარეული მოტივები, მაგრამ გეომეტრიული სახეები ჭარბობს. კარგად ჩანს კომპოზიციური ნახატისა და ორნამენტის ხასიათის ცვლილება, რაც წინა საუკუნეში არ შეინიშნებოდა. გეომეტრიული ორნამენტით შემკულ ქსოვილებში იგრძნობა ორნამენტის გართულებისაკენ მისწრაფება. ჩანს სხვადასხვა გეომეტრიული სახეების მონაცვლეობა და ფონის შესავსებად დამატებითი დეტალების გამიზნული გამოყენება. კომპოზიციურ ნახატში შეინიშნება ახალი წესი — მოტივების სიბრტყისადმი დახრილად დალაგება.

მცენარეული ორნამენტი მოცემულია მხოლოდ როზეტების სახით წარმოდგენილი ყვავილების მოტივით. მათი გადმოცემის ორივე ხერხია გამოყენებული — სტილიზებულიც და რეალისტურიც. წინა საუკუნეებისაგან გან-

82 მინიატურებიდან ფერადი ტაბულები შეასრულა მხატვარმა ნ. ველიაშვილმა. ტექნიკური მიზეზების გამო წინამდებარე ნაშრომში ფერად რეპროდუქციებს ვერ ვაქვეყნებთ.

სხვავებით, დეკორის გართულებისაკენ სწრაფვა კომპოზიციურ ნახატში, დამატებითი დეტალების შეტანის გზით, აქაც აღინიშნება. ფერადოვანი გამის გადაწყვეტა ისეთივეა, როგორც წინა საუკუნეში.

XVII საუკუნეში ქსოვილის შესამკობად გამოყენებულია როგორც გეომეტრიული, ისე მცენარეული ორნამენტები, იმ განსხვავებით, რომ ამ საუკუნეში შეინიშნება მცენარეული ორნამენტის ჭარბი გამოყენება.

გეომეტრიული ორნამენტის თითქმის იგივე სახეები გვხვდება, რაც წინა პერიოდში. კომპოზიციური გადაწყვეტაც და ფერთა შეხამებაც წინა საუკუნეების ორნამენტების მსგავსია. სამაგიეროდ დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა მცენარეული მოტივები. წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით, გამოყენებულია ახალი ორნამენტული სახეები. როზეტების სახით წარმოდგენილი ყვავილებისა და ვერტიკალურ გრეხილ ღეროზე განლაგებული მოტივების გვერდით ჭარბად ჩანს ახალი ფორმების გამოყენებაც, რომლებიც წარმოდგენილია რტო-ყვავილებისა და ყვავილის მთლიანი ძირების სახით. ამ პერიოდშია გამოყენებული ზოლიანი ქსოვილებიც მცენარეული ორნამენტით.

მცენარეთა სამყარო წარმოდგენილია როგორც სტილიზებული, ისე რეალისტური სახით. ზოგ შემთხვევაში სტილიზაცია იმ ზომამდეა დაყვანილი, რომ მცენარეებს სავსებით პირობითი ფორმა აქვთ მიღებული და მათი ამოცნობაც ძნელდება, ზოგ შემთხვევაში კი, სტილიზაციის მიუხედავად, კარგად შეიმჩნევა და იკითხება მათი ფორმები. წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით, მკვეთრად შეინიშნება რეალიზმისაკენ სწრაფვა და მოძრაობის მანერის გადმოცემის გაძლიერება, რაც მიღწეულია როგორც ნახატის მცენარის რეალურ სახესთან მიახლოებით, ისე მისი დინამიკის რიტმული და თანმიმდევრული გადმოცემით.

ამ პერიოდის ორნამენტული მოტივების კომპოზიციური გადაწყვეტაც მრავალფეროვნებით ხასიათდება. აშკარად ჩანს დამატებითი დეტალების გამოყენება, რომლებიც წინა საუკუნეებთან შედარებით გართულებულია და ისინი შემთხვევით კი არაა შესული კომპოზიციაში, არამედ მათი როლი წინასწარაა განსაზღვრული.

ორნამენტის დალაგებაში იგრძნობა სიმეტრიულობა, კარგად ჩანს ნახატის სიფაქიზე და ფერების სასიამოვნო და ჰარმონიული შეთანხმება. ჭარბად იგრძნობა როგორც კონტრასტული ფერების დაპირისპირება, ასევე ოქროს გამოყენებაც. მკვეთრად ჩანს იისფერი და ცისფერი ტონების ინტენსიური გამოყენება.

XVIII საუკუნეში ქსოვილების მოსახატავად გამოყენებულია როგორც გეომეტრიული, ისე მცენარეული მოტივები, მცენარეული მოტივების უპირატესობით.

გეომეტრიული ორნამენტის თითქმის იგივე სახეებია გავრცელებული, რაც წინა საუკუნეებში; მათ შორის გამოკვეთილად შეიმჩნევა სხვადასხვა სახეებით შევსებული რომბული ბადის გამოყენება.

მცენარეული მოტივების გამოყენებაში, წინა საუკუნის მსგავსად, მრავალფეროვნება ჩანს. მათი გადმოცემის ორივე ხერხი იხმარება. როზეტებად დალაგებული ყვავილების გადმოცემის მანერა სტილიზებულია. ორნამენტი ზოგ შემთხვევაში გაუხეშებულია, მათი ფორმები მასიური, სქელი ხაზებითაა მოხაზული.

მცენარეული ორნამენტების დანარჩენი მოტივები გადმოცემულია რეალისტურად. ეს სახეები კომპოზიციური წყობით, ფორმების დამუშავებითა და მოტივების მხატვრული გადაწყვეტით წინა საუკუნის მსგავსია. ორნამენტის ფორმისა და მოძრაობის მკვეთრად გადმოსაცემად გამოყენებულია კონტური.

გრეხილ ღეროზე განლაგებულ კომპოზიციაში, წინა საუკუნეებთან შედარებით, მეტი ყურადღება აქვს დათმობილი ორნამენტის შემადგენელი ნაწილების დამუშავებას. ღეროს ელემენტები გაშლილია ჰორიზონტული მიმართულებით და ერთმანეთთანაა შერწყმული, რის შედეგადაც, მართალია, კომპოზიციური ნახატი დაკარგულია, მაგრამ სამაგიეროდ მიღწეულია დეკორის ორნამენტულობა. ფონი თითქმის დაფარულია ორნამენტით.

ფერადოვანი გამა აქაც გემოვნებითაა გადაწყვეტილი. წინა საუკუნეების მსგავსად ჩანს როგორც კონტრასტული ფერების, ასევე ღია ფერების დაპირისპირება. შეიმჩნევა იისფერის გამოყენება როგორც ფონისათვის, ისე ნახატის გამოსაყვანად. ჩანს ოქროს ინტენსიური გამოყენებაც.

ქსოვილთა ორნამენტის ანალიზმა ნათლად დაგვანახა, რომ მის დეკორში, მიუხედავად მრავალფეროვნებისა, კონსერვატიზმი შეინიშნება. ერთი და იგივე ორნამენტული სახე საუკუნეების განმავლობაში უცვლელად მეორდება.

მინიატურების მონაცემების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამა თუ იმ ქსოვილს ფუნქციონალური დანიშნულება არ აქვს. ერთისა და იმავე სახით შემკული ქსოვილი გამოყენებულია როგორც ქალის, ისე მამაკაცის სამოსისათვის, აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულებისათვის, ფარდებისა და გადასაფარებლებისათვის, სუფრებისათვის, ლოგინისათვის და სხვ.

მასალის შესწავლის პროცესში, ამ ეტაპზე ჩვენ ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა მინიატურებზე მოცემული ქსოვილების ორნამენტული მოტივის რეალური არსებობის საკითხის გარკვევა. საჭირო იყო დაგვედგინა, ქსოვილების შესამკობად გამოყენებული ორნამენტული სახეების მოდელები ნამდვილად რეალურად არსებობდა, თუ იგი მხატვრის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა.

მასალის შესწავლამ ნათლად გვიჩვენა, რომ ქსოვილებზე დატანილი ორნამენტული სახეები ნამდვილად რეალური ცხოვრებიდანაა აღებული. ამის უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია ქსოვილის შესამკობად ერთისა და იმავე მოტივის არსებობა ქრონოლოგიურად განსხვავებული დროის ნივთიერი კულტურის ორ სხვადასხვა ხასიათის ძეგლზე — მინიატურულსა და ფრესკულ მხატვრობაში. სახეების დამთხვევა არც თუ ისე იშვიათია; ეს კი უტყუარს ხდის მათი რეალური არსებობის შესაძლებლობას. მხატვარს ორნამენტული სახეების ძებნა არ ჭირდებოდა და ის სახეები გადაჰქონდა მინიატურებსა თუ კედლის მხატვრობაში წარმოდგენილ ქსოვილებზე, რაც მისი ხედვის არეში ხშირად ხვდებოდა და მასზე თვალიც შეჩვეული ჰქონდა.

ორნამენტული მოტივების რეალურ არსებობას ამაგრებს ის ფაქტიც, რომ რიგ შემთხვევებში მინიატურებსა და ფრესკებზე მოცემული ქსოვილების ორნამენტი ემთხვევა ხელნაწერთა ყდებზე გადაკრული დაჩითული ქსოვილების ორნამენტს.

ორნამენტული სახეების კლასიფიკაციის დროს ქსოვილების შესამკობად გამოყენებული მოტივებიდან, შეძლებისდაგვარად, გამოვყავით ის ორნამენტული სახეები, რომლებიც ხასიათით უდაოდ ქართული ორნამენტული ხელოვნების სფეროს განეკუთვნება, თავისი ფესვებით ღრმად იჭრება საუკუნეების სიღ-

რმეში და გვხვდება ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე — ქვაზე, ხეზე, ლითონზე, ფრესკულ და მინიატურულ მხატვრობაში; ეს კი საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ სავარაუდო მოსაზრება ანალოგიური მოტივებით შემკული ქსოვილების ადგილობრიობაზე. საფიქრებელია, რომ ორნამენტულ სახეებს ქსოვილებისათვის სწორედ ძველი, ტრადიციული მოტივებიდან აიღებდნენ. ჩვენი მოსაზრება საფუძველს მოკლებული იქნებოდა, რომ ეს ორნამენტები არ გვხვდებოდეს სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეულ ნივთიერი კულტურის ძეგლებზე, ნათლად რომ არ ჩანდეს ის ფაქტი, რომ ეს მოტივები გამჯდარია ხალხის წარმოდგენაში და გამოყენებულია ნივთიერი კულტურის სხვადასხვა სფეროში.

ის ფაქტი, რომ განხილული ორნამენტების ნაწილი თავისი ხასიათით უცხო წარმოების ქსოვილებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს ან მათი მსგავსია, ამ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის მაჩვენებელია.

ამრიგად, ზემოგანხილული ორნამენტული მოტივები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს XV—XVIII საუკუნეების საქართველოში გავრცელებული ქსოვილების ორნამენტებზე, მათს სტილსა და ხასიათზე.

Д. К. АБЖАНДАДЗЕ

ОРНАМЕНТ ТКАНЕЙ XV—XVIII вв. ПО ГРУЗИНСКИМ МИНИАТЮРАМ

Резюме

В работе рассматривается художественный декор тканей, распространенных в Грузии в XV—XVIII вв. по миниатюрам грузинских рукописей, дана эволюция орнамента тканей, установлены виды, свойственные для каждого века, их стиль и характер, способы их передачи и слияния.

Изучение материала выявило, что для тканей изучаемого периода характерны многообразные мотивы геометрического и растительного орнамента, которые на протяжении веков повторяются без изменения в различных вариациях. В передаче растительного орнамента наблюдаются отличающиеся друг от друга манеры — стилизованный и сравнительно реалистический, действующие во всем исследуемом периоде.

Решение задачи общей художественности ткани достигнуто согласованием композиционного рисунка, способом передачи мотивов и гармоничным сочетанием цветов. Орнаментальные мотивы, которые даны как в общих линиях, так и детально, выполнены изысканно и всегда четко читаются. Композиционный рисунок подчиняется определенным закономерностям. С особым вниманием обработан фон. Цветовая гамма приятная и звонкая. Цвета сочетаются гармонично и богато, чувствуется большой вкус и сдержанность.

Установлено реальное существование рассмотренных мотивов на тканях указанного периода.

При классификации выделены те орнаментальные мотивы, которые принадлежат сфере грузинского орнаментального искусства и высказано предположение, что украшенные этими мотивами ткани местного происхождения. Сходство же орнаментальных мотивов с аналогичным материалом соседних стран является показателем того культурного и торгово-экономического общения, которое существовало с этими странами на протяжении веков.

ანზორ ქალდანი

სანცხვირიანი სახლი

დღემდე მოღწეულ სვანურ ხალხურ ხუროთმოძღვრებაში გამოირჩევა სანცხვირიანი სახლი, რომელიც საცხოვრებლის განსაკუთრებულ სახეობას ქმნის. იგი წარმოადგენს ორ ან სამსართულიან სახლს, რომელშიც თავდაცვის ფუნქციას ნაგებობის ერთ კუთხეზე მიშენებული ქვის ბუდე ასრულებს. ბუდის კედლებზე დატოვებულია საისრე-სათოფური ხვრელები (სანცხვირ, ცხვირ'ისარი', სანცხვირ'საისრე'). სვანურ ნაგებობათა ტიპოლოგიურ სქემაში ზემოხსენებული ნაგებობანი სანცხვირიანი სახლის სახელით არიან ცნობილი[1].

ჩვენ მიერ ჩაწერილ გადმოცემებში[2] აღნიშნულია, რომ ძველად სვანური საცხოვრებელი სახლის სახურავზე იმ მხარეს, საიდანაც ოჯახს ყველაზე მეტი საშიშროება ემუქრებოდა, შენდებოდა ოთხკუთხა ჯიხური (ჩუბეხევში: ქეჩილდ, ეცერში: ჩექილ, ბეჩოში: ჯიხვირ), რომელშიც ერთი ან რამდენიმე ადამიანი ეტეოდა. ჯიხურის კედლები მუხის ხის სქელი ფიცრისაგან კეთდებოდა. კედლებს ხვრელები ჰქონდა, რომლებიც სათვალთვალოდ და საბრძოლველად გამოიყენებოდა.

ბეჩოში, სოფ. უშხვანარში, ავწერეთ და გრაფიკულად დავაფიქსირეთ ბ. შამფრიანის ორსართულიანი სანცხვირიანი სახლი (სურ. 1, 2). ის სოფლის განაპირასაა აგებული გზის ხელმარჯვნივ.

რელიეფი, რომელზედაც ეს ნაგებობაა ამართული ჭანობიანია ჭახობი აღმოსავლეთიდან დასავლეთითაა მიმართული. რელიეფი ორი ტერასითაა წარმოდგენილი: I ტერასის დონეზე სახლის პირველი სართულია მოთავსებული; II ტერასის დონიდან დარბაზში გადასასვლელი ხის ხიდია მოწყობილი. ორი ტერასის დონეებს შორის სიმაღლე 3,50 მ. აღწევს. პირველი და ნაწილობრივ მეორე ტერასაც ხელოვნურადაა შექმნილი.


სახლის კედლები ამართულია საძირკველზე, რომელიც ზოლოვანია. საძირკველი გადმოცემით მყარ ყამირამდეა დაყვანილი. საძირკვლის წყობაში გამოყენებულია ფლეთილი ქვა, ხოლო შემკრავად — კირწყლის თხელი ხსნარი.

სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან დერეფანია (ჰაგა მ) მიდგმული. სახლისა და დერეფნის კედლების წყობის ასაყვანად ფლეთილი და რიყის ქვაა გამოყენებული. ქვები ერთმანეთთან კირის საქმაოდ სქელი ხსნარითაა დაკავშირებული. დერეფნის სათავისის დონეზე დასავლეთისა და სამ-


---

1 რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, 45—46.

2 მთხრობელები: სოფ. ნაკის მცხოვრები 90 წლის მერაბ მურზას ძე ქალდანი; სოფ. ბარშის მცხოვრები 80 წლის გალობენ გურჩიანი; სოფ. ჰელირის მცხოვრები 60 წლის სოფრომ მეზას ძე გუჯეჯიანი; სოფ. ქართვანის მცხოვრები 68 წლის ელიზბარ გაბულდანი; სოფ. ბარშის მცხოვრები 56 წლის ალექსანდრე ასმათის ძე გურჩიანი.



სურ. 1
სანცხვირიანი სახლის აქსონომეტრული ხედი



სურ. 2

ხრეთის კედლების სისქეები თითქმის ერთმანეთის ტოლია და თითოეული მათგანის სისქე 70 სმ. უდრის. დერეფნისა და სახლის აღმოსავლეთის კედელი ამავე დროს მიწაყრილის საყრდენ კედელსაც წარმოადგენს და მისი სიგანე 85 სმ-ია.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სათავსში მზიდი კედლების სისქეები იცვლებიან 0,95—1,15 მ. მ. ფარგლებში. სახლის მეორე სართულის სათავსის დონეზე კედლების სისქეები 65—75 სმ. სმ. ფარგლებში ცვალებადობს. სიმაღლის ზრდასთან ერთად მცირდება კედლის სიგანე. კედლის პროფილის შიგა მხარის შემცირების ხარჯზე იზრდება მეორე სართულის სათავსის ფართი. უშუალოდ გადახურვის ქვეშ კედლების სიგანე 50 სმ. უდრის. მშენებლობის დროს კედლის წყობის ამოსაყვანად ხარაჩოები ყოფილა გამოყენებული. კედლები შეულესაია, მაგრამ საგულდაგულოდაა მოსწორებული.


პირველი სართულის სათავსის ცენტრში კერა ყოფილა გამართული, რომლის მოწყობილობას ჩვენამდე არ მოუღწევია. მის არსებობაზე მიგვითითებენ დირეებზე შემორჩენილი ჩამოსაკიდი აყარის (ლ გ ჭ ე რ) ნაშთები.

სახლის პირველ და მეორე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა ხის კონსტრუქციითაა გადაწყვეტილი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს შორის გადებულია სასვენი დირეები (ს ა შ ვ ე მ დ გ რ-ე ბ ი). სასვენი დირეების ბოლოები მყარადაა ჩამჯდარი ქვის კედლებში. ერთ-ერთი დირე სათავსის იატაკიდან ამართულ სვეტს (ს ვ ე ტ) ეყრდნობა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს შორის მზიდი დირეებია გადებული, რომელნიც სართულშუა გადახურვის დინამიკური და სტატიკური დატვირთვების ნაწილს ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს გადასცემენ, ხოლო დარჩენილ ნაწილს სასვენი დირეების მეშვეობით — აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს. ამრიგად, სართულშუა გადახურვის დატვირთვები თანაბრადაა განაწილებული ნაგებობის ოთხსავე კედელზე. მზიდი და სასვენი დირეების დიამეტრები 25—40 სმ.სმ. ფარგლებში იცვლებიან. მზიდ დირეებზე დაგებულია სქელი ფიცრის იატაკი.

საცხოვრებელი სახლი გადახურულია ორქანობიანი სახურავით. ქანობები მიმართულია ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ. გადახურვის კონსტრუქციაში გამოყენებულია ერთი სასვენი და რამდენიმე მზიდი დირე. სასვენი დირე გადებულია ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს შორის. თავხე პატარა ზომის სვეტის საშუალებით დატვირთვას სასვენ დირეს გადასცემს. მზიდი დირეები გადებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს შორის. მზიდ დირეებზე ერთმანეთთან მიჯრითაა დაწყობილი ხის წვრილი ძელაკები. მათი დანიშნულებაა სათავსში მყარი ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნება. მათზე ლარტყებია დამაგრებული, ხოლო ამ უკანასკნელებზე კი ყავარია დაჭედებული. ყავრის ფენილი კედლებიდან გადმოცილებულია 25—40 სმ. სმ. მანძილით, რათა კედლებს ააცილოს წვიმის წყალი.

საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში შესვლისას ჯერ დერეფანია გასასვლელი. დერეფანში შესასვლელი კარი ან დერეფნის კარი (ქ ა მ ე ყ ო რ. ჰ ა გ ა მ ი ყ ო რ) დერეფნის დასავლეთის კედელშია დატოვებული (სურ. 3). კარს გარეთა მხარისაკენ ქვის მასიური ნაოთხალები (ნ ა ე შ თ ხ ვ ი) აქვს. ნაოთხალების სიგანე 40 სმ-ია. კარის ღიობის ქვეშ ზღურბლის ქვაა (ლ ა გ ა გ ი ბ ა ჩ), ამასთან ნაოთხალების ქვეშ ზღურბლის ქვის ბლოკი

ოდნავაა ამაღლებული. კარის ღიობის ზევით ხის სქელი ფიცარია გადებული. ზღურბლის ქვის ბლოკსა და კარის ღიობის ზედა შემკრავ ფიცარს ნაოთხალების შიგნით კუთხეებთან ხვრელები გააჩნიათ. ქვედა ხვრელებს ქვედა საქუსლე ხვრელები (ჩუბე ლაჰგვი) ეწოდებათ. ხოლო ზედას კი — ზედა საქუსლე ხვრელები (ჟიბე ლაჰგვი). კარის ფრთას ცალ მხარეს ორი ნაშვერი აქვს: ზედა ქუსლი (ჟიბე ჰაგვ) და ქვედა ქუსლი (ჩუბე



სურ. 3.
I—ნაოთხალი. II—საურდულე ხვრელი. III—ზედა საქუსლე ხვრელი. IV—ქვედა საქუსლე ხვრელი. V—ზღურბლი. VI—კარის ზედა ქუსლი. VII—ქვედა ქუსლი. VIII—კარის ფრთა. IX—ურდული.

ჰაგვ). ამ ქუსლების საშუალებით ფრთა საქუსლე ხვრელებშია ჩამჯდარი და ტრიალებს. კარის ღიობის გვერდებზე საურდულე ხვრელებია (ლაჰვჰი), რომელშიც კარის ფრთების მიხურვის შემდეგ მუხის ხის მასიური ურდულს (ჰეჰვ) გაუყრიდნენ.

მსგავსადაა გადაწყვეტილი დერეფნიდან საცხოვრებელი სახლის სათავსში შემავალი კარის არქიტექტონიკაც. ამ კარს შუა კარი (ნენსგაჲ ყორ) ან სახლის კარი (ქორაჲ ყორ) ეწოდება. ეს კარი საცხოვრებელი სათავსის მხრიდან იკეტებოდა ურდულით.

დერეფნის სამხრეთის კედელში სათავსის გასანათებლად ერთი სარკმელია დატოვებული. სარკმლის ღიობი ნაოთხალებიანია. ნაოთხალები ქვითაა აყვანილი. ნაოთხალების შიგნით სარკმლის ღიობი სათავსის მხრისაკენ განიერდება. ნაოთხალების შიგნით მუხის ხის ფიცრისაგან გამოთლილი დარაბაა ჩასმული, რომელიც მიხურვის შემდეგ ურდულით იკეტება. ანალოგიური სარკმლებია საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სათავსის დასავლეთისა და სამხრეთის კედლებშიც.

მოგვიანებით, მას შემდეგ რაც თავდასხმების საშიშროება შემცირდა, დასავლეთის კედლის სამხრეთ ნაწილში ახალი კარი გამოუჭრიათ. დასავლეთის კედლის ჩრდილოეთ ნაწილში ნაგავის გადასაყრელი ხვრელია (ლანგვლი). ზამთრობით ამ ხვრელს ხის მორის ნაჭრისაგან გაკეთებული სარქვლით (ცუყვბა) ხურავდნენ.

სახლის მეორე სართულის სათავსში შესასვლელ კარსა და მეორე ტერასის დონეზე გამავალ გზას შორის ხის ბოგირია გადებული, რომლის საშუალებითაც სათავსში მარხილით თივა შეაქვთ. მას სამარხილე (სიტყვა-სიტყვით სახარე) (ლალკან კიბ) ეწოდება. მისი სიგანე 2 მ. აღწევს. კარი აქაც ნათხალებიანი ყოფილა, ორფრთიანი. ფრთები ურდულით იკეტება. უშიშროების დამყარების შემდეგ კარი გაუგანიერებიათ ერთი ნათხალის გამონგრევის ხარჯზე. ამავე სართულის დასავლეთის კედლის სამხრეთ ნაწილში პატარა ზომის კარია, რომელიც სხვა კართაგან არაფრით არ განსხვავდება. მას მჯდან ეწოდება და ამ კარით საშრობზე (ტელჯ) გადიოდნენ. საშრობს ჩვენამდე არ მოუღწევია.

მეორე სართულის სამხრეთის კედელში ერთი მარტივი სარკმელია. აღმოსავლეთის კედლის სამხრეთ ნაწილში ერთი სათოფური ხვრელია (სანცხვირ) დატოვებული. სათოფური მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთით; იგი მეორე სართულზე შემოსასვლელ კარს იცავდა ამ მხარიდან მომავალი მომხვდურისაგან.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სათავსში შესასვლელი დერეფნის ფართი 19 მ². შეადგენს. დერეფნის ძირითად მოვალეობას საცხოვრებელი სათავსის თავდაცვისუნარიანობის გაზრდა წარმოადგენდა. მომხვდურმა ჯერ დერეფანში შეჰრა უნდა მოახერხოს, შემდეგ კი — სახლში. სახლი დაცულია ორი კარგად გამაგრებული კარით. დერეფანი დამხმარე ფუნქციებსაც ასრულებდა: აქ ინახებოდა საოჯახო და სამეურნეო ინვენტარი. ამჟამად აქ მარცვლეულის შესანახი საკმაოდ დიდი ზომის ორი კიდობანი (კიბდენ) დგას. აქვეა ხის მორისაგან გამოთლილი კასრი (რაყ). კიდობანზე ხის საწყლე ჭურჭელი (გაბ) დგას. დერეფანი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასაც ემსახურებოდა. ის უზრუნველყოფდა ტემპერატურის მყარ რეჟიმს საცხოვრებელ სათავსში.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სათავსს სგირი ეწოდება (შდრ. ბალსზემოური მაჩვიბ). მისი ფართია 85 მ². სგირი ადამიანისა და საქონლის სადგომად იყო განკუთვნილი.

სახლის მეორე სართულის სათავსს დარბაზ ეწოდება (შდრ. ბალსზემოური მაყიბ). მისი ფართი 93 მ²-ია. როგორც ვხედავთ, სათავსის ფართი ბევრად აღემატება სგირის ფართს. ეს მიღწეულია ნაგებობის კედლების სიგანეების შემცირებით. დარბაზი ზამთრობით საქონლის საკვების შესანახად გამოიყენებოდა, ხოლო ზაფხულობით კი ოჯახი ადიოდა სგირიდან საცხოვრებლად.

დარბაზი და სგირი ერთმანეთს საძრომის საშუალებით არიან დაკავშირებული, რომელიც დარბაზის იატაკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია დატოვებული. მას ლაზირ ეწოდება. საძრომზე პირველი სართულის სათავსის იატაკიდან ხის კიბეა (მეგმემ კიბ) მიყუდებული.

დარბაზის იატაკში კიდევ ერთი ხვრელია დატოვებული. ის განკუთვნილი იყო დარბაზიდან სგირში თივის ჩამოსაყრელად. მას ჰულდუმ ეწოდება.

სგირის თითქმის 66 მ². ფართი საქონლის სადგომადაა განკუთვნილი. მის ერთ ნაწილს, ბაგ ჰქვია, მეორეს — გვალ. სგირის იმ ნაწილს, რომელიც ადამიანის სამყოფს წარმოადგენს, ყვერბ ეწოდება.

სგირის აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ ხარების სადგომია (ბაგლაჯან) მოწყობილი. ადამიანთა სამყოფისაგან ის ხის მაღალი ტიხარითაა (ლეჭუნდიარ) გამოყოფილი. ტიხრის ქვედა ნაწილში საქონლის თავების გამოსაყოფი ღიობია. ტიხრის წინ საქონლის საკვების ჩასაყრელი ბაგაა (ლალდიარ) მოწყობილი. ხარების სადგომის იატაკად ნაჯახით გამოთლილი ხის ფიცარია დაგებული.

სგირის ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ საძროხეა (გვალლაფურ) მოწყობილი. საძროხეში საქონელი ხარების სამყოფის გავლით შედის. საქონლის და ადამიანთა სამყოფი აქაც ტიხრითაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი. ტიხრის ქვედა ნაწილში საქონლის თავის გამოსაყოფი ოთხი დიდი ზომის თვალია (თე) დატოვებული. თვლები ერთმანეთისაგან ხის ბოძაკებითაა (ქათალ) გამოყოფილი. ტიხრის წინ აქაც საქონლის საკვების ჩასაყრელი ბაგაა გაკეთებული. საძროხის თვლების გამყოფ ბოძაკებზე თხილის წნელებისაგან გაკეთებული რგოლებია (გირკალ) მიბმული, რომელსაც თოკით საქონელს მიაბამდნენ.

სგირის დასავლეთის კედლის გასწვრივ სახბორე (ლაღუნ) და საცხვრეა (ლაღვლაქირ) მოწყობილი. ისინი წარმოადგენენ ფიცრებით შეკრულ ოთხკუთხა სათავსებს, რომლებიც ფიცრებითვეა გადახურული. გადახურვას ნეშკა ეწოდება და მას საოჯახო ნივთების დასაწყობად იყენებდნენ. საოჯახო ნივთების დასაწყობად გამოიყენებოდა აგრეთვე კედლებში დატოვებული თაროები (სენაჲ).

აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ სახლი თითქმის არაფრით არ განსხვავდება სვანური საცხოვრებელი სახლისაგან (ლუშნუ ქორ), რომლის საკმაოდ კარგი აღწერილობაც ბ. ნიჟარაძემ დაგვიტოვა[3]. მაშინ, როდესაც სვანური საცხოვრებელი სახლის დასაცავად მის გვერდით კოშკს, გუბანდს ან გალავანს აგებდნენ[4], ბალსქვემო სვანეთში სანცხვირიანი სახლი ცალკე მდგომ ერთეულს წარმოადგენდა. მას თავდაცვითი ბრძოლის საწარმოებლად ახალი ელემენტი გასჩენია, რომელიც ასე თუ ისე ცვლიდა თავდაცვის სხვა საშუალებებს.


ზემოაღწერილი სანცხვირიანი სახლის მეორე სართულზე, ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლების სისქეებში, დატოვებულია ჯიხური, რომელიც ფასადის მხარიდან სახლზე მიშენებული ბუდის შთაბეჭდილებას ტოვებს (იხ. სურ. 2, ჯიხურის გეგმა და ჭრილები; სურ. 4-ზე გამოსახულია: ა) ჯიხურის აქსონომეტრიული ჭრილი; ბ) ჯიხურის აქსონომეტრიული ხედი ფასადის მხარიდან). ჯიხურის გარე კედლები ნაგებობის მზიდი კედლებიდან კონსოლისებურად არიან გადმოშვერილი 30 სმ-ით. ჯიხურის კედლების სიგანე თითქმის ერთმანეთის ტოლია და თითოეული მათგანის სიგანე 15 სმ. შეადგენს. ჯიხურის კედლების შიგა პროფილებსა და სახლის ჩრდილოეთისა და დასავ-

---

3 ბ. ნიჟარაძე, უშგულის აღწერა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964, 67—71.

4 ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945, 20—21; რ. ხარაძე, ალ. როზაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, 24, 44; М. Джандиери и Г. Лежава, Архитектура Сванетии, М., 1938, 8—12; А. Робакидзе, Жилища и поселения горцев Грузии в прошлом и настоящем, краткие сообщения ИЭ, Ан СССР, XXXVI, М., 1961, 31; მისივე, К вопросу о формах поселения в сванети, краткие сообщения ИЭ, Ан СССР, XXXIX, М., 1958, 52.

ღეთის კედლების გარე პროფილებს შორის დაცილება 10 სმ-ია. ეს იძლევა კედლის ორ ვიწრო ზოლს, რომლებიც სახლის მზიდ კედლებთან აერთებს ჯიხურის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლებს.



სურ. 4

ჯიხურის იატაკი სახლის მზიდი კედლების გადაკვეთილ ზედაპირს წარმოადგენს. ის დარბაზის იატაკის დონიდან 50 სმ-ითაა დაცილებული ვერტიკალურ სიბრტყეში. ჯიხურის იატაკში დატოვებულია ოთხკუთხა ღიობი ზომებით 12×11 სმ.სმ. ღიობი ფიქალის ქვით იხურება. გადმოცემით ღიობს საბრძოლო და სანიტარული დანიშნულებაც ჰქონია. ჯიხურის ჩრდილოეთის კედელში ორ სხვადასხვა სიმაღლეზე ორი სათოფურია დატოვებული, რომელთაგანაც ერთი ჩრდილოეთისაკენაა მიმართული, ხოლო მეორე კი — ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სათოფურების შიგა მხარის ზომებია 14×13 სმ.სმ. ფასადის მხარეს მათი ზომები 8×10 სმ. სმ-მდე მცირდება.

ჯიხურის დასავლეთის კედლის ჩრდილოეთ ნაწილში სხვადასხვა სიმაღლეზე სამი სათოფურია განლაგებული. ორი მათგანი დასავლეთითაა მიმართული, ერთი კი — ჩრდილო-დასავლეთით.

ჯიხურის ჩრდილოეთის კედლის საცხოვრებელი სახლის იმავე მხარის კედელთან დამაკავშირებელი კედლის ვიწრო ზოლში ორი სათოფური ხვრელია. მათგან ერთი აღმოსავლეთს გასცქერის, მეორე კი — ჩრდილო-აღმოსავლეთს.


ჯიხურისა და სახლის დასავლეთის კედლების ერთმანეთთან დამაკავშირებელი კედლის ვიწრო ზოლში სამი სათოფურია: ერთი სამხრეთისაკენაა მიმართული, დანარჩენი ორი კი — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

სათოფური ხვრელები ჯიხურის იატაკის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეებზეა მოწყობილი. იატაკიდან მინიმალურად დაცილებული სათოფური 15 სმ. სიმაღლეა, ხოლო მაქსიმალური დაცილება 1,20 მ. შეადგენს.

ჯიხურის გაბარიტები ორი-სამი ადამიანის ერთდროულად მოქმედების საშუალებას იძლევა. ჯიხურის ადგილმდებარეობა და სათოფურების მიმართულებანი დამცველებს სოფელში შემოსასვლელი გზის კონტროლის გაწევის საშუალებას აძლევდათ. ჯიხურში სათოფურების განლაგება ისეა გადაწყვეტილი, რომ შიგ მყოფთ შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ სახლისადმი 270°-იანი კუთხით მიმდებარე ტერიტორიას. მათ თვალთვალისა და ცეცხლის გახსნის კარგი პირობები გააჩნიათ; ამასთან თვითონ ჯიხურის კედლებით საიმედოდ არიან დაცული.

ეცერში, სოფ. ბარშში დადეშქელიანების რეზიდენციაში დავაფიქსირეთ კიდევ ერთი სანცხვირიანი სახლი (სურ. 5). სახლი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და ეკუთვნის ს. გურჩიანს.

ნაგებობის აღმოსავლეთის კედელთან სოფელში სამხრეთიდან მომავალი გზა გადის. ამ გზიდან მომხვდურთა მოსაგერიებლად სახლის მეორე სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში საბრძოლო ჯიხურია დატოვებული.




სურ. 5

ვინაიდან სახლის აგებულება მხოლოდ ზომებით განსხვავდება ჩვეულებრივი სვანური სახლისაგან, მის აღწერილობას აქ არ შევუდგებით; ყურადღებას მხოლოდ საბრძოლო ჯიხურზე გავამახვილებთ (სურ. 6).

საბრძოლო ჯიხურის გაბარიტები გეგმაში 98×97 სმ. სმ. შეადგენს. ჯიხურის კედლები აქაც კონსოლისებურადაა გადმოშვერილი 15 სმ-ით მზიდი კედლებიდან. ჯიხურის კედლების სიგანე ტოლია და თითოეული მათგანი უდრის 18 სმ.

ჯიხურის სამხრეთის კედლის სხვადასხვა დონეზე სამ რიგადაა განლაგებული სათოფური ხვრელები. პირველ რიგში სამი სათოფურია. ისინი იატაკის დონიდან 22 სმ. არიან დაცილებული. მათგან შუა სამხრეთითაა მიმარ-

თული, მარჯვენა — სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ხოლო მარცხენა — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მეორე რიგში იმავე თანმიმდევრობითაა კიდევ სამი სათოფური განლაგებული. ისინი იატაკის დონიდან 10 სმ. არიან დაცილებული. მესამე რიგში ორი სათოფურია, რომელთაგან ერთი სამხრეთითაა მიმართული. მეორე კი — სამხრეთ-დასავლეთით. ეს უკანასკნელნი იატაკიდან 85 სმ. არიან დაცილებული.



სურ. 6
I—სათოფურების I იარუსი. II—სათოფურების II იარუსი. III—სათოფურების III იარუსი. IV—ჭრილი 1—1; V—ჭრილი 2—2.

ჯიხურის აღმოსავლეთის კედელზე სათოფურები ორ რიგად არიან განლაგებული. პირველ რიგში ერთი სათოფური ყოფილა, რომელიც მოგვიანებით დაზიანებულა. მეორე რიგში ორი სათოფურია. ერთი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთით, მეორე — სამხრეთ-აღმოსავლეთით. აღმოსავლეთის კედლის ზედა ნაწილი მონგრეულია. შესაძლებელია მონგრეულ ნაწილში სათოფურების მესამე რიგიც იყო.


ჯიხურის კედლებში გაკეთებული სათოფური ხვრელების ზომები კედლის შიგა მხარეს 13—15×14—16 სმ.სმ. შეადგენენ. კედლის გარე მხარეს მათი ზომები 8×10 სმ.სმ.-ია. სათოფურის ზომები ისეა შერჩეული, რომ შიგ სვანური თოფის ლულა გაეტიოს და დამცველმა მტერი მარჯვედ ამოიღოს მიზანში. ჯიხურის მდებარეობა გარემოსთან მიმართებით ძალზე მოხერხებულადაა შერჩეული.

სოფელ ცალერში ავზომეთ კიდეთ ერთი სანცხვირიანი სახლი, რომელიც დ. გვარმიანს ეკუთვნის (სურ. 7 — სახლის აქსონომეტრიული ჩანახატი, სურ. 8, 9 — გეგმები და ჭრილი).

ეს სახლი სოფლის განაპირას ჩრდილოეთითაა აგებული. რელიეფი ძალზე დაქანებულია, ქანობი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა მიმართული. ქანობის უმაღლეს და უდაბლეს წერტილებს შორის სიმაღლეთა სხვაობა (ნაგებობის ფარგლებში) თითქმის 6 სმ. შეადგენს. პირველი სართულის სათავსის იატაკი შეძლებისდაგვარად მოშანდაკებულ კლდოვან ყამირს წარმოადგენს. ნაგებობის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები უშუალოდ კლდეზეა ამოყვანილი. სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლები ზოლოვან საძირკველზეა ამოყვანილი, რომლის სიღრმე 60—90 სმ.სმ. შეადგენს. ჩრდილოეთის კედელი ერთდროულად ყამირის ყრილის საყრდენ კედელსაც წარმოადგენს. ამავე როლს ასრულებს დასავლეთის კედლის ნაწილიც.

ნაგებობის კედლების წყობისათვის გამოყენებულია ფლეთილი ქვა და ფიქალი; შემკრავად კი — კირის ხსნარი. პირველი სართულის დონეზე კედლების

სიგანეები 1 მ-ზე ოდნავ მეტია, მეორეზე 90 სმ-ია, ხოლო მესამე სართულის დონეზე კი — 70—75 სმ.სმ. კედლების ამოსაყვანად გამოყენებული ყოფილა ხარაჩო, რომელსაც ფალანგებზე აწყობდნენ. კედლები შელესილია. კლიმატის გავლენით ფასადის მხარეს ბათქაში ზოგან მოცილებულია.



სურ. 7

ნაგებობის სართულშუა გადახურვები და სახურავი ზემოაღწერილის მსგავსადაა გადაწყვეტილი სასვენი და მზიდი დირეების კონსტრუქციული სისტემით. მეორე და მესამე სართულს სათავსების იატაკი თიხის მოტკეპნილ სქელ ფენას წარმოადგენს. სახურავის ქანობები აღმოსავლეთით და დასავლეთითაა მიმართული.


საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის დონეზე აღმოსავლეთით კალოა. სახლში შესასვლელი კარის წინ ხის ერთსართულიანი დერეფანია, რომელსაც აქ საქგლ ეწოდება. ის ერთქანობიანი სახურავითაა გადახურული. სახურავის ქანობი სამხრეთისაკენაა მიმართული.

სახლის კარ-ფანჯრის ღიობები და მოყვანილობანი არაფრით განსხვავდებიან ჩვენ მიერ უშხვანარში აღწერილი სახლის კარ-ფანჯრებისაგან. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მეორე სართულის სათავსის აღმოსავლეთის კედლის ორი სარკმელი ამ ცოტა ხნის წინ გაუგანიერებიათ ნაოთხალების ხარჯზე.

საცხოვრებელი სახლის წინ მდგარი დერეფანი აქაც იმავე ფუნქციას ასრულებდა, რასაც უშხვანარში აღწერილი სახლის დერეფანი. როგორც ჩანს, ადრე დერეფანი ორსართულიანი ყოფილა. დერეფნის მეორე სართული სახლის მესამე სართულს აკავშირებდა გარე სივრცესთან.

მესამე სართულის დონეზე სახლის სამხრეთის კედლის წინ საშრობი ტელაფ ყოფილა გაკეთებული. მას სათავსთან ვიწრო კარი (მაჯდან) აკავშირებდა. ტელაფს ჩვენამდე არ მოუღწევია.


მესამე სართულის ჩრდილოეთის კედელში ამ ცოტა ხნის წინ კარი გამოუნგრევიათ სათავსში თივის შეტანის გაადვილების მიზნით.



სურ. 8

ამ სართულზე აღმოსავლეთის მხარეს ორი სარკმელია, ერთი სარკმელი, მსგავსად ამავე მხარეს მოქცეული მეორე სართულის სარკმლისა, სალოცავად (ლამზგრ ლაკვრა) იყო განკუთვნილი. დასავლეთის კედელში ერთი სათოფური ხვრელია. მისი სათავსის მხარის ზომებია 71×58 სმ.სმ., ხოლო გარეთა კი—10×9 სმ.სმ. სათოფური ხვრელი სახლის ქვემოთ მიმავალ გზას გასცქერის.

სახლის მეორე და მესამე სართულის სათავსებში კერა იდგა. ამჟამად მისი ნაშთებიღა გვხვდება. დღისით სათავსების განათება სარკმლებიდან შემო-




სურ. 9

სული შუქით ხდებოდა, ღამე კი კვარით ანათებდნენ. ანთებული კვარის ჩამოსადებად სპეციალური რკინის ჭაღები (გ ე მ ტ ვ ა რ) გამოიყენებოდა (სურ. 10). ჭაღებს ხის დირეებზე ჰკიდებდნენ. ანთებული კვარის ჩამოსადებად კედლებიდან ფიქალის ქვის ნაშვერებს და პატარა ზომის ნიშებსაც იყენებდნენ.

პირველი და მეორე სართულის სათავსების ჭერში მრავალრიცხოვანი ხის კავები (კაკვ) ყოფილა ჩამოკიდებული, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება ჰქონიათ.

სახლის შესასვლელთან აგებული დერეფნის ფართი 13 მ². შეადგენს.



სურ. 10

სახლის პირველი სართულის სათავსი — გვემ (=ქართ. გომი) გამოიყენებოდა სარდაფად. გომის ფართია 22 მ². აქ საკვები და ჭირნახული ინახებოდა. სარდაფის მუდმივი ტემპერატურა საჩჩოს იცავდა გაფუჭებისაგან.

საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის სათავსის სგირი-ს ფართი 86 მ². შეადგენს. ეს სათავსი ადამიანისა და საქონლისათვის იყო განკუთვნილი.

სახლის მესამე სართულის სათავსის ზედა სგირის (ჟიბე სგირი) ფართია 96 მ². ადრე ეს სათავსიც ადამიანისა და საქონლის სადგომად გამოიყენებოდა. ამჟამად აქ საქონლის საკვებს ინახავენ.

საცხოვრებელი სახლის სგირი და სარდაფი ერთმანეთს საძრომით (ლაზირ) უკავშირდებოდა. სარდაფის იატაკიდან საძრომზე. კიბეა მიდგმული. ამჟამად არსებული საძრომი მოგვიანებითაა გაკეთებული. სარდაფის ჭერის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან ძველი საძრომის კონტური შეინიშნება.

საცხოვრებელი სახლის მეორე და მესამე სართულის სათავსები ერთმანეთთან არაა დაკავშირებული.

სახლის მეორე სართულის სათავსი ამჟამად გადაკეთებულია. გადმოცემის თანახმად, სათავსში შემავალი კარის წინ სათავსის მხარეს ხის ტიხრებით შიგა დერეფანი (სგამე საქგლ) ყოფილა გაკეთებული. სამხრეთის ტიხარში კარი ყოფილა, რომელიც ადამიანთა სამყოფში (ყერბ) შედიოდა. დასავლეთის მხარის ტიხრის კარი ხარების სადგომში შედიოდა.

საქონლის სადგომი სახლის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების გასწვრივაა მოწყობილი. ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ ხარების სადგომია, დასავლეთის კედლის გასწვრივ კი ძროხების სადგომია. საქონლის სადგომის კონსტრუქციული აგებულება იდენტურია ზემოთ აღწერილის და აქ აღარ გავიმეორებთ.


მეორე სართულის სათავსის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები შელესილია. დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები შეულესავადაა დატოვებული. ეს იმიტომ, რომ ამ მხარეს მაღალი, მოჩუქურთმებული ხის ტიხარი გამოჰყოფდა საქონლის სადგომს ადამიანის სამყოფისაგან და ის ფარავდა კედლებს.

სახლის მესამე სართულის სათავსი მეორე სართულის მსგავსადაა გადაწყვეტილი. შესასვლელ კართან აქაც ხის შიგა დერეფანია. სახლის ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ ხარების სადგომია. დასავლეთის კედლის გასწვრივ

კი საძროხეა. საქონლის სადგომისა და ადამიანთა სამყოფის განმაცალკევებელი ხის ტიხარი გეომეტრიული-ორნამენტებითაა მოჩუქურთმებული.

საქონლის სადგომის იატაკი როგორც მეორე, ისე მესამე სართულზე ნაჯახით გამოთლილი ფიცრებისაგანაა გაკეთებული.

მესამე სართულის სათავსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მოწყობილია საბრძოლო ჯიხური. ჯიხურისა და სათავსის იატაკები ერთ დონეზეა. ჯიხურის ზომები საშუალებას იძლევა. ორმა-სამმა კაცმა მიიღოს მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში. (სურ. 11-ზე გამოსახულია: ჯიხურის აქსონომეტრიული ჭრილი და ჯიხურის აქსონომეტრიული ხედი ფასადის მხრიდან).



სურ. 11


ჯიხურის კედლები სახლის მზიდი კედლებიდან კონსოლისებურად არიან გადმოშვერილი 40 სმ--ით. ჯიხურის კედლების სისქეები 23—28 სმ.სმ. ფარგლებში იცვლებიან. ჯიხურის სამხრეთის კედელში ორი სათოფური ხვრელია. პირველი იატაკის დონიდან 1,20 მ. სიმაღლეზეა; მეორე კი —1,75 მ. ჯიხურის დასავლეთის კედელში სამი სათოფურია ორრიგად განლაგებული. პირველი რიგი იატაკს 40 სმ-ითაა დაცილებული, მეორე კი — 1,10 სმ-ით. სამხრეთის კედელში დატოვებული სათოფურები მიმართულია სამხრეთით. დასავლეთის კედლის სათოფურები დასავლეთითაა მიმართული. ჯიხურის აღმოსავლეთის კედლის ვიწრო ზოლში სამი სათოფურია სამ სხვადასხვა დონეზე. ორი მათგანი აღმოსავლეთითაა მიმართული, ერთი კი — სამხრეთ-აღმოსავლეთით. ასევე სამი სათოფურია ჯიხურის ჩრდილოეთის კედლის ვიწრო ზოლში. ერთი სათოფური ჩრდილოეთის მხარეს გასცქერის, ორი კი — ჩრდილო-დასავლეთის.

სათოფური ხვრელების შიგა ზომები იცვლება 15—34×27—18 სმ.სმ. ფარგლებში, ხოლო გარე მხარის ზომებია 8×10 სმ. სმ.

საბრძოლო ჯიხურთან სათავსის სამხრეთის კედლიდან ფიქალის ქვის საკმაოდ დიდი ზომის ფილაა გადმოშვერილი (40×30 სმ. სმ.). ეს ფილა საომარი მასალის დასაწყობად გამოიყენებოდა.

ზემოაღწერილი სანცხვირიანი სახლის ჩრდილოეთის მხარიდან ძველი ნაგებობის საძირკველი მოჩანს. მის ზემოთ ნაგებობათა რთული კომპლექსის ნანგრევებია ტერასისებურად განლაგებული.

რაც შეეხება სანცხვირიანი სახლების გავრცელების არეალს, ისინი ქვემო სვანეთში არ გვხვდება. ეს ნაგებობანი მეტწილად გავრცელებულია ბალს ქვემო სვანეთში; ბალს ზემოთ კი შედარებით იშვიათად გვხვდება. ბალს ზემო სვანეთში სანცხვირიანი სახლი დავაფიქსირეთ მულახის სოფ. ლახირში ი. მარგიანის რთულ გალავნიან კომპლექსში. სახლის საბრძოლო ჯიხური ჩრდილოეთისკენაა მიმართული (ჯიხურის გეგმის ფრაგმენტი იხ. სურ. 12-ზე).



სურ. 12

სანცხვირიანი ჯიხური აქვს ჩარკვიანების სასახლეს ლატალის სოფ. გიგბაშში[5].

ბალს ზემო სვანეთში სანცხვირიანი სახლები გალავნიანი კომპლექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და ამ კომპლექსის რომელიმე სუსტი მხარის დაცვას ემსახურება; კერძოდ იმ მხარისა, რომლის დასაცავად კოშკისა და გუბანდის სათოფურების ბრძოლისუნარიანობა ნაკლებად ეფექტურია.

სანცხვირიანი სახლები დაკავშირებულია დაწინაურებული გვარების საცხოვრებელ კომპლექსებთან. შემთხვევითი არაა, რომ ბალს ქვემოთ სანცხვირიანი სახლები დადეშქელიანების საცხოვრებლებთან გვხვდება, ხოლო ბალს ზემოთ კი დაწინაურებული გვარების **კომპლექსებში** (ჩარკვიანები, მარგიანები).

სანცხვირიანი სახლი სვანეთში თავდაპირველად რადდეს შეუმჩნევია. შემდგომ მასზე არავითარი ცნობები აღარ მოგვეპოვება. ამ ცოტა ხნის წინ რ. ხარაძემ და ალ. რობაქიძემ გამოამზეურეს ამ ტიპის ნაგებობანი, მოგვცეს მათი პირველი აღწერილობანი და სვანურ ტიპოლოგიურ სქემაში მას თავისი ადგილი მიუჩინეს[6].

ბალს ზემო სვანეთში სანცხვირიანი სახლების მცირე რაოდენობა გვხვდება. ამასთან ისინი მეტწილად გალავნიანი კომპლექსების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ბალს ქვემო სვანეთში სანცხვირიანი სახლები ფართოდაა გავრცელებული და ამასთან ისინი მკვეთრად გამოყოფილ ცალკე ერთეულებად ქცეულან. ეს მომენტი კარგად შეუმჩნევია გ. რადდეს, როდესაც აღნიშნავს, რომ ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთის თავდაცვით და საცხოვრებელ ნაგებობებში განსხვავება შეიმჩნევაო. ამასთან ბალს ქვემო სვანეთში „...В замен прежных укреплений на крышах большей части домов строятся из тонких балок небольшие помещения, вышиною в рост человека“[7].

---

[5] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, 26.

[6] იქვე, გვ. 24, 45.

[7] Путешествие Г. И. Радде. ЗКОРГО, кн., VII, вып., I, Тиф., 1866, 147.

ამ მოვლენას თავისი ობიექტური მიზეზები განაპირობებდა, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

ჩვენ მიერ ჩაწერილ გადმოცემებში აღნიშნულია, რომ ოჯახისაგან გამოყოფილ ყველა ახალ მოსახლეს არ შეეძლო ერთდროულად სახლისა და კოშკის მშენებლობა. ახალი მოსახლე ჯერ საცხოვრებელ სახლს აგებდა და, თუ მას ამისი ეკონომიური შესაძლებლობა გააჩნდა, შემდეგ საბრძოლო კოშკს აშენებდა; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლე სახლის ამარა რჩებოდა. უფრო შეძლებული ოჯახი სამოსახლოს გალავანს შემოავლებდა ხოლმე. ცალკე მდგომი საცხოვრებელი სახლი მოკლებული იყო თავდაცვის საშუალებებს. საჭირო იყო საცხოვრებელი სახლის გამაგრების გზების ძიება. თავდაპირველად ჩანს, ცალკე მდგომი საცხოვრებელი სახლის დასაცავად ხის სქელი ფიცრებისაგან ჯიხურს აშენებდნენ. ჯიხურს სახლის სახურავის რომელიმე მოხერხებულ კუთხესთან, ან კედლის ცენტრში აღმართავდნენ. ზოგჯერ ჯიხური კედლის მთელ სიგრძეს მოიცავდა. უფრო ხშირად ჯიხურებს სახლის სახურავის ოთხსავე მხარეს აგებდნენ. ჯიხური სახლის მზიდი კედლებიდან კონსოლისებურად ყოფილა გადმოშვერილი. თავდაპირველად ეს ნაშენი საკმაოდ დიდი ყოფილა. ჯიხურის იატაკში ღიობს ტოვებდნენ (განსაკუთრებით პირველ სართულში შესასვლელი კარის თავზე), საიდანაც კარზე მომდგარ მტერს ქვასა და ისარს უშენდნენ. შორ მანძილზე საბრძოლველად ჯიხურის კედლებში საისრე ხვრელები იყო დატოვებული. ჯიხურის სიმაღლესა და სიგრძე-სიგანეს ისე არჩევდნენ, რომ შიგ რამდენიმე მოისარს ჰქონოდა თავისუფალი მოქმედების საშუალება. ჯიხურში დარბაზის იატაკიდან მიდგმული ხის კიბით ადიოდნენ.

მას შემდეგ, რაც ეკონომიურად მოღონიერდებოდა, ახალდასახელებული ოჯახი საბრძოლო კოშკს იშენებდა. კოშკის აშენების შემდეგ ჯიხური ზედმეტ დანამატად იქცეოდა და ჩამოქცევის შემდეგ მათ არავინ აღადგენდა.

როგორც ცნობილია, მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში ბალს ქვემო სვანეთში ძლიერდება რიჩგვიანების გვარი (სვანეთის კრების მატიანეში, რომელიც მეცამეტე საუკუნეს განეკუთვნება, ისინი როჩაგიანების გვარით არიან ცნობილი)[8]. მეცამეტე-მეთხუთმეტე საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობს ბრძოლა რიჩგვიანებსა და დადეშქელიანებს შორის პირველობისათვის. მეთხუთმეტე საუკუნის საბუთის მიხედვით ამ პერიოდში ორივე გვარი ჯერ კიდევ ძლიერია[9]. მომდევნო პერიოდში დადეშქელიანების გვარი იმარჯვებს. მათი ძალაუფლების გაძლიერების შემდეგ, უკვე არსებულ კოშკებს საბრძოლო სართულებს უნგრევენ მთელ ბალს ქვემო სვანეთში და ახალი კოშკის მშენებლობა იკრძალება, რათა დამორჩილებულ გვარებს წინააღმდეგობა არ გაეწიათ კოშკებიდან მათთვის[10].

მსგავსი ვითარება შეიმჩნევა კავკასიის მთიანეთის სხვა კუთხეებშიც. საკუთრივ, ინგუშეთში გარკვეულ გვარებს კოშკის შენების ან დასრულების უფლება არ ჰქონიათ[11].

---


8 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ., 1941, 132.

9 იქვე, გვ. 32; ეგნ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925, გვ. 62.

10 ბ. ნიკარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—101.

11 А. И. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, очерки по этнографии горной Ингушетии, Тб., 1968, 69.

ამ პერიოდში ბალს ქვემოთ იწყება სანცხვირიანი სახლების მასიური მშენებლობა. თოფის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ ხის ფიცარი უკვე ნაკ-



სურ. 13
I— დადეშქელიანების სასახლე. II—კოშკის ნანგრევი. III, IV, X—სეანირიანი სახლები. V, VI, VII, VIII, IX—სანცხვირიანი სახლები. XI—სვიფი.

ლებად საიმედო ხდება დამცველთათვის და ჯიხური სახურავიდან ადგილს სახლის მეორე სართულისაკენ ინაცვლებს; ამასთან ჯიხურის კედლები ქვითკირით შენდება.

ბალს ზემო სვანეთში საბრძოლო კოშკებისა და სხვა ეფექტური თავდაცვითი ნაგებობების აგება შეზღუდული არ ყოფილა რომელიმე გვარის მიერ და ამდენად სანცხვირიანი სახლების მშენებლობამ, რომლებიც თავდასაცავად ნაკლებ ეფექტიანი იყვნენ, ისეთი მასიური ხასიათი არ მიიღეს, როგორც ბალს ქვეშოთ.

სანცხვირიანი სახლების განლაგებას გარკვეული პერიოდიდან ფეოდალი თავისი სასახლის დასაცავად იყენებს. დადეშქელიანების რეზიდენციის, სოფ. ბარშის აღწერისას შენიშნულია, რომ სოფლის განაპირას განლაგებული სანცხვირიანი სახლების (სურ. 13) ერთ-ერთი ფუნქცია იყო დადეშქელიანების სასახლის დაცვა[12].

მართლაცდა, სოფელ ბარშის გენერალურ გეგმაზე ნათლად მოჩანს, რომ სანცხვირიანი სახლები სოფლის მისადგომებთანაა განლაგებული ამ სოფელში შემავალი გზების ნაპირას. სახლის სათოფურები სწორედ ამ გზებს გასცქერიან და ამ სახლებში მცხოვრებნი მოვალენი იყვნენ დაეცვათ თავიანთი მებატონის სასახლე ამ გზებიდან მომავალ მომხვდურთაგან.

ჩვენ მიერ აღწერილი სოფ. უშხვანარის სანცხვირიანი სახლის დანიშნულებაც ალბათ მაზერის დადეშქელიანების სასახლის მისადგომების დაცვა იყო.

ანალოგიური ვითარება შეინიშნება ფარში, სადაც სანცხვირიანი სახლები დადეშქელიანების მესამე შტოს საცხოვრებელი კომპლექსისაკენ მიმავალ გზას იცავდნენ.

სანცხვირიანი სახლების მასიური მშენებლობა ბალს ქვემო სვანეთში ახალ სოციალურ პირობებზე მიუთითებს.

---

12 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, 48.

ცნობები და შენიშვნები

მზია სურგულაძე

„მწერლები“ ძველ საქართველოში

(ხელობის სწავლების, მემკვიდრეობითობისა და ორგანიზაციის საკითხები)

ხელნაწერი წიგნის დამზადება რამდენიმე მომიჯნავე ხელობის წარმომადგენელთა ერთობლივ შრომას მოითხოვდა. ეს ხელობები იყო: „ეტრატის შექმნა“, ტექსტის გადაწერა, წიგნის შემოსვა და სხვ.[1]. ამათგან ყველაზე რთულსა და ხანგრძლივ სამუშაოს ტექსტის გადაწერა წარმოადგენდა.

ფეოდალურ საქართველოში ამ ხელობის წარმომადგენელთა უმრავლესობა სასულიერო წრეს განეკუთვნებოდა. ის ბერები, რომელთაც გადაწერა ხელობად ჰქონდათ, თავიანთ თავს მ წ ე რ ლ ე ბ ს უწოდებდნენ[2]. მ წ ე რ ა ლ თ ა შესახებ არსებული მასალა არ გამოირჩევა განსაკუთრებული სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით[3]. აქა-იქ გაბნეული ზოგიერთი საინტერესო ცნობა და თვით ხელნაწერთა შედგენილობისა და გრაფიკული სახის გათვალისწინება მხოლოდ მათი საქმიანობის ზოგიერთი მხარის გარკვევის შესაძლებლობას იძლევა.

მ წ ე რ ლ ე ბ თ ა ნ დაკავშირებული საკითხები შესწავლილია ივ. ჯავახიშვილის „ქართულ პალეოგრაფიაში“[4]. ამ საკითხებს ნაწილობრივ ეხება შ. მესხიაც ნაშრომში: „ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XII სს. ქართულ მონასტრებში“[5].

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულმა ძველი ქართული მწერლობის ძეგლებმა, განსაკუთრებით კი ქართულ ხელნაწერთა ვრცელმა მეცნიერულმა აღწერილობებმა ახალი მასალა გამოავლინა მ წ ე რ ა ლ თ ა შესახებ, რაც ხსენებული გამოკვლევების ზოგიერთი ნაწილის შევსებისა და დაზუსტების საშუალებას იძლევა.

ძველი კულტურის მქონე ყველა ქვეყანაში, სადაც კი დამწერლობა სახელმწიფოებრივი და რელიგიური მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა, მ წ ე რ ა ლ თ ა პროფესია განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა[6].

---

1 შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა ძველ საქართველოში V—XII სს., თბ., 1942, გვ. 5.

2 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1907, გვ. 41.

3 ქართველ გადამწერთა სიტყვაძუნწობის ქართული კულტურის საკითხებით დაინტერესებული მრავალი მკვლევარი უჩივის მაგ.: Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX—XII вв., Тбилиси, 1967, გვ. 21.

4 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 47—60.

5 მიმომხილველი, I, თბ., 1949, გვ. 57—80.

6 М. А. Коростовцев, Писцы Древнего Египта, М., 1962.

საპატიოდ ითვლებოდა მწერალთა ხელობა ბიზანტიაშიც, ქართველთა უშუალო მეზობელ ქვეყანაში. ამის შესახებ ცნობები თვით ბიზანტიური მწერლობის ძეგლებშია დაცული.

ერთი ასეთი ცნობა შემოგვინახა XI საუკუნეში ქართულად თარგმნილმა აპოფთეგმურმა კრებულმა: „წარვიდეს ბერისა ვისმე დიდისა ოდესმე ხუთნი ძმანი და ბერმან ჰკითხა ერთსა მათგანსა, რასა შურები ძმაო... სირასა ვთხზავ, მამაო... და მეოთხესა მას ჰრქუა: და შენ რასა შურები? და მან თქუა: მწერალი ვარ, მამაო. ჰრქუა მას ბერმან: შენ იცი, თუ ვითარ სწერ, ძმაო, მწერალსა კულა სიმდაბლჱ უკმს დიდი, რაჲთა არა აღლაღნეს გული მისი სიმაღლისათჳს საქმისა მის“[7].

მწერლები განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ ქართველთა შორისაც. იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში მოთხრობილია, რომ ეფთვიმე დიდი მოკრძალებითა და რიდით ექცეოდა თეოფანე ხუცესს, რომელსაც ათას ხუთას დრაჰკანზე მეტი ღირებულების წიგნი დაეწერა. მაშინ, როდესაც ეფთვიმე ენერგიულად ებრძოდა ძმათა შორის მომხვეჭელობისადმი ყოველგვარ გამოვლინებას. ამავე ძეგლიდან ჩანს, რომ მწერალ ბერებს სხვა პრივილეგიებიც ჰქონდათ. მხოლოდ მათ შეეძლოთ ზეთის ყიდვა, რათა ღამით, სენაკში სინათლე აენთოთ[8].

ხელნაწერთა შედგენილობა, სხვადასხვა შინაარსის ტექსტის ორგანიზაციის წესები, წიგნის მხატვრული და ტექნიკური გაფორმების ხერხები გადამწერ ხელოსანთა მაღალ პროფესიულ დონეს უჩვენებს. მათ გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონოდათ იმ საგნებზე, რომლებსაც ქრისტიანულ პირველდაწყებით სკოლებში ასწავლიდნენ. ასეთებია: ლიტურგიკა, ეგზეგეტიკა, ჰომილეტიკა[9]. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებდნენ თავიანთი ამოცანის შესრულებას, ე. ი. სათანადო მასალის შერჩევას, დალაგებას, ტექნიკურად გაფორმებას და სხვ.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: სად და რა პირობებში ამზადებდნენ მწერალთა კადრებს, ვინ იყვნენ მათი მასწავლებლები?

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ქრისტიანი ერების მწერლობის განვითარებაში მონასტრებმა უდიდესი როლი შეასრულეს. მაგალითად, ბიზანტიაში, თუმცა მრავალრიცხოვანი საერო სკოლებიც არსებობდა, მაგრამ მდიდარი ქრისტიანული ლიტერატურა უპირატესად მონასტრების სამწერლო კერებში ვითარდებოდა და ვრცელდებოდა[10].

ქრისტიან მისიონერთა მოღვაწეობას ყველგან თანსდევდა მონასტრების დაარსება და მათში წიგნების დასამზადებელი სახელოსნოების გახსნა[11].

მწერლობის კერას მონასტერი წარმოადგენდა სომხეთშიც[12]. აქ არსებულა სპეციალური სკოლები, რომლებშიც წერის ხელოვნებას ასწავლიდნენ[13].

---

[7] ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A—1105, 270r.

[8] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 79.

[9] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 80.

[10] М. В. Левченко, История Византии, М., 1940, გვ. 8.

[11] О. А. Добиаш-Рождественская, Мастерские письма на заре западного средневековья и их сокровища в Ленинграде, Л., 1930, გვ. 20.

[12] М. Абегян, История Древнеармянской литературы, I, Ереван, 1948, გვ. 93.

[13] Ա. Ֆ. Աբրահամյան, Հայ գիր եվ գրչության պատմություն, Երեվան, 1959, გვ. 368.

რა თქმა უნდა, გამონაკლისს ამ მხრივ არც უძველესი ქართული მონასტრები შეადგენდნენ[14]. რის უტყუარ მოწმობადაც ჩვენამდე მოღწეული მრავალი ხელნაწერი და მათ შორის უძველესი პალიმფსესტური ტექსტებიც კმარა.

რადგან მწერლები თავიანთი საქმიანობით მონასტრებთან იყვნენ დაკავშირებულნი, ამიტომ, მოსალოდნელია, სათანადო სწავლა-აღზრდა მათ იქვე, მონასტრის კედლებში ჰქონოდათ მიღებული.

რა ასაკში იწყებდნენ მწერლობის შესწავლას?

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა 1074 წელს გადაწერილი გრიგოლ ჰრომთა პაპის დიალოღონის ანდერძი: „ლოცვა ჰყავთ ღმერთშემოსილისა სულით და ხორცით წმიდისა მამისა ეფთიმესთჳს, რომლისა ზეობასა ვწერთ, და წმიდათა ბერთათჳს არსენი ეპისკოპოზისა და თანავე კეთილად მწერალისა ამის წიგნისა და მოხუცებულისა იოვანე გრძელისძისათჳს, რომელმან დიდითა წადიერებითა იხარკა ამის წიგნისა შემზადებაჲ და უფროჲს ხოლო წმიდისა ეფთიმის თარგმანებულთათჳს... თუ რაჲ დამეკლოს, გინა დავაკლო, წაღმართ სიყრმითგან არა მესწავლა წერაჲ, შემინდევით შრომისათჳს, კლა ლოცვა ჰყავთ ცოდვილისა ოქროპირისათჳს“[15].

ეს ანდერძი უჩვენებს, რომ იოვანე გრძელისძეს ხელობის შესწავლა გვიან დაუწყია. ამავე დროს ანდერძის ტექსტი იმასაც მიგვანიშნებს, რომ სწავლის დაწყებას ყრმობის ასაკში გარკვეული უპირატესობა ენიჭებოდა.

ქრისტიანული პირველდაწყებითი განათლების სკოლებში (როგორც სამონასტროში, ასევე კერძოში), მოსწავლეთა რეგლამენტაცია ასაკის მიხედვით არ იყო მიღებული. სწავლის დაწყება შეეძლოთ როგორც ბავშვებს, ასევე მოზრდილებს[16].

მაგრამ ქართულ მონასტრებში, გარკვეულ საუკუნეებში, ეს წესი არ ტარდებოდა. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება გვაუწყებს, რომ VIII—IX საუკუნეებში ქართულ მონასტრებში სასტიკად ყოფილა აკრძალული მცირეწლოვანთა მიყვანა. როდესაც გრიგოლმა მცირეწლოვანი ეფრემი და არსენი მიიყვანა ხანცთას, ძმათა შორის „დრტჳნვაჲ იყო ყრმათა მათთჳს მოყვანებისა“. მათ მოახსენეს გრიგოლს: „საქმენი შენნი განუკითხველ არიან ყოველნი, თჳნიერ ამისსა, რომელ ყრმანი ესე მოიყვანენ, და წესსა შენგან დამტკიცებულსა შენ ზევე გამოეკუებების მომავალთა ჟამთა საკდემელად ჩუენთა“[17].

ანალოგიური ხასიათის ცნობაა იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში: „კუალად ძმათა ვიეთმე მოიყუანნიან თჳსნი ნათესავნი უწუერულნი, მამასაცა ჰნებავნ, რაჲთამცა ისწავლეს სწავლაჲ და ჴელოვნებაჲ, გარნა მონასტერსა არა დაიმჭირნის, არამედ გარე სოფელთა გაგზავნნის, სადა იცოდის უმჯობესი და სულიერი გამოცდილი იკონომოსი, და მუნ აღიზარდნიან. და ოდეს წუერითა შეიმოსნიან, მაშინ შემოიყვანნის მონასტრად“[18].

---

[14] ქ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, I. გვ. 80—110; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, თბ., 1962.

[15] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), IV, № 1103, თბ., 1954, გვ. 80.

[16] История Византии, II, М., 1967, გვ. 82.

[17] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 271.

[18] იქვე, II, გვ. 82.

ამ ცნობის მიხედვითაც, ათონის ივერთა მონასტერში X—XI საუკუნეებში აკრძალული ყოფილა ბავშვების მიყვანა. მაგრამ მონასტერი „უწუერულთ“ თავისი ზედამხედველობის სფეროდან არ უშვებდა. ისინი იგზავნებოდნენ „გარეშე სოფლად“, სადაც ისწავლებოდა „სწავლაჲ და ჴელოვნებაჲ“, ვფიქრობთ, აქ უნდა იგულისხმებოდეს სამონასტრო სასწავლებელი, რომელიც მონასტრისაგან ტერიტორიულად შორს იყო, მაგრამ ორგანიზაციულად მას ექვემდებარებოდა. ასეთ სასწავლებელს, წყაროს ცნობით, ორგანიზაციულ და სამეურნეო ხელმძღვანელობას იკონომოსი უწევდა. ხელნაწერის დამზადების საქმის შესწავლაც მოსალოდნელია, რომ ასეთი სამონასტრო სასწავლებლებში ხდებოდა.

მონასტრის ტერიტორიაზე მცირეწლოვანთა შეყვანას სასტიკად კრძალავს „ვაჰანის ქვაბთა განგებაც“: „ნუმცა დიაკონი იზრდების მას შინა, გინა უწუერული ყრმაჲ. ნუცამცა ვინ იკადრების თჳსსა ნათესავსა, გინა ძმასა, ანუ შვილსა უჰასაკოსა და უწუერულსა შემოყვანად მონასტერსა შინა ნუ რომლისა მიზეზისა მოღებითა“[19].

თუმცა, ზოგიერთი მონასტერი ამ წესს არ იცავდა. ასე მაგალითად, გიორგი მთაწმიდელის მშობლებმა თავიანთი ქალიშვილი თეკლა და პატარა გიორგი, როცა ისინი შვიდი წლისანი გახდნენ, წაიყვანეს სამცხეს და დედათა მონასტერში მიაბარეს აღსაზრდელად[20].

მასწავლებელს ძველად მოძღვარი ეწოდებოდა. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ მოძღვარი მეცნიერი ბერი იყო, რომელსაც მოწაფენი ჰყავდა და რომელთანაც სხვადასხვა მხრიდან მოდიოდნენ ხოლმე სასწავლებლად. მოძღვარი თავის მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და მწერლობას, მეცნიერებას და რომელიმე ხელოვნებას ასწავლიდა. მოწაფე თავის მოძღვართან ცხოვრობდა და სწავლობდა[21].

მოძღვრის ფუნქციებს უფრო ავიწროვებს ნ. ბერძენიშვილი, რომელიც განიხილავს გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიის მასალებს და ასკვნის, რომ მოძღვარი უპირატესად წეს-სათნოების მაგალითია და მასწავლებელი, მწვრთნელია, აღმზრდელია და არა წიგნის მასწავლებელი[22].

კ. კეკელიძის აზრით, მოძღვარნი უნდა ყოფილიყვნენ ის ოსტატები ან მასწავლებლები, რომელთა ხელში იყო სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმე[23].

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში მოძღვარი საკმაოდ ხშირად გვხვდება. ეს მაგალითები სავსებით ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ მოძღვარი თავის მოწაფეს სულიერად წრთვნიდა და ამასთანავე რომელიმე ხელობის ცოდნას გადასცემდა.

ასე მაგალითად, სებერიანე გაბალოვნელის „მოციქულთა სახსენებელში“ გვხვდება „ჴელოვანთ მოძღუარი“: „გუშინდელი იგი სიტყუაჲ თუალსაღა გუამისასა სანთლად იტყოდა; დამაკჳრვა ჩუენ, შუენიერებასა მას ბუნებისასა გჳთხ-

19 ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 143.

20 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 111, 113.

21 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნ. II, თბილისი, 1929, გვ. 55.

22 მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ, თბილისი, 1937, გვ. 13.

23 კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 73.

რობდა და მეცნიერებასა ქ ე ლ ო ვ ა ნ თ მ ო ძ ღ უ ა რ ს ა დაჰკვრდებოდა“[24].

სომხურ ტექსტშია: *ერևկի ճառն վասն սկան մարմնոյ զարմացոյց զմեզ բնութիւնն մեկնէր, և ընդ իմաստութիւն ճ ա ր տ ա ր ա պ ե տ ի ն զարմանայր*[25].

მოძღუარი ერქვა კერძოდ, ხელნაწერის დამზადების მასწავლებელსაც. XIV საუკუნის ლარგველი მწერალი, ავგაროზ ბანდაისძე, გადმოგვცემს: „წყალობითა ღმრთისათა მომეცა თ ჳ ნ ი ე რ მ ო ძ ღ უ რ ი ს ა ქ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ე ს ე ვ ი თ ა რ ი...“ შემდეგ ჩამოთვლილია სხვა ხელობათა შორის „წ ე რ ა ჲ ხ უ ც უ რ ი ს ა ჲ“, „შექმნაჲ ეტრატისაჲ“, „შეკრვაჲ წიგნისაჲ“, რომლებიც ავგაროზ ბანდაისძეს მოძღვრის გარეშე შეუსწავლია[26].

ზოგჯერ, ხელნაწერთა ანდერძებში გადამწერები იხსენიებენ კიდეც თავიანთ მოძღვრებს. ასეთია, მაგალითად, XI ს. გადაწერილი სახარების (A—845) ანდერძი: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შავსა მთასა უდაბნოსა... ქ ე ლ ი თ ა შ ა ვ ზ ა ქ ა რ ი ა ჲ ს ი თ ა... მადლითა და ლოცვითა მ ო ძ ღ უ რ ი ს ა ჩემისა საბა პროკოპეწმიდელისაჲთა, რომელი მკჳდრ იყო მონასტერსა წმიდისა სჳმეონ საკჳრველთმოქმედისსა. დიდი წყალობა და კეთილი ყო ჩემ ზედა. უსასყიდლოდ და მ ო წ ა ფ ე ს ა მ ი ს ს ა დ ა ნ ი ე ლ ს შეუნდვენ ღმერთმან“[27].

ანდერძის დაწერის მომენტისათვის „შავ ზაქარია“ უკვე აღარ ყოფილა „მოწაფე“, იგი და მისი ყოფილი მოძღვარი სხვადასხვა მონასტრებში მოღვაწეობენ. საინტერესოა, რომ მოძღვარს ზაქარიასთან ერთად სხვა მოწაფეც ჰყოლია, დანიელი.

მოძღვარს იხსენიებს სხვა პირებთან ერთად, sin—19-ის გადამწერი მიქაელი: „დიდებაჲ შენდა, უფალო, დაიწერა სახარებაჲ ლუკასი თავი ამაღლებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა ზეცად წელსა მეათხუთმეტესა. ლოცვა ყავთ, ქრისტე, შეიწყალე მ ო ძ ღ უ ა რ ი დ ა ვ ი თ და მიქაელ უცბად მჩხრეკალი და მოსე და მიქაელ და ჭიტაჲ და სჳმიონ და მშობელნი და ძმანი მათნი. ამენ...“[28]

მოძღვარ გაბრიელს ხშირად იხსენიებს X საუკუნის სინელი მოღვაწე, იოვანე ზოსიმე:„მომემადლა მე, ფრიად ცოდვილსა იოვანეს და დავჩხრიკე წმიდაჲ ესე სახარებაჲ ოთხთავი ქელითა ჩემ ცოდვილისაჲთა დიად ხაშმან და ბრმამან... თანაშეწევნითა ძმათა ჩემთაჲთა, გიორგისითა და კჳრიკესითა და მ ო ძ ღ უ რ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ი თ ა, და შევწირეთ მუნვე მთასა წმიდასა სინასა...“[29]

მ ო ძ ღ ვ ა რ ი გ რ ი გ ო ლ ი გვხვდება 978 წელს გადაწერილი კრებულის გადამწერის, საბა კუტის ანდერძში[30].

---

[24] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. V, 1963, გვ. 89.

[25] ი ქ ვ ე.

[26] ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A—575, 310r.

[27] М. Т. Джанашвили, Описание рукописей Церковного музея, кн. III, Тифлис, 1908, გვ. 61.

[28] G. Garitte, Catalogue des manuscrits Géorgiens littéraires du mont Sinai, Louvain, 1956, გვ. 57.

[29] იქვე, გვ. 48.

[30] ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), III, № 1346, თბილისი, 1948, გვ. 292.

მარხვანის (Sin—5) ანდერძში მოხსენიებულია მ ო ძ ღ ვ ა რ ი ი ო ვ ა ნ ე გ ო ლ გ ო თ ე ლ ი[31], მეორე მარხვანის (Sin—75) გადამწერი თავისი მოძღვრის, სამოთხელის სულის შენდობას სთხოვს ღმერთს. მოძღვარ სამოთხელს რამდენიმე მოწაფე ჰყოლია: „შემინდვე კეთილო, ესე აქამომდე მე დამიშავებია და წალმართ სხუასა ვისმე დაუშავებია. ლოცვა ყავ, ღმერთმან გარწმუნოს. შეუნდვენ ღმერთმან მ ო ძ ღ უ ა რ ს ა ს ა მ ო თ ხ ე ლ ს ა და ყ ო ვ ე ლ თ ა მ ო წ ა ფ ე თ ა მ ი ს თ ა, და მ ა თ ე ს, ა მ ი ს ს ა დ ა მ ჩ ხ რ ე კ ე ლ ს ა“[32].

მ ო ძ ღ ვ ა რ ი ს ტ ე ფ ა ნ ე მოხსენიებულია მიქაელ მოდრეკილის იადგარის მინაწერში[33].

მ ო ძ ღ ვ ა რ ს ასახელებს აგრეთვე ელისე ჩიდანისძე. ერთ სინურ ალაპში: „სულსა მ ო ძ ღ უ ა რ ს ა ჩ ი დ ა ნ ი ს ძ ე ს ა დ ი ო ნ ი ს ი ო ს შეუნდოს ღმერთმან, მეუღლე ყოფილსა მისსა მართას შეუნდოს ღმერთმან და ძეთა მათთა იოვანეს ჩიდანისძეს შეუნდოს ღმერთმან. და ა მ ა მ ა ტ ი ა ნ ი ს ა კ ე ლ ი თ ა მ წ ე რ ე ლ ს ა ჩ ი დ ა ნ ი ს ძ ე ს ა ელია ყოფილსა ელისეს შეუნდოს ღმერთმან“[34].

მოძღვრისა და მოწაფის დამოკიდებულების საკითხი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს და ამჯერად მხოლოდ ზოგადად შევეხებით მას. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, მოძღვრის უპირველესი მოვალეობა იყო მოწაფის ზნეობრივი სრულყოფის გზით წარმართვა[35]. ამიტომაც მ ო წ ა ფ ე ი ყ ო მ ო ძ ღ ვ რ ი ს „სულიერი შვილი“: „... მე, გლახაკმან სულითა და ჯორცითა ღირს ვიქმენ დაწერად წმიდისა ამის წიგნისა ჩემ მიერ ლავრასა შინა წმიდისა საბასასა, თ ა ნ ა შ ე წ ე ვ ნ ი თ ა ს უ ლ ი ე რ ი ს ა შ ვ ი ლ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა ტიმოთესითა...“[36] ბასვე უნდა განემარტა მოწაფისათვის მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითადი პრინციპები. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ გიორგი ბერისადმი მიწერილი წიგნი: „მ ო ძ ღ უ ა რ თ ა, რ ო მ ე ლ თ ა მ ო წ ა ფ ე ნ ი ე ს ხ ნ ე ნ, უკუეთუ წვალებასა, ანუ კაცის-კლვასა, ანუ სიძვასა, ანუ გრძნებასა და სხუასა რასმე ბილწებასა აწუევდეს მოძღუარი, არა აქუს კელმწიფებაჲ; და მოწაფე იგი თჳთ ურჩ ექმნას, არა არს ბრალ მისდა. ამათ კულა საქმეთაგან კიდე სხუაჲ, რაჲცა ამცნოს მოწაფესა, რომელი ეკითხოს, კელმწიფებაჲ აქუს მოძღუარსა, და მოწაფესა თანა-აც მორჩილებაჲ“[37].

მოწაფესაც გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა მოძღვრის წინაშე. სახელდობრ, მას არ შეეძლო მოძღვრის დაუკითხავად მონასტრის დატოვება. მოწაფეს მოძღვართან განშორების უფლება მხოლოდ მაშინ ჰქონდა, თუ კი მოძღვარი თავის ვალდებულებებს არ შეასრულებდა: „ხოლო წარსლვაჲ მ ო ძ ღ უ რ ი ს ა გ ა ნ თჳნიერ წამებისა მისისა არა კელეწიფების უკუეთუ კულა მ ო ძ ღ უ ა რ ი იგი ადგილსა ეგევითარსა ჯდეს, ხოლო მ ო წ ა ფ ე დაცემასა შთავარდებოდის, ჰრქუას მ ო ძ ღ უ ა რ ს ა მას და მან არა იზრუნოს სულის მისისაჲ და ამის პირისათჳს განეშოროს, მ ო წ ა ფ ე იგი უბრალო არს.

---

31 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 15.

32 იქვე, გვ. 121.

33 ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), I, № 425, თბილისი, 1959, გვ. 564.

34 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

35 მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ, გვ. 13.

36 G. Garitte, Catalogue des manuscrits Géorgiens... № 36, გვ. 143.

37 ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1970, გვ. 7.

სხუაჲ კულა არარაჲ არს მიზეზი ურჩებისაჲ და განშორებისა მისისაჲ მ ო ძ ღ უ რ ი ს ა გ ან. თუ ურჩებითა და თავხედობითა განეშოროს და არა შეჰრაცხონ მცნებაჲ მ ო ძ ღ უ რ ი ს ა ჲ, სული თჳსი წარიწყმიდოს"[38].

მოძღვარი, ვითარცა სულიერი მწყემსი, განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობდა ძმობის წევრთა შორის. მის პრივილეგირებულ მდგომარეობაზე ეაჰანის ქვაბთა განგებიდან ერთი ადგილიც მიუთითებს: „... გაუჩინნე საჩოჯედ-ცა... მ ო ძ ღ უ ა რ ს ა ვ ი დ რ ე მ ე, ვ ი თ ა რ ც ა მ წ ყ ე მ ს ს ა ს უ ლ ი ე რ-ს ა და უცთომელსა წინამძღუარსა, მიეცემოდის ექსი დოკატი". მაშინ, როდესაც დეკანოზსა და იკონომოსს ოთხ-ოთხი დუკატი და ა. შ.[39].

ამავე დროს მოძღვრის უფლებებიც არ იყო განუსაზღვრელი. მათ მოწაფეთა აყვანა მხოლოდ თავისი სურვილის მიხედვით არ შეეძლოთ. მოძღვრებს ეკრძალებოდათ სხვა მოძღვართა მოწაფეების წართმევა, ისევე, როგორც მოწაფეებს არ შეეძლოთ ერთი მოძღვრიდან მეორესთან გადასვლა: „არცა ვის ძმათაგანსა ჯელეწიფების მ ო წ ა ფ ე ყოფად სხჳსა მ ო ძ ღ უ რ ი ს ა და არცა მოგებად მ ო წ ა ფ ე თ ა, არცა შიგან მონასტრისა და არცა გარეთ"[40].

ეს წესი მოწაფეს აიძულებდა დაკმაყოფილებულიყო თავისი მოძღვრის ცოდნითა და გამოცდილებით. მოწაფე ხდებოდა თავისი მოძღვრის მემკვიდრე, მისი ტრადიციის გამგრძელებელი. ამიტომაც, ამ წესს შეეძლო ქცეულიყო ცალკეულ სამწერლო კერებს შორის არსებულ განსხვავებათა ერთ-ერთ მაპირობებელ ფაქტორად.

მოძღვარსა და მოწაფეს შორის ურთიერთობის ასე მკაცრად განსაზღვრა უკვე მიუთითებს მათ შორის გარკვეული წინააღმდეგობის არსებობაზე. ეს წინააღმდეგობა უფრო აშკარად ჩანს გვიანფეოდალურ ხანაში, როცა ხელოსანი ბერები არად აგდებენ არც მოძღვრის, არც მონასტრის საერთო კონტროლს და დამატებითი გასამრჯელოს შოვნის მიზნით შორს სცილდებიან მონასტრის კედლებს[41].

ასეთი ფაქტები იმდენად გახშირებულა, რომ 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილებაში სპეციალური მუხლი შეუტანიათ, რომელიც ასეთ „ურჩ მონაზონთა" მონასტრიდან გაძევებას მოითხოვს: „ვამცნებთ მონაზონთა მემხოლოეთა: უკუეთუ, თვინიერ ნებისა და შენდობისა თჳსის მამის და წინამძღვრისა გამოვიდეს მონასტრით, ყოვლადვე ნურავინ შეიწყნარებს მას, არამედ განაძინ, ვითარცა ურჩი ჰეშმარიტისა კანონისაჲ და მორჩილების დამწიხნელი"[42].

ფეოდალიზმის ხანაში ძალზე გავრცელებული წესი იყო ამა თუ იმ სახელოს ან ხელობის მემკვიდრეობით გადაცემა. საქართველოში ამ წესის მოქმედება განსაკუთრებით გვიანფეოდალურ ხანაში შეიმჩნევა[43].

---

38 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 7.

39 იქვე, გვ. 139.

40 იქვე, გვ. 136.

41 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 148.

42 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 800.

43 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ენიმკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 164; შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ, წიგნში: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1948, ნ-I, გვ. 017; ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართველ მდივან-მწიგნობრებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 73.

ხელობის ძეძკვიდრეობითობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო XVI—XVII სს. აღმოსავლეთის ქვეყნებში. ოსტატი ხელოსნები ცდილობდნენ შეგირდებად თავიანთი შვილები ან მახლობელი ნათესავები აეყვანათ[44]. ასეთი წესი, გარდა იმისა, რომ ხელოსანთათვის მატერიალური თვალსაზრისით ძალიან ხელსაყრელი იყო, ხელს უწყობდა მათი პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებასაც.

მემკვიდრეობითი იყო კერძოდ, კალიგრაფთა ხელობაც. ასე მაგალითად, XVI ს. ცნობილმა ირანელმა კალიგრაფმა, მავლანა ისმაილმა, ხელობა თავისი მამისაგან, მავლანა იბრაჰიმისაგან შეისწავლა. მავლანა დუსტ ხარატმა ბიძისაგან შეიძინა კალიგრაფიის კანონების ცოდნა. „ექვსეულის“ სტილის ფუძემდებელმა, იბნ მოკლამ პროფესია თავის შვილებს გადასცა[45].

საქართველოში მწერალთა ხელობა მემკვიდრეობითი ჩანს უძველესი დროიდან — შესაძლებელია, სწორედ ამ წესის მოქმედების კვალი ჩანს სინური მრავალთავის ანდერძში: „მე, მაკარი ლეთეთელი, ძმა გრიგოლ გძელისაჲ, ცოდვილი ფრიად, ღირს მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთავისა, შეწევნითა ძმისა ჩუენისა სულიერად პიმენ კახისაჲთა და კელთწერითა დედის ძმისწულისა ჩემისა ამონა ვახთანგ მოძარღულისა ძისაჲთა“[46].

სინური მრავალთავი, როგორც ცნობილია, რამდენიმე პირის მიერ არის გადაწერილი. ხელნაწერის შექმნის ინიციატორი, ორგანიზატორი და გადაწერის მონაწილე ყოფილა მაკარი ლეთეთელი[47]. მისი ახლო ნათესავი ყოფილა ამონა. არ არის გამორიცხული, რომ ამონას მწერლის ხელობა სწორედ მაკარი ლეთეთელისაგან ჰქონოდა შესწავლილი.

ხელობის ცოდნა გადადის ძმიდან ძმაზე: „ხოლო დაიწერა კელითა დავითისითა ლავრასა დიდსა ხახულსა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა მეფობასა რომანოსისა. და იღუაწა ჩემ თანა კორციელად ძმამან ჩემმან მიქელ, რომელ იგი მიკაზმვიდა რეულებსა და სხუასა ყოველსა საჭმარსა. ქრისტე, ძეო ღმრთისა, შეუნდვენ ცოდვანი მისნი. ხოლო რომელთა ამის წიგნის წერასა ნუგეშინის მცეს ვრცელითა ნუგეშინის ცემითა..., განუსუენე ძეო ღმრთისაო“[48].

XI საუკუნის პირველ ნახევარში გადაწერილი ორი ხელნაწერის — ბასილი დიდის ფსალმუნთა თარგმანების (A—135) და სვინაქსარის (H—2211) — ანდერძების შეჯერების შედეგად ე. მეტრეველმა დაადგინა ამ ხელნაწერების შემქმნელ დავით და ივანე ჯიბისძეთა გენეალოგიური შტო[49]. გამოირკვა, რომ დავით ჯიბისძე ყოფილა ივანეს ბიძა, ისინი ჯერ შატბერდში მოღვაწეობდნენ ერთად, შემდეგ შავ მთაზე გადასულან[50]. ხელნაწერთა დამზადების საქმე ივანე ჯიბისძეს თავისი ბიძის, დავითისაგან შეუსწავლია. დავითი ყოფილა ივანეს მოძღვარი, ამიტომ იგი მას უწოდებს შვილს: „... დავწერე კელითა სუ-

44 კ. კუცია, სეფიანთა ირანის ქალაქები, წიგნში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 87.

45 Кази-Ахмед, Трактат о каллиграфах и художниках. Л., 1956. გვ. 91, 64.

46 ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა, თბილისი, 1959, გვ. 280.

47 იქვე, გვ. 299.

48 ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, № 30, თბილისი, 1955, გვ. 67.

49 ე. მეტრეველი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI ს-ის პირველ ნახევარში, მუზეუმის მოამბე XX—B, 1959, გვ. 94.

50 იქვე, გვ. 99.

ლიერითა ძმათა ჩემთაჲთა საბასითა, მიქაელისითა და გაბრიელისითა და გავასრულე კელითა შ ვ ი ლ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა ი ვ ა ნ ე ს ი თ ა, და შევმოსე უღირსითა კელითა ჩემითა, და დავდევ შემდგომად სიკუდილისა ჩემისა შატბერდს...“[51]

XVII საუკუნიდან ცნობილია ბედისმწერლიშვილთა საგვარეულოდან გამოსული გადამწერები: ფარემუზ ბედისმწერლიშვილი (მის მიერაა გადაწერილი ხელნაწერები H—1742, Q—663); ნათანელ ბედისმწერლიშვილი (მას გადაუწერია H—16, H—1207, H—1755); იესე ბედისმწერლიშვილი (მისი ნახელავია H—972, H—1742, Q—663).

ხელობა გადასულა პაპიდან შვილიშვილზე: „უფალნო ჩემნო, მამანო და ძმანო... კონდაკი ესე, რაც ოდენ ძველი ნაწერია, კურთხევით კსენებულისა პაპის ჩემის ნაწერია, რადგან იმისი ჰირნახულდებულია. მცირედ მეც ვიჭირნახე და ვანვაახლე. გადმოვწერე რაც მოძველებულიყო, მე, უღირსმან და ყოველთა კაცთა უნარჩევესმან, ცოდვილმან მღვდელმან ნიკოლოზ“[52].

წიგნის გადაწერა შემოსავლიან ხელობად ითვლებოდა. ბიზანტიის იმპერიაში უკვე IV—V საუკუნეებიდან ცნობილნი არიან ხელოსანი გადამწერები, რომლებიც ემსახურებოდნენ არა მარტო „ძმობის“ მოთხოვნილებებს, არამედ ქალაქის ბაზარსაც[53].

იოვანე ხუცესის „ეპიფანე კვპრელის ცხორება“ გვაუწყებს, რომ წიგნის გადაწერით მთელი ოჯახის რჩენა შეიძლებოდა: „მაშინ ჰრქუა მას დედამან თჳსმან: მიესცეთ ქუეყანაჲ ესე ჩუენი კაცსა მოქმედსა, რაჲთა ისწავო შენ კ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ჲ, რ ო მ ლ ი თ ა შ ე უ ძ ლ ო თ ა ვ ს ა შ ე ნ ს ა ც ა თ ჳ ს ს ა ზ რ დ ა დ ა ჩ ე მ ს ა ც ა დ ა შ ე ნ ი ს ა დ ი ს ა ც ა პ უ რ ი ს ა მ ო ც ე მ ა დ ჩ უ ე ნ დ ა“[54]. ასეთ ხელობად ეპიფანეს „წიგნის წერაჲ“ ასწავლეს. აქვე მოთხრობილია ვინმე ლუკიანეს შესახებ, რომელსაც საშემოსავლო ხელობად წიგნების წერა ჰქონდა გახდილი.

საარსებო წყაროს წარმოადგენდა ხელნაწერების გადაწერა ქართველ მწერალ ბერთათვის. „სასყიდლით წერაჲ“ ხელს არ უშლიდა სულის საქმისათვის ზრუნვას. ამის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს XI საუკუნეში შავ მთაზე გადაწერილი სახარების ანდერძი: „შემინდევით პირველისათჳს, უცბად, უმეცრად ჩხრეკისათჳს, სხვაჲ ღონე არა მაქუნდა, საფასისაგან გლახაკად ვიყავ და უ ს ა ს ყ ი დ ლ ო დ ა რ ა ვ ი ნ დ ა მ ი წ ე რ დ ა, ლოცვა ყავთ ჩემ უბადრუკისათჳს“[55].

ბევრი იძულებულია ღრმა მოხუცებულობაშიც კი განაგრძოს წერა. ამას უჩვენებს წყაროსთავის ოთხთავის ერთ-ერთი გადამწერის, იოვანე ფუქარალისძის ანდერძი: „დღითა მოხუცებულ ვიყავ, ოდეს ესე დავწერე და თუალითა სინათლე მომკლებია. ღმერთმან გარწმუნოს, სულისა ჩემისათჳს ლოცვა ყავთ. ს ა ს ყ ი დ ლ ი თ წ ე რ ა ჲ დ ა ს ტ უ რ ა რ ა მ ი შ ლ ი ს ლ ო ც ვ ა ს ა“[56].

---

51 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI ს-ის პირველ ნახევარში, მუზეუმის მოამბე, XX—B, 1959, გვ. 102.

52 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), II, № 1295, თბილისი, 1961, გვ. 149.

53 История Византии, II, М., 1967, გვ. 26.

54 საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, თბილისი, 1966, გვ. 94.

55 М. Г. Джанашвили, Описание рукописей Церковного музея, кн.—III, № 845, გვ. 61.

56 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ახალი Q კოლექცია), II, № 907, თბ., 1958, გვ. 325.

მომგებელს შეეძლო გასამრჯელოს ნაწილი ნატურით გადაეხადა: „სახელითა... და მეოხებითა კჳრიკეს და იულიტესითა... ღირს ვიქმენით ჩუენ ცოდვილნი და უღირსნი მონანი — და გლეხნი წმიდისა კჳრიკუსნი დაწერინებად წმიდისა ამის ოთხთავისა... ორმა სახლმა დავაწერინეთ: მუჩათურმან და გავაზელთა, ჩუენითა ალაფითა, კელფასითა და პურწყლითა და ყოველითა ჩუენითა საჭმრითა...“[57]

ერთი გადამწერი წყეველა-კრულვით იხსენიებს მის დამკვეთს, რომელიც მას უგულისყუროდ ექცეოდა: „ღმერთო, შეიწყალე მწერალი ამისი ზებედე ცოცხლებით და ცხოვნებით, და დედ-მამათა ჩემთა შეუნდვნეს ღმერთმან, ვინცა შენდობით მომიჯსენოთ, თქუჱნცა შეგინდვნეს ღმერთმან. ავისა ნაშრომისათჳს ნუ დამწყევთ, რამეთუ თჳთ ღმერთმან იცის, ამის წერაშიან არცა პატივი მჭონდაჲ და არცა ვინ იყო ჯელის ამპყრობელი. შიმშილითა, გლახ რუდუნებით ვსწერდი. ღმერთო, დასწყეველე და წმიდაო ღმრთისმშობელო თოხობაჲ იოანე, არა მაჭამა რა, ავადაც მომეპყრა“[58].

თუ კი წიგნი მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენდა, მასზე გაღებული ხარჯები საერთო იყო: „ხოლო ხარჯი წიგნთა საძმოთ და სამონასტრო იყვეს. არა ხოლო მის წიგნისა, არამედ ყოველთა წიგნთა, რავდენიცა შეიკაზმა ჯელითა ჩუენითა“[59].

ნიკორწმიდის სიგელის მიხედვით ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ X—XI სს. ხელნაწერი დაახლოებით 30 დრაჰკანი ჯდებოდა[60].

რა თქმა უნდა, ყველა ხელნაწერი ერთი ფასი არ ეღირებოდა. განსაკუთრებით ძვირი დაჯდებოდა ცნობილი გადამწერების მიერ გადაწერილი და მდიდრულად შემკული ხელნაწერები, რომლებსაც საზეიმო შემთხვევებში ხმარობდნენ. იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში ნათქვამია, რომ თეოფანე ხუცესს, რომელიც იყო „სათნოჲ უფლისაჲ და სწავლული ფრიად და კ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი თ მ წ ე რ ა ლ ი წ ი გ ნ თ ა საღმრთოთაჲ..., უფროჲს ათას ხუთასისა დრაჰკნისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი შინა და გარე“[61].

თუ რამდენად დიდ თანხას შეადგენდა იმ დროს ათას ხუთასი დრაჰკანი, იქიდანაც ჩანს, რომ იმავე ძეგლის ცნობით, სამას ორმოც დრაჰკნად მონასტრის ყიდვა შეიძლებოდა[62].

მომდევნო საუკუნეებში ხელნაწერთა ფასების შესახებ ცნობები აღარ მოგვეპოვება. ქაღალდის საწერ მასალად გავრცელებას არ შეეძლო არ დაეწია მისი ღირებულება. XVIII ს. გადაწერილი ერთი ხელნაწერის ანდერძის თანახმად, ანტონ ეპისკოპოსს ოცდახუთი მარჩილი გადაუხდია ლაზარე მწერლისათვის[63].

ხელნაწერთა კონკრეტული ღირებულების შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის ე. წ. „მზითვის წიგნები“. ერთი ასეთი წიგნის მიხედვით, XVIII ს. ბოლო წლებში სახარება ღირდა ორი თუმანი, დავითნი — სამი მინალთუნი, კა-

---

57 ხელნაწერთა ინსტიტუტი A—281, 80r.

58 იქვე, A—743 აბ, 212v.

59 ნ. მ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, № 38, გვ. 80.

60 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. I ტფ., 1907, გვ. 49.

61 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 90.

62 იქვე, გვ. 80.

63 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, № 30, თბილისი, 1953, გვ. 9.

ტიღორია — თუმანი, ლოღიკა — ორი თუმანი. ვეფხისტყაოსანი „საუცხოო, გარსჯაზვარშემოვლებული“ — ორი თუმანი, სამართლის წიგნი — თორმეტი მი-ნალთუნი და სხვ.[64].

მომგებლები წიგნებს არა მარტო პირადი სარგებლობისათვის აწერინებდნენ, არამედ, რომელიმე მონასტრისათვის შესაწირადაც. არის შემთხვევები, როდესაც გადამწერები თვით სწირავენ მონასტერს თავიანთ მიერ გადაწერილ წიგნებს ე. ი. თვითვე არიან მწერლებიცა და მომგებლებიც. ამის სანიმუშოდ გამოგვადგება Ier—30-ის ანდერძი: „ხ ო ლ ო დ ა ი წ ე რ ა კ ე ლ ი თ ა დ ა ვ ი თ ი ს ი თ ა ლ ა ვ რ ა ს ა დ ი დ ს ა ხ ა ხ უ ლ ი ს ა, საყოფელსა წმიდისა ღმრთის მშობლისსა... და შ ე ვ წ ი რ ე პ ა ლ ა ვ რ ა ს, რომელ არს ხარიტონ წმიდაჲ... ესცა მიხუდეს, და მას წმიდა ადგილსა გამოაკუას ესე მცირედი ნაშრომი ჩუენი, და ესე ანდერძი ჩუენი შეცვალოს, ანუ აჰოცოს, ამჰოცილ არს წიგნისა მისგან ცხოელთაჲსა“[65].

მსგავსი ცნობები სხვა მრავალ ხელნაწერშიც მოგვეპოვება: „მ ე, ბ ე რ მ ა ნ კ ლ ი მ ი, დ ა ვ წ ე რ ე ნ ჩვენითა საჰმრითა ყოვლითურთ სრულნი და უნაკლულნი და შ ე ვ წ ი რ ე ნ ე კ ლ ე ს ი ა ს ა...“[66]

„წმიდანო ღმრთისანო, მე, გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან მ ი ქ ა ე ლ გ ვ რ გ ვ ნ ი ს ძ ე მ ა ნ, დ ა ვ ჩ ხ რ ი კ ე ნ წმიდაჲ ესე სულთა განმანათლებელი სტუდიელი, სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა სანახებსა წ მ ი დ ი ს ა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს ა ს ა, მ ო ნ ა ს ტ ე რ ს ა ჯ უ ა რ ი ს ა ს ა...“[67]

ზოგი მწერალი რამდენიმე ხელნაწერს სწირავს მონასტერს: „სახელითა... ღირს ვიქმენ მე, ყოვლად უღირსი ონოფრე მოგებად წმიდათა ამათ პარაკლიტონთა, რვათავე ქმათა სრულთა, ორ წიგნად. პ ი რ უ ე ლ ი თ ვ თ კ ე ლ ი თ ა ჩ ე მ ი თ ა დ ა ვ წ ე რ ე და მ ე ო რ ე სანატრელთა მამათა კჳრიკეს მიერ პატიოსნისა მღუდლისა და მარკოზ ცონცორიკაჲს ასულის წულისა კელითა... ღმერთმან აკურთხნეს და შ ე ვ წ ი რ ე ი ე რ უ ს ა ლ ი მ ს პ ა ტ ი ო ს ა ნ ს ა დ ე დ ა თ ა მ ო ნ ა ს ტ ე რ ს ა ა ხ ა ლ ს ა“[68].

ანალოგიურ ცნობას გვაწვდის შიომღვიმის სახარების ანდერძი: „განსრულდა წმიდა ესე და ყოვლითურთ საწადელი ოთხთავი... მ ო ვ ი გ ე და დ ა ვ წ ე რ ე კ ე ლ ი თ ა ჩ ე მ ი თ ა მე გიორგი..., სახელითა ღუთისათა..., შ ე ვ ს წ ი რ ე ნ მ ა მ ა ს ა შ ი ო ს ოთხთავი სახარებაჲ სრული ყოვლითა განგებითა, კამარითა და ხატითა, ზანდუკითა და ბეჭდითა და ერთი მარხვანი ეტრატსავე ზედა, ერთნი ზატიკნი ეტრატსავე ზედა“[69].

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „მომგებელი — მწერლები“ სხვა ხელოსნების შრომასაც იყენებენ. ასეთ შემთხვევაში ისინი ვალდებულები იქნებოდნენ გასამრჯელო მიეცათ ამ ხელოსნებისათვის. დავით ჯიბისძის ანდერძის მიხედ-

---

64 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, III, თბილისი, 1955, გვ. 257.

65 ნ. მ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

66 R. P. B l a k e. Catalogue de manuscrits Géorgiens de la bibliothèque de la laure d'Iviron au mont Athos. № 63, Paris, 1932, გვ. 252.

67 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), IV, № 1347, გვ. 431.

68 R. P. B l a k e. Catalogue des manuscrits Céorgiens de la bibliothèque patriarchle Grecque a Iérusalem. № 63, Paris, 1924, გვ. 23.

69 ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია) III, № 1344, თბილისი, 1948, გვ. 290.

ვით, ხელნაწერ A—135-ის შექმნაში ხუთი კაცი მონაწილეობდა ანდერძის ავტორის ჩათვლით. აქედან ერთი იყო მისი მოწაფე ივანე, დანარჩენი სამი კი „სულიერი ძმები“: საბა, მიქაელი და გაბრიელი. ამ უკანასკნელთათვის მას მათი შრომის საზღაურად სასყიდელი უნდა მიეცა.

ასეთ „მწერალ-მომგებელთა“ რიცხვში შეიძლება მოვათავსოთ მაკარი ლეთეთელიც, სინური მრავალთავის შემქმნელი ჯგუფის მოთავე: „...და მე, გლახაკმან მაკარი, შევწირე წმიდაჲ ესე მრავალთავი წმიდათა-წმიდასა მთასა სინას, საკსენებელად და სარგებელად თავთა ჩუენთა და სულთა ჩუენთათჳს“[70].

რადგან ხელნაწერი საკმაოდ ძვირი ღირდა, ამიტომ ასეთი შესაწირავის გაღება ყველა ხელოსან მწერალს როდი შეეძლო. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ხელოსანი ამ საქმეს მისდევდა „ფასად პურისა მისა“. ამიტომაც, შეიძლება დავუშვათ, რომ IX—XI საუკუნეებში მწერალ ხელოსანთა შორის გამოიყოფოდა შედარებით „მდიდარ“ ხელოსანთა ფენა.

ხელნაწერი წიგნები მონასტრის ქონების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მონასტრები სიამოვნებით იღებდნენ ასეთ საჩუქარს. მაგალითად, ათონის მონასტრის ერთი აღაპი განწესებულია „მწერალ სჳმეონ ხერკელის“ სახელზე: „ამისთჳს, რომელ ერთი დიდი მეტაფრასი და ერთნი განყოფილნი დავითნი, ორისათჳს-ოჲ, მარტი და აპრილი, დაწერნა და მოახსენნა ყოვლად წმიდასა, და გარდაიკადებოდის მისთჳს აღაპი, ვითა სხუათა ყოველთა შემომწირველთათჳს აღესრულების“[71].

შეწირული წიგნების რაოდენობა და ხარისხი თვით აღაპის შინაარსს განსაზღვრავდა: „თუესა იანვარსაი აღაპი განგჳწესებია პეტრე ხუცისათჳს მე, მამამან იოანე, და ყოველთა ძმათა. შემოწირნა ეკლესიასა ამან კურთხეულმან ძმამან ჩუენმან, პეტრე ხუცესმან, სათუენი ათორმეტთა თუეთანი, თავისა მოგებულნი და თჳსითა კელითა დაწერილნი შჳდად წიგნად, ყოვლითურთ სრულნი, სტიქარონითა და ყოვლითა საგალობელითა, ვითარცა წმიდასა მამის გიორგის ნუსხათა შინა სწერია, უნაკლულოდ. და ამისა უწინა შემოეწირნეს კურთხევანი სრულნი, — მისვე სანატრელისა მამისა გიორგის თარგმნილნი. და ამის ყოვლისათჳს განვაწესეთ: დღესასწაულსა წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა პეტრეს ჯაჭუთა თაყუანის ცემისასა, რათა საუკუნოდ აღესრულებოდის აღაპი მისი ყოვლითა მოსწრაფებითა, პანაშვიდითა და ყოვლისა ლოცვისა წესითა, წესისაებრ და ანაფორითა, და ჟამის წირვითა და ძმათა ნუგეშინის ცემითა. და ეწოდოს მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი და ვინცა ვინ შემდგომად ჩუენსა უდებ იქმნას და უგულებელსყოს და არა გარდაიკადოს წლითი წლად, ანუ დააკლოს რაჲ ვინ ლოცვასა, ანუ ჟამის წირვასა, ანუ ძალისაებრ ნუგეშინის ცემასა ძმათასა, ღმერთმან გასცეს პასუხი“[72].

ხელნაწერთა ერთი ნაწილი ინდივიდუალური შრომის ნაყოფია, ნაწილი კი ხელოსანთა ჯგუფების მიერ არის დამზადებული. ასეთი ჯგუფების არსებობა მოსალოდნელია შედარებით მსხვილ სამწერლო კერებში.

70 სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 281.

71 ათონის კრებული, თბილისი, 1901, გვ. 217.

72 იქვე, გვ. 221—222.

ყოველი ხელნაწერის დამზადება მის შემქმნელ ხელოსანთაგან რამდენიმე ვიწრო სპეციალობის დაუფლებას მოითხოვდა: საწერი მასალისა და მელნების დამზადებას, ტექსტის გადაწერას, რვეულების აკინძვას, ხელნაწერის ყდით შემოსვას და სხვ. ინდივიდუალურად მომუშავე ხელოსანი ყოველივე ამას მარტო ასრულებდა[73], ჯგუფობრივი შრომისას კი სამუშაო დანაწილებული იყო ცალკეულ ხელოსნებს შორის.

ამ პროცესთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა გაირკვეს ჯგუფობრივი გადაწერისას მიღებული შრომის დანაწილების წესები.

ზოგჯერ შრომის დანაწილება ემთხვეოდა ხელობის ვიწრო სპეციალიზაციას. სამუშაო დაყოფილი იყო მ წ ე რ ლ ე ბ ს, მ მ ო ს ვ ე ლ ე ბ ს ა და მ კ ა ზ მ ვ ე ლ ე ბ ს შორის. ეს დაყოფა არ არის ამომწურავი. ხელნაწერთა ანდერძებში ხშირად არიან მოხსენიებულნი თ ა ნ ა მ ე მ წ ე ნ ი[74], რომლებიც ასრულებდნენ სამუშაოს გარკვეულ ნაწილს. შესაძლებელია, ისინი იყვნენ ეტრატის დამჭრელები, მელნისა და კალმების დამამზადებლები, ქაღალდის მლესავები და სხვ. ერთი გადამწერი ლოცვა-კურთხევას უთვლის, ვინმე პავლეს, რომელსაც „დანაჲ ულესავს“[75]. ცალკე იხსენიებენ ხოლმე „მლესავებსა“ და „მწებავებს“[76].

განსაკუთრებით საინტერესო ჯგუფობრივი შრომის ის მაგალითებია, რომლებიც გადამწერთა შორის შრომის დანაწილებას უჩვენებენ. ე. ი. სამუშაოს დაყოფისას მხედველობაში მიღებული იყო სამუშაოს ის ნაწილი, რომლის შესრულება მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. ასეთი კი იყო თვით გადაწერის პროცესი. შრომის დანაწილების ამგვარი წესი შრომის ნაყოფიერების შედარებით ზრდას შეუწყობდა ხელს.

როგორც ჩანს, გადამწერთა შორის სამუშაოს განაწილება ქართულ მონასტრებში უძველესი დროიდან იყო მიღებული. ჩვენამდე პირვანდელი სახით მოღწეული ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტში უკვე ორი გადამწერის ხელი გაირჩევა[77], 864 წელს გადაწერილ სინურ მრავალთავში კი დაწვრილებითი პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად გამოვლენილია შვიდი სხვადასხვა ხელი[78].

ერთი ხელნაწერის გადაწერაში რამდენიმე მწერლის მონაწილეობის შესახებ ცნობებს ხშირად ხელნაწერთა ანდერძები გვაწვდის:

Sin—38, 979 წ. სახარება, ორი თავი ეზრა დაყუდებულს დაუწერია, დანარჩენი ორი — იოვანე ზოსიმეს.

Sin—30, X ს. გადაუწერიათ იოვანე ზოსიმესა და გიორგი „მათთანა მწერალს“.

---

73 შდრ. ავგაროზ ბანდაძის ანდერძი; ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967, გვ. 15.

74 G. Garitte, Catalogue des manuscrits Géorgiens... გვ., 94, 143, 151.

75 А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, каталог рукописей монастыря Св. Креста, Санкт-Петербург, 1889, გვ. 41.

76 ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), XVII ს. მეტაფრასი № 1513. მინაწერი: „ღმერთო, შეიწყალე ამ გულანის მწებავი და მლესავი იოანე კალანდაძე“, გვ. 301, ქაღალდის ლესვისა და წებვის შესახებ იხ. რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, ქაღალდის დამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. პალეოგრაფიული ძიებანი I, თბილისი, 1965, გვ. 45—56.

77 ა. შ ა ნ ი ძ ე, ხანმეტი ლექციონარი, თბილისი, 1944.

78 ც. ჭ ა ნ კ ი ე ვ ი, დაკარაგმების წესები ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 1966, გვ. 61.

Ath.—4, 1008 წ. გადაუწერიათ არსენის, იოვანესა და ოქროპირს.

Ath.—60 1043 წ. მიქელს და გიორგის.

სამ მწერალს გადაუწერია ოშკის ბიბლია: „დაიწერა წმიდა ესე წიგნი ხელითა სამთა მწერალთათა: მიქაელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა“. (Ath.—1, 978 წ.).

A—92, XI ს. „დაიწერა ჴელითა ზაქარიაჲსითა, არსენისითა და ბასილისითა“[79].

Q—907, 1195 წ. წყაროსთავის ოთხთავი, გადაუწერია ორ გადამწერს: იოვანეს ფუკარალაჲსძეს და გიორგი სეთაჲსძეს.

A—135, 1035 წ. ხელნაწერი შექმნილია ხუთი კაცის მიერ: „დავწერე ჴელითა სულიერითა ძმათა ჩემთაჲთა: საბასითა, მიქაელისითა და ვაბრიელისითა და შევასრულე ჴელითა შვილისა ჩემისა იოვანესითა...“

Ier—63, 1167 წ. გადამწერებია: ონოფრე, კვირიკე მღვდელი და „მარკოზ ცონცორიკაჲს ასულის წული“.

რამდენიმე პირის მონაწილეობით შექმნილი ხელნაწერები ხშირად გვხვდება გვიანფეოდალურ ხანაშიც. საინტერესოა XVI ს. ხელნაწერის K—10-ის ცნობა: კათალიკოსი ეფთჳმი „ყოველსა წელიწადსა შინა ოთხ-ოთხისა, სამ-სამისა და ორ-ორისა ძჳრლითა გუაწერინებდა და გუაშრომებდა დიდითა პატიჟითა და წყალობითა“[80].

XVI საუკუნეშია გადაწერილი A—187, გადამწერებია: დიაკონი გაბრიელ ლომსიანიძე, მწერალი სიმონ გიორგიძე, კარგარეთელი ამბროსე, საბა ნაჭოფაძე.

Q—652 XVII ს. აგიოგრაფიული კრებულის გადამწერებია: მწერალი დავითი, მწერალი „მღდელი იოანე“, მწერალი თევდორე, დიაკონი ნიკოლოზ.

Q—56, გულანი, გადაწერილი 1736 წ. გადამწერებია: ნიკოლოზ, იოანე ასათიანი, „მღდელი მახარობელი“.

A—167, 1754 წ. დიალოღონის გადამწერებია: კახთ მდივანმწიგნობრის ძე დიაკონი, იოანე და დავით ხუცეს-მონაზონი.

A—186, პარაკლიტონის გადამწერებია: მღვდელი დემეტრე, იოსებ კარგარეთელი, აბრაამი.

Q—105-ა, XVIII ს. ჩხარული გულანის გადამწერებია: მახარებელი გვეჩია, დავითი, „ახალმოსწავლე“ მთავარდიაკონი პეტრე პატარიძე.

Q—103, XVIII ს. შემოქმედის გულანი გადაუწერიათ: მთავარდიაკონ იოანე „ჴელისუფალს“, ათანასე ქავჭარაძეს, საბა მღვდელს.

სია, რა თქმა უნდა, არასრულია. ყველა ხელნაწერის ანდერძი არ შეიცავს გადამწერთა შესახებ ცნობებს, მაშინ, როდესაც თვით ტექსტი აშკარად რამდენიმე პირის მიერ არის გადაწერილი. ასეთებია, მაგალითად ხელნაწერები: S—1249, H-1760, S—1163, S—4933, S—272 და მრავალი სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით გულანები, რომლებიც დიდი მოცულობის ხელნაწერებია, თითოეული მათგანის გადასაწერად ერთ პირს რამდენიმე წლის ინტენსიური მუშაობა დასჭირდებოდა. ამიტომაც გულა-

79 ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A—92, 555v.

80 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. I, თბილისი, 1953, გვ. 64.

ნების შექმნაში მრავალი პირი იღებდა მონაწილეობას[81]. მაგ., A—186 (ა), (ბ) ხელნაწერებში ათამდე ხელი გამოიყოფა.

გადამწერთა ჯგუფების არსებობა ამ ჯგუფებში შრომის განაწილებისა და ანაზღაურების გარკვეული წესების მოქმედებას გულისხმობს.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: ვინ იყო ასეთი ჯგუფების ხელმძღვანელი და როგორი იყო მათი შრომის ორგანიზაცია?[82] ამ საკითხს თავდაპირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება: „ერთი ამ რამდენიმე გადამწერთაგანი გადაწერის ხელმძღვანელი და უფროსი უნდა ყოფილიყო და გადამწერთა ურთიერთშორის დამოკიდებულება გარკვეული წესებით იქნებოდა მოგვარებული. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ გადამწერთა ერთნაირი ამხანაგობანი უნდა ყოფილიყო. X—XI სს., როდესაც საქართველოს კულტურულმა განვითარებამ უაღრეს საფეხურს მიაღწია, გადამწერლების ამხანაგობათა არსებობა და საზოგადოდ ამ ხელობის ფართოდ, სავაჭრო მიზნით ერთობლივი წარმოება ბუნებრივად უნდა ვიგულისხმოთ“[83].

შ. მესხიას აზრით, „მწიგნობრობის კელის“ მქონე ძმებიდან, რომლებიც ერთ „დასში“ იყვნენ მოქცეულნი, ერთი რომელიმე ამხანაგობის ხელმძღვანელი, მწიგნობართა დასის უფროსი უნდა ყოფილიყო[84].

შუა საუკუნეებში გავრცელებული წესის თანახმად, ხელოსნურ ორგანიზაციებში ხელობის მასწავლებელი და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ერთი და იგივე პირი იყო. რადგან საზოგადოდ ყოველგვარი ხელობის მასწავლებელი და კერძოდ, მ წ ე რ ა ლ თ ა მასწავლებელიც მ ო ძ ღ ვ ა რ ი იყო, მოსალოდნელია, რომ იგი იქნებოდა აგრეთვე ჯგუფურად მომუშავე ხელოსანთა უფროსიც. მ ო ძ ღ ვ ა რ ი ს გამოყენება არა მარტო მ წ ე რ ა ლ თ ა ჯგუფის, არამედ სხვა პროფესიული ნიშნით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფის უფროსის აღმნიშვნელ ტერმინად, არ არის უჩვეულო ძველი ქართული მწერლობის ძეგლთათვის. ასე მაგალითად, „ორმეოცთა წამების“ ტექსტში ვხვდებით „მესაპყრობილეთ მოძღუარს“: „და ვითარ განთენა, მოვიდეს უღმრთონი იგი მძლავრნი და იხილეს მ ე ს ა პ ყ რ ო ბ ი ლ ე თ მ ო ძ ღ უ ა რ ი იგი შორის მათსა“[85]. აშკარაა, რომ „მესაპყრობილეთ მოძღუარი“ ამ მაგალითში ნიშნავს მესაპყრობილეთა ჯგუფის უფროსს. მეტი სიცხადისათვის შეიძლება დავიმოწმოთ სომხური ტექსტი: *Եւ իբրև առաւաւտ եղև, եկին ամպարիշտ բռնաւորքն, և տեսեալ զ ր ա ն տ ա պ ա ն և ընդ նոսա*[86].

---

81 ასეთი „გიგანტი“ ხელნაწერების შექმნაში მრავალი გადამწერი იღებდა მონაწილეობას რუსეთშიც. იხ. Н. Н. Розов, Русская рукописная книга, Л., 1971, გვ. 62—65.

82 ჩვენამდე ძუნწად მოღწეული ცნობები ნათელ წარმოდგენას ვერ გვიქმნის გადამწერთა სახელოსნოებში მოქმედ წესებზე. ამ საკითხის შესასწავლად მეტ შესაძლებლობას იძლევა დასავლეთ ევროპის სამწერლო კერების შესახებ არსებული მასალები. შენახულია გადამწერთა მიერ დატოვებული, ფაქტობრივი მონაცემებით მდიდარი ცნობები და ამასთანავე ასეთი სახელოსნოებისათვის შექმნილი წესდებებიც. იხ. О. А. Добиаш-Рождественская, Мастерские письма на заре..., გვ. 20—25; Р. Шмерлинг, Художественное оформление... I, გვ. 11.

83 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 56.

84 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

85 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბილისი, 1963, გვ. 89.

86 იქვე; მ ო ძ ღ ვ ა რ ი ორგანიზაციულ ხელმძღვანელს გამოხატავს „ვაჰანის ქვაბთა განგებაშიც“. აქ მოძღვარი ეწოდება მონასტრის მამას, წინამძღვარს. მისი განსაკუთრებული პრივილეგიებიც ამ მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული.

სომხური *քանտապան*, რომლის შესატყვისია „მესაპყრობილეთ-მოძღუარი", ნიშნავს საპყრობილის დაცვის უფროსს.

საკმაო მასალის უქონლობის გამო ძნელია გადამწერთა ჯგუფების შინაგანი წყობის გარკვევა, შეგვიძლია მხოლოდ ორი ძირითადი მხარე გამოვყოთ მათში: მოძღვარი და მოწაფე. (სავალდებულო არ იყო, რომ ჯგუფში მხოლოდ მოძღვრის „სულიერი შვილები", ანუ მოწაფეები ყოფილიყვნენ. ზოგჯერ მოწაფეებთან ერთად ჯგუფის წევრებს წარმოადგენდნენ „სულიერი ძმები". ეს უკანასკნელები, როგორც ჩანს, გასამრჯელოს შოვნის მიზნით მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა ჯგუფურ სამუშაოებში).

მოძღვრის თაოსნობით ჯგუფებში ისეთი მწერალი ხელოსნები უნდა გაერთიანებულიყვნენ, რომლებიც შეძლებდნენ „ერთ ქელზე აღწერას"[87]. ამიტომაცაა, რომ ერთი ხელნაწერის ფარგლებში სხვადასხვა ხელის გარჩევა ხშირად განსაკუთრებულ დაკვირვებას მოითხოვს.

ჯგუფის ხელმძღვანელის მოვალეობას შეადგენდა გადასაწერი მასალის დანაწილება გადამწერთა შორის, გასამრჯელოს დარიგება შესრულებული სამუშაოს სიდიდისა და ხარისხის მიხედვით, ხელნაწერის გაფორმების საქმის ხელმძღვანელობა[88]. მასვე ეკისრებოდა მონასტრის საერთო კონტროლის გავრცელება ჯგუფის წევრებზე[89].

ასეთი ჯგუფების ორგანიზატორები არიან მოძღვრები: მაკარი ლეთეთელი (სინური მრავალთავის ანდერძის მიხედვით), დავით ჯიბისძე, (ამას გვაფიქრებინებს ხელნაწერ A—135-ის ანდერძის შინაარსი). აგრეთვე Ier.—30-ის გადამწერი დავითი[90] და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სანიმუშოდ მოტანილი ხელნაწერები შესაწირადაა გამიზნული, რადგან ხელნაწერი საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, მისი შეწირვა სულის საოხად რიგით ხელოსან-მწერალს არ შეეძლო. ამისი შესაძლებლობა ექნებოდათ მხოლოდ ცნობილ ხელოსნებს, რომლებიც მრავალ შეკვეთას იღებდნენ და მატერიალურადაც დაწინაურებულნი იყვნენ. სავსებით მოსალოდნელია, რომ ასეთთა რიცხვში უპირველესად მოძღვრები მოხვდებოდნენ.

გადამწერთა ამხანაგობებში შრომის ორგანიზაციის საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანია ტერმინი თაბუნი. იგი გვხვდება გურიანთული გულანის ანდერძში: „ამის წერაში ჯუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმა"[91]. ანდერძის ავტორია დიაკონი საბა, რომელსაც მარტოს გადაუწერია თვით გურიანთული და ღმრთაების გულანები. როგორც ანდერძი უჩვენებს, საბა მწერალი თვით არის თაბუნის ხელმძღვანელი. ამ ანდერძს ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა. იგი აღნიშნავს: „თაბუნი" და „ასნაფი" ერთი და იგივე სიტყვაა და XVII—XVIII სს-ში ამქრის მნიშვნელობით ხმარებოდა. აქედან ცხადია, რომ გადამწერთა ამხანაგობას „თაბუნი" რქმევია"[92].

---

87 ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—972, 164v: „... არცა სხვაჲ წიგნი დამეწერაჲ და მისთვის ერთს ქელზე ვერ აღვწერე".

88 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q—103, მინაწერები: „ამაზედ მეზვრე და ფარისეველი დახატე", 144v; „დიდი ანდრია დახატე". 510v.

89 შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

90 ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 67.

91 ხელნაწერთა აღწერილობა (ახალი Q კოლექცია) I, № 104-ა, თბილისი, 1957, გვ. 124.

92 ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 56.

შ. მესხია აღნიშნავს, რომ XVII—XVIII საუკუნეებში თაბუნი ეწოდებოდა ერთი ხელობის მიმდევარ ადამიანთა ყოველგვარ გაერთიანებას[93].

ცნობილია, მაგალითად, მუშრიბის თაბუნი, მდივნის თაბუნი; მეითრის თაბუნი, მდივანბეგის თაბუნი და სხვ.[94].

ამავე დროს, „თაბუნი“, ისევე, როგორც ასნაფი და ამქარი, სახელოსნო და სავაჭრო ორგანიზაციებს ეწოდებოდა.

თაბუნებად იწოდებოდა აგრეთვე დიდი ამქრების შემადგენელი ნაწილები. ზოგჯერ თაბუნებად დაყოფა ხელობის ვიწრო სპეციალიზაციით ყოფილა გამოწვეული, ხოლო ზოგჯერ, ამქარში თაბუნის სახით შედიოდნენ მომიჯნავე ხელობის ხელოსნებიც[95].

მოყვანილ მაგალითში თაბუნი გადამწერ ხელოსანთა გაერთიანებას ეწოდება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სასულიერო წოდების წარმომადგენელთა ხელოსნურ ორგანიზაციასთან, რომლის შინაგანი წყობა იმდროინდელ სხვა ხელოსნური გაერთიანებების ანალოგიებში უნდა ვეძებოთ.

---

[93] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 323—325.

[94] ქართული სამართლის ძეგლები, II, თბილისი, 1966, გვ. 297, 405.

[95] Ш. А. Месхиа, დასახ. ნაშრომი, გვ. 328.

ნინო შარაბელი

მზითვში შემავალი მომგებიანი ქონების ძირითადი ელემენტები

(პირუტყვი)

მზითვის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს პირუტყვი წარმოადგენდა. მშობლები თავის ქალს უმეტეს შემთხვევაში, ძროხას ან დედალ ცხვარს ატანდნენ, მაგრამ იყო შემთხვევები, რომ ვაჟი ან მისი მშობლები პატარძალს ნიშნობაში ან ქორწილზე საქონელს მიუყვანდნენ. მშობლებისა და ქმრის ოჯახის მიერ მიცემული პირუტყვი ქალის საკუთრებას წარმოადგენდა[1] და მას უფლება ჰქონდა ჰყოლოდა ის ქმრის ოჯახში. ამ საქონლის ნამატი და რძის პროდუქტები ქალს შეეძლო გაეყიდა და დაეკმაყოფილებინა თავისი და ქმარ-შვილის მოთხოვნილებები. მას შეეძლო აგრეთვე ნამზითვი პირუტყვის გაყიდვა და ფულის სარგებლით გასესხება. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ქალი ქმრის ოჯახში მისვლამდე ჰყიდიდა თავის საქონელს და აღებული ფულით ყიდულობდა მისთვის საჭირო ნივთებს. ზოგჯერ მშობლები თვითონვე გაყიდდნენ საქონელს და მიღებული თანხით თაეიანთ ქალიშვილს საჭირო საოჯახო ნივთს შეუძენდნენ[2].

ზოგი კი, მოსაკითხში შეგროვებული ფულით ყიდულობდა საქონელს „ძე მყავდა საქონელი-სათავნო. ჩემმა მშობლებმა მოსაკითხი რომ მომიტანეს და ფული დამიდგა იმით ვიყიდე ძროხა 15 მანეთად, ის ჩემი იყო. ერთი მაზლი მყავდა, იმის ცოლსაც ყავდა ძროხა, იმისიც იკვებებოდა ოჯახში და ჩემიც. წველა ოჯახში იხარჯებოდა, ნამატი სულადი კი ჩვენი საკუთარი (ჩემი) იყო; გაიზრდებოდა გავყიდდი, ამ ფულს ჩემთვის მოვიხმარდი, გინდა შევინახავდი ჩვენი ნება იყო. წესი იყო — ქონება იყო პატარძლისა. დიდი სახელი იყო, თუ მას სათავნო ქონდა. იტყოდნენ სათავნონიანი პატარძალია. ასეთი პატარძალი უფრო მიღებული იყო ოჯახში. თუ ჩემ მაზლის ცოლს არა

---

1 ასეთი მიზნით ქალს ხშირად ატანდნენ ფუტკრის სკასაც. მაგალითად დუშეთის რაიონში მცხოვრები ნატო გიორგის ასული ინაშვილი გადმოგვცემს, რომ მამას მისთვის უნდოდა კარგი კაბა ეყიდა, მაგრამ ფუტკარი მისცა და უთხრა: „კაბას მალე გაგლეჯამ, ფუტკარი გეყოლება და მუდამ კაბას გიყიდისო. თუ ქალი სახლში დაატრიალებდა თავის საქონელს, მაშინ მისი ნაშენი ნახევარი იმათი იყო, ნახევარი ქალის. წველა ოჯახში იხარჯებოდა. ჩემი ფუტკარი 200 მანეთს მაინც გააკეთებდა, მაგრამ ჩემი თავისთვის არ გამომიყენებია, ოჯახს მოვახმარე, სახლი ავაშენე. მე და ქმარი ცალკე ვიყავით. ფუტკარი მზითევია, ვყიდდი და ხან კამეჩი, ხან სახლი, ხან რა ვიყიდე“. (ნატო გიორგის ასული ინაშვილი, 70 წლის, ინიანანთკარი, დუშეთის რაიონი, 1970 წ.).

2 მაგალითად, მთხრობელი ნინო მაისურაძე გადმოგვცემს, რომ მის მამას გაუყიდია ძროხა და ხბო და კაი ხალიჩა უყიდია მისთვის. ხოლო სალომე ნატოიძე კი ამბობს, რომ მან ქმრის ძიერ ხიშხობაზე მირთმეული ძროხა გაუყიდა და საკერავი მანქანა იყიდა მთხრობელი ნინო ვანოს ასული მაისურაძე, 69 წლის, დიდი თონეთი, ქვემო ქართლი. (მასალა გადმოგვცა მანანა შილაკაძემ, რაზედაც მადლობას მოვახსენებთ). მთხრობელი სალომე ხატოიძე, ქვემო ალვანი. 1970 წ.

ჰყავს სათავნო (საქონელი) მაშინ ოჯახი არ შეინახავს. მაშინ საწველად სხვას მივცემდი. ნამატი იმისი იყო, თავნი — ჩემი, ნაწველი კი ჩემი მოქუჩდებოდა და მომცემდა. თითონ მესამედს იღებდა, ორ კვირაში ერთხელ ხდებოდა გაყოფა"[3].

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სანახებში და მთავარი მაგისტრალის ახლო მდებარე სოფლებში, მდიდარი და საშუალო შეძლების გლეხები მეტწილად ცდილობდნენ შვილისათვის მიეცათ ფული, მაგრამ ზოგჯერ ადგილი ჰქონდა პირუტყვის მიცემის ფაქტსაც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლსა და კახეთში, სადაც წესად იყო უკვე ძვირფასი ტანსაცმლის, თეთრეულის, ავეჯის (სკივრი, კამოდი, საკერავი მანქანა, საწოლები, სარკე), ფარდაგ-ხალიჩების, ჭურჭლის (სპილენძის ქვაბები, თუნგები), ლოგინის და სამკაულების ქალისათვის გატანება, ბევრს უჭირდა ყველა აღნიშნულის შეძენა, ამიტომ საშუალო შეძლების გლეხი ხშირად ფულს ან საქონელს ვეღარ აძლევდა თავიანთ ქალს. ასეთ შემთხვევაში ქალი თითონ ყიდულობდა. ნიშნობაზე ან ქორწილზე შეგროვილი ფულით, ან ქმრის ოჯახი მიუჩენდა მას საქონელს.

ხეობის სიღრმეში, მთის ძირას დასახლებულ სოფლებში (ვგულისხმობ ქართლსა და კახეთს), სადაც საქონლის შენახვა შედარებით უფრო ადვილი იყო, მდიდარი და საშუალო შეძლების მქონე ქალის მზითვის შემადგენლობაში მეტწილად საქონელი შედიოდა, ხოლო ღარიბი ოჯახი ორივე შემთხვევაში თავის ქალს მხოლოდ ერთ ლოგინს და რაზღენიმე კაბას ატანდა და ზოგჯერ ხბოს მიცემას ახერხებდა. ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება დიღომში ჩვენს მიერ ფიქსირებული მასალა. გადმოცემის მიხედვით დიღომში მცხოვრებ მიხეილ შიოშვილს ტაბარუკელი ქალი ჰყავდა ცოლად. ამ სოფლის მოსახლეობა მზითევში ქალს იშვიათად ატანდა ფულს. „ჩემს ცოლს ძროხა მისცეს, ეს იყო ქრთამი. მთის ხალხმა უფრო საქონლის მიცემა იცოდა. მდიდრები იყვნენ საქონლით. ბარში არ ჰყავდათ, ძნელი იყო მისი შენახვა"[4].

ქართლსა და კახეთში ქალს ხშირად გოჭებიან დედა ღორსაც ატანდნენ. მაგალითად, მთხრობელი დიმიტრი მამაგულაშვილის ცოლს კარგი ტანისამოსის, ლოგინისა და კამოდის გარდა მზითევში მოჰყვა 1 ძროხა 2 ზაჭი და ღორი გოჭებით[5]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეფის ასულისა და მდიდარი ფეოდალის ქალს მზითევში სხვა ძვირფასი ნივთებისა და ყმების გარდა ხშირად რამდენიმე ძროხა, ცხვრის ფარა, ღორის კოლტი და ცხენებიც მიჰყვებოდა[6].

მზითევში საქონლის გატანება სამართლის ძეგლებითაც დასტურდება[7]. მართალია, არც ერთ შემთხვევაში ის სათავნოს სახელწოდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ იგი სათავნოს — (მომგებიანი ქონების) ბუნებისა იყო.

---

3 მთხრობელი ერმანა გიორგის ასული ფრიდონაშვილი, 78 წლის, ინიანთკარი, დუშეთის რაიონი, 1970 წ.

4 მთხრობელი მიხეილ ივანეს ძე შიოშვილი, 85 წლის, დიღომი, 1968 წ.

5 მთხრობელი დიმიტრი ქიტესას ძე მამაგულაშვილი, 93 წლის, ახმეტა, 1970 წ.

6 მზითვის წიგნი, მეფე ვახტანგ V ასულის თამარისა, 1667 წ. 27.11, საქ. ცსსა, ფ. 1461, რვ. № 2; მზითვის წიგნი რუსუდანისა, 1356 წ. ხ. ი. Sd № 1856.

7 ბექას სამართალი მუხლი 46; ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, 1963.

ქართლში პატარძლის საქონელს მეტწილად „მზითვის ძროხას“, „მზითვის ცხვარს“, „მზითვის ღორს“, „მზითვის კამეჩს“, ხოლო ზოგჯერ „სათავნოს“ უწოდებდნენ, ხოლო აღმ. საქართველოს მთის რაიონებში კი (ხევი, ფშავი, ხევსურეთი) მას მარტო სათავნოს სახელწოდებით მოიხსენიებდნენ.

ვინაიდან ბართან შედარებით მთაში ნატურალური მეურნეობის რღვევა უფრო ნელა მიმდინარეობდა, ქალის მზითვი არ ხასიათდებოდა მრავალნაირი და ძვირფასი ავეჯისა და ლოგინის შემადგენლობით, ამასთანავე იქ ფულის გატანება მისი სარგებლით გავალების მიზნით არ ხდებოდა და ქალის მზითვის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს საქონელი წარმოადგენდა. მაგალითად, ხევსურეთში ქალის მზითვის ძირითად შემადგენელ ნაწილს პირუტყვი წარმოადგენდა. უმთავრესად ქალს ძროხას ატანდნენ, ცხვარს კი იშვიათად. მაგალითად, ბარისახოში ცხვარს მხოლოდ მდიდრები ატანდნენ, ხოლო არხოტში და შატილში შედარებით უფრო ხშირად მიჰყავდა ქალს რამდენიმე სული ცხვარი. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში 4—5 ქალი იყო გასათხოვარი, მაშინ ბიძობლები ერიდებოდნენ ძროხის მიცემას და ხბოს აძლევდნენ[8].

დასტურდება, რომ ხევსურეთში პატარძლისათვის პირუტყვის გატანების წესი მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ახალი მოვლენა არ იყო. მაგალითად თოთიას ასული არაბული გადმოგვცემს, რომ „სათავნოს გატანება ძველის-ძველი დროიდან არის, რაც ხევსურეთი დაარსებულა. ბებიაჩემსაც 2 ძროხა ყავდა მოყვანილი, სულ ეგრე ყოფილა. ზოგიერთი ოჯახი მდიდარი იყო და არ ჭირდებოდა სათავნო. მაგრამ რომ არ გააყოლონ ძმებისა და მშობლების სირცხვილი იყო — მწყემსივით გააგდესო ასე იტყოდნენ“[9].

ზოგჯერ ბავშვობაში მშობლები ან ახლო ნათესავები მისცემდნენ ქალს ხბოს, რომლის თავნიც და ნაშენიც მისი იყო და როცა გათხოვდებოდა ქმრის ოჯახში წაიყვანდა[10]. იყო შემთხვევები რომ „დედამთილი ან მამამთილი აჩუქებდა ქალს საქონელს და ისიც მის საკუთრებას წარმოადგენდა“[11].

ქალის საქონელს ხევსურეთში „სათავნო“ ეწოდებოდა, თავნი ყოველთვის მისი იყო. ქალს შეეძლო ის გაეყიდა ან ოჯახში დაეტოვებინა, თუ გაჰყიდდა, ფულს როგორც უნდა ისე დახარჯავდა. ნაშენი კი ოჯახის სასახლო ქონებაში იყო გარეული და გაყრის დროს ძმებს შორის ნაწილდებოდა. თავნისა და ნაშენი საქონლის პროდუქტი ოჯახში საერთოდ იხარჯებოდა. სათავნო ცხვრის მატყლი კი ხშირად ქალს ეძლეოდა საკუთრად. სათავნო გარეული იყო საერთო საოჯახო საქონელში, მაგრამ ქალის დაუკითხავად მისი გაყიდვის ან დაკვლის უფლება არავის არ ჰქონდა, კიდეც რომ მომკვდარიყო ოჯახი ვალდებული იყო ის აენაზღაურებინა. შვილებიც რომ ჰყოლოდა ქმართან გაყრის შემთხვევაში სათავნო რჩებოდა ქალს საკუთრივ. სადაც წავიდოდა იქ წაიყვანდა. ქალის სიკვდილის შემთხვევაში პირუტყვი რჩებოდა ქმარს, მამის სიცოცხლეში შვილებს არ ჰქონდათ მასზე არავითარი უფლება, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მათ რჩებოდათ საქონელი.

ზოგჯერ მშობლები თავის ოჯახში სტოვებდნენ ქალის პირუტყვს და იქამდე ინახავდნენ, სანამ მათი ქალი მაზლებს არ გაეყრებოდა. მაგალითად,

---

8 ნინო თოთიას ასული ჭინჭარაული, 80 წლის, გამარჯვება, 1971 წ.

9 ლუბა თოთიას ასული არაბული, 70 წლისა, დუშეთი, 1970 წ.

10 მთხრობელები: ნინო თოთიას ასული ჭინჭარაული, 80 წლის, გამარჯვება, 1971 წ. ალექსი ალექსანდრეს ძე ოჩიაური, თბილისი, 1968 წ.

11 მთხრობელი თამარ უთურგის ასული გოგოჭური, მლაშე, დუშეთის რაიონი, 1970 წ.

მაია ოჩიაური გადმოგვცემს, რომ მისი მაზლის ცოლს ძმა არ ჰყავდა და მამამისმა დებს დაუყო საქონელი, თითოეულს მისცა 60 ცხვარი, 2 ძროხა, და 3 ხბო. მის შემდეგ როცა ოჯახი გაიყო, მან ჩამოიყვანა საქონელი[12].

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ქალის პირუტყვის მოვლა-შენახვის წესი საოჯახო თემისათვის[13] არის დამახასიათებელი, რაც ხევსურულმა ყოფამ გადმონაშთის სახით შემოინახა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხევსურეთში რძალს დიდხანს არ უხდებოდა „მოწილიან“ ოჯახში[14] ცხოვრება. ძმები ცოლის მოყვანისთანავე იყრებოდნენ. ამიტომ ხევსურეთის ადათობრივ სამართალში არ არის ასახული ის წეს-ჩვეულებები რაც ქართლ-კახეთისა და ფშავის დიდი ოჯახისათვის[15] არის დამახასიათებელი.

ამ მხრივ ძალიან საინტერესო სურათს იძლევა ფშავის ეთნოგრაფიული მასალა. ქალს მშობლები აძლევდნენ ძროხას, „თუ ოჯახს ბევრი ექნებოდა 2 ძროხას ატანდა, თუ ცოტა ერთი მაინც უეჭველად უნდა მიეცა“. მდიდარი ოჯახიდან ქალს მიჰყავდა დედა ცხვრები, ზოგს 3—4, ზოგს კი შვიდსაც ატანდნენ. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ხშირად ქალს სანაწვეროში ქმრის მშობლები აძლევდნენ საფურე ხბოს ან დეკეულს ან დედაცხვარს. ეს, როგორც მშობლების ოჯახიდან წამოყვანილი საქონელი მის საკუთრებას — სათავნოს წარმოადგენდა. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში ერთ რძალს ჰყავდა თავისი სათავნო მეორეს და მესამეს — არა, მაშინ ისინიც ცდილობდნენ რომ თავისთვის შეეძინათ საქონელი. გამრჯე ქალს ყოველთვის შეეძლო თავისი წილი მატყლით მოექსოვა ფარდაგი, შეეკერა ჩოხა, გაეყიდა და იმ ფულით ეყიდა ხბო.

იყო ისეთი შემთხვევაც, რომ რძალს ოჯახი თვითონ გაუჩენდა სათავნოს — აჩუქებდა პატარა ხბოს. ასეთ შემთხვევაში ის ვალდებული იყო ყველა რძლისათვის რიგ-რიგობით მიეცა საქონელი. ხდებოდა ისიც, რომ ოჯახი შეღავათიან ფასებში მისცემდა რძალს ხბოს. ხშირად ქალი ზამთრის მოგებულ ხბოს გაზაფხულზე იაფად ყიდულობდა თავისივე ოჯახიდან. ასეთ შემთხვევაში, ხბო დედა ძროხასთან უფრო თამამად იზრდებოდა, ვიდრე სხვისაგან ნაყიდი და არ იღუპებოდა[16].

ოჯახი არ იყო იმის წინააღმდეგი, რომ ქალს თავის საკუთრებაში ჰყოლოდა საქონელი როგორც გამოყოფისა და ცალკე ცხოვრების, ისე დიდ ოჯახში ყოფნის დროსაც. ეს ფაქტი ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება. მაგალითად. ლევან ბობღიაშვილი გადმოგვცემს: „მამამთილს უნდოდა, რომ მდიდარი მოეყვანა — სახელი იყო. თითონაც უყვარდა ცხოვრება-ქონება და იმითაც უხაროდა მდიდარი ქალი, შვილებს ეტყოდა მოუმატეთ, თუ შვილი ვერ

---

12 მთხრობელი მაია ივანეს ასული ოჩიაური, მლაშე, დუშეთის რაიონი, 1970 წ.

13 საოჯახო თემი — რამდენიმე თაობისაგან შემდგარი ოჯახი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საერთო საკუთრება, საერთო წარმოება და საერთო მოხმარება, ოჯახის ეს ფორმა დამახასიათებელია გვაროვნული საზოგადოებისათვის.

14 „მოწილიანი ოჯახი“ — მშობლებისაგან და შვილებისაგან შემდგარი ოჯახი, სადაც დაქორწინებული ძმების გაყრა მშობლების გარდაცვალებამდე ხდება.

15 დიდი ოჯახი — რამდენიმე თაობისაგან შემდგარი ოჯახი, რომლისთვისაც უკვე დამახასიათებელია ოჯახის შიგნით არსებული ინდივიდუალური ოჯახებისათვის „სათავისთავადო“ ქონების არსებობა. ოჯახის ეს ფორმა დამახასიათებელია კლასობრივი საზოგადოებისათვის.

16 შემოდგომაზე მოგებული ხბო გაზაფხულზე 5—6 მანეთი ღირდა, ზამთარში მოგებული კი 2—3 მანეთი. მაგრამ მისი გაზრდა უდედოდ ძალიან ძნელი იყო. მთხრობელი ქეთო ალექსანდრეს ასული ბუჯირიშვილი 80 წ. სიონი, თიანეთის რაიონი.

უვლიდა, მამა გაუწყრებოდა. გაუყრელი რომ არ ყოფილიყო, მაინც კაი იყო ქალის ქონება. იქნებ ჩემი ძმა წნელს იკრავს ქამრად, ოჯახს ძალა არა აქვს. მე ვერცხლის ქამარ-ხანჯალს შემოვიკრავ, ვერცხლის მასრებსაც ვიყიდავ, ჩემი ცოლი შვილებს კარგა გამოაწყობს და ქალებს კარგად გაათხოებს"[17].

თუ რამდენად საჭირო იყო ქალის სათავნო, როგორც ქალისათვის ისე ოჯახის უფროსისათვის, ეს კარგად ჩანს შემდეგი ცნობიდან: „მე რომ გავყიდი ჩემ სათავნო კარაქს, ვიყიდი ტანისამოსს, შენ აღარ გამოგელი მიყიდე რამე. შენ აღარ სწუხდები მაგას რაღაცა სჭირდების. მე ჩემი გავყიდე, რაც მინდა ვიყიდე, შენ შენი გაყიდე, რაც გინდა იყიდე, ოჯახის უფროსს აღარ უხდების ჭირადა"[18].

ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე დასტურდება, რომ როგორც საქონელი ისევე ფული, ქალის მომგებიანი ქონება იყო, მაგრამ ვინაიდან მას არ შეეძლო ის ყოველთვის ცალკე (ოჯახის გარეშე) შეენახა და მეტწილად ოჯახის საქონელთან ერთად ხდებოდა მისი მოვლა-პატრონობა, ამიტომ ჩვეულებითმა სამართალმა ქალის სათავნოსთან დაკავშირებით მთელი რიგი პირობები შეიმუშავა, რაც არეგულირებდა ოჯახისა და ქალის ურთიერთობას სათავნოსთან დაკავშირებით. აგრეთვე ქმრისა და მისი შვილების უფლებებს სათავნოზე, როგორც ქალის სიცოცხლის პერიოდში, ისევე მისი სიკვდილის შემდეგაც. ამასთან დაკავშირებით ქართულმა ყოფამ დღემდე შემოინახა მთელი რიგი წესები, განვიხილოთ ისინი.

ქართლ-კახეთისა და ფშავის დიდი ოჯახის მაგალითზე ირკვევა, რომ თუ ყველა რძალს სათავნო ჰყავდა, მაშინ იქ სადაც ძროხების ზაფხულობით მთაში გაყვანა არ არის წესად და საქონელი ნახირში მიდის დილით, ხოლო საღამოთი ბრუნდება, წველა საერთო იყო და ოჯახში იხარჯებოდა, ხოლო თავნი და ნამატი მთლიანად ქალისა იყო, ხოლო თუ ზაფხულში ქალებს საქონელი მთაში მიჰყავდათ მაშინ სათავნოს მოვლა განსხვავებულად ხდებოდა. „აქ ხან ერთ რძალს მიჰყავდა მთაში სასახლო და თავის სათავნოს საქონელი. სასახლოს ცალკე წველიდა და ცალკე დღეებავდა. მეორე წელიწადს მეორე რძალი წავიდოდა, ისიც ასე მაზლის ცოლების სათავნოს არ წაიყვანდა მთაში. ისინი ბარში ოჯახში რჩებოდნენ და სახლში დარჩენილი რძლები თავისთვის წველიდნენ. მარტო სათავნოები რჩებოდა სახლში და იმას თავისად ინახავდნენ. დღეებავდნენ კარაქად, გაყიდიდნენ, ფულად აქცევდნენ, თავისი კარაქის ჭამა არ იცოდნენ. სასახლო ფურების კარაქს და ხაჭოს ჩამოიტანდნენ საჭმელად მთიდან: ზამთარში მარილს ანაზღაურება უნდოდა. ზამთარში რასაც მოწველიდნენ არ უყურებდნენ თავთავადა. რაკი გაზაფხულზე საქონელი ბალახზე გავიდოდა მაშინ წველიდნენ თავთავადა. შუაფხოში ჩემი მამა-პაპანი, რომ იყვნენ ხუთ რძალს ჰყავდა სათავნო და მიბრუნებულ ქალსაც და ესეთი წესით უვლიდნენ თავის საქონელს"[19].

---

17 მთხრობელი ლევან პეტრეს ძე ბობღიაშვილი, 83 წლის, სიონი, თიანეთის რაიონი, 1970 წ.

18 მთხრობელი ქეთო ალექსის ასული ბუჯრიშვილი, 80 წლის, სიონი, თიანეთის რაიონი, 1970 წ.

19 მთხრობელი ქეთო ალექსის ასული ბუჯირიშვილი, 80 წლის, სიონი, თიანეთის რაიონი, 1970 წ.

იმ შემთხვევაში თუ ერთ რძალს უფრო მეტი საქონელი ჰყავდა, ვიდრე მეორეს იგი ვალდებული იყო თავისი წილი გაეყიდა. მას აგრეთვე შეეძლო სხვისთვის მიეცა ან ოჯახში დაეტოვებინა სანახევროს პირობით, ანდა „დაბმის“ წესით ჰყოლოდა თავისი საქონელი.

საქონლის გაბარება ხდებოდა სხვადასხვანაირად და მორიგებაზე იყო დამოკიდებული. თავნი პატრონისა იყო ყოველთვის, წველა შემნახველის, ნამატი კი შუაზე იყოფოდა (ქართლი), არსებობდა საქონლის გაბარების მეორე წესიც, რასაც ფშავში „დაბმას“ უწოდებდნენ. მომვლელი პატარძალს აძლევდა წელიწადში 4—5 კილო კარაქს და ნამატის ნახევარს, თავნი, როგორც წესი, გამბარებლისა იყო[20]. თუ ნამატი 4 იყო მაშინ „წილს დაყრიდნენ, სულ უფროსს და სულ უმცროს ერთმანეთს უბადლებდნენ, წილს ყრიდნენ, ვისაც რამდენი შეხვდებოდა ის მისი იყო. ხოლო თუ ნამატი კენტი იყო, უფროსი მომვლელის იყო, მომდევნო პატრონის. შეიძლება შებრუნებულად ასე ყოფილიყო, რომ სახარე ერთის, საფურე — მეორის, მესამე კენტი შეეძლოთ გაეყიდათ და ფული გაეყოთ, ან ოჯახს შეესყიდა ნახევარ ფასად. „იმ ერბოს ჩემთვის გავყიდი“ — გადმოგვცემს მთხრობელი, — „ნაშენი მერგებოდა, ზოგს გავყიდდი, ზოგს სხვას დაუბამ, ისევ ხბო გამიჩნდება. გავყიდი, ტანსაცმელს ვიყიდი ქმრისად, ბალღისად, თავისად. სომხები დადიოდნენ ცხენებით მივცემდით კარაქს და ფარჩას ვიყიდდით“[21]. „ძროხა კი ფუთნახევარ კარაქს = 24 კგ. ინახავდა მთაში, გაბარებულ ძროხაში კი პატრონი 5 კგ. იღებდა“.

ასეთი წესით საქონლის დაბმა ოჯახშიც ხდებოდა, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, წველას ოჯახი საერთოდ ხმარობდა, ნამატს კი რძალს შუაზე უყოფდა. ხდებოდა ისეც, რომ ნამატის ორ წილს ქალს აძლევდნენ, ერთი წილი კი ოჯახს რჩებოდა[22].

ქართლ-კახეთისა და ფშაველთა ყოფაში ირკვევა ისეთი ფაქტიც, რომ თუ ოჯახსა და რძალს თანაბრად ჰყავთ საქონელი (ორ-ორი ან სამ-სამი მეწველი ძროხა), მაშინ ის ერთად იწველებოდა და რიგ-რიგობით იდღვიბებოდა — ერთხელ სასახლოდ, ერთხელ რძლისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ პატარძლის სათავნო ცხვართან დაკავშირებით არსებობდა რამდენადმე განსხვავებული წესი. მაგალითად, ხევსურეთში მამის ოჯახში ქალი სათავნო-ცხვრის მატყლს იყენებდა ძირითადად ტანსაცმლის და ფეხსამოსის დასამზადებლად. ფშავში ის აუცილებლად საჭირო იყო, როგორც ტანისამოსისათვის, ასევე სამზითვო ფარდაგის და ნაბდის დასამზადებლად. ქართლ-კახეთში კი სადაც იყენებდნენ ფაბრიკულ ქსოვილს, ქალს მატყლი მაინც სჭირდებოდა ლოგინის (საბან-ლეიბის) დასამზადებლად. გარდა ამისა, ქალი ზოგჯერ ჰყიდდა თავის ცხვრის ნამატს და ყიდულობდა რაც მას ესაჭიროებოდა[23].

ხევსურთა ყოფის მიხედვით თუ ქალს არ ჰყავდა ცხვარი, მაშინ ოჯახი ან თავის, ან ნაყიდ მატყლს უნაწილებდა რძლებს. თუ რძლის ცხვარს სა-

---

20 მთხრობელი ლევან პეტრეს ძე ბობღიაშვილი, 83 წლის, სიონი, თიანეთის რაიონი, 1970 წ.

21 მთხრობელი ქეთო აღექსის ასული ბუჯირიშვილი, 80 წლის, სიონი, თიანეთის რაიონი, 1970 წ.

22 მთხრობელი ლიზა გიორგის ასული მარგველაშვილი, 90 წლის, ქვემო ხვითი, გორის რაიონი, 1963 წ.

23 მთხრობელი დიმიტრი ქიტესას ძე მამაგულაშვილი, 93 წლის, ახმეტა, 1970 წ.

სახლო ცხვარში შეურევდნენ, მაშინ წველა ოჯახისა იყო, ნამატი შუაზე იყოფოდა, მატყლი კი მთლიანად პატრონის იყო. იყო ისეთი შემთხვევები, რომ მატყლი შუაზე იყოფოდა, ხოლო თავნი ყოველთვის ქალისა იყო.

ზოგჯერ ქალი თაკის სათავნო ცხვარს რამდენიმე წლით ტოვებდა თავის მამის ან ძმის ოჯახში, რომლებიც წილში არ უდგებოდნენ და მომრავლებულ ცხვარს აძლევდნენ მას. თუ ოჯახში ერთ რძალს მეტი ცხვარი ჰყავდა, ვიდრე მეორეს, მაშინ მას ოჯახი ან ვინმე სხვა ნათესავი დაიზიარებდა. ასეთ შემთხვევაში თავნი და ნამატი სამი წლის განმავლობაში შუაზე იყოფოდა[24] (ქართლ-კახეთი, ფშავი). ქალს შეეძლო თავისი ცხვარი ფულით მიებარებინა (ერთ სულ ცხვარში წელიწადში იხდიდა მანეთს) სხვისთვის, ასეთ შემთხვევაში თავნიც იმის იყო და ნამატიც. ოჯახში ასეთი წესით ცხვრის გაბარება არ ხდებოდა.

აგრეთვე ქალს უფლება ჰქონდა თავისი ცხვარი სამი წლით სხვისთვის მიებარებინა, რომლის დროსაც თავნი ყოველთვის მისი იყო. მომვლელს თავნი იმდენი წლის უნდა დაებრუნებინა რამდენი წლისასაც ჩაიბარებდა, თვით სიბერის ან სიკვდილის შემთხვევაშიც კი, ნამატი, როგორც წესი, შუაზე იყოფოდა. ყველი ერთი გუდა, მატყლი კი ნახევარი უნდა მიეცა. თუ ზარალიანი წელიწადი იყო და ფარები ამოწყდებოდა, მაშინ ანაზღაურება არ ხდებოდა. ასეთი წესით ცხვრის გაბარებას მთხრობლები „ტორგით მიცემას“ უწოდებდნენ. ქალს შეეძლო ამ პირობით ცხვარი სხვისთვისაც მიეცა და თავის ოჯახშიც მიებარებინა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოჯახი რძლის ცხვრის ასეთი პირობით აყვანას ერიდებოდა — „არევა არ მოხდეს ოჯახშიო“.

ქალის სათავნო „დიდ ოჯახში“ „სასახლო“ ქონებიდან მეტ-ნაკლებად ყოველთვის იყო გაშოყოფილი. ოჯახის წევრები ცნობდნენ, როგორც ათავნო პირუტყვს, ისე მის ნამატს. უფრო მეტიც, ხშირად ქალები თავიანთ სათავნო საქონელს თვითონ წველიდნენ ცალკე.

ოჯახს არ ჰქონდა უფლება სათავნო საქონელი ქალის ნებართვის გარეშე გაეყიდა ან დაეკლა. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი ქალის ნებართვით დაკლავდა ან გაყიდდა საქონელს, გაყრის შემთხვევაში ვალდებულნი იყვნენ აენაზღაურებინათ მისი საქონელი. მაგალითად, გ. ციციშვილის ხელწერილში ვკითხულობთ: „რომელიც ძროხები იყვნენ სათავნო მზითევისა და იმათგან დახარჯული იყვნენ საოჯახოთ. ამ მზითევში მიიღო ჩემს ძმებისაგან ჩემმა მეუღლემ სოფომ ორ-ორი ცხვარი, ესე იგი ათი სული, რაზედაც მეც და მეუღლეცა ჩემი ხელს ვაწერთ კნეინა სოფიო თა, გიორგი ციციანოვი“[25]. ქალის სათავნო იყო ქონების ის წყარო, რომელიც ქმნიდა ქონებრივ უთანასწორობას ძმებს შორის. „ჩვენ ქონება ერთი გვქონდა მამა-პაპისა და შეძენილი. მარტო ცოლის ქონება იყო მეტი ან ნაკლები“[26], გადმოგვცემს მთხრობელი ლევან ბობღიაშვილი.

როგორც ირკვევა, ოჯახი წინააღმდეგი არ იყო ქალის სათავნოსი, პირიქით ის ხელსაც კი უწყობდა რძალს სათავნოს გაჩუნაში. სათავნო საქონელი ეკონომიურად აძლიერებდა ოჯახს და ამავე დროს ათავისუფლებდა მას მთე-

24 მთხრობელი ლევან პეტრეს ძე ბობღიაშვილი, 83 წლის, სიონი, თიანეთის რაიონი, 1970 წ.

25 ხ. ი. ფონდი Sd № 3338.

26 მთხრობელი ლევან პეტრეს ძე ბობღიაშვილი, 83 წლის, სიონი, თიანეთის რაიონი, 1970 წ.

ლი რიგი წვრილმანი საზრუნავიდან, რასაც ქალი თვითონ უძღვებოდა თავის საქონელ-სათავნოს შემოსაელით. მთხრობლების გადმოცემის მიხედვით, ქალის სათავნო აუმჯობესებდა ოჯახის ეკონომიურ პირობებს არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა ის ყველა რძალს ჰყავდა, არამედ მაშინაც როცა მარტო ერთს ჰყავდა. მაგალითად, ხევსურთა ყოფის მიხედვით „ერთ რძალს თუ საქონელი ჰყავდა და მეორეს არა“ ოჯახი მაინც უვლის, ის რძალიც უვლის რომელსაც არა ჰყავს, „არცაი თავისი ყავს და არც იმისას მოუპარონ მა რაი უნდა ჰამონ“[27]. თუ საქონელი შერეული იყო საოჯახო საქონელში, და მას დროდადრო არ ეძლეოდა არც წველა და არც ნამატი, მაშინ ოჯახი თვითონ აკმაყოფილებდა რძლების და მათი ქმარ-შვილის მოთხოვნილებას. ოჯახის უფროსი ყიდულობდა საჭირო საგნებს და ანაწილებდა მათ შორის. ასეთ შემთხვევაში ქალს არ ჰქონდა თავისი პირადი შემოსავალი და სავსებით დამოკიდებული იყო ოჯახის უფროსზე, მაგრამ ის შეზღუდულად მაინც არ გრძნობდა თავს, თამამად იყო რადგან ჰქონდა თავისი საკუთარი სასმელ-საჭმელი და ჩასაცმელი[28]. ქალს თავისი სათავნო საქონელი და მისი ნამატი შეეძლო თავისუფლად დაეკლა თავისი მშობლების ხატისათვის და მაზლების ხელში შემყურე არ ყოფილიყო.

ქართლ-კახეთისა და ფშაველთა ყოფის მიხედვით ოჯახის გაყრის შემთხვევაში ქალის სათავნო (საქონლის თავნი) არ შედიოდა „წილში“, ხოლო ნამატი ზოგჯერ იყოფოდა ორად (ერთი წილი ეძლევა ქალს, დანარჩენი იყოფა ძმებს შორის) ზოგჯერ კი თანასწორად იყოფოდა ძმებს შორის როგორც „საოჯახო“ ცხვარი, ამიტომ მეტი სათავნოს მყოლი ქალის ოჯახი შედარებით უფრო ძლიერი იყო ეკონომიურად და ადვილად ახერხებდა ახალი ოჯახის გამართვას (ხევსურეთი). როდესაც ქალს ოჯახი დროდადრო აძლევდა წველას და ნამატს, ან ქალი მას იღებდა თავისი საქონლის სხვასთან დაბმის ან გაბარების საშუალებით, იგი თვითონ აკმაყოფილებდა თავისი ქმარშვილისა და თავის პირად მოთხოვნილებებს. ამ შემთხვევაში ის და მისი მეუღლე აღარ იყვნენ დამოკიდებული ოჯახის უფროსზე და თავისი შემოსავლით შეეძლოთ ეყიდათ კარგი ტანსაცმელი, ლოგინი, სამკაული და კარგად გაემზითვებინათ თავიანთი ქალი (ქართლ-კახეთი, ფშავი).

ამის პარალელურად ჩვენ ვხვდებით ისეთ ფაქტებსაც, როდესაც ოჯახი წინააღმდეგია ქალის სათავნოსი და მის გაყიდვას ოჯახში შემოსვლამდე მოითხოვს. გადმოცემის მიხედვით საქონელი ოჯახში ხშირად უსიამოვნებას იწვევდა (ქართლ-კახეთი, ფშავი), იყო შემთხვევები, როდესაც მაზლებს არ მოსწონდათ, რომ საერთო შრომის ხარჯზე მარტო ერთი ძმა მდიდრდებოდა, ან რძალს არ მოსწონდა, რომ მისი წველა ოჯახში იხარჯებოდა ან უკმაყოფილო იყო იმით, რომ მისი საქონელი დაკლეს და დროულად არ უნაზღაურებენ ან ოჯახი მას არ აძლევს თავის კუთვნილ ხუთ კგ კარაქს და ჭირნახუ-

---

27 მთხრობელი მაია ივანეს ასული ოჩიაური, მლაშე, დუშეთის რაიონი, 1970 წ.

28 იქ სადაც ქალს შეუძლია გაყიდოს (ან გადაცვალოს) თავისი საქონელი, რძე, ერბო და ყველი ან ნამატი მაშინ ის თვითონ ყიდულობს ტანსაცმელს, მაგალითად, ფშავში, ქართლში, კახეთში (ხოლო ხევსურეთში, მეტწილად ქალები არც იღებდნენ თავიანთ წილს ცალკე ვინაიდან არ შეეძლოთ თვითონ წაეღოთ და გაეყიდათ ის. მამაკაცები ყოველთვის თანაბრად ყიდულობდნენ ტანსაცმლის გასაწყობად აბრეშუმს, ძაფის შესაღებ საღებავს, ერთი სიტყვით ყველაფერს იმას, რაც ქალებს ესაჭიროებოდათ და თანაბრად ანაწილებდნენ მათ შორის.

ლის ყიდვას ახმარებს, „ან ერთი რძალი უფრო „კუჭნის“ თავის სათავნო კარაქს. მეორე კი ვერა“. რძალი მაშინაც გამოთქვამდა უკმაყოფილებას თუ მისი პირუტყვი უფრო ღალიანი იყო, მაგრამ განაწილების დროს მას ისევე აძლევდნენ როგორც სხვებს. ხშირად ის რძალი, რომელსაც მეტი პირუტყვი ჰყავდა გაბარებული, ქმრისგან მოითხოვდა ძმებთან გაყრას.

ზღვარი, რომელიც არსებობდა „სასახლო“ და „სათავნო პირუტყვს შორის მცირდებოდა ცოლ-ქმრის ცალკე ცხოვრების დროს. ქალის სათავნოს „კარში გაბარება“ ან ოჯახში „დაბმა“ შედარებით იშვიათად ხდებოდა, როგორც წესი ის შერეული იყო ოჯახის საქონელში, მას უვლიდა ქალი და მისი ქმარ-შვილი. ქმარი დაინტერესებული იყო ცოლის სათავნოს მომრავლებით, რადგან ის ეკონომიურად აძლიერებდა მის ოჯახს. მართალია, ქალი არასოდეს აღარ წველიდა თავის საქონელს ცალკე და არც ნამატზე აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ოჯახის წევრებმა ყოველთვის იცოდნენ ქალის სათავნო საქონელი, რადგან მას მაინც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ოჯახში. ქალს უფლება ჰქონდა თვითონ მოეველო და თავისი საქონლის წველა თუ არა ნამატი მაინც ისე მოეხმარა, რომ ქმრისათვის არც კი ეკითხა, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა. ქალის საქონელს როგორც აღვნიშნეთ მეტწილად მისი ქმარ-შვილი უვლიდა და საქონელსაც ისინი ისე იყენებდნენ, როგორც ოჯახის საჭიროება მოითხოვდა. „ოჯახში ქმარი ცოლს კითხავდა და ცოლი ქმარს, რა გაეჩინათ. ვთქვათ ჩემი ძროხა არ ვარგა, თუ ქმრის კაია, მაშინ ჩემს ძროხას გავყიდდით ქმრისას დავტოვებდით, ოჯახში (ივარაუდება ინდივიდუალური ოჯახი — **ნ. მ.**) ყველაფერი საერთოა“[29].

აქვე უნდა შევნიშნოთ ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ქალები ინდივიდუალურ ოჯახშიც იჩენდნენ თავისი ქონების გამოყოფის და გაზრდის ინტერესს ისინი წილში უღებოდნენ ქმარ-შვილს თავისი სათავნოს ნამატსა და პროდუქტში და ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ ისინიც შრომობდნენ ოჯახში და უვლიდნენ საქონელს **(ქართლ-კახეთი, ფშავი).**

ქმართან გაყრისას თავნი რჩებოდა ქალს, ნამატი კი შუაზე იყოფოდა. ქალის სიკვდილის შემთხვევაში ქალის სათავნო-საქონელი რჩებოდა ქმარს და თუ ის მოხუცი იყო და არ შეეძლო მისი მოვლა, ის სხვას ან თავის შვილს დაუბამდა. ქეთო ბუჯირიშვილი გადმოგვცემს: რომ როცა ის ჯერ ბავშვი იყო, მის სოფელში მოხუცებულ ქალს თავისი სათავნოს ძროხები დაქორწინებულ შვილთან „დაბმული“ ჰყავდა და ამის გამო მას 10 კგ კარაქი ჰქონდა წელიწადში. როცა ის გარდაიცვალა ძროხები მის მეუღლეს დარჩა, მასაც ასეთივე პირობით უნახავდა შვილი პირუტყვს, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ეს საქონელი მის შვილს დარჩა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ქალს თავის სათავნო არა მარტო ახალგაზრდობაში, არამედ მოხუცებულობის დროსაც სჭირდებოდა. მოხუც დედას დაბმული ჰყავდა საქონელი ოჯახში რომელსაც მისი შვილი განაგებდა. თავის შემოსავალს კი ისე ხმარობდა, როგორც მას მოესურვებოდა. ქალს შეეძლო რომელიმე შვილისათვის, შვილიშვილისათვის მოკეთე ნათესავებისათვის თავისი სურვილის მიხედვით გაეკეთებინა საჩუქარი. შეეძინა თავისთვის ან ქმრისთვის საჭირო ნივთები, შეეძლო აგრეთვე

---

29 მთხრობელი ქეთევან ალექსის ასული ბუჯირიშვილი, 80 წლის, სიონი, თიანეთის რაიონი, 1971 წ.

ეყიდა ტკბილეული, ხილი და ბოსტნეული და ჰქონოდა თავისთვის სკივრში შენახული.

თანამედროვე ყოფაშიც იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება საქონლის მზითევში გატანების ფაქტები.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ამჟამად მისი დანიშნულება მხოლოდ ახალგაზრდა ოჯახისათვის ხელის შეწყობაა.

რაც შეეხება სახარჯო ფულს და ოჯახის შესაქმნელად საჭირო თანხას ქალმა ისევე, როგორც მისმა მეუღლემ შეიძლება გამოიმუშავოს კოლმეურნეობაში, ქარხანაში, სამეცნიერო და სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობით, ხოლო სიბერის დროს იგი უზრუნველყოფილია შრომითი პენსიით.

ამრიგად, დასტურდება, რომ პირუტყვის მზითევში მიცემა უძველესი დროიდან მომდინარეობს, ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ის, რომ ჩვეულებითი სამართლის ნორმები ძირითადად ეხება დიდ ოჯახში ქალის პირუტყვის შენახვის პირობებს, ამ სამართლის მიხედვით გარკვეულია ქალის, მისი ქმრის, შვილებისა და ოჯახის უფლებები. ყოფაში შექმნილი ჩვეულებითი სამართლის ნორმები არეგულირებს ძირითადად დიდ ოჯახში არსებული ინდივიდუალური ოჯახის-უჯრედის ქონების და სასახლო ქონების ურთიერთდამოკიდებულებასა და აგრეთვე ქალისა და ოჯახის ურთიერთობას.

ის ფაქტი, რომ მზითევში შემავალი პირუტყვი თავისი შინაარსით განიცდის ცვლილებას ნავარაუდევი აქვს ილია ჭყონიას, იხილავს რა მზითევში არსებული სათავნოს — კაპიტალის საკითხს ის შენიშნავს, რომ „ძროხის ან ცხვრის“ მზითევში გატანება თავიდანვე იყო მიღებული მაგრამ არცერთი სათავნოდ არ გამოყენებულა, სათავნოს დანიშნულება მას ოჯახის განვითარების შემდეგ მიეცა[30].

ცვლილებას განიცდიდა ქალის პირუტყვის შენახვის, მოვლისა და გამოყენებასთან დაკავშირებული ჩვეულებითი სამართლის ნორმები. ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩა. რ. ხარაძეს და მან ეთნოგრაფიული მასალის შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ ქალის პირუტყვის სხვასთან მიბარების წესი არის ქალის „სათავნოს“ გამოყენების ადრეული ფორმა, ხოლო საქონლის ოჯახში შემოყვანა, იმ პირობით, რომ თავნი მის ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა ნამატი კი შუაზე იყოფოდა, დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო საოჯახო თემის განვითარების მოგვიანო ეტაპისათვის[31].

თუ ჩვენ დაუშვებთ, რომ მზითვის ადრეული ფორმა დამახასიათებელია საოჯახო თემისათვის და მის შემადგენლობაში უკვე პირუტყვი შედის, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ პერიოდში მას ქონდა მხოლოდ სახმარი მნიშვნელობა და რომ ის გაერთიანებული იყო სახალხო საქონელთან და მისი მოვლა-პატრონობა და გამოყენება კოლექტიურად ხდებოდა. თავის უფლებებს საქონელზე ქალი იჩენდა მხოლოდ ქმართან გაყრის შემთხვევაში.

კერძო საკუთრების და სავაჭრო კაპიტალის ფართოდ განვითარების შემდეგ პირუტყვი ქალის მომგებიან ქონებად იქცა ქმრის ოჯახში. ის უკვე გამოყოფილია სასახლო ქონებიდან და ქალი მის პროდუქტსა და ნამატს თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყენებს. ამის გამო ქალის პი-

---

30 ჯ. რუხაძე, ალ. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია, „სოფელი აკურა“, თბილისი, 1964 წ. გვ. 74.

31 Р. Харадзе. Грузинская семейная община. т. II. Тбилиси, 1961. გვ. 51.

რუტყვის, როგორც ოჯახში შენახვასთან, ისე მის გაბარებასთან დაკავშირებით, შეიქმნა მთელი რიგი რთული პირობები, რომლის რეგულირება მოხდა იმდროინდელი ტრადიციების მიხედვით ადგილობრივი მეურნეობის განვითარების სპეციფიკის საფუძველზე, რაც შემდგომ განმტკიცდა ჩვეულებრივი სამართლის ნორმებით.

შეიმჩნევა, რომ ქართლსა და კახეთში ძირითადად ტყიდან დაშორებულ სამიწათმოქმედო მეურნეობის ადგილებში პირუტყვის (როგორც მომგებიანი ქონების ძირითად წყაროს) როლი თანდათან მცირდება, მის ადგილს იკავებს მამული და ფული, ხოლო მესაქონლეობის რაიონებში, სადაც ფეხი არ ჰქონდა მოკიდებული მევახშეობას მზითვის ცენტრალურ ნაწილს მაინც პირუტყვი წარმოადგენდა. აღსანიშნავია ის, რომ რევოლუციის წინა პერიოდში კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება ბართან ერთად საქართველოს მთის რაიონებსაც შეეხო, რასაც მოჰყვა დიდი ოჯახის მასიურად რღვევა (ქართლ-კახეთი, ფშავი). ამან გამოიწვია ის, რომ ხალხმა ჩათვალა რა ქალის სათავხო რძლების უსიამოვნებისა და ოჯახის რღვევის ძირითად მიზეზად, დაიწყო აქტიური ბრძოლა მის წინააღმდეგ[32]. ძირითადი მიზეზი — კაპიტალიზმის განვითარება კი თავისი გზით მიდიოდა და ხალხის მიერ მიღებული ზომები უშედეგოდ რჩებოდა.

---

32 დიდი ოჯახის წევრები ქალისაგან მოითხოვდნენ თავისი სათავნო-პირუტყვის გაყიდვას ქმრის ოჯახში შემოსვლამდე, ან მის საერთო სასახლო საქონელთან შეერთებას შემდეგი პირობით: ძმების გაყრის დროს ნამატი თანაბრად იყოფოდა ძმებს შორის, ცოლ-ქმრის გაყრისას კი ქალი პრეტენზიას აცხადებდა მხოლოდ თავისი ქმრის წილის ნახევარზე. თავნი ორივე შემთხვევაში ქალს რჩებოდა.

მიხეილ კვაჭანტირაძე

იმერეთის სამეფოში არსებულ „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტის შესახებ

1898 წელს, „აკაკის კრებული“-ს მეცხრე წიგნში გამოქვეყნდა, როგორც საისტორიო ისე ნარატიულ წყაროებში ამ დრომდე უცნობი მასალა, რომელშიც იმერეთის მეფის სოლომონ I სახელმწიფო საქმიანობაა წარმოჩენილი.

გამომცემელი იტყობინებოდა, რომ მასალა სოლომონ I თანამედროვის და მის კარზე მოსაქმე მგალობელ კანდელაკის ნაამბობს წარმოადგენდა, რომელიც მისი შვილიშვილის სიკო კანდელაკის მიერ ყოფილა ჩაწერილი.

ასეთი რეკომენდაცია მასალას თითქოს ხალხური შემოქმედების იერს უკარგავს, რომელშიც, როგორც პროფ. ქ. სიხარულიძე წერს „ჯერ კიდევ არ არის ისტორიული პირებისა და მოვლენების პოეტიზაცია“[1], მაგრამ ის ფაქტი, რომ ხალხურ ზეპირსიტყვაობაში ცალკე ამბების სახით ცოცხლობს მსგავსივე გადმოცემები, მის ფოლკლორულ ხასიათზედაც მიგვანიშნებს.

ყოველ შემთხვევისათვის ამ ძვირფას „მონათხრობს“ ისტორიული ხასიათის მოთხრობად ჩავთვლით თუ ეთნოგრაფიულ ან ფოლკლორულ მასალად, ერთი რამ უდაოა: იგი ძვირფასი წყაროა ქართული სახელმწიფოს და სამართლის შესწავლით დაინტერესებულთათვის.

ამჟამად, ჩვენი მიზანია დავადგინოთ მასალებში მოხსენიებული „ფიცის კაცთა“ თავშეყრის ადგილ-მდებარეობა და რაც მთავარია მათი უფლება — შეიფარონ დანაშაულზე დევნილი პიროვნება.

მასალით „ფ ი ც ი ს კ ა ც ე ბ ი“ ყოფილან შემდეგი გვარისანი: „თავადი ლორთქიფანიძეები, აზნაურნი: მესხი, ავალიანი, იოსელიანი, ღოღობერიძე, მიქაბერიძე, ყიფიანი, ქორქაშვილი, იაშვილი, უგრეხელიძე, გრიგოლაშვილი და ჯაბუკიანი. ესენი ცხოვრობდნენ სოფლად: ახალბედისეულში, დედალოურში, ცხუკურში, გვიშტიბში, ჩუნეშში, წყალტუბოში, ქვილიშორში, გუმათში, ჯიმაშტარში, ოფიჩხეთში, ნამხვანში და რიონში“[2].

ჩამოთვლილ სოფლებში, 15 წლის ასაკს მიღწეული პირნი, თავადი თუ აზნაური, თავიანთი სამღვდელო პირებით და ყმებით, ყოველი წლის 15 მაისს იკრიბებოდნენ ერთ ადგილს, სადაც „სრულებით მთაგორა და კლდოვანი — ადგილები იყო. ვაკეს სივრცით ერთი ქცევა ადგილსაც იშვიათად შეხვდებოდი. გარდა ერთი ადგილისა, რომელსაც ჰქვია გურეშევი: ამ გურეშევის ზემო კერძოთი უძახდნენ ერთ პატარა ნაკვეთ ადგილს ლ ე კ ე რ წ ა ს. სადაც იდგა ერთი შესანიშნავი დიდი მუხის ხე“[3] იქ „ფიცის კაცნი“ ფიცს სდებდნენ, როგორც მეფის ისე ურთიერთის ერთგულებაზე.

---

[1] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, 1964, გვ. 353.

[2] იქვე, გვ. 162.

[3] იქვე.

ფიცის შემდეგ იმართებოდა ღრეობა და პირველად ასეთი სადღეგრძელო შეისმებოდა, „დიდება ღმერთსა! ღმერთო გაუმარჯვე ჩვენს მეფეს და მის ერთგულს ერთობით ფიცის კაცს“[4].

პურმარილს, ცეკვა-თამაში და ნიშანში სროლა მოყვებოდა. პირველი ყაბახის გაგზავნის მოვალე მეფე იყო. სჯობს მივყვეთ ისევ ტექსტს: „ფიცის კაცს დიდი გავლენა ჰქონდა მეფეებთან, ასე, რომ უკეთუ ვისმეს მეფე გაუწყრებოდა, შერისხული მიმართავდა ფიცის კაცს და თუ შეასწრებდა ფიცის კაცის საზღვარში, მ დ ე ვ ა რ ი ვ ე ღ ა რ შ ე ყ ე ბ ო დ ა, რაკი ფიცის კაცს მოუნდებოდა, მეფე ძალით ვეღარ გამოიყვანდა. შეიკრიბებოდნენ ერთობით ფიცის კაცნი, ესენი ცოტანი არ იყვნენ“, რომლის შემდეგ იმართებოდა მათი შუამავლობა მეფესთან. „ფიცის კაცნი თავის ყმებით შეკრებილნი, ერთ ადგილას, ქუთაისის მახლობლად დაბინავდებოდნენ, მიუგზავნიდნენ მეფეს მოციქულს და მოახსენებდნენ, რომ ე პ ა ტ ი ე ბ ი ა თ მ ა თ თ ვ ი ს ი ს დ ა მ ნ ა შ ა ვ ე კ ა ც ი. არ იშუამდგომლობდნენ მხოლოდ მეფისა და ქვეყნის მოღალატეზე; სხვებს კი, როცა შ ე ნ ა ნ ე ბ უ ლ ს ნახავდნენ თავის კალთას აფარებდნენ და მეფეც იძულებული ხდებოდა მიეტევებია“[5].

ამავ წყაროში კარგი მასალაა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ეხმარებოდნენ მეფე სოლომონ პირველს „ფიცის კაცნი“ თავისი ზრახვების განხორციელებაში.

მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც ისაა, რომ როგორც ირკვევა გარდა ცალკეული ფეოდალებისა დევნილის შეფარდების უფლება აღჭურვილი ყოფილა რიგი სოფლებიც, რომლებშიც თავადი, აზნაურები და ყმა გლეხები ერთიანდებოდნენ.

„ფიცის კაცთა“ უფლებამოსილებაში ყურადღებას იქცევს შემდეგი: ა) დევნილმა დამნაშავემ, რომელიმე „ფიცის კაცის“ ოჯახში რომ შეაფაროს თავი, მასზე მექანიკურად, დაუყოვნებლივ ვრცელდება კოლექტიური მფარველობა ყველა „ფიცის კაცისა“, მიუხედავად იმისა, სოციალური კიბის რა საფეხურზე დგას ან რომელ სოფელში ცხოვრობს თითოეული მათგანი;

ბ) „ფიცის კაცნი“ მაშინ იშუამდგომლებდნენ მეფესთან, როცა დამნაშავეს „შენანებულს“ ნახავდნენ. თავის „შენანება“ ანუ დანაშაულის მონანიება დამნაშავის გამოსწორების პირობად იყო მიჩნეული;

გ) „ფიცის კაცნი“ არ შეიფარებდნენ და არც იშუამდგომლებდნენ ისეთი დამნაშავის პატიებას, რომელსაც მეფის ან ქვეყნის ღალატი ერაცხებოდა ბრალად.

როგორც ითქვა, გარდა მოტანილი ფოლკლორული მასალისა, სხვა რაჲ ცნობები „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტზე არ მოგვეპოვება, იქნებ ესეც გახდა ერთერთი მიზეზი იმისა, რომ დღემდე ვერ მიიქცია მან წარსულით დაინტერესებულ მკვლევართა ყურადღება[6].

---

[4] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, 1964, გვ. 353.

[5] იქვე, გვ. 164 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — მ. კ.).

[6] საკითხის შემხებარე ამ მოკლე წერილის დაწერის შემდეგ გამოქვეყნდა ისტორიკოს ქ ე ე ლ ი ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ის შრომა: „ძველი ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან“ („შიდა ლაშქარი“) (მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების

ამ მიმართულებით ხარვეზის ამოვსება ეთნოგრაფიული საველე ხასიათის მუშაობით ვეცადინით და მივაღწიეთ კიდეც ერთგვარ შედეგს.

შემოვიარეთ ფოლკლორულ მასალაში დამოწმებული, ამჟამად წულუკიძის და წყალტუბოს რაიონში შემავალი სოფლები და ხანდაზმულ მთხრობელთაგან მეტად საინტერესო მასალები ჩავიწერეთ.

საველე მუშაობისას ჩვენს წინაშე ასეთი ამოცანა იდგა: ა) შეგვემოწმებინა, ჩვენამდე მოაღწია თუ არა რაიმე ცნობებმა „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტზე. ბ) დაგვედგინა „ფიცის კაცთა“ თავშეყრის ადგილად ცნობილი გ უ რ ე შ ე ვ ი ს მ ი ნ დ ო რ ი და იქვე ახლოს მუხის ხით დამშვენებული, ადგილი — ლ ე კ ე რ წ ა, სადაც ყოველი წლის 15 მაისს ხდებოდა ხალხის დაფიცება იმერეთის მეფის ერთგულებაზე.

ექსპედიციამ დადებითი შედეგი გამოიღო, უდავოდ დადგინდა მიღებულ სოფლებში დევნილთა თავშეფარების ფაქტები, მიკვლეული იქნა ყველა „ფიცის სოფლის“, „ფიცის კაცების“ თავშეყრის ადგილი გ უ რ ე შ ე ვ ი და ლ ე კ ე რ წ ა. ისინი კურორტ წყალტუბოდან ჩრდილოეთის მხარეზე, ოთხიოდე კილომეტრით არიან დაცილებულნი და მდებარეობენ სოფლებს ჩუნეშსა და ქვილიშორს შორის.

იმისათვის, რომ უფრო ხელშესახები გავხადოთ მოპოვებული მასალა, რომლებიც ჯერჯერობით მაინც ერთადერთ წყაროს წარმოადგენს საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის, იძულებული ვართ კომენტარების გარეშე მთლიანად მოვიტანოთ ისინი.

სოფ. ჩუნეშში მცხოვრები 101 წლის დ ა ვ ი თ ტ ა რ ი ე ლ ი ს ძ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე იხსენებს[7]:

„ბაბუაჩემისაგან, რომელიც 110 წლის გარდაიცვალა, მრავალჯერ გამიგონია, რომ ჩვენ ლორთქიფანიძეები დაფიცებული ვყოფილვართ იმერეთის მეფის წინაშე, რათა მისი ერთგული ვყოფილიყავით, ხოლო როდის დაუფიცნიათ, სად, ან რათ სჭირდებოდათ ასეთი დაფიცება ეს მგონი არც მას უთქვამს და არც სხვისგან გამიგონია.

ისიც მსმენია ბაბუასა და მამისაგან, რომ უცხო კაცი თუ მოვიდოდა ჩვენთან სოფელში შევიფარებდით მას, უპატრონებდით და მდევარიც რომ ყოლოდა იმასაც კი არ დავანებებდით. თუ რა უფლების ძალით არ დავანებებდით

ისტორიის სერია, 1972, № 4), რომელიც დამაჯერებელ მოსაზრებებს გვთავაზობს „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე. ავტორი შესწავლის საგნად არ იხდის ამ ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებას.

ჯ ე ე ლ ი ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი ს გასაზიარებელი დაკვირვებით „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტი, ადრეული პერიოდის საისტორიო წყაროებში დამოწმებულ „სამოქალაქო“ მოსახლეობის იდენტურია. ამით კიდევ უფრო წარმოჩინდა საკითხის ყოველმხრივ შესწავლის საჭიროება.

სამწუხაროდ, ჩვენ თავიდანვე ვერ მივაქციეთ ყურადღება „ფიცის კაცთა“ და „სამოქალაქოს“ იგივეობას. ამდენად გამორიცხული არაა საველე მუშაობისას ყურადღების გარეშე დაგვრჩენოდა და ხელიდან გაგვეშვა სხვა უმნიშვნელოვანესი ცნობებიც.

ხარვეზი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს, „ფიცის კაცთა“ საცხოვრებელ სოფლებში დღემდე მოღწეული არცთუ ისე მრავალრიცხოვან ხანდაზმულ მთხრობლებთან მუშაობით. ამ ხასიათის სამუშაოების ჩატარებას ამიერიდან ისიც ამსუბუქებს, რომ დადგენილია ის ადგილები (გურეშევის მიდორი, ლეკერწა), რომლებიც „ფიცის კაცთა“ ყოველწლიურ თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა.

[7] მთხრობელთა სტილი უცვლელადაა დატოვებული.

მდევარსაც კი არ ვიცი, არც ის ვიცი, როგორ მოექცეოდნენ შემდეგ ამ თავშეფარებულ კაცს.

მე არ ვიცი, როგორც ჩვენი ისე მეზობელი სოფლები (წყალტუბო, ქვილიშორი, გვიშტიბი და სხვა), რაიმე უპირატესობით სარგებლობდნენ თუ არა იმერეთის ბარის სოფლებთან შედარებით.

ჩვენი სოფლიდან აღმოსავლეთით, ქვილიშორის მოსაზღვრედ მდებარეობს გურეშევის ჩაი, ადრე ამ ადგილს გურეშევის მიდორს ვეძახდით, ხოლო უფრო უწინ ჩემს ბავშვობაში გურეშევის ტევრი ერქვა, ტევრი იმიტომ, რომ ტყით იყო დაფარული მთლიანად, გარდა ერთი ადგილისა, სადაც მინდორი იყო და დიდი მუხა იდგა. შემდგომ პერიოდში მასიური ტყე გაიჩეხა და მის ადგილას ჯაგნარი და მეჩხერი ხეები წამოიზარდნენ. კოლექტივიზაციის წინ კი თითქმის მთელი გურეშევი მინდვრად იქცა, მგონი ამ დროსაც იყო აქაიქ მუხის ხეები მაგრამ ისინი ტრაქტორით ამოძირკვეს და ჩაის პლანტაცია გააშენეს.

გურეშევის მინდორის გაგრძელებაზე, სოფელ ხომურის მიმართულებით ცოტა მაღლობზე არის ადგილი, რომელსაც ლეკერწა ჰქვია. იგი რაღაც მიგლეჯილ-მოგლეჯილი მიწის ნაკვეთია. ლეკერწას საერთოდ ცუდ გამოუყენებელ ადგილს ვეძახით.

გურეშევის მინდორზე ხალხის თავშეყრა ხდებოდა ზოგჯერ, ეს მაშინ როცა საზოგადო (სოფლის) საკითხი იყო გადასაწყვეტი, რომელიც მსჯელობას მოითხოვდა.

ბოლო დროს ასეთი თავშეყრა მოხდა 40—45 წლის წინად, სასაფლაოს ადგილის მონაცვლეობასთან დაკავშირებით.

როგორც ვთქვით გურეშევის მინდორზე, შედარებით სხვა ადგილთან, უკეთ მოსწორებულ და სუფთა ნაწილში დიდი მუხის ხე იდგა, იგი ჩაის გაშენების დროს ამოთხარეს.

ლეკერწაზე კი იყო თუ არა ჩემს მეხსიერებაში დიდი მუხის ხე არ მახსოვს.

სოფელში, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები ცხოვრობენ. სამეგრელოდანაა: ჯიქია, ხუნწარია, გაგუა, დგებუაძე, ჯალაღანია, ხურცია და სხვა. სვანეთიდან: იოსელიანები, გუბელაძეები, ნიჟარაძეები, ლიპარტიანები და სხვები, ასევე ბევრი გვარისანი არიან იმერეთის სხვადასხვა კუთხეებიდან.

რატომაა ჩვენს სოფელში ასეთი მრავალგვარიანობა არ ვიცი“

12 ივნისი 1971 წ.

სოფ. ჩუნეშში.

ალექსანდრე დიმიტრის ძე იოსელიანი 93 წლის

მცხ. სოფ. ქვილიშორში (წყალტუბოს რაიონი).

„დაბადებიდან ვცხოვრობ სოფ. ქვილიშორში, ჩემი სახლიდან 50 მეტრის დაცილებით არის მიწის დიდი ნაკვეთი რომელიც გურეშევის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი საერთო ფართი დაახლოებით 100 ქცევაზე მეტი იქნება.

ეს გურეშევის ადგილი რევოლუციამდე, ჩვენი იოსელიანების საკუთრება იყო.

კოლექტივიზაციამდე გურეშევი, მეჩხერი ხეებით, ბუჩქნარით და ეკალბარდით იყო დაფარული, პატარა მოსწორებულ ადგილზე კი იდგა ერთი დიდი მუხის ხე, იგი ჩემს სახლიდან ნახევარი კილომეტრითაც არ იყო დაცილებული,

სხვა მუხა ჩემს მეხსიერებაში იქ არ მდგარა, ის ერთად-ერთი მუხა კი ჩაის პლანტაციის გაშენების დროს ამოთხარეს ტრაქტორით. ამ დროსვე გაიწმინდა მთელი ფართობი მეჩხერი ხეებისა და ბუჩქ-ბარდისაგან.

კარგად მახსოვს რომ დიდი მუხა, დაახლოებით ერთ ქცევამდე ფართის კარგად გასუფთავებულ მინდორში იდგა.

ამ მუხის ძირს სოფლის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით ვიყრიდით თავს და ვკამათობდით. ამ მუხასთან გადიოდა: ცხუნკურიდან, კინჩხიდან, გორდიდან და ძეძილეთიდან ქუთაისისაკენ მიმავალი გზა, აქ შეისვენებდნენ მიმავალი მგზავრები და ხარებსაც გაუშვებდნენ საბალახოთ.

დიდი მუხის ხიდან, დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე კიდევ გრძელდებოდა გ უ რ ე შ ე ვ ი ს მიწა და შემდეგ იწყებოდა ლ ე კ ე რ წ ა დ წოდებული მაღლობი ადგილი. ჩემს მეხსიერებაში ლეკერწაზედაც იდგა რამდენიმე მუხის ხე.

ლეკერწა ჩვენებურად, მწირე, ქვა-ღორღიან ადგილს ქვია.

ლეკერწაზე თუ იკრიბებოდა ხალხი რაიმე საკითხთან დაკავშირებით ეს მე არ გამიგონია. არც ის გამიგონია თუ იქ დაფიცება ხდებოდა რაიმეზე.

ჩემს მეხსიერებაში, გურეშევის მინდორზე დიდ მუხასთან, რელიგიურ დღესასწაულებში იმართებოდა ლელობურთი და ცხენბურთი.

„ფიცის კაცების“ შესახებ არაფერი გამიგონია. არც ის გამიგონია, იოსელიანები ან ჩვენი სოფელი რა დამოკიდებულებაში ვიყავით იმერეთის მეფესთან.

ძველთაგან, ბაბუასაგან და მამისაგან გამიგონია, რომ ჩვენს სოფელში მცხოვრები კიკალიშვილები და ქობალიები, სხვა ადგილებიდან არიან გამოქცეულნი და ჩვენს სოფელში თავშეფარებულნიო, ხოლო რატომ გამოქცეულან ან რატომ შეუფარებიათ ჩვენებს არ ვიცი.

მე არც ის ვიცი, ჩვენი ახლო-მახლო სოფლები, ძველთაგანვე — უფლებრივად რაიმეთი განსხვავდებიან თუ არა ვაკის იმერეთის სხვა სოფლებისაგან.

გურეშევის მინდორზე 15 მაისს თუ ხალხის თავშეყრა იმართებოდა ეს მე არ მახსოვს“.

13 ივნისი 1971 წ.

სოფ. ქვილიშორი.

ს ე რ ა პ ი ო ნ ს ი მ ო ნ ი ს ძ ე ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. 74 წლის, მცხ. სოფ. ქვილიშირში (წყალტუბოს რაიონი).

„მამა-პაპათაგან ვცხოვრობ იქ, სადაც ახლაც მიდგას სახლი. ჩემი სახლი გურეშევის მიწის თავში დგას. სახლის უკან რამდენიმე ათეული ჰექტარი ჩაის პლანტაციაა გაშენებული. სწორედ ამ მიწას ეწოდებოდა — გ უ რ ე შ ე ვ ი.

ჩემი სახლიდან 100—150 მეტრის დაცილებით გურეშევის ადგილში იდგა ერთი დიდი მუხის ხე, რომლის ირგვლივაც ერთ ქცევამდე მიწაზე კარგად მოსუფთავებული მინდორი იყო. საჭიროების დროს იქ ხალხი ვიკრიბებოდით და ვმსჯელობდით ისეთ საკითხებზე რაც სოფელს შეეხებოდა. ამავე ადგილას ხდებოდა რელიგიურ დღესასწაულებში ხალხის თავშეყრა და სეირნობა-გართობები (ლელო, ცხენბურთი). სროლით გართობები თუ იმართებოდა ამ ადგილებში, მე არ მახსოვს.

არც ის მახსოვს ამ მინდორში საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით სხვა სოფლელებიც რომ მოსულიყვნენ.

მხოლოდ ეს გამიგონია, რომ ერთხელ ჩვენსა და ახლოს მახლო სოფლელებს ვიღაცის თაოსნობით სკოლის აშენება განუზრახავთ, მაგრამ მიწა იოსე-

ლიანებს კუთვნებია რა, ყველას მოუწადინებია თავის კუთვნილ მიწაზე არ მომხდარიყო მშენებლობა, ამიტომაც ბოლოს და ბოლოს ვერ გადაწყვეტილა მშენებლობის დაწყება, ამიტომაც იგი მგონი ჯიხაიში თუ ხონში აუშენებიათ.

გურეშევის ადგილი, რომ მთავრდება შემდეგ იწყება მომაღლო ადგილი რომელსაც ლეკერწას ვეძახით. იგი შედარებით მწირი ადგილია.

მამიჩემისაგან გამიგონია, რომ ლეკერწაზე მდგარა ერთი ვეება ერთელა მუხის ხე, იგი მე არ მახსოვს, პატარა მუხები რომ იდგა ეს კი კარგად მაგონდება. ამჟამად იქ არცერთი ხე არ დგას.

ლეკერწაზე მდგარი ეს დიდი მუხის ხე, ჩვენს სახლიდან ერთი კილომეტრის მანძილითაც არ იქნებოდა დაცილებული.

ლეკერწაზე, რომ ხალხის რაიმე თავყრილობა მომხდარიყოს მე არ მახსოვს, არც გამიგონია ასეთი.

„ფიცის კაცები“ ვინ იყვნენ მე არ ვიცი, არც ის ვიცი, ჩვენი გვარი ან საერთოდ ჩვენი სოფელი რა ურთიერთობაში იყო იმერეთის მეფესთან.

ჩვენს სოფელში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან გამოქცეულთ შეუფარებიათ თავი, რაზედაც ამჟამად სოფელში არსებული მრავალგვარიანობაც მეტყველებს. გამიგონია რომ ისინი თავისი ნებით მოსულან და შემოგვხიზნიან, ხოლო რატომ, არ ვიცი. მართლაც გასაოცარია რატომ მაინცდამაინც ჩვენთან მოდიოდენ და გზათ გამვლელ სხვა სოფლებში არ ჩერდებოდნენ? ჩვენს სოფელში აზნაურები მხოლოდ იოსელიანები ვიყავით.

გურეშევზე, რომ დიდი ტყეები იყო მე არ მახსოვს, გამიგონია კი რომ ადრე ასეთი ყოფილა.

თქვენს მიერ წაკითხული სოფლები (წაუკითხე „ქართული ხალხური სიტყვიერება“, ტ. II, გვ. 168—მ. კ.) ერთმანეთის მიყოლებით მდებარეობს, ოღონდა მათ შორის მოხსენიებული არაა სოფლები უმისთავი და ხომული, ისინი უძველესი სოფლებია, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ეკლესიები.

სოფელი უმისთავი მდებარეობს — სოფ. ცხუნკურსა და სოფ. ქვილიშორს შორის. ხოლო სოფ. ხომული სოფ. ქვილიშორსა და სოფ. ჯიმიშტარს შორის. ასე რომ ეს ორი სოფელი რატომ უნდა იყოს გამოტოვებული სხვა მის ახლო-მახლო მდებარე სოფელთა შორის არ ვიცი.

15 მაისს რომ ჩვენთან რაიმე დღესასწაული იმართებოდა ეს მე არ მახსოვს“.

13 ივნისი 1971 წ.

სოფ. ქვილიშორი.

პოლიკარპე პავლეს ძე შვანგირაძე. 85 წლის.

მცხ. სოფ. გვიშტიბში. რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

„ჩემს სოფელში ხანდაზმულ კაცებისაგან გამიგონია, რომ თუ დევნილი კაცი ჩვენს სოფელში შემოაღწევდა მას მდევარი უნდა ჩამოცილებოდა, რომელსაც მთელი სოფელი აიყვანდა საპატრონოდ. საიდან მოდიოდა ეს წესი, სოფლის ასეთი უფლება მე არ ვიცი. არც ის ვიცი ასეთი უფლებით სხვა სოფლებიც სარგებლობდნენ თუ არა.

15 მაისს ჩვენთან ან რომელიმე მეზობელ სოფელში რაიმე დღესასწაული თუ იმართებოდა არ გამიგონია, არც იმის შესახებ ვიცი რაიმე ჩვენი სოფელი (ან მეზობელი), იმერეთის მეფეს თუ აძლევდნენ რაიმეზე ფიცს, ან საერთოდ რა დამოკიდებულებაში იყვნენ ისინი მეფესთან.

სადღაც ახლო-მახლო სოფელში გამიგონია ადგილის სახელად გ უ რ ე შ ე ვ ი, მაგრამ სად ვერ მომიგონებია“.

14 ივნისი 1971 წ.

სოფ. გვიშტიბი.

სოფელი ახალბედისეული (წულუკიძის რაიონი) 84 წ ლ ი ს პ ა ე ლ ე ა ნ დ რ ო ს ძ ე ე ფ რ ე მ ი ძ ე (ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ასეთ ცნობას გვაწვდის: „დაბადებიდან ვცხოვრობ სოფ. ახალბედისეულში, ჩვენს სოფელში ცხოვრობდენ ჭილაიები, რომელთა ჩვენს სოფელში ჩამოსვლასთან დაკავშირებით მე გამიგონია ასეთი რამ: მათ წინაპარს თავიანთ სოფელში (მგონი სოფ. საჭილაოში) დაუშავებია რაღაც, რისთვისაც გამოქცეულა და ჩვენს სოფლისათვის შეუფარებია თავი, რომელსაც აქვე შეურთავს ცოლი და გამრავლებულან, ამჟამად მათი ჩამომავალი არავინ ცხოვრობს ბედისეულში მაგრამ ჩემს მეხსიერებაში კი იყვნენ.

თუ რა დაუშავებია ჭილაიას თავის სოფელში ეს მე არ ვიცი.

საჭილაოდან გამოქცეულმა ჭილაიამ რატომ მაინც და მაინც ჩვენს სოფელს მოაშურა და გზათ გამოვლილ იმერეთის ბარის სოფლებში არ შეაფარა თავი არ ვიცი, ახსნა ვერ მიპოვნია, იქნებ იმიტომ რომ ჩვენი სოფელი ძლიერი იყო?“

„ფიცის კაცები“ ვინ არიან არ ვიცი, 15-მაისს რაიმე დღესასწაული მე არ მახსოვს. გურეშევის და ლეკერწას ადგილები არ გამიგონია“.

13 ივლისი 1971 წ.

სოფ. ბედისეული

სოფ. ახალბედისეული (წულუკიძის რაიონი) 79 წლის ი ვ ა ნ ე ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე ჩ ი ნ ჩ ა ლ ა ძ ე, თავის წინაპრების ახალ ბედისეულში ჩასახლებასთან დაკავშირებით მოგვითხრობს: „როგორც გადმოცემით ვიცი, ჩვენი სოფელი-ახალი ბედისეული თავად ლორთქიფანიძეს ეკუთვნოდა.

ბაბუაჩემისაგან ხშირად გამიგონია, რომ ჩვენი წინაპრები, ქართლში-ქარელის ახლოს სახლებულან, სადაც მოუკლავთ ბატონი, რისთვისაც იქ არ დაედგომებოდათ და გამოქცეულან, ჩამოსულან ახალ ბედისეულში და აქ შეუფარებიათ თავი, ლორთქიფანიძეს მიუღია ისინი და ყმათ გაუხდია.

ისიც გამიგონია ბაბუასაგან, რომ თავადი ლორთქიფანიძე მასთან შეხიზნულ გლეხს არ გასცემდა, რა დანაშაულიც არ უნდა ჰქონოდაო. რატომ იქცეოდა ასე ლორთქიფანიძე, რა უფლების ძალით, არ ვიცი. მე არ გამიგონია ვინ იყვნენ „ფიცის კაცები“. არ ვიცი სად მდებარეობს გურეშევი და ლეკერწა, არც ის მახსოვს 15 მაისს თუ ხდებოდა ჩვენი სოფლელი ხალხის თავშეყრა სადმე. ან რა დამოკიდებულებაში ვიყავით იმერეთის მეფესთან“.

13 ივნისი 71 წ.

სოფ. ახალბედისეული.

თავისი სოფლის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული ახალ ბედისეული მასწავლებელი ბ ა გ რ ა ტ ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ძ ე ქ ა შ ი ბ ა ძ ე (58 წლის) გადმოგვცემს: „დიდი ხანია დავინტერესდი ჩვენი სოფლის ისტორიით და მოხუც კაცთა გამოკითხვით ვიცი შემდეგი: ჩვენი სოფელი ლორთქიფანიძეს ეკუთვნოდა, რომელთანაც ხშირად აფარებდა თავს დანაშაულისა და სხვა მიზეზით სხვა სოფლებიდან და საქართველოს კუთხეებიდან გამოქცეული გლეხები, ამის შედეგია თურმე ის, რომ ჩვენი სოფლის მცხოვრებთა შემადგენლობა გვარების

მიხედვით მეტად ჭრელია. აქ ცხოვრობენ: ჩინჩალაძეები, ქაშიბაძეები, სებუები, მელქაძეები, ჩიხლაძეები, ჯიშკარიანები, სვანიძეები, მუხბალიანები, ეფრემიძეები, შესხები, კაკაურიძეები, ხაჭაპურიძეები, ღაჭავები და სხვა.

ჩვენი სოფლის გლეხები ყველანი საბატონო ყმანი ყოფილან, აქ ვერ ნახავდით საეკლესიო ყმებს. საბატონო იმიტომ ყოფილა, რომ ყველა ყმა, ბატონს მოსვლია საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

„ფიცის კაცებზე“ მე არაფერი არ გამიგონია, იმერეთის მეფეს თუ მივაჩნდით რამედ არც ეს ვიცი.

გ უ რ ე შ ე ვ ი ს ადგილი ან ლ ე კ ე რ წ ა არ გამიგონია“.

13 ივნისი 1971 წ.

სოფ. ახალი ბედისეული.

სოფელ დედალაურში მცხოვრები 75 წლის კოსტა თომას ძე ჯალაღანიასაც ვერ აუხსნია თუ რატომ ცხოვრობს მის სოფელში: მეგრული, სვანური, გურული, იმერული და საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსული გვარის ხალხი.

ზემოთ მოტანილ მასალათა კომენტირებისაგან თავს ვიკავებთ და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ეთნოგრაფიულმა მონაპოვარმა მეტ-ნაკლებად დაადასტურა თითქმის ასი წლის წინათ გამოქვეყნებული ფოლკლორული მასალის სისწორე, იმერეთის სამეფოში „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტის არსებობაზე.

„ფიცის კაცთა“ ინსტიტუტი, თავისი იურიდიული ბუნებით დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში მაინც ერთადერთია, იგი ყოველმხრივ, დაწვრილებით შესწავლას მოითხოვს.

ფოლკლორულ მასალაში მითითებულ „ფიცის კაცებით“ დასახლებულ პუნქტებს, ჩვენი მასალებით უნდა დაემატოს სოფლები: ყ უ მ ი ს თ ა ვ ი და ხ ო მ უ ლი, მათი გამოთიშვა „ფიცის კაცთა“ სხვა სოფლებიდან შეუძლებელია. სოფელი ყუმისთავი, ცხუნკურსა და ქვილიშორს, ხოლო სოფელი ხომული ქვილიშორსა და ჯიმიშტარს შორის მდებარეობს.

З. В. АГРБА

РАСКОПКИ РАННЕСРЕДНЕВЕКОВОЙ БАЗИЛИКИ В СЕЛЕ АЛАХАДЗЫ ГАГРСКОГО РАЙОНА

Пицундская археологическая экспедиция[1] института истории, археологии и этнографии имени И. А. Джавахишвили АН ГССР в августе и сентябре 1971 года проводила археологические исследования на территории низменности Пицундского мыса.

Основным объектом археологических раскопок была местность Ахашных с. Алахадзы, где полностью раскопана довольно большая по своим размерам раннесредневековая церковь, исследование которой было начато этой же экспедицией еще в 1970 году.

Как и в предыдущем году девятнадцатая кампания Пицундской археологической экспедиции 1971 года наряду с изучением памятников с. Алахадзы параллельно проводила раскопки на территории Пицундского городища. Здесь, в его восточной части, были выявлены основания до сих пор неизвестных сооружений. Кроме того были организованы отдельным отрядом разведки-поиски в с. Лдзаа с целью выявления новых археологических памятников.

Как выяснилось раскопками, в местности Ахашных с. Алахадзы были построены две церкви, в настоящее время в очень плохой сохранности. Строители этих памятников с большим умением подобрали место для возведения интересующего нас архитектурного комплекса: с юго-запада — море, с севера неповторимый вид величественных гор Дзыхча и Мамзишха, с востока — река Бзыбь. Руины с. Алахадзы привлекали к себе внимание исследователей, путешественников и любителей глубокой древности.

В 1886 году П. С. Уварова произвела частичную расчистку этих развалин, сделала обмеры и составила план церкви малых размеров[2], которая по сравнению с рядом стоявшей большой базиликой сохранилась лучше. Отсутствие археологического материала при расчистке малой церкви дало П. С. Уваровой повод для заключения, что это здание было разрушено и ограблено.

А. Н. Дьячков-Тарасов, посетивший церковь с. Алахадзы, указывал, что это культовое сооружение было возведено в честь святой Софии на территории фактории зрелого средневековья[3].

---

[1] Состав экспедиции: проф. А. М. Апакидзе (руководитель), проф. А. Н. Каландадзе; старшие научные сотрудники: Г. Ф. Гобеджишвили, А. В. Бохочадзе, Г. К. Григолия, младшие научные сотрудники: Л. В. Асатиани, Н. Н. Матиашвили, Н. И. Босташвили; старшие лаборанты: И. А. Цухишвили, Н. А. Бенашвили; архитектор Л. В. Павленишвили; аспирант З. В. Агрба; фотограф В. Г. Тутберидзе, водитель Г. Ш. Аламбарашвили.

[2] Материалы по археологии Кавказа, выпуск IV, Москва, 1894 г. стр. 11.

[3] А. Н. Дьячков-Тарасов, Гагры и их окрестности, «Записки Кавказского отдела императорского Русского географического общества», т. XXIV, вып. I, стр. 47.

Ссылаясь на венецианскую карту XIII века, а также на карту Федуче конца XV века, где церковь обозначена звездочкой, а здание, расположенное к юго-востоку — точкой, Дьячков-Тарасов, возражая Уваровой, считал, что церковь в честь святой Софии была построена не в Пицунде, а в поселении-фактории между Пицундой и Гапра, а именно в с. Алахадзы.

Наряду с другими архитектурными памятниками Абхазии эти сооружения изучались И. Е. Адзинба[4]. Он дал трактовку топонимики местности и вместе с тем выразил предположение о причине возведения христианского храма раннего средневековья на данной территории.

Следует отметить, что все вышеуказанные исследователи обращали внимание на малую церковь, которая была в лучшей сохранности и легко можно было определить ее назначение, и никто до настоящего времени не имел возможности догадаться, что рядом с этим культовым сооружением стояла еще одна базилика почти в три раза больше по своим размерам малой церкви.

Это говорит о плохой сохранности большой базилики еще до XIX века и о возможностях и масштабах археологического изыскания того времени. Интересно, что П. С. Уварова, обратив внимание на большие размеры церкви и на сильно вытянутую форму, приняла ее как здание для духовенства или дворцовое сооружение. Это последнее мнение разделялось и некоторыми современными авторами.

Начатые впервые специальные археологические раскопки памятников с. Алахадзы Пицундской археологической экспедицией пролили новый свет не только на историю этой местности, но и на всю низменность Пицундского мыса.

Нужно полагать, что площадь, использованная для сооружения этих церквей, представляла небольшую возвышенность, или же она была образована строителями искусственно. В настоящее время после их разрушения образовалась возвышенность высотой до двух метров от поверхности земли.

Как сообщили старожилы села, эти развалины сильно пострадали при строительстве сельских дорог, когда они были использованы в качестве карьера, откуда получали готовый строительный материал.

Вся площадь этой возвышенности (50×40 м), включающая оба здания, была покрыта зарослями, а по сохранившимся стенам вился плющ.

Кроме очистки от зарослей археологической экспедиции пришлось провести большие земляные работы, так как в результате прежних хозяйственных работ на площади местами накопилось много земли и мусора, мешавшие началу археологических раскопок.

До непосредственного начала работ по раскопкам большой церкви предварительно была расчищена и частично раскопана церковь малых размеров, уже известная в специальной литературе.

От этой маленькой церкви сохранились: южная стена высотой до двух метров от современной поверхности земли, части северной стены и трех абсид. Западная стена церкви полностью разрушена и без специальных раскопок трудно было установить ее границы.

После очистки церкви, в частности ее северной абсиды, выяснилось что абсиды церкви круглой формы, облицованные как внутри, так и снаружи квадрами известняка. Если маленькая церковь по своему строительному материалу имеет полную аналогию с большой церковью,

---

[4] И. Е. Адзинба, Архитектурные памятники Абхазии, Сухуми, 1958, стр. 26.

то по своим архитектурным формам она значительно отличается от последней.

Маленькая церковь трехнефная и трехабсидная, ее абсиды имеют снаружи круглую форму, что не характерно для большой церкви.

По своим размерам эта трехнефная и трехабсидная церковь небольших размеров: длина церкви — 15,4 м., ширина — 9,85 м., ширина центральной абсиды — 3,30 м., боковых — 1,80 м.

Для выяснения полного архитектурного облика и для решения некоторых вопросов в комплексе с большой церковью необходимо полностью раскопать эту маленькую церковь.

Основные работы последних двух кампаний Пицундской археологической экспедиции были направлены на полное вскрытие большой церкви. От этого сооружения сохранились части западной и южной стен. Западная стена в ее центральной части расчленена проемом, служившим главным входом в церковь. У южной стены в юго-западном углу сохранились остатки оконного проема.

Как выяснилось в процессе раскопок, особенностями исследуемой базилики являются: ее большие размеры, сильная вытянутость с запада на восток, техника возведения стен, своеобразия некоторых строительных деталей и полное отсутствие археологического материала.

С целью определения плана здания, в частности ее восточной границы, была заложена траншея с запада на восток размером 20×1 м. После выяснения этой границы и вскрытия абсиды церкви впервые удалось определить действительное назначение этого сооружения, являющегося церковью типа базилики.

Основным компонентом строительного материала всей базилики, а также малой церкви являются квадры из известняка беловатого цвета. Применение этого материала для возведения этих церквей нельзя считать исключением. Трудно указать на какое-либо архитектурное сооружение на территории низменности Пицунды для сооружения которого не были бы использованы блоки известняка. Это было продиктовано прежде всего наличием в окрестностях этого материала; здесь добывали и обрабатывали древние мастера строительный материал для возведения архитектурных сооружений разного назначения.

Квадры известняка, примененные для сооружения обеих церквей с. Алахадзы, обработаны грубо. В основном они служили как облицовочный материал. При изготовлении блоков, вероятно, учитывалось, что их поверхность будет оштукатурена. Раскопками были обнаружены некоторые образцы этих блоков, лежавших в беспорядке на полу центрального нефа перед алтарем, отличавшихся своими большими размерами и тщательностью обработки. Видимо, они были использованы для возведения сводов базилики. Но в общем такие образцы с хорошей обработкой встречаются очень редко. По своим размерам блоки из известняка разные, средний их размер 40×30×15 см.

Кроме данного строительного материала в большом количестве были использованы плоские массивные плиты обработанного песчаника сероватого цвета, привезенные сюда из окрестностей. Песчаник, как и известняк, был использован как облицовочный материал. При этом, особенно при возведении основных продольных стен базилики в качестве облицовочного материала местами был применен только песчаник, в отдельных же случаях он чередовался с блоками известняка. Размерами плиты песчаника не одинаковые. В большинстве случаев они большие, массивные. Средний их размер 60×50×8 см.

Крупный булыжник доставлявшийся от берегов реки Бзыбь, в основном служил для забутовки между внутренней и наружной облицовкой стен сооружения.

Строительным материалом этих памятников, как и многих архитектурных сооружений данной территории служили плоские кирпичи-плинфы. Они очень хорошего обжига, сохранившие до настоящего времени большую прочность. Плоские кирпичи изготавливались на месте из местного сырья. При сооружении базилики они использованы для разных целей. По своему формату кирпичи-плинфы двух типов: удлиненной формы размерами 30×20×4 см. и формы, близкие к квадрату 30×30×4 см.

Черепица, служившая кровлей обеих церквей, встречается двух видов: плоская (солены) и желобчатая (калиптеры). Этот строительный материал хорошего обжига из высококачественной глины красноватого цвета. К сожалению за время археологической работы не удалось восстановить ни один образец желобчатой черепицы за исключением ее отдельных фрагментов.

Плоские черепицы (солены) были использованы не только для кровли, местами они были употреблены в кладке сидения вдоль продольных стен большой базилики, в особенности в ее северо-западной части, были использованы они и в алтарной абсиде для западной части престола. В данном случае цельные их экземпляры заполнялись известковым раствором и клались взамен блоков известняка или песчаника. Благодаря подобному их применению, они в своем большинстве полностью сохранились. Длина плоской черепицы — 42 см., ширина — 30 см., высота бортика — 2,5 см.

Выше уже было указано, что одной из особенностей как большой базилики, так и малой церкви является своеобразие некоторых деталей строительного материала. Имеется в виду обнаруженные в обоих зданиях керамические «ящики». Эти «ящики» в нашей археологической практике встречаются впервые и поэтому нужно их осветить несколько подробнее.

Прежде всего следует отметить, что эти керамические «ящики» выполнены из высококачественной глины красноватого цвета и хорошего обжига. Характер сырья и степень обжига полностью аналогичны всему керамическому материалу этой местности

Керамические «ящики» имеют форму неправильного куба и в очень редких случаях встречаются несколько вытянутой формы. Они открыты только с одной стороны, а все остальные закрыты. Во всех случаях «ящики» были заполнены известковым раствором, тоже аналогичным всему раствору, изготовленному из извести с примесью песка. В некоторых случаях в этих «ящиках» вместе с известковым раствором были положены фрагменты плинфов или целый бут. По своим размерам «ящики» близки друг к другу, а также близки к размерам квадров из известняка. Средний размер «ящиков» 40×30×35×3 см.

Во время раскопок у северной стены был вскрыт «ящик», тоже заполненный известковым раствором, отличающийся своими большими размерами от всех найденных кирпичных «ящиков». Его длина 70 см., ширина — 50 см., высота 32 см. толщина стенки — 8 см. (См. план, керамические блоки в северной продольной стене).

Как показали наблюдения, данный ящик до применения его в качестве строительного материала с одной стороны был уже обломан. Указанные «ящики», как и весь строительный материал данного участка, были лишены всякого орнамента, или каких либо знаков мастеров.

Всего в руинах двух церквей было выявлено 28 керамических «ящиков». Отсюда — 7 в малой церкви и 21 — в развалинах большой базилики.

Как показали раскопки керамические «ящики» по своему расположению в обеих церквах сохраняют некоторую закономерность. Прежде всего нужно отметить, что они использованы в местах соединения пролетов стен. В одних случаях они выложены тычком, в других — ложком. Вызывает особый интерес расположение «ящиков» парами, в основном вплотную один к другому. Они отделены друг от друга только двумя сантиметрами, и этот весьма маленький промежуток залит известковым раствором. В большинстве случаев эти пары расположены по горизонтали в продольных стенах базилики и только в двух случаях в абсиде они лежат один над другим по вертикали.

Кроме применения «ящиков» парами как по горизонтали, так и по вертикали, можно уловить еще и другие приемы. Как правило, они использованы с обеих противоположных сторон одной продольной стены и вместе с тем эти противоположные стороны одной стены расположены, в свою очередь, на противоположной стороне другой параллельной продольной стены.

Такой порядок расположения этих «ящиков» наблюдается как на продольных, основных стенах базилики, так и в абсиде (См. план, керамические блоки).

В сохранившихся западной и южной стенах базилики зафиксировано четыре «ящика» в очень плохой сохранности. Все они расположены по горизонтали на одной линии на высоте пяти метров от пола. Что заставило строителей исследуемых памятников обжигать эти своеобразные, можно сказать, даже уникальные керамические «ящики», и каково было их основное назначение?

На данный вопрос пока что трудно дать окончательный ответ. П. С. Уварова, обратив внимание на подобные «ящики», указала на предположение Н. В. Никитина, который считал, что они могут служить для просушки стен. Как известно, в данной местности, как и по всему Пицундскому мысу была большая влажность, и зодчий на указанной территории должен был призадуматься над этим вопросом. Но, когда речь идет о керамических «ящиках», то использование их в столь незначительном количестве не могло дать желаемого результата в просушке здания.

Можно было выразить мнение об их декоративном назначении, т. к. они выложены в одной плоскости с облицовочным материалом в определенном порядке. Но подобное суждение отвергается тем, что стены здания с обеих сторон были оштукатурены, и вместе с квадрами известняка и плитами песчаника они оставались под слоем штукатурки.

Заполненные раствором керамические «ящики» не могли служить в качестве голосников, а также не связаны с обрядом захоронения.

По всей вероятности эти «ящики» во всех случаях их расположения могли служить только в качестве строительного материала. Обработка блоков известняка, их доставка с определенного расстояния видимо была задачей не из легких. Этой же причиной объясняется некоторое ограничение в использовании известковых квадров при возведении основных стен базилики. А что касается обилия керамического строительного материала, оно было вызвано наличием местного сырья — высококачественной глины в самом Алахадзы, обжигавшейся при определенной технике без особых затруднений в местных мастерских, следы которых обнаружены Пицундской археологической экспедицией в окрестностях Алахадзы. Все это может говорить о несложности изготов-

ления керамических «блоков» — «ящиков» по сравнению с блоками известняка.

Придя к этому заключению, можно было объяснить причину появления этих «ящиков», но их употребление в столь незначительном количестве, как полагает А. М. Апакидзе, не может не вызвать некоторого сомнения.

Вопрос о причине возникновения этих уникальных и в некоторой степени странных «ящиков», как уже было отмечено, нужно оставить открытым.

Характерно, что морской конгломерат, получивший широкое применение при возведении архитектурных памятников Пицундской низменности, здесь полностью отсутствует.

Базиликальный храм с. Алахадзы имел три нефа и одну семигранную абсиду. Внутренние размеры здания хорошо выражают пространственную характеристику всей базилики. Ее длина с наружной стороны — 34,50 м., ширина — 11.20 м. Длина (глубина) абсиды — 7,50 м., а ширина, составляющая 10 м., почти равна ширине всех трех нефов.

Основная часть базилики была разделена на три нефа столбами-устоями, расположенными в два ряда. В центре — большой неф, длиной — 27 м., его ширина — 3.50 м. Ширина боковых нефов — 2,20 м.

Всего насчитывалось 12 колонн, разделенных на два ряда, в каждом ряду по шесть устоев. Устои были удлиненной формы, выложены не строго в одну линию. Они были не только основой всей конструкции, но и украшением всего здания.

Соединяясь с арками, колонны придавали интерьеру торжественность. Колонны удлинены параллельно с основными продольными стенами. Все устои одной формы — прямоугольные за исключением одного, третьего от абсиды, расположенного в северном ряду. Этот устой от пола после 15 см. высоты суживается на 10 см., вследствие чего приобретает овальную форму. Как и стены базилики, колонны тоже в плохой сохранности. Сравнительно хуже сохранились устои южного ряда. В этом ряду кроме одного первого от абсиды, сохранившегося до 1,25 м. от пола, все остальные почти полностью разрушены. Два устоя северного ряда, расположенные к востоку, сохранились до такой же высоты, а все остальные в этом ряду, за исключением одного, почти полностью разрушенного, высотой от пола 50 см.

Основные размеры устоев — 3,0×1,20 м. с незначительными отклонениями. Расстояние между ними 1,60—2,0 м. Два первых устоя обоих рядов, расположенных перед абсидой, отличаются от всех остальных как по форме, так и по размерам. Оба они сохранились в первозданном виде до высоты 1,25 м. от пола. Их размеры 1,60×1,50 м. К востоку от этих восточных опор стоят еще два мощных устоя. Они как бы дополнительно усиливали эту часть базилики, соединяясь с основными , а также со стенами абсиды. Эти устои тоже в лучшей сохранности, облицованы они, в отличие от рядами расположенных колонн, плитами песчаника.

Все остальные колонны базилики облицованы из однородного материала — квадров известняка; очень редко применялись песчаник и кирпич.

Внутренняя забутовка устоев аналогична всей забутовке стен базилики.

Как уже было отмечено, ширина основной части базилики почти равна ширине абсиды. Подобная архитектурная форма считается очень редким явлением в церковном зодчестве.

В 1952 году на территории Пицундского акрополя была раскопана древнейшая базилика с многогранной абсидой, относящаяся к IV ве-

ку[5]. Стены этой базилики были разрушены и по оставшимся фрагментам невозможно было установить количество граней абсиды. По своей архитектуре Пицундская базилика аналогична памятнику с. Алахадзы. Эта аналогия заключается прежде всего в том, что ширина основной части обеих церквей равна ширине абсиды. Аналогичными считаются четыре загородные римские базилики первой половины IV в., и две — малоазийские — VI в.[6]

Церковь с. Алахадзы наряду с аналогией с вышеуказанными базиликами имеет и такие особенности, которые пока не известны в доступной для нас специальной литературе. Во всех случаях, если ширина всех трех нефов совпадает с шириной абсиды, то столбы-опоры ставятся, как в основной части церкви, так и в ее абсиде. И именно это положение делает базилику с. Алахадзы исключением.

В. А. Лекванидзе считает, что памятник с. Алахадзы вначале представлял собой однонефную церковь зального типа, в разделительные столбы-устои появились позже, в результате чего церковь зального типа была превращена в трехнефную базилику. Если согласиться с этим мнением, то можно было бы объяснить отсутствие опор в абсиде тем, что во время некоторых перестроек здания не было необходимости загромождать абсиду опорами. Однако, нужно учесть, что при такой ширине здания трудно было бы решить задачу его перекрытия без использования столбов в основной части базилики, несмотря на мощность продольных стен, да и стены, как увидим ниже, не везде были одинаковой прочности.

Нам кажется, что рассматриваемый памятник с самого начала представлял собой трехнефную базилику с одной абсидой. Что касается вопроса об отсутствии опор в абсиде тоже, вероятно, было предусмотрено до начала строительных работ. Успешному решению этой задуманной задачи должны были служить мощные стены абсиды, укрепленные дополнительными опорами у соединения граней абсиды с продольными стенами.

Грани вскрытой семигранной абсиды отличаются как по размеру, так и по форме. Боковые грани базилики, соединяющиеся с основными стенами, больших размеров, и в их средней части небольшой перелом, в результате чего они получили округлую форму. Смыкаясь со стенами храма, указанные грани создают плечики, которые выступают на 50 см. Длина первой северной грани — 4,60 м., второй — 2,80 м., третьей — 3,0 м., четвертой — 3,05 м., пятой — 2,95 м., шестой — 3,40 м., седьмой — 4,40 м. Грани абсиды отличаются не только по длине, но и по ширине. Первые боковые грани, являющиеся продолжением основных стен здания, толще последующих. И, если их толщина равняется 1,50 м., то толщина четвертой центральной грани составляет только 1,10 м.

Кроме упомянутых базилик на территории низменности Пицундского мыса археологическими раскопками были обнаружены еще несколько памятников тоже с многогранными выступающими абсидами. Одна из таких церквей была раскопана внутри Пицундского городища[7], другая у самого берега, в сосновой роще[8].

[5] А. М. Апакидзе, Бичвинта. Результаты археологических раскопок 1952 г. Научная сессия института истории им. И. А. Джавахишвили, посвященная итогам полевых-археологических исследований 1952 г. Издательством Академии наук Груз. ССР, Тбилиси 1953, стр. 31.

[6] В. А. Лекванидзе. «О древнейшей базилике Питиунта и ее мозаиках». Вестник древней истории, 1970. № 2, стр. 175.

[7] И. П. Цицишвили, История Грузинской архитектуры, Тбилиси, 1955. стр. 41.

[8] Т. К. Микеладзе, Бичвинтская двухабсидная церковь. Материалы по археологии Грузии и Кавказа, том III, Тбилиси, 1963.

Большие размеры абсиды базилики с. Алахадзы, ее просторная алтарная часть, где находились престол, алтарь, аналой (кафедра), две широкие ступени вдоль полукружия абсидальной стены, красочный покров пола и других названных деталей в былое время создавали торжественный вид и большую впечатлительность для большого числа молящихся, обеспечивало господство этой восточной части базилики над всем храмом.

В центральной восточной части абсиды был пристроен престол, в настоящее время в плохой сохранности. Лучше сохранилась его юго-западная часть. Длина престола 2 метра, ширина — 1,60 м. Он был шире двух примыкающих с севера и юга ступеней для сидения и вдавался в глубь алтаря от этих ступеней на 60 см. Пристроенная часть престола выложена из целых черепиц, заполненных раствором, местами, очень редко, были использованы квадры известняка, а остальная примыкающая часть к абсиде была заполнена крупной речной галькой и залита раствором. Вся сохранившаяся поверхность престола была покрыта, как и весь пол алтаря, раствором из толченного кирпича красноватого цвета.

От этого престола к западу на расстоянии 30 см. был расположен алтарь базилики размером 1,10×1,10 м. Его плохая сохранность не позволяет установить высоту. Местами она достигает от пола 45 см. Алтарь был облицован квадрами известняка и керамических ящиков, выложенных на известковом растворе, а промежутки были заполнены битой керамикой вместе с речной галькой и залиты жидким известковым раствором. Расстояние между престолом и алтарем способствовало круговому обходу вокруг алтаря и совершению всяких религиозных обрядов.

Алтарь был расположен на расстоянии четырех метров от алтарной завесы, и этим самым бросается в глаза его отдаленность от этой точки и приближенность к престолу.

Вдоль всего полукружия абсидной стены с внутренней части были расположены две ступени для сидения церковных служителей, которые должны были располагаться согласно рангу церковных должностей. Эти сидения почти полностью сохранились в юго-западном углу абсидальной части базилики. Нижний ряд здесь сохранился на четыре метра от начала алтаря к престолу. Хуже сохранился верхний ряд. Его длина едва достигает двух метров. Дальше эти ряды сохранились до самого престола только на высоте 10 см. от поверхности пола. Еще хуже сохранились эти ряды-ступени от престола вдоль северного полукружия абсиды. Здесь на расстоянии 1,50 м. выложен только один нижний ряд, а дальше только видны следы обоих рядов на всю их ширину и длину. Ширина выноса рядов — 40 см., их высота — 30 см.

Как видно из сохранившихся частей рядов-ступеней в качестве облицовочного материала в основном применялись квадры из известняка, местами были использованы плоские кирпичные плиты-плинфы. Строительный материал рядов был выложен на известковом растворе серого цвета, этим же раствором были они оштукатурены, после чего сверху покрыты на всю ширину, длину и высоту раствором из толченного кирпича под общий красноватый цвет всего пола алтаря.

Основные продольные стены базилики, толщина которых равняется 1,50 м. почти полностью разрушены. На площади базилики до начала раскопок они не выделялись от поверхности земли, а после полного вскрытия базилики местами высота стен достигает 2-х метров от пола. В восточной части, где они соединяются со стенами абсиды, в лучшей сохранности. Перед началом северной, первой грани абсиды, над основ-

ной продольной стеной лежит большой фрагмент, который с внутренней стороны от стены оторван на 25 см., а с севера он лежит в первозданном виде. Видимо, это произошло в результате обвала стен или с помощью тех, которые специально разрушили стены базилики. В любом случае чувствуется большое насилие, применявшиеся при разрушении этих капитальных мощных стен.

Здесь же рядом, снаружи, между базиликой и малой церковью лежит такой же большой фрагмент, принадлежавший базилике.

Вызывает интерес своеобразная техника возведения основных продольных стен базилики, отличающаяся от техники возведения как западной стены так и стен абсиды.

Выше уже отмечалось, что строители базилики в некоторой степени были ограничены блоками известняка, и это именно выразилось при сооружении продольных основных стен. Продольные стены выложены отдельными пролетами, при этом эти пролеты чередуются: если один пролет выполнен только из квадров известняка, то другой, в свою очередь, тоже только из плит песчаника. (См. план, кладка № 1 и № 2).

Эти отдельные строительные детали не переходят одна в другую и без перевязи между собой, промежутки между пролетами заполнены известковым раствором. Пролеты, выложенные из блоков известняка, до сих пор сохранили большую прочность, они и были, видимо, основными устоями стен. А пролеты из песчаника, заключенного между ними в настоящее время легко разрушаются. Здесь известковый раствор лишен всякой прочности, и вообще он едва заметен, и плиты песчаника легко расходятся при малейшем соприкосновении с посторонним предметом.

По всей длине эти пролеты разных размеров и нет определенной закономерности. Одни пролеты из квадров известняка, местами больше пролетов из плит песчаника, а местами они меньше последних. Также различны размеры пролетов из однородного материала. В кладке обеих продольных стен, в их западных частях, местами использованы керамические «ящики», заполненные известковым раствором.

Своеобразная строительная практика большой базилики, видимо, была самой экономичной.

Западная стена базилики, сохранившаяся местами на высоте до 6 метров, отличается от всех остальных стен базилики по технике возведения. Для этой стены не характерно чередование пролетов без перевязи из разнохарактерного строительного материала, как это имело место при строительстве продольных стен. Кладка западной стены прежде всего отличается чередованием рядов квадра и поясом из нескольких рядов кирпичей. В одних случаях эти пояса из четырех рядов кирпича, в других только из одного. Такое чередование квадров известняка с кирпичными поясами на Пицунде применялось еще в позднеантичную эпоху и имеет определенную традицию в данной местности.

От пола на высоте 60 см. выложены ряды квадров по горизонтали, затем начинается первый кирпичный пояс из четырех рядов. Этот первый пояс с внутренней стороны до настоящего времени полностью находится под слоем штукатурки и, в отличие от вышерасположенных, хорошо выраженных кирпичных поясов, он едва выделяется.

На расстоянии 85 см. от первого пояса начинается второй такой же пояс из четырех рядов кирпича. После второго четырехрядного пояса с блоками известняка чередуется пояс в один ряд кирпича. Расстояние между этими поясами 60 см.

Следующий кирпичный пояс опять только из одного ряда кирпича, затем чередуется четырехрядный пояс. Расстояние между последними

поясами, в отличие от предыдущих, только 40 см. Выше четырехрядного пояса уже в плохо сохранившейся части стены сохранились следы еще двух поясов по одному ряду кирпичей. Почти в средней части западной стены базилики по углам с севера и юга между поясами из четырех рядов и одного ряда были выложены по одному керамическому «ящику». Кирпичные пояса в конструкции несущие. Они выложены на всю толщину стены (толщина западной стены 1, 80 м.). Толщина раствора между рядами кирпича —5—6 см., между блоками известняка —3—4 см.

В сохранившихся развалинах западной стены базилики имеются сквозные отверстия в одну линию и высоту. Несомненно, что они служили для подъема строительного материала.

Стены абсиды базилики преимущественно облицованы квадрами известняка, частично использованы песчаник и кирпичи. Но здесь нет чередования как у продольных стен, а также чередования рядов квадра с кирпичными поясами, которые наблюдаются у западной стены.

Хотя местами в качестве облицовочного материала несколькими рядами выложены плинфы, но в конструкции они не несущие. Промежутки облицовочного материала, т. е. середина стены, заполнены крупным речным камнем вместе с обломками известняка. Скрепляющим материалом служил известковый раствор.

Большая базилика была снабжена тремя входами: западный центральный вход и еще два входа с севера и юга. Ширина главного западного входа вначале составляла 3,50 м. Позже, в силу каких-то причин эта ширина была ограничена на 2 метра, т. е. больше чем на половину. Таким образом ширина западного входа, предназначенного для всех молящихся, после ее ограничения равнялась ширина боковых входов — 1,50 м.

У южного, а также у северного входов были пристроены портики. Через порталы в церковь заходили служители культа. Раскопками были вскрыты мощные стены этих пристроек. Длина обнаруженных стен — 3,0 м., толщина — 1,30 м. Ширина между стенами портиков у входа — 2,20 м.

Для выяснения характера пола базилики рядом с колонной северного ряда на площади большого нефа был проложен контрольный шурф, доведенный до материка. Выяснилось, что пол был многослойным. Под утрамбованной землей был слой, толщиной до одного метра, содержащий в большом количестве вместе с земляной насыпью фрагменты известняка, кирпича. Над этим слоем был выложен речной камень, который сверху был покрыт серым известковым раствором с примесью песка. И, наконец, самый верхний слой красноватого цвета из толченого кирпича, извести и мелкого песка (см. план, фрагмент IV). Пол здания в сравнительно лучшей сохранности в алтарной части и вообще в восточных концах нефов. Также он хорошо сохранился у колонн, над порогами ступеней. Все сохранившиеся части названных деталей здания были покрыты аналогично полу.

Пол основной части храма переходил на алтарную часть двумя ступенями, каждая высотой 15 см. Значит, алтарная часть возвышалась над основной частью церкви на 30 см.

Центральный вход в алтарную абсиду, шириной 3,50 см., в средней части разделен аналоем (кафедрой). Ширина кафедры — 1,50 м., длина — 2,0 м., а его сохранившаяся высота местами достигает до 40 см. от пола. Ширина входов от основной части церкви в алтарь с одной стороны ограничены кафедрой, а с другой восточными колоннами обоих рядов, стоящие рядом с кафедрой как с севера, так и с юга. Ширина вхо-

да между южной колонной и кафедрой — 1,0 м. Такой же ширины и второй вход с севера от кафедры. Эти оба входа с двумя ступенями служили для входящих от центрального большого нефа в алтарную часть.

Такими же входами снабжены и боковые нефы. Ширина входов от боковых нефов в алтарную абсиду тоже по одному метру. Но здесь нет двух ступеней, что могло вызвать большое неудобство для переходов, поэтому вызывает некоторое сомнение наличие здесь входов.

Как выяснилось раскопками, в рассматриваемой части здания не было алтарной преграды. Об этом свидетельствует отсутствие ее следов. Видимо, здесь была алтарная завеса.

Как и в алтарной части, вдоль обеих продольных стен, а также западной стены базилики с внутренней стороны было пристроено сидение. Высота сидения 40 см., ширина выноса тоже 40 см. У северной стены, особенно в ее восточном конце сидения сохранились в первозданном виде. Оно разрушено до основания от южного входа до абсиды. Облицовочный материал сидения в основной части базилики, а также характер кладки штукатурки полностью аналогичны сидениям в абсидной части. Но, если в алтарной части они выложены в два ряда, то здесь только в один ряд. В этой связи является исключением северо-восточный конец сидения, где вместо одного ряда выложено три ряда и еще один ряд расположен отдельно над основным рядом сидения. Все эти четыре ряда, не имеющие по своему расположению аналогию для всей базилики, в полной сохранности. Высота всех четырех рядов, как и ширина выноса равна 25 см.

В северо-западном конце базилики, вдоль западной стены, был проложен контрольный шурф, чтобы выяснить характер фундамента базилики. Оказалось, что фундамент здания врезан вглубь на один метр. Он был выложен из крупного речного камня (булыжника) на известковом растворе с примесью мелкой морской гальки.

Большая базилика в ее западной части лишена стенной преграды для притворной части. Также нет следов крещальни или каких либо захоронений. Все это и некоторые другие вопросы, связанные с взаимоотношениями обеих церквей, должны быть освещены после полной раскопки малой церкви.


Полное археологическое исследование малой церкви также необходимо для ее датировки. Несмотря на однородность строительного материала на данной стадии раскопок трудно судить о синхронности обеих церквей. Но, если допустить, что на определенном отрезке времени эти культовые сооружения функционировали одновременно, то, по-видимому, большая церковь была предназначена для больших празднеств, а малая служила повседневному проведению церковных обрядов.

Большую базилику с. Алахадзы по нашему мнению нужно считать памятником ранне-византийской эпохой. В связи с данной датировкой нужно подчеркнуть, что все вышеуказанные аналогичные базилики относятся к IV—VI вв. Кроме того для византийской эпохи характерна, в особенности на территории Пицундской низменности, т. н. смешанная кладка (opus mixtum), которая имела место при возведении стен базилики с. Алахадзы. И, наконец, к этому времени относится массовое распространение христианства как в Абхазии, так и для всей Западной Грузии, и в связи с этим сооружение многочисленных церквей. Видимо, в раннесредневековый период в с. Алахадзы было крупное поселение, а местность Ахашных являлась религиозным центром.

Вскрытая археологическими раскопками в с. Алахадзы до сих пор неизвестная большая церковь базиличного типа своими размерами может поражать всякого, кто увидит ее и сейчас после полного выявления. Ее дальнейшее полное исследование имеет немаловажное значение в изучении истории края. Этой цели должно способствовать; на наш взгляд предлагаемое предварительное сообщение о великолепном археологическом памятнике с. Алахадзы.

АЛАХАДЗЫ 1971


ПЛАН




РАЗРЕЗ 2-2




РАЗРЕЗ 3-3




ФРАГМЕНТ III





РАЗРЕЗ 1-1



გიორგი ხელგინიძე

სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციისათვის

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სამხრეთ საქართველოს არაერთი ისტორიული პუნქტის მდებარეობაა დაუდგენელი, მათ შორის არ არის დაზუსტებული ისეთი პუნქტების მდებარეობაც კი, როგორიცაა: დემოთის ციხე, ზოვრეთის ციხე, კვირიკეწმინდა და სხვ. ამ წერილის მიზანია ისტორიული წყაროებისა და ტოპონიმიკური მონაცემების საფუძველზე ზოგიერთი ასეთი პუნქტის დადგენას შეუწყოს ხელი.

I დემოთი

დემოთის ციხე, ლეონტი მროველის ცნობით, სუმბატ ბივრიტიანმა ააგო ძველი წელთაღრიცხვის I ს-ში და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სომეხ-ქართველთა ბრძოლებში[1]. დემოთი შემდეგაც არაერთხელ იხსენიება ჩვენს ისტორიულ წყაროებში; კერძოდ იგი მოხსენიებული აქვს ჟამთააღმწერელს, ხოლო მესხური ქრონიკის მიხედვით, დემოთი მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტად ჩანს XVI საუკუნეშიც, 1587 წელს ელია დიასამიძის ღალატის მეოხებით იგი, ისევე როგორც ბეჟან გოგორიშვილის ღალატით ციხისჯვარი, თურქ დამპყრობელთა ხელში გადადის, რის გამოც სამცხის მთავარი მანუჩარი იძულებული ხდება დატოვოს თავის სამთავრო და მიაშუროს ქართლს[2].

ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ქვაბისხევის დასავლით, მტკვრის კიდეზედ, არს ციხე კლდესა ზედა შენი მაგარი, ეგონებ ამას დემოთის ციხედ“[3]. ვახუშტის ამ აღწერიდან აშკარაა, რომ მას ლაპარაკი აქვს დღემდე კარგად დაცულ სლესის ციხის შესახებ. ხოლო სლესა და სლესის ციხე კი არსად არ აქვს ნახსენები თავის აღწერაში (მოხსენიებული აქვს მხოლოდ სლესის ხევი) სლესა კი ცნობილი ისტორიული პუნქტი იყო და XV საუკუნეში სლესართა რეზიდენციას წარმოადგენდა[4].

აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: დემოთის ციხის მდებარეობა არც ვახუშტისა სცოდნია დანამდვილებით, ხოლო თვით ივანე ჯავახიშვილის აზრით, „სადღაც ღადოს მთაში უნდა ყოფილიყო დემოთი“[5].

პროფ. ს. ჯიქიას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ III წიგნში დემოთი ამჟამად არსებულ სოფლების ქვაბისხევის, გურკელისა და აგარის გა-

---

1 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 47—49.

2 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI საუკ.), ტექსტის პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებელი ქრ. შარაშიძისა, 1961, გვ. 55—56.

3 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 122.

4 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 33.

5 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 14, 53.

რემოცვაშია ხავარაუდევი[6], მაგრამ ამ ტერიტორიაზეა სლესის, ზოვრეთის, ზემოთიის და ე. წ. მოლოზანას ციხეები; თუ რომელი ამათგანი უნდა იყოს ძველი დემოთის ციხე, **კვლავ გაურკვეველი რჩება.**

ლეონტი მროველის ცნობით, ქართველებზე გამარჯვებულმა სუმბატ ბივრიტიანმა „აღაშენა ციხე ჭუეყანასა ოძრჯევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქჳან დემოთი, მოკიდებულად მთასა ღადოსსა“[7].

დემოთის ადგილმდებარეობის დასადგენად კიდევ უფრო ზუსტ ცნობებს გვაწვდის ჟამთააღმწერელი. როგორც იგი გვამცნობს, თათართა ყაენის აბაღასაგან გამდგარ თეგუდარის მხედართმთავარნი „წარმოვიდეს და მოვიდეს და დადგეს მთასა ზედა, რომელი აღმოველის შტოდ კავკასიისა, რომელს არს ლიხი. და ვითარ წარვლეს დასავლით კერძო, რომელსა უწოდენ ღადოდ, და ამათსა შესაყარსა დემოთისასა, დადგეს თათარნი ადგილსა, რომელსა ეწოდების ლომისთავი, და მიერ არბევდეს ჯავახეთსა ვიდრე ფარავნამდე“[8].

ლეონტი მროველის ცნობიდან ჩანს, რომ დემოთის ციხე აშენებულ იქნა სამცხეში, სადაც ღადოს მთა იწყება („მოკიდებულად მთასა ღადოსსა“). ამ ცნობათა მიხედვით, დემოთი საძიებელია ვახუშტის ლიხის მთისა და ფერსათის (იგივე ღადოს მთა) შესაყარზე, ლომისთავთან.

მართლაც, ბორჯომის ხეობაში, ქვაბისხევის ჩრდილოეთით 3 კილომეტრზე, ლომისთავის სამხრეთ ფერდობზე, კარგად არის დაცული ძველი ციხის ნაშთები; ეს, სამი მხრიდან მიუვალ, მაღალ კლდეზე ნაგები ციხე, თავის დროისთვის, როგორც ვახუშტი იტყოდა, ფრიად მტკიცე და შეუვალი იქნებოდა. ადგილს, სადაც აღნიშნული ციხეა, მოსახლეობა ზემოთიას უწოდებს, ხოლო ციხეს — ზემოთის (ან ზემოთიის) ციხეს. აშკარაა, რომ სწორედ ეს ციხეა ჩვენს ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული დემოთის ციხე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ XVI ს-ის მეორე ნახევარში შედგენილ ე. წ. „მესხური დავითიანის ქრონიკაში“ დემოთის ნაცვლად დემოთიას ციხე იხსენიება („დიასამიძემ ელია დემოთიას ციხეს სავალინშვილი საღალატოდ შეუყენა“), დაახლოებით ამავე პერიოდში შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშიც“ სოფელი დემოთია არის მოხსენიებული. როგორც ჩანს, დემოთის დემოთიად შეცვლა ადრეულ საუკუნეებშივე მომხდარა (ან ეგების, უკანასკნელი ფორმა ხალხში თავიდანვე იყო გავრცელებული, დემოთი კი უფრო მწიგნობრული ხასიათის სახელია?!).

II კვირიკე წმინდა.

დღემდე არ არის დაზუსტებული ადგილმდებარეობა „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ რამდენიმეჯერ მოხსენიებული კვირიკეწმინდისა, რომელიც, გიორგი მერჩულეს ცნობის მიხედვით, ნეძკს დიდებულ მონასტრის აშენების ჟამად გრიგოლ ხანცთელის მოწაფის ქრისტეფორეს მიერ იქნა დაარსებული[9].

6 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, 1958, გვ. 149—150.

7 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 47.

8 იქვე, ტ. II, 1959, გვ. 265.

9 გიორგი მერჩულე გადმოგვცემს: თედორე და ქრისტეფორე „წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა, და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტროდ და აღაშენეს სენაკები ორგანივე. და უწოდეს თეოდორეს ვანსა ნეძკ, ხოლო ქრისტეფორეს კვირიკე-წმინდა და მოწაფენი დაუტევეს“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, I, გვ. 123).

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „ამ პუნქტის თვით სახელწოდებაც გამქრალია და ადგილმდებარეობა ამ სავანისა დღემდე დადგენილი არაა[10]. ს. ჯიქიას კვირიკეწმინდა სოფლების: ორფოლის, ბლორძის, საყუნეთისა და ტყემლოვანის მიდამოებში ეგულება. ამასთან, XIX საუკუნის რუსულ დოკუმენტზე დაყრდნობით იგი მიუთითებს: „ამრიგად, კვირიკე წმინდა ნასოფლარი, როგორც საყანე ადგილები, სოფ. კოპაძის მცხოვრებთა მფლობელობაში ყოფილა. ეს ვითარება კი სავსებით განსაზღვრავს კვირიკე წმინდის ადგილმდებარეობას“[11].

თურქული დავთრისა და XIX საუკუნის დოკუმენტის მიხედვით თითქოს ბუნებრივია ასეთი დასკვნის გამოტანა; მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ პუნქტები ყოველთვის გეოგრაფიული თანმიმდევრობით არ არის ჩამოთვლილი, მაგალითად, პეტრეს ლივის პეტრეს ნაჰიჱეში № 13-ად აღწერილია სოფელი ნუა (ბორჯომ-ბაღის ტერიტორიაზე იყო, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე), № 14-ად — ყვიბისი, № 15-ად ციხისჯვარი, ხოლო № 16-ად სოფელი ჭალა, რომელიც ბორჯომის დასავლეთით, სოფელ ლიკანთან იყო. ან კიდევ პეტრეს ლივის ქაშვეთის (სადგერის) ნაჰიჱეში № 1-ად აღწერილია სოფელი სადგერი, № 2-ედ კიმოტესმანი (კიმოთესუბანი), ამას მოსდევს მტკვრის ხეობის სოფლები: რველი, ზანავი და კორტანეთი), შემდეგ აღწერილია ბაკურიანი და მიტარბი, მათ შემდეგ კი ისევ მტკვრის ხეობა: სავანელი (სავანის უბანი), ქიმერეთი და ქვიშხეთი[12].

ამგვარად, თუ დავთრის ცნობები სხვა დოკუმენტებითაც არ იქნა შეჯერებული, ამა თუ იმ პუნქტის გეოგრაფიული მდებარეობის დასადგენად, მხოლოდ მასზე დაყრდნობა არ შეიძლება.

მით უფრო არ შეიძლება გადაჭრით თქმა იმისა, რომ რაკი კვირიკეწმინდის ნასოფლარი, როგორც საყანე ადგილები, სოფ. კოპაძის მცხოვრებთა მფლობელობაში ყოფილა, ამიტომ კვირიკეწმინდა უთუოდ სოფ. კოპაძესთან ახლოს უნდა იყოს. ფეოდალური მფლობელობის პერიოდში ხშირი იყო შემთხვევები, ერთი ან რამდენიმე პირი (ზოგჯერ მთელი სოფელი) ყიდვის თუ წყალობის საფუძველზე ძირითადი პუნქტიდან საკმაოდ დაშორებულ ადგილას ფლობდა სახნავ-სათესსა და საძოვარ ფართობს.

სოფ. კოპაძისაგან კვირიკეწმინდის მფლობელობისასაც, როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამაზე მიგვითითებს ისიც, რომ იმ ადგილებს, სადაც, ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო კვირიკეწმინდა, სოფელ დვირისა და მის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა ცნობით, რევოლუციამდე ახალციხეში მცხოვრები ფეიზულა-ბეგი და მისი შვილი სარვალბეგი ფლობდნენ.

სოფელ დვირში მცხოვრებ დიმიტრი ივანეს ძე ხუციშვილის (60 წლის) გადმოცემით, აღნიშნულ ბეგებს კვირიკეწმინდის მამულები დგვრის სერამდე ეჭირათ და მისი (დიმიტრის) მამა ამ მამულების მომვლელად ყოლიათ დაყენებული.

---

10 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., 1954, გვ. 399.

11 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 125.

12 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, II, 1941, გვ. 328, 331—332.

კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობის დადგენაში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთართან“ ერთად გვეხმარება ყამთააღმწერელი, მისი გადმოცემით, ლომისთავზე, დემოთის შესაყარზე, დაბანაკებული მონღოლი უფლისწულის თეგუდარის ლაშქარი არბეედა ჯავახეთს ფარავნამდე. მათ ჩაუვლიათ ეკერის ხევი, აწყურის ზემოთ მტკვრის ფონში გასულან და ჯავახეთიდან მეჰურჰლეთუხუცესის კახა თორელისა და მონღოლთა ათასისთავის ყურუმჩი-ბადურის ჯოგი მოუტაციათ. მომტაცებლებს კახა თორელი და ყურუმჩი-ბადური ლაშქრით დადევნებიან, დასწევიან მაშინ, როდესაც თეგუდარის მოლაშქრენი მტკვარზე გასულან და მტკვრის მარცხენა ნაპირზე, გურკელის წყლის შესართავთან მიუღწევიათ. აქ ბრძოლა გამართულა, სადაც, თეგუდარიანებს მოხერხებულობით სასტიკად დაუმარცხებიათ მადევარნი, მემატიანის ცნობით: „ივლტოდა მსწრაფლ შეშინებული (იგულისხმება კახა თორელისა და ყურუმჩი-ბადურის ლაშქარი — გ. ზ.), სადა-იგი სიმრავლე მოიკლა კაცთა კეთილთა, და ორთა ჯოხტელთა მიიღეს აღსასრული, და სამძივარი[13] ცხენ-მოკლული ცურვითა ივლტოდა და აწყურს შევიდა, მჭედართმთავარი თათართა ყურუმჩი-ბადურ მოიკლა და უწესოდ დაბნეულნი, გზისა მეოტისა ვერ დამპყრობელნი შეივლტოდეს მთად რუგეთისა, აღმართსა ძნელ-სავალსა, რომელსა ქჳან კვრიკეწმიდა“[14].

მემატიანეს ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ბრძოლა მოხდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე, გურკელის წყლის შესართავთან; კახა თორელის ლტოლვილი ლაშქარი აღმოსავლეთისაკენ მიემართება, რადგანაც სამძივარი (იგივე კახა თორელი) აწყურში შედის, ხოლო გზისა მეოტის ვერ დამპყრობი ლაშქარი კი წინ მიიწევს და რუგეთის მთაში, სოფელ კვირიკეწმიდას აფარებს თავს; მათაც სამძივრის მსგავსად მტკვარი გასცურეს თუ ხიდზე გაივიდნენ, ეს აღარ ჩანს მემატიანის თხრობიდან, მაგრამ აშკარაა, რომ სამძივარმა უფრო ადრე მოასწრო მტკვარზე გასვლა და აწყურში თავის შეფარება.

მაშასადამე, კვირიკეწმინდა აწყურის აღმოსავლეთით უნდა ვეძიოთ, რუგეთის მთაში, ამჟამად რუგეთის მთას ბორჯომის ხეობის სოფელ ტაძრისის სამხრეთით კოდიანის გაგრძელებას უწოდებენ; მისგან ჩრდილოეთით მტკვრის მარჯვენა მხარეზე კი რუგეთის მთის პარალელურად კვირიკეწმინდის სერი მიჰყვება, ადვილად მოსალოდნელია, რომ ადრე ამ მთასაც რუგეთის მთა ეწოდებოდა.

ასე იყო თუ არა, ყოველ შემთხვევაში სწორედ ამ კვირიკეწმინდის სერის ჩრდილო ფერდობზე, მტკვრის მარჯვენა მხარეზე, სოფელ დვირთან, დასავლეთით 1,5 კილომეტრზე, დვირის რკინიგზის სადგურიდან სამხრეთის მიმართულებით 150—200 მეტრზე, მართლაც ძნელად სავალ მთის ფერდობზე მოღწეულია ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც მოსახლეობა მტკიცედ უწოდებს კვირიკეწმინდას.

კვირიკეწმინდის ტაძარი სამშენებლო ტიპის მიხედვით ძლიერ ახლოს დგას ქვაბისხევის მარიამწმინდის ტაძართან. ისიც, ამ უკანასკნელის მსგავსად, სამეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენს. ცენტრალური ეკლესიის წინა ნაწილი

---

13 აქ სამძივარში კახა თორელი უნდა იგულისხმებოდეს, თორელთა ძველი გვარი ხომ სამძივარი იყო (იხ. ლ. მესხიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, 1941, გვ. 60—68).

14 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 265—266.

(ფასადი) სამხრეთისა და ჩრდილოეთის ეკლესიებისაგან კედლით არის გამოყოფილი, მეორე ნაწილი კი წახნაგოვან სვეტებზე დაყრდნობილი თაღებით იყოფა. იგი მარიამწმინდისაგან არსებითად მხოლოდ ზომებით განსხვავდება (კვირიკეწმინდის ზომების 13×15 მეტრი, მარიამწმინდისა კი 8,5×9,5 მეტრი).

ქვაბისხევის მარიამწმინდას აკად. გ. ჩუბინაშვილი ათარიღებს VIII—IX საუკუნეებით, უფრო IX საუკუნით[15]. დაახლოებით ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს კვირიკეწმინდაც, რაც აგრეთვე კარგად უდგება გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში მოცემული ძეგლის აშენების თარიღს.

ამჟამად ბაზილიკის ცენტრალური და სამხრეთი ეკლესიების თაღები ჩამოქცეულია, კედლებიც ძლიერაა დაზიანებული, შედარებით უკეთესად არის დაცული ჩრდილოეთის ეკლესია, რომლის აფსიდის თაღსა და კედლებზეც შერჩენილი არის შესანიშნავი ფრესკები. ამასთან ტაძრის გარშემო დაცულია მონასტრისათვის დამახასიათებელი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნანგრევები, უკანასკნელ ხანებამდე აქ ძველი სტილით 7 ივლისს (ახ. სტ. 20 ივლისს) იმართებოდა წმ. კვირიკეს ღღეობა, რომელზეც ახლო-მახლო სოფლებიდან ბევრი ხალხი იყრიდა თავს.

ამგვარად, ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ სწორედ ეს ძეგლია ის კვირიკეწმინდა, რომელიც გრ. ხანცთელის ცხოვრების მიხედვით ქრისტეფორემ ააშენა და რომელიც შემდეგ ჟამთააღმწერელსაც აქვს მოხსენიებული.

რაც შეეხება კვირიკეწმინდისა და საკვირიკეს ურთიერთობას, სოფელ დვირის მოსახლეობა ასე განმარტავს: საკვირიკე მაგ ადგილებს ქვია, კვირიკეწმინდას კი, ეკლესია რომ არის, იმას ვუძახდითო. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ცალ-ცალკეა აღრიცხული კვირიკეწმინდა და საკვირიკე. XIX საუკუნის რუსულ საბუთებშიც ცალ-ცალკე პუნქტებად ჩანს ორივე. უთუოდ კვირიკეწმინდის ახლოს არსებობდა დასახელებული პუნქტი საკვირიკე, სავარაუდებელია დვირის რკინიგზის სადგურის დასავლეთით რამდენიმე ასეულ მეტრზე, რკინიგზის ხიდის მახლობლად (აქვე ძველი ხიდის ბურჯებიც არის მოღწეული), სადაც ძველ ნამოსახლართა კვალიც შეიმჩნევა და ამ გვიანობისას სოფელ ზოვრეთიდან გადმოსულ რამდენიმე კომლსაც უცხოვრია. სწორედ ყოფილი პუნქტების, კვირიკეწმინდისა და საკვირიკეს ასეთი სიახლოვით უნდა აიხსნას, რომ სოფელ დვირის მცხოვრებლები, რომელთაც ამჟამად ეს ადგილები ეკუთვნით, კვირიკეწმინდასაც უწოდებენ და საკვირიკესაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან ჩანს, თვით კვირიკეწმინდას ორვეარი სახელი დაარსებიდანვე უტარებია, „ცხოვრების“ ავტორი ერთგან გვაუწყებს, რომ გრიგოლმა „იპოვნა მოყუასნი კეთილნი... თეოდორე, ნეძსა მაშენებელი და მამაჲ, და ქრისტეფორე, კვირიკეთისა მაშენებელი და მამაჲ“[16], ხოლო მეორეგან აღნიშნავს, „და უწოდეს თეოდორეს ვანსა ნეძჲ, ხოლო ქრისტეფორესსა კვრიკეწმი-

[15] გ. ჩუბინაშვილი, ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა, სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV a-b. 1948, გვ. 298.

[16] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 102.

და"[17]. „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარშიც", როგორც ს. ჯიქია შენიშნავს, სიაში კვირიკეა დასახელებული, აღწერაში კი კვირიკეწმინდა[18].

საკვირიკე კვირიკეწმინდაზე უფრო გვიანდელი წარმოშობისა უნდა იყოს, იგი დაკავშირებულია, „კვირიკე" ფუძესთან (წმ. კვირიკეს სახელთან) და მიუთითებს, რომ ეკუთვნის კვირიკეს (უნდა ვიგულისხმოთ, კვირიკეწმინდას). ე. ი. სახელწოდება საკვირიკე იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ეს სოფელი კვირიკეწმინდის მონასტერს ეკუთვნოდა.

III ზოვრეთი

დადგენილი არ არის, აგრეთვე, ფ. გორგიჯანიძის ისტორიაში მოხსენიებული ზოვრეთის ციხის ადგილმდებარეობა.

ფ. გორგიჯანიძის სიტყვით, აჯანყებული ნოდარ ციციშვილი ატენის ციხიდან გახლტოლვილი ზოვრეთის ციხეში გამაგრდა, როსტომ მეფემ სკრას ზევით საციციანო დაარბევინა, შემდეგ კი ზოვრეთის ციხეს შემოადგა: „წყალკურთხევამდისინ სრულ ქართველთ ლაშქარი ზოვრეთის ციხეს ადგნენ და ვერ აიღეს ... ციხეს შიგნით ყმათ უმუხანათეს... და ციხის გაცემას შეუდგნეს... (ნოდარმა) **ჩათრეულს ჩაყოლილი აჯობინა და თავისი** დედა კახეთის ბატონიშვილი, როსტომ მეფესთან სახვეწრათ გამოგზავნა... გაცლის გზა სთხოვა". მეფემაც უვნებლად გაუშვა ნოდარი ახალციხეს[19].

ნოდარ ციციშვილის წინააღმდეგ როსტომ მეფის მიერ გადახდილ ამ ბრძოლას აგვიწერს ირანელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერიც (XVII ს.). იგი სახელს არ იხსენიებს, მაგრამ ციხეს, რომელშიც ნოდარ ციციშვილი იყო გამაგრებული, ფუძემაგარს უწოდებს, ამასთან დასძენს, რომ ამ ციხის გზების სიძნელე და ტყეების სიხშირე იქაურ ხალხში ანდაზად არის ქცეულიო[20].

ამ ამბავს ეხება ბერი ეგნატაშვილიც, მისი სიტყვით: „ნოდარი ივლტოდა და შევიდა ციხესა ატენისასა. მივიდა როსტომ მეფე და შემოადგა გარს და ვერცაღა მუნ გამაჯრდა ნოდარ და წარვიდა ზემო ქართლად, რომელ არს საათაბეგო, ხოლო როსტომ მეფემან აღიღო ციხე, დაამტვრია და წარმოვიდა მუნითგან"[21]. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობითაც, „ნოდარ განივლტო და მივიდა სამცხეს, ხოლო მეფემან როსტომ აღიღო ციხე და შემუსრა"[22].

ამ ისტორიკოსთაგან ყველაზე უფრო ზუსტ და ვრცელ ცნობებს, როგორც მომსწრე და თვითმხილველი, გვაწვდის ფ. გორგიჯანიძე. იგი თუმცა ზოვრეთის ადგილმდებარეობას არ უჩვენებს, მაგრამ, როგორც მისი თხრობიდან ირკვევა, ეს ციხე ახალციხის საფაშოს საზღვრებთან უნდა ყოფილიყო, ამის ყრუ გამოძახილი ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის ცნობებშიც გვაქვს მოცემული.

---

17 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 123.

18 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 124.

19 ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც. „საისტორიო მოამბე" II, 1925, გვ. 249.

20 ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკე. 30, 1954, გვ. 318.

21 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 422.

22 ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913, გვ. 73.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთართან“ ტოპონიმიკური მონაცემების შეჯერება შესაძლებლობას იძლევა გარკვეულ იქნას ისტორიული ზოვრეთის მდებარეობა. იგი დაახლოებით იქ უნდა ყოფილიყო, სადაც იყო ბორჯომის რაიონის სოფელი ზოვრეთი[23], სოფელ ქვაბისხევის სამხრეთ აღმოსავლეთით; ხოლო ციხე ზოვრეთისა უნდა იყოს ის ციხე, რომელიც ჩითახევჰესის საგუბარს გადმოჰყურებს მაღლიდან, კვირიკეწმინდის აღმოსავლეთით 0,5 კილომეტრზე რომ მდებარეობს. იგი მართლაც ფუძემაგარი ციხეა და ძნელად მისავალ ხშირტყიან კონცხზე არის აგებული.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, XVI საუკუნის ბოლოსათვის კვირიკეწმინდა 4 კომლით ყოფილა დასახლებული[24], ხოლო საკვირიკე გაუკაცრიელებულიყო[25]. XVII საუკუნის I ნახევარში (როსტომ მეფის დროს) და შემდეგაც ორივე სოფელი გაუკაცრიელებული უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების გეოგრაფიული ნაწილი, რომელშიც ეს პუნქტები არ არის დასახელებული და თვით კვირიკეწმინდის მოხსენიებაც არ ჩანს[27]. ამ ადგილებში მოსახლეობა დიდი ხნის გამქრალი რომ არ ყოფილიყო და მონასტერიც დავიწყებას მიცემული, მაშინ მონასტრის დასახელება მაინც არ გამორჩებოდა ჩვენს სახელოვან გეოგრაფს; ეს სოფლები არც გიულდენშტედთან იხსენიება.

ამასთან, როგორც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ ჩანს, ზოვრეთი იმდროისათვის საკმაოდ მოზრდილი (10-კომლიანი) სოფელი ყოფილა[26]. ამავე დროს, როგორც აღინიშნა, საკვირიკის ერთ ნაწილს გვიანობამდე ზოვრეთელები ფლობდნენ და ერთხანად რამდენიმე კომლი მათგან აქ კიდეც ცხოვრობდა, ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ მთელი კვირიკეწმინდა-საკვირიკეს ადგილი, ციხის ტერიტორიის ჩათვლით, XVII საუკუნეში (კერძოდ, როსტომ მეფის აღნიშნული ბრძოლების დროს), როგორც უახლოეს სოფელს, ზოვრეთს ეკავა და ციხეც ამის გამო ზოვრეთის ციხის სახელს ატარებდა.

IV ბოჟანო

დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ დავით IV „... მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმან, და მაისსა აღიხუნა ციხენი სომხითისანი... და ივნისს წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდის, და, რაც პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო; ჩამოვლო ბუღთაყური და, დაწუნა ოლთისნი, და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა. და მცირედნი დღენი შუა გამოჯდეს და განიყარა ლაშქარი თჳს-თჳსად“.

რაკი ზევით ლაპარაკია, და აგვისტოსსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოაჯსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომსა“[28]. დავითი დადგა თრიალეთსაო, ამიტომ ბოჟანას წყარონიც, სადაც დავითი მდგარა, ეგულებათ თრიალეთში, კერძოდ, ვარაუდობენ, რომ რაკი წალკის რაიონის სოფელ ბურნაშეთს, XIX საუკუნის საბუთების მიხედ-

23 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 145.

24 იქვე, II, გვ. 93.

25 იქვე, გვ. 97,

26 იქვე, გვ. 108.

27 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 153.

28 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 344.

ვით, მეორე სახელად ბოჟანო რქმევია, ამიტომ დავითის სადგომი პუნქტიც ეს უნდა ყოფილიყოო[29].

აკადემიკოსი ს. ჯიქია მეორეგან თრიალეთში ჯავახეთის სოფლების სახელების: ბურნაშეთის, კოთელიისა და სხვათა გაჩენასთან დაკავშირებით სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა ძნელბედობის გამო იყრებოდა თავის სამკვიდრებლიდან და სახლდებოდა საქართველოს სხვა მხარეში. თრიალეთის სოფლების წალკის, ხანდოსა და რეხის მოსახლეობა ჯავახეთიდანაა გადმოსახლებული. გადასახლებულებმა თან გადაიტანეს თავიანთი ძველი სოფლის სახელებიც (მაგალითად, რეხას უწოდებდნენ „კოთელიასაც“), მაგრამ შემდეგ ისევ ძველმა სახელწოდებამ გაიმარჯვა[30].

უნდა ვიფიქროთ, რომ უეჭველად ასეთივე ბედი ეწია თრიალეთ-ჯავახეთის საზღვარზე მდებარე ბოჟანოსაც, — თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ (XVI ს.) აიყარა მოსახლეობა და დასახლდა წალკის ბურნაშეთში, სახელწოდებაც აქედანვე წაიღო[31].

ჯავახეთის ბოჟანოს არსებობას XVI საუკუნის ბოლოსათვის გვიდასტურებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“[32]. ვახუშტი ბაგრატიონსაც ბოჟანო ინდექსში თუმცა თრიალეთის სოფლებს შორის აქვს დასახელებული, მაგრამ აღწერის დროს თრიალეთში ბოჟანოს არსებობაზე არსად არ აქვს მითითება, მხოლოდ ჯავახეთის აღწერისას აქვს თქმული: „ბარალეთის ზეით, ამ წყალს, კაჭიოს, მოერთვის აზავრეთისკევი, გამომდინარე შარვაშეთის მთისა და მომდინარე სამკრეთად. ამას ზეით ამავე წყალს ერთვის, ბოჟანოს ქვეით, ბუშათის კევი“[33].

ვახუშტის ინდექსში ბოჟანო ნარიანსა და წითელსაყდართან (იგივე ტაბაწყური უნდა იყოს) ერთად თუ თრიალეთის სოფლებს შორის აქვს შეტანილი, ეს იმიტომ, რომ ბოჟანო სანახევროდ თრიალეთის საზღვრებში ყვებოდა[34]. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ ერთ საბუთშიც, რომელიც მეზობელი სოფლების მიერ 1850 წლის 10 ნოემბერს ბეჟანოელებისთვის არის მიცემული, აღნიშნულია: „ახალქალაქის ნაწილთაგან, სოფელს ალათუმნის და სოფელს აგანის მიჯნიდან წალკის უჩასტკამდინ ნება აქუსთ საცხოვრებლად ბეჟანოელებს“[35].

---

29 ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 271

30 ი ქ ვ ე, გვ. 282.

31 ამ სოფლის მეორე სახელი ბურნაშეთიც ჯავახეთის ბურნაშეთიდან უნდა იყოს გადატანილი, რადგან ჯავახეთის ბურნაშეთი ადრე წარმოქმნილი ჩანს, გარდა იმისა რომ იგი აღწერილია XVI საუკუნის თურქულ დავთარში, თვით ამ სოფლის ეკლესიის XIII საუკუნის წარწერაშიც მოხსენიებულია ეს სახელი „დაგიწერე მე... გიორგიმან თქუენ ბურნაშელთა მღდელთა, მოგეც ყანა თქუროანს, ჩემგან ნასყიდი“. (ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1959, გვ. 28—29).

32 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 195; III, გვ. 271.

33 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 130,

34 იქვე, გვ. 41. თრიალეთის დასავლეთის საზღვარზე აღნიშნულია: „დასავლეთით მთა შარავეთი და ტბის გამჭრელი ხაზი, მთა ბარძიმისა და ფარავნის გამჭრელი ხაზი ბოლოლიის მთამდე“.

35 ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალები, საქმე 3673.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე სავარაუდებელია, რომ ჯავახეთის ბოჟანო უფრო ადრე უნდა არსებულიყო და დავითის ისტორიკოსიც მეფის სადგომად ამ პუნქტს უნდა გულისხმობდეს. ეს მოსაზრება არ ეწინააღმდეგება ისტორიკოსის ცნობასაც, რომ დავით მეფე იდგა თრიალეთშიო, რადგანაც ჯავახეთის ბოჟანო სწორედ თრიალეთის საზღვარზე ძევს და დავითი თუ ადგილს გადაინაცვლებდა, ისტორიკოსი საჭიროდ არ ჩათვლიდა, ეს მთელი სიზუსტით აღენიშნა.

ისტორიკოსი ხაზს უსვამს, ბოჟანოს წყაროთა ზედა მდგომს მოახსენესო. სწორედ ჯავახეთის სოფელ ბოჟანოსთან გამოდის შესანიშნავი წყაროები.

ეკრანთა

„მატიანე ქართლისა“ გვამცნობს: „კუალად გადგა ივანე ლიპარიტის ძე, და ცნა გიორგი მეფემან. ქუთათისით გარდამოვიდა სამცხეს, მოირთნა მესხნი, გარდამოიარა და მივიდა სამშჳლდის კარსა. მუნ მოიყვანა კახთა მეფე აღსართან. ვერ დადგა ივანე ციხეშიგან, მირიდა მთათა სამხრისათა. და მას ვერწყობილობასა შინა წაიხუნა ლოწობანნი ლიპარიტისაგან აღსართან. მოეყარა სამშჳლდესა, გარდადგა ჯავახეთს, და მოიყვანა მეფეთ-მეფემან გიორგი მათ წინაშე, და დაიფიცნეს ეკრანთას, და დაიმტკიცა ივანე კლდე-კართა და სამშჳლდესა ზედა“[36].

მაშასადამე, მეფე გიორგი II სამშვილდიდან აყრილი ჯავახეთის თავს ეკრახთას გარდამდგარა და იქ დაუდებინებია ფიცი ივანე კლდე-კარის ერისთავისათვის. ამ სოფელს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიც“ იხსენიებს ეკარანთის სახელით (ამ დროს ეს სოფელი გაუკაცრიელებული ყოფილა), და მიუთითებს „სოფელი ჯანჯღასთან“[37]. იგი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ზემოთ აღნიშნულ საბუთშიც არის მოხსენიებული: „საკელმწიფო სოფლები ლეკნარი, ციცწყარო და ჯუმრისი, ეს სამი სოფელი ცარიელი, და... საბატონო ცარიელი სოფლები ორთავე **კარანთა** დარები ბეჟანოელებს საცხოვრებლად უჭირამთო“[38].

სოფლის სახელი „კარანთის“ ფორმით ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა შორის ახლაც არის დაცული და მას უწოდებენ სოფელ ბეჟანოს (ამ სოფელს ხალხი ჯანჯღასაც უძახის)[39] სამხრეთ აღმოსავლეთით 1,5 კილომეტრზე მდებარე ნასოფლარს, ეს ის ადგილია, სადაც გამოედინება ბეჟანოს შესანიშნავი წყაროები და რომლის მახლობლადაც მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში ყველის დიდი ქარხანა აშენდა.

აღსანიშნავია, რომ ჯავახეთიდან წალკაში მიმავალი გზა, უკანასკნელ ხანებამდე, ტაბაწყურის ტბის სამხრეთით, სწორედ კარანთაზე გავლით მიემართებოდა.

გიორგი II, დავით აღმაშენებლის მამის, კარანთას დგომის ამბავს ეხმაურება დავით აღმაშენებლის **ბეჟანოს წყაროებზე დგომაც.**

---

36 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316.

37 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 206; აგრეთვე, წ. III, გვ. 287.

38 ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალები, საბუთი „კარანთადარი“ თურქულია და ნიშნავს „ჯარანთები“.

39 ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, კაჭიოს სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელი ბეჟანო ნასოფლარ ჯანჯღის ადგილზეა გაშენებული, ძველი ბეჟანო კი მისგან აღმოსავლეთით 1,5 კილომეტრზე, წყაროების მარჯვენა მხარეზე, კარანთის პირდაპირ რომ ნასოფლარია, იქ ყოფილა.

ამგვარად, „მატიანე ქართლისა“-ში მოხსენიებული ეკარანთა, რომელიც მდებარეობს თრიალეთიდან ჯავახეთის გარდასადგომზე, იგივე კარანთაა, რომლის ნაშთებიც დღემდეა მოღწეული ახალქალაქის რაიონის სოფელ ბეჟანოსთან.

VI ნ ი ნ ო ს კ ე ვ ი

ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი XIV საუკუნის დასასრულისათვის ქართლის სამეფოს საზღვრებს რომ აღწერს, დასავლეთის საზღვრის შესახებ აღნიშნავს: „ჭეობა ვიდრე დვირამდის, კოდიანს გარდმოღმართი, ნინოსკევი რომ ჩამოიველის, — გაღმით სამგორისკენ, ცივწყაროს კევ-კევ გაჰყვება, გახშულიბარშიამის მთა, ჩამოიველის ჯანჯლის ციხე საღამოს თავს,.. ეპყრა მეფესა ქართლისასა“[40].

აქ ბერი ეგნატაშვილს ქართლის სამეფოს დასავლეთის საზღვარზე კოდიანის გამოღმართთან ერთად დასახელებული აქვს ადგილი, სადაც ნინოსკევი რომ ჩამოიველის, — და გაღმით (იგულისხმება ტაბაწყურის ტბის სამხრეთის ნაპირი) სამგორისკენ ცივწყაროს კევ-კევ გაჰყვება.

როგორც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ სოფლების აღწერიდან ჩანს, XVI საუკუნის ბოლოსათვის თურქების მიერ დაპყრობილ „გურჯისტანის“ აღმოსავლეთ საზღვრად, მაშასადამე, ქართლის სამეფოს დასავლეთ საზღვრადაც, ტაბაწყურის ტბასთან იგივე ხაზია ნაგულისხმევი; ოღონდ ამ ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ტაბაწყური და ხუმრისი, იმ დროისათვის გაუკაცრიელებულნი, თვალხარბ თურქებს თავიანთი სამფლობელოსათვის მიუთვლიათ[41].

ვახუშტი ბაგრატიონიც, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისის მდგომარეობას უხდა გულისხმობდეს, ქართლის სამეფოში თრიალეთის საზღვრების აღწერისას დასავლეთის საზღვრად უჩვენებს: „დასავლეთით მთა შარვაშეთი და ტბის-ყურის გამჭრელი ხაზი, მთა ბარძიმისა და ფარავნის გამჭრელი ხაზი ბოლოლის მთამდე“[42].

ამგვარად, ქართლის სამეფოს დასავლეთის მხრის ერთ-ერთ უბანზე საზღვრად როგორც ბერი ეგნატაშვილი, ისე ვახუშტი უჩვენებენ ტაბაწყურის ტბის გამჭრელ ხაზს, ამავე დროს ბერი ეგნატაშვილი კოდიანის გადმოღმართის მხარეზე ასახელებს ნინოსკევსაც.

სოფელ ტაბაწყურის დასავლეთით ნახევარ კილომეტრზე მდებარე თავკვეთილ გორაკის თხემზე მოღწეულია სანგრისა და მის შიგნით ეკლესიის კედლების ნაშთები, ეკლესიის მახლობლად არის საფლავის ქვები, ერთ-ერთ მათგანზე ასომთავრული წარწერაც არის დაცული, ამ ადგილს ტაბაწყურის სომხური მოსახლეობა ნიხოღალას (ნინოყალა თურქულია, ქართულად ნინოს ციხე) უწოდებს. აღნიშნული გორაკის დასავლეთით, ტბისკენ ეშვება ხევი, რომელსაც, ტაბაწყურელებთან ერთად, ახლო-მახლოს სოფლების ქართველებიც ნინოღელეს უძახიან.

უეჭველია, რომ სწორედ ეს ნინოღელეა (ნინოს ღელე) ბერი ეგნატაშვილის მიერ ქართლის სამეფოს დასავლეთის საზღვრის ტაბაწყურის უბანზე ერთ-ერთ ბუნებრივ პუნქტად დასახელებული ნინოსკევი.

40 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 349.

41 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 206—208.

42 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 41.

ვასილ კოკალიანი

„ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის საკითხისათვის

აკად. ნ. ბერძენიშვილი მანგლისის ტაძრის წარწერის გარჩევისას, სადაც „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატი უნდა იკითხებოდეს, წერდა: „საინტერესოა როდის მიიღეს ქართველმა ბაგრატიონებმა „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატობის ტიტული. X ს-ნის კურაპალატები ჩვეულებრივ მარტივად კურაპალატად იწოდებიან“[1].

როგორც ციტირებული სიტყვებიდან ჩანს, ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ ეს ტიტული ქართველ ბაგრატიონებს ვიღაცის მიერ მიცემული ჰქონდათ, მაგრამ არა უადრეს XI საუკუნის დამდეგისა, ვინაიდან, მისი აზრით, „X საუკუნის კურაპალატები... მარტივად კურაპალატად“ იწოდებოდნენ.

წინამდებარე მცირე წერილის მიზანია გაარკვიოს, ჰქონდა თუ არა რაიმე რეალური შინაარსი ბაგრატიონი მეფეებისათვის ზოგიერთ წყაროში „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ („აღმოსავალისა“) კურაპალატის წოდებით ხსენებას და ატარებდა თუ არა ეს ტიტული ქართველი მეფეებისათვის ოფიციალურ ხასიათს?

განსვენებულ მეცნიერს ნ. ბერძენიშვილს ალბათ მხედველობიდან გამორჩა ერთი ძეგლი, რომელშიც X საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე დავით კურაპალატი „ყოვლისა აღმოსავალისა“ კურაპალატის ტიტულით არის მოხსენიებული. ამ საუკუნის სხვა ბაგრატიონები, ისე როგორც წინა საუკუნეების ქართველი მოღვაწეები, რომლებიც კურაპალატის ტიტულს ატარებდნენ[2], მართლაც „ჩვეულებრივ მარტივად კურაპალატად იწოდებიან“.

დავითი „ყოვლისა აღმოსავალისა“ კურაპალატის ტიტულით მოხსენიებულია ათონის მთაწმინდის ქართველთა მონასტრის № 69 (ცაგარელის აღწერილობით) ხელნაწერში, რომელიც ოშკის ეკლესიაში ყოფილა დაწერილი. ამ ხელნაწერში ვკითხულობთ: „დავწერეთ წ˜და ესე წ˜გნი, რ˜სა ეწოდების წ˜თა მ˜მთა მ˜რ „სამოთხე“... სალოცველად და სადიდებლად პ˜დ ძლიერისა ღ˜ს მსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა კურაპალატისა დავითის თჳს ... რ˜ მართლმადიდებლობისა თუალი არს“[3].

---

[1] ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წელს, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 28.

[2] ჯუანშერის ცნობით, ქართლის მმართველებიდან კურაპალატის ტიტული პირველად გვარამ I-ს (VI ს. დასასრული) მიუღია კეისრისაგან (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 218), ხოლო უფრო მოგვიანებით, 648 წელს სომეხთა მმართველისათვის, დავით საღარურიანისთვისაც უბოძებია კეისარს (Lebeau, Histoire du Bas-Empire, XI, გვ. 332—337; XII, გვ. 4).

[3] А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, 1886, გვ. 90.

ტაო-კლარჯეთის სხვა ბაგრატიონები, რომელთა შორის ამოტ პირველიდან დაწყებული (VIII—IX სს. მიჯნა) ერთ-ერთი ყოველთვის ატარებდა კურაპალატის ტიტულს, „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ („აღმოსავალისა“), კურაპალატის წოდებით არც ერთი არ არის მოხსენიებული.

როგორც ცნობილია, ბიზანტიის კეისრები კურაპალატისა თუ სხვა საკარისკაცო ტიტულებს ქართველ ბაგრატიონებს იმ თანამდებობათა და ტიტულატურათა ნომენკლატურის სიიდან აძლევდნენ, რომელიც საიმპერიო კარზე არსებობდა. ამ ნომენკლატურით, სხვა ტიტულებთან ერთად, სწორედ კურაპალატის ტიტულიც იყო გათვალისწინებული და იმპერატორებიც ამით ჯილდოებდნენ გარკვეულ პირებს[4]. ამიტომ საძიებელი რჩება, რის საფუძველზე მიაწერეს „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ („აღმოსავალისა“) კურაპალატის ტიტული ზოგიერთ ქართველ ბაგრატიონ მეფეს გარკვეული ძეგლების ავტორებმა?

დავით კურაპალატის შემდეგ, თუმცა ამ შემთხვევაშიაც იშვიათად, მაგრამ მაინც წყაროები „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის ტიტულით გაერთიანებული საქართველოს ზოგიერთ მეფეს იხსენიებს. ასე მაგ. მანგლისის ტაძრის ერთ წარწერაში ვკითხულობთ: „მფბსა ღთვდმყ... ისა გ̃ი ყ̃ლისა ა[ღ]მოსავლეთისა კურაპალატისა და თჳთმპყრობელისა“[5].

რომელი გიორგი უნდა იგულისხმებოდეს ზემოაღნიშნულ წარწერაში „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატად? ამის დადგენაში თვით მანგლისის ტაძრის სხვა წარწერები გვეხმარება, რომელთაგან ერთ-ერთში ნათქვამია: „/ქ. იქნა დი/დისა აძის საყდრისა აღშენებაჲ ქორონიკონსა ხ. მ.“. ე. ი. 1020 წელს[6]. ტაძრის მშენებლობის დაწყების ეს თარიღი ამ ეკლესიის სხვა წარწერაშიც ყოფილა დაცული[7].

აღნიშნული წარწერებისა და ანალოგიური წყაროების საფუძველზე ე. თაყაიშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ მანგლისის ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ 1020 წელს და დაუმთავრებიათ 1027 წელს[8]. ამ წლებში კი, როგორც ცნობილია, გიორგი I მეფობდა და, ამრიგად, წარწერაში ის უნდა იყოს მოხსენიებული და „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის ტიტულიც მას უნდა ეკუთვნოდეს.

გიორგი I-ის შემდეგ მისი შვილი ბაგრატ IV იხსენიება „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის ტიტულით. მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში ვკითხულობთ: „ღმრთივ დიდებულნო, ძლიერო ბაგრატ აფხაზთა მეფეო, და ნებითა ღმრთისაჲთა ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატო... ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისათჳს ჴელითა თქუენითა დამიმტკიცეთ“[9].

---

[4] კურაპალატის წოდების მატარებელი პიროვნება ბიზანტიის სამეფო კარზე იმპერატორის შემდეგ მეოთხე (კესაროსი, სევასტოსი, ნოველისიმოსი, კურაპალატი) კაცი იყო. მაგრამ ამ ტიტულს, როგორც ცნობილია, კეისრები უცხო ქვეყნების მმართველებსაც აძლევდნენ.

[5] ციტირებულია ნ. ბერძენიშვილის წაკითხვის მიხედვით, ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია 1932 წელს (დასახ. გამოცემა, გვ. 28).

[6] Э. Такайшвили. Археологическия экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, 1913, გვ. 138.

[7] იხ. იქვე, გვ. 139.

[8] იქვე.

[9] მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, გამოცემულია ნ. ბერძენიშვილის მიერ, იხ. მისი წიგნი საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 285.

საყურადღებოა, რომ იმავე საბუთში თვით ბაგრატი თავის თავს მარტივად კურაპალატს უწოდებს; მეფე ასრულებს თხოვნას და წერს: „მე ბაგრატს,... აფხაზთა მეფესა და კურაპალატსა ჴელითა ჩემითა დამიმტკიცებია“[10].

XI საუკუნის საქართველოს მეფეები, ყველა სხვა საბუთთა უმრავლესობაში მარტივად კურაპალატის წოდებით იხსენიებიან. ნარატიულ ძეგლებში, სადაც ლაპარაკია ბიზანტიის კეისრების მიერ საქართველოს მეფისათვის აღნიშნული პატივის ბოძების შესახებ, ყველგან კურაპალატია მითითებული და არა „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატი: 1001 წელს, როცა ბიზანტიელებმა დავით კურაპალატის სამფლობელო მიიტაცეს, „მოსცა... ბასილი მეფემან... კურაპალატობა“[11] ბაგრატ III-ს.

XI საუკუნის 20—30-იანი წლების მიჯნაზე „წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი,... საბერძნეთად ძიებად მშჳდობისა... და კუალად ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათვის თჳსისა“[12], ხოლო კეისარმა „მოსცა პატივი კურაპალატობისა“[13] და საქართველოში დაბრუნებულმა მარიამმა „მოართუა პატივი კურაპალატობისა“[14] ბაგრატ მეფეს.

იყო შემთხვევები, როცა ბიზანტიის კეისრები ქართველ ბაგრატიონებს კურაპალატზე უფრო მაღალი საკარისკაცო ტიტულითაც აჯილდოებდნენ. მაგ., ბაგრატ IV „პირველ იყო კურაპალატი, და შემდგომად ნოველისიმოსი, და მერმე იქმნა სევასტოს“[15]. ხოლო გიორგი II ბიზანტიის უმაღლესი საკარისკაცო ტიტულით, კესაროსის სახელითაც იხსენიება[16]. ეს ტიტულები ყველა ბიზანტიის სამოხელეო თანამდებობათა ნომენკლატურის სიიდან, ბიზანტიის სამეფო კარიდან მომდინარეობდა, მაგრამ „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის ტიტულის იქიდან მიღება სრულებით არაა მოსალოდნელი.

ერთ-ერთ ძეგლში ბაგრატ IV „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ ნოველისიმოსადაც არის მოხსენიებული[17]. მაგრამ აქაც სიტყვები — „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ არ არის ოფიციალური.

აღსანიშნავია, რომ სომხური და ბიზანტიური წყაროები ქართველ ბაგრატიონ მეფეებს „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის სახელით არც ერთს არ იხსენიებენ. არისტარკე დავით კურაპალატს მარტივად კურაპალატს უწოდებს[18], ასევე კურაპალატის სახელით იხსენიებს მას სტეფანე ტარონელი[19] და სხვ.

---

10 მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, გვ. 286.

11 სუმბატ დავითისძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 382.

12 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 294.

13 იქვე.

14 იქვე, გვ. 295.

15 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 315.

16 იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, ტფ., 1893, გვ. 234.

17 „Кавказский Вестник“, № 25, 1849, გვ. 249.

18 იხ. **Պատմութիւն Արիստակեայ վարդապետի Լաստիվերտցւոյ**, Թիֆլիս, 1912, გვ. 3, 7, 19; რუსული თარგმანი: Повествование Вардапета Аристакэса Ластивертци, Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарий и приложения К. Н. Юзбашяна, Москва, 1966, გვ. 56, 58, 64.

19 **Պատմութիւն տիեզերական**, 1885, გვ. 192; რუსული თარგმანი: Всеобщая история Степаноса Таронскаго, Асохика по прозванию, переведена с армянского и объяснена Н. Эминым, Москва, 1864, გვ. 135 და სხვ.

ბიზანტიელი ისტორიკოსები კონსტანტინე პორფიროგენეტი[20] და კედრენე-სკილიცე[21], როცა მათ ქართველ ბაგრატიონ კურაპალატზე აქვთ საუბარი, ყოველთვის ამ ტიტულით იხსენიებენ.

ამრიგად, წყაროთა დაკვირვებები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ („აღმოსავალისა“) კურაპალატის წოდება ბიზანტიურ თანამდებობათა ნომენკლატურიდან არ მომდინარეობდა, ასეთ ტიტულს ბიზანტიის კეისრები არ აძლევდნენ ქართველ ბაგრატიონ მეფეებს (სხვა გზით კი მისი ოფიციალურად მიღება არ შეიძლებოდა). მაშ რის საფუძველზე მიაკუთვნეს გარკვეული წყაროების ავტორებმა ზოგიერთ ქართველ ბაგრატიონ მეფეს ასეთი ტიტული?

საკითხის გარკვევაში იქნებ დაგვეხმაროს თუ გავიხსენებთ, რას გულისხმობდნენ მაშინ ტერმინ „აღმოსავლეთში“ ან „ყოვლისა აღმოსავლეთში“? როგორც ცნობილია, პირველში საქართველო, ხოლო მეორეში „ყოველი საქართველო“ იგულისხმებოდა: მარიამ დედოფალი „წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშვდობა ყოს აღმოსავლეთისათჳს და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა“[22]; „იყო რაჲ თორნიკ აღმოსავლეთს, მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩამოიტანნა“[23]; „დაიწერა წმ. ესე წიგნი... მეფობასა დიოგენისასა და აღმოსავლეთს ბაგრატისსა და ძისა მათისა გიორგისსა“[24]; ექვთიმეს „სახელი და ღირსებაჲ ყოველსა საქართველოსა განეფინა“[25]; პეტრიწონის მონასტრის წესდება „აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა... ძისა სანატრელისა ერისთავთა მთავრისა ბაკურიანისაჲთა, აღმოსავლელისა და ქართველისაჲთა“[26].

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლება დასკვნა, რომ გარკვეულ ძეგლებში ქართველი ბაგრატიონი მეფეების „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ „(აღმოსავალისა“) კურაპალატის სახელით ხსენება ოფიციალურ ხასიათს არ ატარებდა. იგი ქართული საერო თუ კონფენსიონალური წრეების, ანდა ხსენებულ ძეგლთა ავტორების პირადი შეხედულების ნაყოფი უნდა იყოს და „ყოველ აღმოსავლეთში“ („აღმოსავლეთში“) მართლმადიდებელი „ყოველი საქართველო“ უნდა იგულისხმებოდეს. მართალია, დავით კურაპალატი „ყოველი საქართველოს“ მეფე არ იყო და არც გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ს ჰქონდათ შემომტკიცებული მთელი საქართველო, მაგრამ დავითი, ეს „ქარ-

---

[20] Constantinus Porphirogenitus, vol. III. De thematibus et De administrando imperio, recognovit Immanuel Bekkerus, Bonnae, 1840, 184, 3—4, 14; 187, 16, 202, 17.

[21] Georgius Cedrenus, Ioannis Scylitzae opeab Immanuelle Bekkero suppletus et emendatus, II, Bonnae, 1839, 489, 5; გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963, გვ. 55.

[22] სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, გვ. 396.

[23] ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1946, გვ. 20.

[24] გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი ერთი სვინაქსარის წარწერიდან. იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 213.

[25] ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 51.

[26] ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 61.

თული ეროვნული შეგნების მესაჭე“[27], დიდი პატრიოტი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. მან „ქართული კულტურისათვის ესოდენ ჰირნახულობა იმით დააგვირგვინა, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას მტკიცე საფუძველი დაუდო“[28]. მშობლიური კულტურის აყვავებისა და საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შესაქმნელად გამიზნული დავითის მოღვაწეობა წყაროს ავტორმა იმით აღნიშნა, რომ „ყოვლისა აღმოსავლისა“ კურაპალატთან ერთად მას „მართლმადიდებლობისა თუალი“ უწოდა.

თავისი წინდახედული საქმიანობითა და მაშინდელი პოლიტიკური ვითარებით გაპირობებული მდგომარეობით დავითმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. იგი არაერთხელ ჩარეულა, როგორც საქართველოს, ისე სომხეთის სამეფო-სამთავროთა შორის სადაო საკითხებში. ასეთ შემთხვევაში მოდავენი უსმენდნენ მას და მისი სიტყვა კანონად მიაჩნდათ. სომხეთის სამეფო-სამთავროთა შორის წამოჭრილი, და დავით კურაპალატის მიერ გარიგებული საკითხების დაცვას, დავითის სიკვდილის შემდეგ, ზოგჯერ გაერთიანებული საქართველოს მეფეები, როგორც დავითის მემკვიდრენი, ეჭომაგებოდნენ. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გიორგი I, რომელიც „დავით კურაპალატის მემკვიდრეობას იჩემებდა და სასწრაფოდ ჩაერია კონფლიქტში[29], ანისის მეფესა და ერთ-ერთ სომეხ ნახარარს შორის რომ წამოიჭრა ციხე შატიკის გამო. სადაო ობიექტი გიორგიმ ნახარარს მიაკუთვნა, ხოლო ანისის მეფე იოვანეს-სუმბატი მკაცრად დასჯა[30] იმიტომ, რომ თავის დროზე, მაშინაც სადაო, ეს ციხე დავითმა ბაგრატუნიანთა ყარსის შტოს წარმომადგენელ ნახარარს მიაკუთვნა[31], მაგრამ ახლა, ალბათ მის შთამომავალს, იოვანეს-სუმბატმა თურმე ისევ წაართვა.

ამრიგად, „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ („აღმოსავალისა“) კურაპალატის ტიტული ქართველ ბაგრატიონ მეფეებს არავისაგან არ ეძლეოდათ. მაგრამ

---

27 ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 23, შენ. 32.

28 იქვე.

29 К. Н. Юзбашян წიგნში: Повествование вардапета Аристакэса Ластивертци, დასახ. გამოცემა, გვ. 145, შენ. 15.

30 არისტარკეს ცნობით, როცა ანისის (შირაკის) მეფე გაგიკ I (990—1020) გარდაიცვალა, ტახტის ძიძკვიდრეები იოვანეს-სუმბატი და მისი ძმა აშოტი სამფლობელოს კაყოფაზე ვერ შეთანხმდნენ. მათ საძართალი ესაჭიროებოდათ და ამიტომ მოვიდა მათთან ქართველთა მეფე გიორგი. რომელმაც იოვანეს-სუმბატს, როგორც უფროსს, ანისის ციხე და მის ირგვლივ მდებარე მხარეები მიაკუთვნა, ხოლო აშოტს სპარსეთისა და საქართველოს მომიჯნავე შიდა რაიონები მისცა. როცა კმაყოფილი სუმბატი თავის ქალაქში ანისში გაემგზავრა, ამ დროს აშოტის ერთმა ქვეშევრდომმა ნახარარმა გიორგის მოახსენა, რომ სუმბატმა ჩემი კუთვნილი შატიკი წამართვაო. ამის გამგონე გიორგი განრისხდა და იოვანეს-სუმბატს რაზმი დაადევნა, რომელმაც შეპყრობილი სუმბატი გიორგის წარუდგინა. უკანასკნელმა ბრძანა, რათა სიბნელეში ჩაემწყვდიათ ის, წაართვა მას სამი ციხე და მხოლოდ შემდეგ გაანთავისუფლაო (**Чамчиан**, გვ. 9—10, რუსული თარგმანი გვ. 59—60).

31 იხ. ამის შესახებ **Степаносъ Таронецци**, გვ. 187—188; რუსული თარგმანი, გვ. 130—131.

ზოგიერთ წყაროში დავითისა და გაერთიანებული საქართველოს ზემოაღნიშნული მეფეების ამ ტიტულით ხსენება არც შემთხვევითია და ამ მეფეთა უფლებრივი მდგომარეობისა და მათ მოღვაწეობაზე მაშინდელი შეხედულების ანარეკლია. ე. ი. „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის წოდება, როგორც არაოფიციალური, კი არ უქმნიდა ქართველ მეფეებს რაიმე იურიდიულ უფლებრივ მდგომარეობას, არამედ მათი ფაქტიური მდგომარეობა ქმნიდა ამ ტიტულით მათივე მოხსენიების საფუძველს, ხოლო თავის მხრივ ასეთი ტიტულის თუნდაც არაოფიციალური აღიარება მიზნად ისახავდა ამ მეფეთა კიდევ უფრო განდიდებას.

ჯის თის ღაყოფის სქემა

ნახ. 11

გივი ელიავა

სამეგრელოს ტოპონიმიკური მასალა დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ

ოჯახის ისტორიის მკვლევართა მიერ დასაბუთებულია, რომ ინდივიდუალური ოჯახის წინამორბედ სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა საოჯახო თემი, რომლის გადმონაშთურ სახეობად მიჩნეულია XIX საუკუნის ბოლომდე შემორჩენილი და მრავალ ქვეყანაში მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილი დიდი ოჯახი[1]. ასევე დადგენილია, რომ ამ ტიპის ოჯახს უველგან, სადაც კი მისი ფიქსაცია მოხდა, შესაბამისი სახელწოდება გააჩნდა. დიდი ოჯახის ბუნების გამომხატველი სახელწოდებების სიმრავლის მხრივ საყურადღებო მონაცემები დადასტურდა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში (დიდი ოჯახი, დიდი ჯალაბი, დიდი კომი, ერთობის სახლი, გაუყრელი ოჯახი, ერთობის ოჯახი და სხვ.).

ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სამეგრელოშიც ინდივიდუალურ ოჯახს ისტორიულად წინ უსწრებდა საოჯახო თემი. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია მეგრული ლექსიკური ერთეული თი, რომელიც დიდი ოჯახის, სახლის, ოჯახის აღმნიშვნელია.

სამეგრელოს ტოპონიმიკაში გვხვდება სახელწოდება ჭიითი, კვაუთი, ბობოთი, ქუქითი, გოგათი, გაბითი და სხვ.[2], რომლებშიც ჭი, კვაუ, ბობო, ქუქი, გოგა, გაბი და სხვ. ითვლება ერთ ლექსიკურ ერთეულად, კერძოდ, საოჯახო თემის მეთაურის პირად სახელად, ხოლო თი — ოჯახის, სახლის, სახლკარობის, მახორობის აღმნიშვნელ ტერმინად. მეგრულში ეს ტერმინი დღესაც ძალაშია: მიში თიშერექ? სქანთი სორე? ქეგაჭუ თიქ, ვაგიღუნო თი? ვამოზოჯუნქო ჩქიმ თიშა? მახოლო მიღუ თი. და სხვ. რომ ეს ლექსიკური ერთეული დღემდე მოქმედია და ოჯახს, სახლკარობას,

---

[1] М. Косвен. Семейная община и патронимия. М., 1963; Р. Харадзе. Грузинская семейная община. Тбилиси, I, 1960, II, 1961, ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელთა საოჯახო ყოფა, I, თბ., 1969.

[2] იხ. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციათა მასალები, 1960—1962—1964—1967—1970 წწ., გ. ელიავა, „ჰყონდიდ-მარტვილი", თბილისი, 1962, გვ. 109—115; მისივე, „გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის გამოცდილებიდან", თბილისი, 1962. გვ. 45; „სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ტოპონიმიკა", გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის II სამეცნიერო სესიის მასალები, ქუთაისი, 1961, გვ. 59—60; „სამეგრელოს აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობის ისტორიულ-ეთნიკური ჩამომავლობა და შედგენილობა ტოპონიმიკური მასალების შუქზე", გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეხუთე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1965, გვ. 23—30; „ტოპონიმიკა, როგორც მოსახლეობის ისტორიულ-ეთნიკური წარმომავლობის და სოციალური აღნაგობის შესწავლის წყარო", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის საკორდინაციო საბჭოს XI სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1971, გვ. 20—21.

მახორობას ნიშნავს, დადასტურებულია მეგრულ ტექსტებშიც. „ათე ოსურიში თის ართი ახაიგაზრდა ბოშკოს ქიგიასერუ“[3]. ასევე საყურადღებოა რევოლუციამდელ ავტორთა ჩანაწერები. მაგალითად, ი. ქობალიას მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში ვკითხულობთ: „ოში ანთასი ჩქიმი თის, **აკა-მეძობელიში თის**“[4]. ამავე ტექსტზე დაყრდნობით ი. ყიფშიძე განმარტავდა — „თი“ — **семья, двор**“[5]. ხალხის დაკვირვებით **-ჭი-ი-თი** შეიცავს ორ ძირითად ცხებას, რომელთა შორის **ჭი** პიროვნების (დიდი მამის, ოჯახის უფროსის) სახელია, ხოლო **თი** ნიშნავს დიდ ოჯახს. ასეთივე შინაარსით იკითხება კვაუთი, ქუქითი, ბობოთი და სხვ. ყველა ზემოხსენებული გამონათქვამი გვიჩვენებს, რომ ჭი, გაბი, კვაუ ან ქუქი არიან ოჯახის მეთაურები, თითოეული მათგანი არის მამა, დიდი მამა ანუ დიდი კაცი, რომელიც ხელმძღვანელობს თის — დიდ ოჯახს.

თითოეული თის სოციალური შინაარსისა და განსახლების არიალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ **თი** რიგ შემთხვევაში დიდ ტერიტორიას ფლობდა. აქედან გამომდინარე, იგი ზოგჯერ არა მარტო დიდი ოჯახის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა, არამედ პატრონიმიული ერთეულისაც, რამდენადაც პატრონიმიული ორგანიზაციის შექმნა ხდებოდა დიდი ოჯახის დაშლის შედეგად[6]. ჭიითი, ბობოთი თუ კვაუთი დიდი მახორობის შესატყვისიც იყო. ჭიითის საკუთრება ყოფილა საძოვრებიც და სასნავებიც, ტყეც და ჭალებიც, რომელსაც მისი წევრები ამუშავებდნენ.

ყველა ამ თიების შემადგენლობის დადგენა მელოგინეების მიხედვით ხდებოდა. ჭის ოჯახში 24 მელოგინე ყოფილა, ე. ი. ეს პატრიარქალური ოჯახი 24 საქორწინო წყვილისაგან შესდგებოდა. მას ჰყოლია თავისი „დიასახლისი“ და მეთაური. ამას აღნიშნავს კვაუს თიში, ბობოს თიში, ქუქის თიშიც და სხვ. დროთა ვითარებაში ხდებოდა მელოგინეების გამოყოფა დიდი ოჯახიდან და ცალკე, თუმცა მის ახლობლად, მის ირგვლივ დასახლება. საფუძველი ეყრებოდა პატრონომიას. „პატრონომიის საზოგადოებრივი ერთიანობა პირველყოფილისა იმაში გამოიხატება, რომ ის ცალკე დასახლებაა“[7]. მაშინ როდესაც ჭის მეთაურობით ჭიითში დიდი პატრიარქალური ოჯახი იდგა და მასში 24 მელოგინე, 24 უჯრედი იყო გაერთიანებული, ყოველ ასეთ უჯრედს თავისი კუთხე ჰქონდა მიჩენილი, მაგრამ ოჯახი ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა. ჭის ოჯახს ერთი კერა ჰქონდა, რომელიც ერთი ოხორი, ერთი სახლი, ერთი თი იყო. ამ თიში იმართებოდა საერთო, საოჯახო პურობაც, რასაც დიარა უნდა რქმეოდა. ახლა დიარა მხოლოდ დიდ სასოფლო ლხინს, ქორწილს და სხვა მსგავს საჯარო პურობას ჰქვია. ლექსიკური ერთეული დიარუა (რაც დღეს საქონლის მიერ ძოვაბა ნიშნავს) სწორედ ასეთ ჰამას, საერთო პურობას ერქვა; რამდენადაც გადმოცემები მიუთითებენ ყველა ერთად ჯდებოდნენ სადილად დიარა-

---

[3] მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი, 1937, გვ. 1.

[4] СМОМПК XXXII, გვ. 95.

[5] Грамматика мингрельского (иверского) языка, გვ. 186.

[6] А. Робакидзе, особенности патронимической организации у народов горного Кавказа, С. Э. 1968, № 5, 53.

[7] მ. კოსვენი, „პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები“, თბილისი, 1971, გვ. 150.

ზე, იდიარდეს, დიარენდეს (პუროობდნენ, ჰამდნენ). ყველა მელოგინეს თავისი თია (წილი) ჰქონდა ამ დიაროზე. მისი თიას სხვა ხელს ვერ შეახებდა თურმე. როგორც ჩანს მელოგინე და მისი ნამრავლი, ან ოჯახში ერთი უჯრედი, სადილზე, საერთო პუროობაზე ცალკე იყო წარმოდგენილი და მას თავისი ნაწილი ჰქონდა განკუთვნილი. საერთო პუროობა დიდი ოჯახის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება იყო. ჰისთის თავისი **მახოროობაც** ჰქონდა, მეურნეობრივი არეც, სადაც მელოგინეთა მიხედვით იყო მიჩენილი **თია-ნაწილი**. თითო მელოგინე და მისი ნამრავლი თავის წილ შრომას ასრულებდა, თავისი წილი შეჰქონდა მახოროობის საერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პატრიარქალური ოჯახის ამგვარი შედგენილობა დამოწმებული აქვს პროფესორ რ. ხარაძეს თუშეთშიაც: „როგორც თუშეთის ეთნოგრაფიულ მასალებში, ისე XIX საუკუნის წერილობით ძეგლებში აღბეჭდილი ოჯახის წევრთა შემადგენლობა ცხადჰყოფს იმას, რომ თუშური მრავალრიცხოვანი ოჯახი შედგებოდა რამდენიმე საქორწინო წყვილისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ნათესაური პრინციპით იყვნენ გაერთიანებული და საერთო წინაპრის სახელს ატარებდნენ. საზოგადოებრივი გაერთიანების ამგვარი სტრუქტურა წარმოადგენდა დიდი ოჯახის ან საოჯახო თემის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს“[8]. ასეთივე ტიპის დიდი ოჯახი შეისწავლა რ. ხარაძემ ბალყარეთშიც, სადაც ერთ დარბაზში ყველა ცოლიან ძმას თავისი ოთახი ანუ **ოტოუ** ჰქონდა[9]. ამ მხრივ საინტერესოა მეგრული ოტოუ, რაც საქონლის, პირუტყვის საბმურ ადგილსა ჰქვია.

დიდი ოჯახისა და პატრონომიის ლოკალურ თავისებურებაზე ყურადღებაა გამახვილებული არაერთ სხვა ნაშრომშიც, რომელთა დასახელება შორს წაგვიყვანდა. ჩვენ მიერ სამეგრელოში ჩაწერილი და აღრიცხული ტოპონიმიკური მასალა და მასთან დაკავშირებული ლეგენდები და გადმოცემები საინტერესო წყაროს წარმოადგენს საოჯახო ურთიერთობისა და მისთვის ნიშანდობლივი სახელწოდებების შესწავლისათვის.

ტოპონიმიკურ მასალებში შემორჩენილია ცნობები პატრონომიის ჩამოყალიბების შესახებ. ჭითშიჭისა დაგაბის ოჯახებს შორის მოხდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომლის შემდეგ ჭის ოჯახი იძულებული გახდა ამ ადგილიდან გადასახლებულიყო, იგი დაიძრა თავისი პირველი საცხოვრისიდან და უფრო სამხრეთისაკენ წავიდა. მან გაბითისაგან, გაბისაგან მოშორებით, მის სამხრეთ-დასავლეთით ზეგანზე შექმნა თავისი ახალი საცხოვრისი მაგრამ, ეტყობა პატრიარქალური ოჯახი დაიშალა და ოჯახის წევრებმა — მელოგინეებმა ახალ საცხოვრისში ერთმანეთთან ახლოს, მაგრამ ცალ-ცალკე დასახლებით თავ-თავისი ოჯახები შექმნეს, თუმცა გვარად დიდი მამის და პაპის სახელი დაიდეს. აქ უკვე ჭის მემკვიდრენი ჭიები (ჭია შეიძლება ჭი, როგორც დღეს ჭა) ჟრიან. ასეთ დასახლებას ამ ახალ საცხოვრისზე ეჭიე-ლეჭე — ლეჭიე შეერქვა. აქ ჭის თი (ერთი თი თუმცა დიდი, მაგრამ მაინც ერთი) კი არაა, არამედ ჭიების გვარის ტე-

---

8 რ. ხარაძე, საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. თბილისი, 1950, X. გვ. 186.

9 რ. ხარაძე, სოფლის თემი ბალყარეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბილისი, 1960, XI, გვ. 123.

რიტორიული საცხოვრისია, პატრონიმიული სამეურნეო ერთეულია, რომლის სახელწოდება უკავშირდება წინაპრის საკუთარ სახელს. ანალოგიური ვითარება აქვს დამოწმებული რ. ხარაძეს თუშეთში ხაჩისძეთა გვარში, სადაც ხაჩი უძველეს წინაპრად, გვარის ეპონიმად ჩანს[10].

ტოპონიმიკური მასალები საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარების ერთგვარ საინტერესო სურათსაც წარმოადგენს. მაშინ როდესაც პატრონიმიული ორგანიზაციის სახელწოდება საფუძვლად დაედო ახალი გვარის სახელს, ხოლო ყოველი დიდი ოჯახის დაშლის შედეგად ახალი პატრონომიული ერთეულები წარმოიქმნა, ერთი წინაპრის შთამომავალთა ფართო წრეში არაერთი პატრონომიული სახელწოდებაც გაჩნდა. ასეთი ვითარება შეინიშნება საკუთრივ ჰიების განსახლებაში. ჰის თურის განტოტების შედეგად წარმოიშვნენ: ჰოჲკები, ჰიაიები, ჰიოკები, ჰაჰიები, ჰაჰუები, ჰოჰუები და სხვები, რომელთა სახელწოდებები უშუალოდ უკავშირდება მათი ეპონიმების სახელებს. მართლაც ჰოი, ჰი, ჰია, ჰიო, ჰა, ჰაჰუ და სხვები მეგრულ-ზანური სახელებია, რომელთა ძირია ჰი, მაგრამ თავისებურად მიქცეული. თითოეულ ამ შტოს მიეკუთვნა განსაკუთრებული ბოლოსართით წარმოებული სახელები: ჰოჲ-კა, ჰიოკა, ჰა-ა, ჰია-ია და სხვ. ამ გზით უკვე მოზრდილი ტერიტორიული ერთეული შეიქმნა, სადაც დასახლდა ერთი ძირიდან ამოსული რამდენიმე თური (გვარი) და ადგილსაც დედო თურის სახელი ეწოდა — საჰია. საჰიას, ამ ვრცელ საცხოვრისს, ალბათ, მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა პატრიარქალური ცხოვრება დაირღვა და ქონებრივი უთანასწორობის და კლასობრივი ურთიერთობის ფორმირება დაიწყო.

აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე, ძირის ხატის, ძირის ბატონის, ძირის სალოცავის ადგილსამყოფელთა მონაცვლეობაც. ჰიითში ჰის თის ჯვარის სალოცავი ჰქონია, იქვე მახლობლად ქეჯვარობაა. არქეოლოგიური ნაპოვნი სავსებით ადასტურებს ჰის ოჯახის ნასახლარზე საკულტო საგნების არსებობას. აქ ჯვრების გამოსახულების ბრინჯაოს ფიბულებია ნაპოვნი სხვა სარიტუალო გამოსახულებებთან ერთად. ლეჰეში ან ლეჰიეში ქიაჩის კულტი დიდხანს იყო შემორჩენილი[11]. ქიაჩი შემდეგ, ქრისტიანული ეკლესიის ბატონობის დროსაც ადგილობრივ მკვიდრთა უდიდესი სალოცავი იყო. ლეჩიედან წასულმა ხალხმა ბარად თავის ძირის სალოცავიც წაიღო, ამას გვაუწყებენ გადმოცემები. აქ მართლაც ჰილაიას, ჰილაძეთა, ჰიოკების და ჰოიკების, ყველა ჰის ძირიდან ამოსულ თურთა ძირის სალოცავი ტყვირის ოხვამურთან დადებულა, დღესაც ყველა ეს გვარეულობა, მათი უხუცესი წევრები თავიანთი ძირის სალოცავად ტყვირსა თვლიან. ეს დაადასტურა ჩვენთან საუბარში თავის მამა-პაპისაგან მოსმენილის საფუძველზე ცნობილმა ქართველმა მწერალმა და კრიტიკოსმა ს. ჰილაიამ. მისი წინაპრები კი ნა-

10 რ. ხარაძე, საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბილისი, 1959, გვ. 202.

11 ქიაჩი-ქიაჩის, ჯვარის ძველი ქართული სალოცავია, წარმართული სალოცავი ამ მხარეში.

ხუნაოში (გეგეჭკორის რაიონი) ცხოვრობენ. ჭიოკებიც (ჭიათურიდან) თავიანთი ძირის ხატად ტყვირის ხატს თვლიან. ეს განშტოებები თაყვანს სცემდნენ თავიანთ ერთობლივ ადრინდელ სალოცავს, მათ მამა-პაპას ძირის ხატზე სალოცავად იქ უვლიათ.

ასეა ასახული დიდ პატრიარქალური ოჯახისა და მისი დაშლის შედეგად პატრონიმიული ორგანიზაციის ჩამოყალიბების სურათი ტოპონიმიკურ მასალებში, რომლის სრული სახით განხილვა მომავლის საქმეა.

ჯ. კახიანი, ა. ლოხაძე

ქართველთა წარმართული რელიგიის ერთი საკითხის შესახებ

საქართველოს მრავალ კუთხეში ღორის დინგს ფეტიშად იყენებდნენ. ეს ჩვეულება 1969 წელს სოფელ პავლიანთკარში (ქსნის ხეობა), ხოლო 1970 წელს სოფ. ხეკორძში (მცხეთის რ.) დაამოწმა კ. კახიანმა. ამ სოფელში მცხოვრებ 57 წლის ბაბუცა ზაქარიას ასულ ზარიძის (მამის გვარი მაისურაძე, გამოთხოვილი აღბულაღის რაიონის სოფ. დიდი თონეთიდან) ცნობით, „ღორს დეკემბერში დაკლავდნენ. ჯერ გავფუფქავდით, მეორე დღეს თავს გავაკეთებდით, გავტრუსავდით და შემდეგ მოვჭრიდით დინგს, რომელსაც გასახმობად ბოძზე დავკიდებდით. თუ მალე გვჭირდებოდა, 15 დღეს იქნებოდა, თორემ წელიწადი იყო [გასახმობად]. ბავშვი, რომ დაიბადებოდა, დინგს აკვნის თავზე დავკიდებდით, ბავშვის თავის მხარეს. სოფელში ასე ვიტყვით — „ავი ქარიაო. ავმა ქარმა არ დაარტყას ბავშვსო. ავ ქარს აცილებს ესაო [ღორის დინგი] და ბავშვი გაიზრდება წესიერიო.

[ღორის დინგს] კარებშიაც ვკიდებდით მაღლა ჩარჩოსთან. რომ შემოვიდოდა ადამიანი უდროო დროს, ავი ქარი არ შემოყვებოდა, ეს ღორის დინგი მოაცილებდა. თონეთშიც ეგრე იყო. ხეკორძშიც ასე არის, ეხლაც ვიცით [ღორის დინგის] ჩამოკიდება, მხოლოდ ტახი ღორის დინგისა“ (ცნობა ჩაწერილია კ. კახიანის მიერ 9.1.1970 წ.).

ამ ფეტიშის ერთ-ერთ ეგზემპლარს, რომელიც ზემოხსენებულმა ზარიძემ გვაჩუქა, გაყრილი აქვს მოიისფრო ბამბის ბაწარი; ის წამოღებულია სოფელ ხეკორძიდან და ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ზემოაღნიშნული ცნობის მიხედვით, აკვანზე შებმული ღორის დინგი, ცრუმორწმუნე ადამიანთა აზრით, ბავშვს იცავდა „ავი ქარისაგან“. ღორის დინგით „დამახვილებულ“ აკვანსა და მასში მწოლიარე ჩვილს „ავი ქარი“ თითქოს ვერ ეკარებოდა. თუ ის კარის თავზე იყო მიმაგრებული, ვარაუდობდნენ, რომ „ავი ქარი“ სახლში შესვლას ვერ გაბედავდა. მაშასადამე, ღორის დინგი ითვლებოდა „ავი ქარის“ დამაფრთხობელ, გამდევნ, დამთრგუნავ ფეტიშად.

„ავი ქარი“ ქართველებს მიაჩნდათ მავნე სულად. ეგონათ, რომ ეს სული ვნებას აყენებდა ადამიანებს ღამით. მაგალითად, მესხეთ-ჯავახეთში გავრცელებული იყო რწმენა, რომ ქალს, თუ ის გვიან წავიდოდა წყლის მოსატანად, შეიძლება „ავი ქარი“ ადევნებოდა და თავში ხელი ჩაეკრა, რაც ფსიქიკურ ან ფიზიკურ დაავადებას (სიგიჟეს, ენის ჩავარდნას ანუ სიმუნჯეს, ციებცხელებას, თავის ტკივილს და სხვ.) იწვევდა.

ამგვარ შეხედულებათა საფუძველზე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ „ავ ქარად“ წოდებული არსება მ ა ვ ნ ე ს უ ლ ი ყო. მისი სახელწოდება — „ავი ქარი“ მიგვითითებს, რომ ეს სული ქარს განასახიერებდა, ქ ა რ ი ს დ ე მ ო ნ ა დ და ადამიანის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი.

ქართველ ხალხში ასეთი დემონის ანუ სახიერი სულის წინააღმდეგ ღორის დინგის გამოყენების პრაქტიკა შემთხვევითი არ იყო და არ არის. ამას პირველყოვლისა ის ამტკიცებს, რომ ქართველები არა მარტო ღორის დინგს, არამედ ამ ცხოველის ზოგიერთ სხვა ნაწილსაც მავნე ანუ „არაწმინდა“ ზებუნებრივი ძალების წინააღმდეგ ხმარობდნენ.

„თუში ხალხის რწმენით, ავი სული ბინადრობს ავთვალა ადამიანში, რომლის შემოხედვა ერთნაირად სწყინს, როგორც ოჯახის ბარაქას, ასევე ადამიანის ჯანმრთელობასა და საქონელს. ასეთი თვალისაგან თავის დასაცავად საჭიროა გრძნეული ნივთების — ურძნისწურსა და ხის ნაჭრებისა, ღ ო რ ი ს კ ბ ი ლ ი ს ა თუ გველისთავიანი შავი მძივების დაკერება სამოსის შიგნითა მხრიდან. განსაკუთრებით მისდევენ ამას საწყალობელა, ე. ი. ერთი შვილის შემყურენი“[1].

მ ი რ ს ო ბ ა (ღვთაება „ჯ ე გ ე-მ ი ს ა რ თ ნ ი ს“ სადიდებელი დღეობაა სამეგრელოში). ამ დღეობას იხდიდნენ დიდმარხვის დაწყებამდე. ხუთშაბათს [მეგრ. ცაშხა]. მეგრელები კლავდნენ საგანგებოდ ნასუქ ღორს, რომელსაც „ომირსე“ ეწოდებოდა. დაკვლის წინ ოჯახის უფროსი ამ ღორს კერის გარშემო რამდენჯერმე შემოატარებდა შემდეგი ლოცვით: „დღარი მირსობაში მოზოჯუა. მ ა დო ჩქიმი ჩილი და სქ ე ას ბედი მეჩი, ბედნიერო დაარიხე, ირი ალიანი და ჩალიან ქ ე გ ა რ ა ც ი, ირი უბადო შარას, წყარც სი ქოთხილეე, სქანი სახელი ხვამელი“ („დღეს მირსობის მობრძანებავ! ჰე და ჩემ ცოლს და შვილს ბედი მიეცი, ბედნიერად ამყოფე, ყოველი ალიანი და ჩალიანი (სიავე) გაუქარვე, ყოველ ავი გზისაგან, წყლისაგან შენ დაიცავი, შენ სახელ დალოცვილო“)[2].

მირსობის ეს რიტუალი, როცა იგი აღწერა ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა მ (1935 წ.), უფრო კარგად და სრულად დაცული იყო მთიან სამეგრელოში, ჩხოროწყუს რაიონის სამ სოფელში: გოდოგანში, გარახაში, და ჯუმითში. მირსობა დღეს აძ სამ სოფელში იმართებოდა ხატობა, რომელსაც „ჯ ე გ ე ან ჯ გ ე გ ე-მ ი ს ა რ თ ნ ი“ ეწოდებოდა.

„სოფ. გოდოგანი კურზუს თემშია და აქ ერთ მაღალ გორაკზე აშენებულია პატარა ეკლესია, რომელსაც „ჯ ე გ ე-მ ი ს ა რ თ ნ ს“ უწოდებენ.

დღეობა იმართებოდა თებერვალში, ორი კვირით წინ ყველიერამდის და სალოცავად წინათ დიდძალი მხვეწარი მოდიოდა თურმე, განსაკუთრებით ის გვარები, რომელთა ფუძის ან გვარის (ჯინჯიში ხატი) ხატად იგი ითვლებოდა: ფიჩხაია, ბერულავა, ჩარგაზია, მიქაია, გოგუა, ლაშხია, ნაჭყებია, აშორდია, ფონია, კვაშილა, გაბედა, არაჰამია და სხვ. ჩარგაზიას და ნაჭყებიას გვარიდან ირჩევდნენ ნათლებს, რომლებიც ხალხს ამწყალობლებდნენ“.

---

[1] ც. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, თუში ქალის ტალავარი, კრებ. „თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბილისი, 1967, გვ. 185.

[2] И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1914, იხ. სიტყვა „ანთარი ჟინი“, გვ. 194—195; И. К о б а л и я, Из мифической Колхиды, СМОМПК, вып. XXXII, отд. III, გვ. 99—100.

მირსობა დღეს გოდოგანში ომირსე ღორს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ და ჯეგე-მისარონს, შესთხოვდნენ ოჯახის კეთილდღეობას, მაგრამ ომირსე ღორის ხორცის ჭამა დაღამებამდის არ შეიძლებოდა, დილით კი მოხარშული კვერებით და კვერცხით თვალის საღობაზე ჩვეულებრივი წესით დაილოცებოდნენ და შემდეგ ყველანი მიდიოდნენ ჯეგე მისარონის ეკლესიაში, „სადაც წინათ ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს, ლოცვა-ვედრებას, რომელსაც მოჰყვებოდა ცეკვა-თამაში, სიმღერა და სხვა გართობანი. საღამოს მლოცავი სახლში ბრუნდებოდა, ოჯახის უფროსი ომირსე ღორით დაილოცებოდა, გაშლიდნენ სუფრას და ღორის ხორცს ჭამდნენ.

ამ დღეს სალოცავად მოდიოდნენ გამოთხოვილი ქალები, რომელთა ფუძის ხატად ჯეგე-მისარონი ითვლებოდა და მათ თან მოჰქონდათ სანთელ-საწირი და დაკლული ღორები. მათ აქ გვარის ნათლები ამწყალობლებდნენ და შემდეგ შვილდში გამოატარებდნენ“[3].

ასეთივე ხატობა იცოდნენ სოფელ გარახში, რომელიც მდებარეობს ჩხოროწყუს მახლობლად. თებერვალში, მირსობა დღეს აქ, გარახას წმ. გიორგის ეკლესიაში მოჰყავდათ თვალით სნეულები, სულით ავადმყოფები და ბნედიანები, რომლებსაც ავედრებდნენ ჯუმითის წმ. გიორგი — მირსას ხატს, შესთხოვდნენ მას შველას და განკურნებას. აქ შესაწირავად მოჰქონდათ დაკლული ღორები[4].

სოფ. ჭაქვინჯთან არის სოფ. ჯიხაშკარი, რომელიც ზუგდიდიდან დაშორებულია 7 კილომეტრით. ამ სოფლის სამლოცველოსა და ხატობის შესახებ ს. მაკალათიას ნაშრომში ნათქვამია: „აქ დღესაც დაცულია სამლოცველო ადგილი მისარონ-კარი. მას უჭირავს საკმაოდ მოზრდილი და გაშლილი ფართობი, რომელიც დაფარულია ცაცხვისა და მუხის ხეებით. შუა მოედანზე დგას ხის პატარა სამლოცველო და მას აქ ჯეგე-მისარონს უწოდებენ. ნაღდგომევს, ახალკვირის სამშაბათს მისარონ-კარში იმართებოდა ხატობა, სადაც სალოცავად მიდიოდნენ: ზარანდიები, შენგელიები და ჩარგაზიები, რომელთა საგვარეულო ხატად, „ჯინჯი ხატად“ იგი ითვლებოდა. ხატობა დღეს რიგის მიხედვით ამ საგვარეულოდან ერთ-ერთი ოჯახის უფროსი მისარონ-კარზე მოიყვანდა კერატას, დაილოცებოდა გვარის კეთილდღეობაზე, შემდეგ ღორს იქვე დაკლავდა და ხორცს მლოცავებს გაუნაწილებდა. ღორის თავს კი იგი გადაულოცავდა იმ მეკომურის უფროსს, რომელსაც რიგით მეორე წელიწადს ჯეგე-მისარონისათვის კერატი უნდა დაეკლა.

ამ საგვარეულოდან გამოთხოვილ ქალებს ხატობა დღეს ჯეგე-მისარონში მოჰქონდათ საწირ-სანთელი, ღორის თავ-ფეხები, კვერცხები და სხვა“[5].

მირსობას სვახებიც იხდიდნენ. ამ დღისათვის ჩვეულებრივ ნასუქ ღორსა კლავდნენ (შეიძლება ხარი დაეკლათ), რომლის ხორცს მხოლოდ დალოცვის შემდეგ ჭამდნენ. ამ ჩვეულებასთან იდეური კავშირი აქვს იმერეთში დამოწმებულ შემდეგ რიტუალს: ამ კუთხეში საშაბუკოდ (დღეობა) კლავდნენ დიდ ღორს, რომელსაც „შაბუკი“ და „საშაბუკო ღორი“ ეწოდებოდა. მის ხორცს მხოლოდ ოჯახის წევრები ჭამდნენ, ლოცვის შემდეგ.

---

[3] ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1938, გვ. 11—13.

[4] იქვე, გვ. 13.

[5] იქვე, გვ. 13—14.

მირსობის რიტუალში ჩვენთვის, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებოა სათანადო ღვთაებისადმი (ჯეგე-მისარონისადმი) ღორის შეწირვა და მისი ხორცით ზ ი ა რ ე ბ ა.

ეს ზიარება, რომელიც ღვთაებასთან ზიარებას მოასწავებდა, დაკავშირებული იყო სარწმუნოებრივ იდეასთან, რომლის თანახმად, ჯეგე-მისარონის მადლი ანუ ზებუნებრივი ძალა მისდამი შეწირული ღორის ხორცის ჭამის შედეგად გადადიოდა ადამიანის სხეულში. ეს ძალა, როგორც მირსობის რიტუალიდან ირკვევა, ითვლებოდა ადამიანის მფარველად — თვალთა ჭირის მომშორებლად, ბნედიანთა და სულით ავადმყოფთა მკურნალად, ყოველი ავის დამთრგუნველადა და ფათერაკისაგან დამცველად.

რწმენა, რომ ნაკურთხი (შეწირული, დალოცვილი) ღორის ხორცი მის მომხმარებელს ანიჭებს ავის მიმართ იმუნიტეტს, ფრიად ძველია. სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ რწმენის წინაპარია დღეობის დროს ღორის ხორცის კოლექტიური ჭამა იმ გვარის წევრების მიერ, რომელთა ტოტემი იყო ღორი. ეს ჩვეულება წელიწადში ერთჯერ სრულდებოდა (სხვა დროს ტოტემად აღიარებული ცხოველის ხორცის ჭამა აკრძალული იყო) ტოტემთან ზიარების მიზნით.

მირსობის რიტუალი ცხადყოფს, რომ საქართველოში პირველყოფილ თემურ-გვაროვნული წყობილების დროს ღორი მრავალი გვარის ტოტემად ითვლებოდა[6]. ის, როგორც რკოს მჭამელი ცხოველი, დაკავშირებული იყო მუხასთან. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ქართველთა წინაპრების სარწმუნოებრივი იდეების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ღორის მიმართ შემუშავებული ტოტემისტური წარმოდგენები დაუკავშირდა ჯერ მუხის სულს, ხოლო შემდეგ ამ სულისაგან წარმოქმნილ ღვთაებას — ჯ ე გ ე სII ჯ გ ე გ ე ს (სვან. ჯ გ გ რ ა გ), აგრეთვე მასთან გაიგივებულ მ ი რ ს ა ს[7].

აშკარაა, რომ ქართველთა წინაპრები თავდაპირველად ღორის ხორცის ზებუნებრივ თვისებებს ღვთაებისაგან მონიჭებულად არ გაიზიარებდნენ, რადგან იმ დროს მათ არ ყავდათ არცერთი ღვთაება.

ს. მაკალათიას ქართული მირსობის რიტუალში დამოწმებული მეტად მნიშვნელოვანი ძოვლენის — ღორის მსხვერპლად შეწირვის შესახებ გამოთქმული აქვს შემდეგი აზრი: „მირსობის რიტუალში ფრიად საყურადღებო მოვლენას ღორის მსხვერპლად შეწირვა წარმოადგენს. გარეული ტახი იეშთსადეში პატივისცემითაა მოხსენიებული, როგორც მითრას ცხოველი და იმის შესახებ იქ ნათქვამია: „ამ სასარგებლო ცხოველის მოდგმა მეორედ მკვდრეთით აღდგომამდე უნდა გაგრძელდეს“-ო. ამას გარდა, ვესტას ერთ მუხლში ნათქვამია, რომ, როდესაც მითრა ბნელი ძალების დასათრგუნავად ეტლით გამოდის, მათ წინ მიუძღვით „ვერეთრაგნა“ (გამარჯვება) და „ბრძენთა ფიცი“, რომლებიც გარეული ღორის სახით არიან წარმოდგენილნი და თავიანთი მახვილი ეშვებით ბოროტ სულებს ჰმუსრავენ... ქართული მირსობა საყურადღებო მასალას შეიცავს მითრაიზმის შესასწავლად. ის თავისი რიტუალობით და ომირსე ღორით აშკარად გვირკვევს მითრას ბარელიეფზე გამოხატული ღორის დანიშნულებას“. ჩვენს წარმართ წინაპრებს მითრაიზმის გავრცელების

---

6 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

7 იქვე, გვ. 20.

ხანაში, „ღორის არსებული კულტი მითრასთან დაუკავშირებიათ, რაც სრულიად ეთანხმება მითრაიზმის მოძღვრებას“[8].

ვესტაში გამოთქმული იდეა, რომ მითრას წინამძღოლი გარეული ღორები თავიანთი მახვილი ეშვებით ბოროტ სულებს მუსრავენ, არსებითად არ განსხვავდება თუშ მორწმუნეთა შორის გავრცელებული იმ იდეისაგან, რომლის ძიხედვით ავგაროზად გამოყენებული ღორის კბილი ადამიანს იცავს ავი თვალისა და ავი სულისაგან. ამ იდეას მითრაიზმთან გენეტიკური კავშირი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, ვინაიდან იგი გაცილებით ძველია, ვიდრე მითრას კულტი. სათავის მიხედვით ეს იდეა დაკავშირებულია გარეულ ღორთან, რომელიც სასტიკი მხეცია. მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ამ მხეცის მთავარ იარაღს წარმოადგენს ეშვები, რომლებიც ფანტასტიკურად ასახულია ქართულ ფოლკლორში. გარეული ღორის ეშვების, საერთოდ მისი კბილების რეალური შესაძლებლობის ფანტასტიკური ასახვის ანუ სარწმუნოებრივი გაგების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ის შეხედულება, რომ მათი მეშვეობით გარეული ღორი თრგუნავს, მუსრავს ავ სულებს. ტრაღიციის ზეგავლენით ავი სულების დამთრგუნველი ძალა შინაური ღორის კბილებსაც მიაწერეს. ასეთი გაგების საფუძველზე ფეხი მოიკიდა იმ ყოვლადცრუ აზრმა, რომ ავგაროზად გამოყენებულ ღორის კბილს, განსაკუთრებით ეშვს, შეუძლია დააფრთხოს ავი სულები, განარიდოს ისინი ადამიანს. აქედან აშკარაა, რომ მითრას რწმინასთან შეუღლებული ფანტასტიკური ღორების მიმართ შემუშავებული სარწმუნოებრივი იდეის უშუალო წინაპარს წარმოადგენს რეალურად არსებული ღორების ეშვთა ფეტიშისტური გააზრება ღვთაებისაგან დამოუკიდებლად.

გარეული ღორისა (ტახის) და მისი ნაწილების მიმართ ქრისტიანობის გავრცელებამდე ქართველ მოსახლეობაში შემუშავებული რწმენა-წარმოდგენების შესაცნობად დიდი მნიშვნელობა აქვს ვანის ნაქალაქარზე გათხრილ ერთ-ერთ სამარხში, რომელიც ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება, დიდი რაოდენობით აღმოჩენილი გარეული, ჯაგარაშლილი ტახის მინიატურულ გამოსახულებებს[9]. მათი ეშვები მკაფიოდ ჩანს. ზემოთ განხილული ეთნოგრაფიული მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ამ გამოსახულებებს არა მარტო ესთეტიკური, არამედ სარწმუნოებრივი დანიშნულებაც ჰქონდათ. მათ, ალბათ, მიიჩნევდნენ ავი სულების დამფრთხობელ ფეტიშებად. ეს ვარაუდი უფრო დამაჯერებელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ დასახელებულ სამარხში დაკრძალული პირის (ქალის) სამაჯურთა „ერთი წყვილი შემკულია ტახის სკულპტურული გამოსახულებით“[10].

განხილულ მოხაცემებთან ერთად, ფრიად ყურადსაღებია ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ღორის თავს ჰქონდა ქართული ახალწლის რიტუალში.

აღძრულ საკითხთან დაკავშირებით ისიც არ უნდა იყოს მნიშვნელობას მოკლებული, რომ რაჭულ საბოსლობო რიტუალში ღორის ქონს იყენებდნენ პირუტყვის მიმართ მაგიური დანიშნულებით.

---

8 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 16—17.

9 ო. ლორთქიფანიძე, ვანის განძი, გაზ. „კომუნისტი“, 1969, № 215.

10 იქვე.

ნ. მიხელის ცხობით, სოფ. სორში (ზემო რაჭა) საბოსლობო რიტუალის შესრულების დროს[11] „ოჯახის ერთი უფროსთაგანი უპოხავს [ღორის] ქონით საქონელს რქებსა და კისერს“. ბოსლობას საქონლის რქებზე ღორის ქონის წასმა რაჭის სხვა ზოგიერთ სოფელშიც იყო დამოწმებული[12].

შესაძლებელია ეს მოქმედება სრულდებოდა პირუტყვის დამაზიანებელი მავნე სულების საწინააღმდეგოდ. ალბათ, ვარაუდობდნენ, რომ ქონით გაპოხილ რქებს მავნე არსება ხელს ვერ ჩასჭიდებს და თავის არეში პირუტყვს ზიანს ვერ მიაყენებსო.

„ბოსლობის“ აღწერილობის ზოგიერთ ვარიანტში ნათქვამია, რომ ღორის ქონს ბოსლობის რიტუალის შესრულებისას პირუტყვს (ხარებს, ძროხებს, უშობლებს, ხბორებს) უსვამდნენ ზურგზე და გავაზე იმისათვის, რომ კარგად გასუქებულიყო და ნადირს მორიდებოდა[13]. ამ მაგიურ მოქმედებას პირდაპირი კავშირი არ უჩანს პირუტყვის ავი ძალებისაგან დაცვის იდეასთან, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მორწმუნეს იგი (მოქმედება) ამ იდეასთანაც დაეკავშირებინა, რადგან ღორის მიმართ შემუშავებული მრავალი სარწმუნოებრივი წარმოდგენა იძლეოდა ამის საბაბს. ერთ-ერთი ასეთი წარმოდგენა სამკურნალო მაგიას განეკუთვნება.

ქვემო რაჭაში კანის დაავადების ერთ სახეობას ეწოდებოდა საბაგირე (ა. ს.). საქართველოში მას ერქვა აგრეთვე ღორთმგორვალა (ძვ. და კუთხ. — ზ. იმერ.)[14]. ეს დაავადება ჩვეულებრივ ბავშვებს ემართებათ. ავადმყოფს გამოყრის წითლად, იცის ქავილი. ცრურწმენით შეპყრობილი ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ავადმყოფი თუ არ გაგორდებოდა საღორის წინ ან საღორეში, ისე არ მორჩებოდა[15]. ამ წესის შესრულებისას, რომელსაც მე თვითონ დავსწრებივარ სოფ. ბარეულში (ქვემო რაჭა), დაავადებული ბავშვი წელზემოთ შიშველი იყო. ანეტა დვალისა და სხვათა ცნობებით, რაჭაში „საბაგირეთი“ დაავადებულს ტანზე ღორის ჯაგარსაც („ჯაო“) უსვამდნენ, რასაც, შესაძლებელია, რეალური მნიშვნელობაც ჰქონდა.

ამრიგად, ირკვევა, რომ არა მარტო ღორის დინგს, ეშვს, ქონსა და სხვ., არამედ ჯაგარსა და იმ ადგილსაც კი (იატაკს, მიწას), სადაც იგი წვებოდა და ბინადრობდა, მაგიური მნიშვნელობა მიეწერებოდა. რწმენა, რომ „საბაგირეთი“ დაავადებული შეიძლება განიკურნოს ღორის ჯაგრით ან საღორეში გაგორების შედეგად, იმას მოწმობს, რომ ამ ცხოველის სხეულს, აღნიშნულის გარდა, მიეწერებოდა კანის დაავადების (ფხანისა და დამუწუკების) სახით მოვლენილი, ავი, ნეგატიური ძალის დათრგუნვის თვისება.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ქართველ მოსახლეობაში ღორის დინგის ავგაროზად გამოყენება არ არის იზოლირებული მოვლენა. იგი შედის ღორის კულტის ამსახველ წეს-ჩვეულებათა რთულ კომპლექსში.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ ავგაროზად გამოყენებული ღორის დინგი აუცილებლად ტახისა უნდა ყოფილიყო.

---

[11] Н. Миндели. Селение Сори, СМОМПК, вып. XIX, отд. 1, გვ. 127—130.

[12] ა. სოხაძე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (რაჭული ბოსლობა), ხელნაწერი ინახება ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

[13] იქვე.

[14] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, 1962, გვ. 464.

[15] იქვე, ეისარგებლეთ აგრეთვე მთხრობელი ა. დვალის ცნობით.

სანამ გავარკვევდეთ რით იყო ეს გამოწვეული, საჭიროა ვიცოდეთ „ტახი“ ტერმინის მნიშვნელობა ძველად და თანამედროვე ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში.

საბას განმარტებით, ტახი არის გამოუყვერავი გოჭი. ეს განმარტება მთლად არ ემთხვევა ამ ტერმინის ახლანდელ მნიშვნელობას. ამჟამად ტახი მეტწილად ეწოდება მამალ ღორს — დაკოდილსაც და დაუკოდავსაც. მისი საპირისპიროა ნეზვი, რომელიც დედალ ღორს აღნიშნავს. საბას ლექსიკონში ღორის სქესის მაუწყებელი ტერმინებია ეშვი (ეშკ) და ქუბი: „ღორსა მამალსა ეწოდება ეშვი (ეშკ) და დედალსა — ქუბი“.

1935 წელს სოფ. თიღვაში (ზ. ქართლი) ჩაწერილი ცნობების თანახმად, ღორის ნაშობს, როცა ის „პაწაწა არის, სამთვემდი, ოთხთვემდის“, გოჭი ეწოდება (საბას ნათქვამი აქვს: დედალ-მამალი ღორის ანუ ეშვის და ქუბის შვილებს ეწოდებათ „თელი და გოჭი“). ოთხი-ხუთი თვის შემდეგ გოჭს „ბურაკი“ ეწოდება (საბას მიხედვით, ბურვაკი „დიდ გოჭს“ ჰქვია), ხოლო „წლის მერმედ ტახს ვეძახით“. დედალ ღორს ნეზვი ეწოდება. მამალი ღორი თუ დაკოდილია, „იმას ტახს ვეტყვით, თუ არადა კერატი“ (ჩაწერილია კ. კახიანის მიერ 1935 წლის დეკემბერში).

ქვემო რაჭაში დაუკოდავ ღორს ეწოდება კერეტანი. ამავე კუთხეში მამალ ღორს ტახი[16] ჰქვია, დედალს — ნეზვი (გოჭებიან ღორს „დედა ღორს“ უწოდებენ).

საგულისხმოა, რომ „ტახი“ სიტყვა ზოგჯერ იხმარება როგორც მამალი, ისე დედალი გარეული ღორის აღსანიშნავად (იხ. ქართული განმარტებითი ლექსიკონი IV—1265), ხოლო საბას მის იდენტურ სიტყვად მოხსენიებული აქვს კერატი. მისი განმარტებით, კერატი არის გამოუყვერავი გოჭი.

კერატი და ტახი სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარებას მოეძებნება თავის ახსნა. მაგრამ ეს არ შეადგენს ჩვენი ძიების საგანს. ჩვენ იმის გამორკვევა გვაინტერესებს რას ნიშნავდა თავდაპირველად კერატი (რაჭ. კერეტანი) და ტახი.

კერატი სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობის აღსადგენად გასათვალისწინებელია, რომ მისი ძირია კერ და ამავე ძირის შემცველი, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები კერშვა და კერშილობა ნიშნავს ღორის დაგრილებას, ღორთა მაკინტლობას[17] (ქართული განმარტებითი ლექსიკონი, IV—1148). რადგან კერშვა (მისი მონათესავე უნდა იყოს კერვა და ქერვა) ნიშნავს მამალი ღორისაგან ნეზვის მიმართ შესრულებულ აქტს (შეუღლებას, დაგრილებას, დაკერშვას, დაკერვას), კერ (//ყერ) //კერი// კერატი//კერატანი//კერეტანი უნდა ყოფილიყო მამალი ღორის სახელები[18]. ალბათ, მას შემდეგ, რაც ღორის დაკოდვა იქნა შემოღებული, კერი და კერატი, მარტოოდენ დაუკოდავი მამალი

---

16 „ტახი ღორი მამალი“ (საბა).

17 „კერშილობა ნადირთ მაკინტლობა“, ნადირთ ჴურაობა (საბა).

18 ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება ნეზვის სვანური სახელები ყერ, ყუერ. საგანგებო გამოკვლევას მოითხოვს რითაა ეს გამოწვეული. საერთოდ ასეთი შენაცვლება მდედრობითი და მამრობითი სქესის არსებათა აღმნიშვნელი ტერმინებისა ჩვეულებრივი მოვლენაა.

ღორის სახელად იქცა. იმისათვის, რომ დაუკოდავი ღორისაგან დაკოდილი ღორი განესხვავებინათ, ამ უკანასკნელს საქართველოს ზოგიერთ სოფელში ტახი უწოდეს. ახალ ქართულ ლექსიკოლოგიაში ამ სიტყვას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, აღნიშნავს ყოველ მამალ ღორს (დაკოდილსაც და დაუკოდავსაც, გარეულსაც და შინაურსაც). ტახი და ეშვი სიტყვები განსხვავდება კერი//კერატი სიტყვებისაგან თავისი ფორმითა და წარმოშობით, მაგრამ, თუ ყოველთვის არა, გარკვეულ ხანაში ოთხივე სიტყვა მამალი ღორის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამ ნაშრომში კერატი იხმარება დაუკოდავი ღორის, ხოლო ტახი მამალი ღორის სახელად[19].

ღორი საქართველოში უმთავრესად ჯვეგს, მირსას ანუ მისარონსა და დიდ ღმერთს, რომელიც ახალწლის რიტუალში „ბასილად" იწოდებოდა, ეწირებოდა. რადგან ეს ღვთაებები მამრობითი სქესის არსებებად მიაჩნდათ, მათთვის, წესის მიხედვით, ტახი უნდა შეეწირათ და არა ნეზვი.

საგულისხმოა, რომ სვანეთის ზოგ სოფელში საახალწლოდ ტახს ჰკლავდნენ, ზოგში კი ნეზვს; ზოგან მნიშვნელობა არ ჰქონდა საახალწლო ღორი ტახი იქნებოდა თუ ნეზვი. მაგალითად, ვიჩნაშელი სვანებისათვის, რომლებიც დალში (აფხაზეთი) ცხოვრობენ, „სულ ერთი იყო" საახალწლო ღორი „ნეზვი იქნებოდა თუ ტახი". ამ ღორს სვანები ჰკლავდნენ ჯეშხუშ-ს (31 დეკემბერს) ან მის წინა დღეს[20]. საახალწლოდ ნეზვის შეწირვის წესი უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე ტახისა, ვინაიდან ქართველთა უძველესი ახალწელიწადი ბარბალობა იყო, ხოლო ბარბალეს ანუ მზის ქალ-ღვთაების შესაწირავი ცხოველი, სარწმუნოებრივი წესის მიხედვით, მდედრობითი სქესისა იქნებოდა. სვანეთის ზოგიერთ სოფელში საახალწლო ღორი ქალის (რძლის ან დედამთილის) სახელზე იკვლებოდა. ალბათ, ესეც იყო რიგ შემთხვევაში იმის მიზეზი, რომ ეს ღორი აუცილებლად ნეზვი უნდა ყოფილიყო. წყაროში ნათქვამია: ცხუმარში „საახალწლო ღორს, ლეკლანდ-ს, ეშხუშ-ს დღისით დაკლავდნენ. ეს ღორი უსათუოდ ხეზვი უნდა ყოფილიყო. ის რძლის (თელღრა-ს) საკუთრებას წარმოადგენდა — ან მამის სახლიდან იყო მონაყოლი (მაყან), ან თავისი საკუთარი ფულით ნაყიდი. გამოიყვანდა ამ ღორს თელღრა და თავის სახელზე დააკვლევინებდა. ეშხუშ-ისათვის რძალი საკუთარ არაყსაც კი გამოხდიდა ხოლმე. თუ ოჯახში რამდენიმე რძალი იყო, მაშინ საახალწლო ღორს ისინი მორიგეობით გამოიყვანდნენ — ერთ წელს ერთი რძალი, მეორე წელს მეორე და ასე შემდეგ. დაკვლის შემდეგ მას მთლიანად ამოსჭრიდნენ ქვედა ყბას და გულმუცელს, რომელიც ლალყაჯად იყო მიჩნეული"[21]. იფარში რძლის ქონებიდან გაძოყოფილი საახალწლო ღორი (ლეზრმახ) ნეზვიც შეიძლება ყოფილიყო და

---

19 ძველი და საშუალო საუკუნეების ქართულში დაკოდილი ნიშნავდა დაჭრილს, ჭრილობა მიყენებულს. დროთა ვითარებაში მისი მნიშვნელობა შეივიწროვდა და გამოყვერილი, კასტრირებული ცხოველის სახელი გახდა.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ჩვეულება (მაგალითად, კერატებისა და „უსხების" შეწირვა) გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში დაკოდილი ტახის, როგორც ნაყოფიერებას მოკლებული ცხოველის, შეწირვა და მისი ხორცის გამოყენება ფოლკური კულტის ამსახველ რიტუალებში ერთხანს აღკვეთილი უნდა ყოფილიყო.

20 ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ტფილისი, 1939, გვ. 79—119.

21 იქვე, გვ. 87.

ტახიც[22]. დ. ჯაჭვლიანის ცნობით, ცხუმარში ახალწლის წინა დღეს (ეშხუშ) „ვახშმისათვის აცხობდნენ სამარხვო პურებს (ქუახ ლემზირაშ) და ხაჭაპურებს (ქუთუშარ), რომლებსაც ჭამის წინ სახლის უფროსი დაწ ეშხუმიშ-ს შესწირავდა... დაწ ეშხუმიშ-ი სხვა იყო და დალაშ ქუცაშ-ი კიდევ სხვა. უკანასკნელის მსგავსად დაწ ეშხუმიშ-იც ქალი იყო. მას ნეზვს სწირავდნენ და ევედრებოდნენ — ახალი წელი მშვიდობით მოგვასწარიო“[23]. ცხადია, ამ ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ღვთაებისა და შეწირული ცხოველის სქესის მიმართების გარკვევისათვის. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია სოფ. თავრარში ჩაწერილი შემდეგი საგულისხმო ცნობა: ჩუბახევის თემის სვანები ჯეშხუშ დღეს, „მზე რომ დასავლეთისაკენ გადაიხრებოდა, ლეკლანდ-ს დაჰკლავდნენ. ვინაიდან ეს საკლავი ნეზვი იყო, ამიტომ დაკვლის წინ მას არ ავედრებდნენ და არ სწირავდნენ ღვთაების თუ წმინდანის სახელზე [ღორებიდან მხოლოდ ტახს მიიყვანდნენ ხოლმე სგირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, ხმამაღლა ილოცავდნენ და შესწირავდნენ მას ღვთაებას, თუ წმინდანს და შემდეგ დაჰკლავდნენ აუცილებლად მერხზე (ბანდარ-ზე) კერიასთან]“[24].

ამგვარი მოტივების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ქართველთა სარწმუნოებრივი წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების სფეროში ტახს ნეზვზე უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით უნდა აიხსნას, რომ ბავშვის „ავი ქარისაგან“ დასაცავად ტახის დინგს ხმარობდნენ. უძველესი მოსაზრება, რომელიც ამ მოქმედებას განაპირობებდა, ალბათ, იმაში მდგომარეობდა, რომ ტახი ნეზვზე ძლიერია. მაშასადამე, მორწმუნე ადამიანის ცნობიერებაში ტახის დინგს „ავი სულების“ დათრგუნვის მეტი შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა მინიჭებული, ვიდრე ნეზვის დინგს.

ქართველებში ღორის დინგის მფარველ ფეტიშად, საერთოდ მაგიური დანიშნულებით გამოყენების ჩვეულება ფრიად არქაული უნდა იყოს; მისი სათავე, ალბათ, საძიებელია უძველეს ფეტიშისტურ წარმოდგენებში. ამას გვაფიქრებინებს ევენკების რწმენაში დამოწმებული ცნება „შინკონი“[25]. „შინკონი“ აღნიშნავდა ბედნიერებას, წარმატებას, სახელდობრ მონადირის ბედნიერებას, წარმატებას ნადირობაში, აგრეთვე სულს — იმ ცხოველის პატრონს, რომელზედაც ნადირობდნენ. ეს სული ანუ ნადირთ პატრონი წარმოდგენილი ჰყავდათ ზოომორფულად: დათვების შინკონი — უზარმაზარი გაბურძგნილი დათვის სახით (იგივე ტაიგის დათვების პატრონი); სიასამურების შინკონი — კატისოდენა შავი გაბურძგნილი სიასამურის სახით; ის ითვლებოდა ტაიგის ყველა სიასამურის პატრონად; მელიის შინკონი — შესაბამისად — დიდი მელა, ტაიგის ყველა მელიის პატრონი და ა. შ. შინკონად ითვლებოდა თვით საგანიც, ურომლისოდ ნადირობა, ევენკების რწმენით, ამაო იყო. ჩვეულებრივ რეალური შინკონის მოვალეობას ასრულებდა ცხოველის ცალკეული ნაწილი: მელის, სიასამურის, წავის ან სხვა ცხოველის დრუნჩი, ნადირის ბალნის ბუჯა, ფრინველის ფრთები და სხვ. მონადირეს, რომელსაც ასეთი ნივთიერი შინ-

---

[22] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

[23] იქვე, გვ. 87.

[24] იქვე, გვ. 81.

[25] А. Ф. Анисимов, Религия эвенков в историко-генетическом изучении (Проблемы происхождения первобытных верований). М.-Л. 1958.

კონები ჰქონდა მომარაგებული, იმედოვნებდა რომ ნადირობაში ხელი არ მოეცარებოდა. ამიტომ ის მათ ტყავის საგანგებო ჩანთით თან ატარებდა. ნადირობის წინ მონადირე თავის შინკონებს შეულოცავდა (ჩაუთქვამდა), ეგონა, რომ ასეთი მოქმედების მეშვეობით მოიხმობდა ნადირს, აიძულებდა მას გამხდარიყო მონადირის წერა[26].

ანალოგიური ჩვეულება გავრცელებული იყო დოლგანებში, რომლთა შესახებ ა. ა. პოპოვი იუწყება: „В прежнее время долганы, продавая шкурки песцов, отрезали у них носы и хранили их у себя, нанизав на нитку так как в них находилсся счастье-удача“[27]. იმავე პოპოვის ცნობით, დოლგანებს სწამთ, რომ სამონადირო ბედი-წარმატება („Охстничье счастье-удача“) „იმყოფება ცხოველის განსაზღვრულ ნაწილში ან ცხოველში მთლიანად, ასე, გარეული ირმის ბედი-წარმატება იმყოფება მის თავში და მონადირე არვის აძლევდა მას, რათა არ დაეკარგა ბედი-გამარჯვებები“. პატრონი როცა შინაურ ირემს გაანათხოვრებდა, მას ყელიდან რამდენიმე ბეწვს მოგლეჯდა და ინახავდა, რადგან სწამდა, რომ ამ ბეწვებში ბუდობს ბედი—ირმის ნაყოფიერება[28].

ასეთივე წარმოდგენებით იყო შეპირობებული სამსხვერპლო ღორთან დაკავშირებული აკრძალვა სვანეთში. აქ აკრძალული, ტაბუირებული (ლალყაჯ, ლელყაჯ) „იყო გარკვეული საოჯახო დღეობების სამსხვერპლო ღორი ან მთლიანად, ან მისი თავი თუ ქვედა ყბა, მუცელი, შიგნეული სისხლი, ძვლები და ჯაგარი. ღორის ან მისი ნაწილების დანახვა და შეჭმა აღკვეთილი ჰქონდა იმ პირებს, რომლებიც დღეობის გადამხდელის ოჯახში არ იყვნენ ნამყოფი ახალწლის ღამეს და საახალწლო კვერების გამოცხობა იქ არ ეხახათ. უკაცო მოსახლე ტაბუირებული ღორის დასაკლავად მოწვეულ მეზობელს წინასწარ თვალებს უხვევდა იმისათვის, რომ მას საკლავი არ დაენახა და ამით ლალყაჯ-ი არ დაერღვია“[29].

საგულისხმოა, რომ ეს აკრძალვა, სოფ. ჟახუნდერში ჩაწერილი ცნობის თანახმად, გადამდები სენის (ზიგ-ის) საწინააღმდეგოდ იყო დაწესებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ „ჟახუნდერში ზოგი მოსახლისათვის ღორის ქვედა ყბის მაგიერ ლელყაჯ-ი იყო ღორის ხერხემალი (შიყრა)“[30].

გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეს აკრძალვა თავიდანვე მარტო გადამდები სენის საწინააღმდეგოდ არ იყო დაწესებული. მას სვანები, ალბათ, იმიტომ იცავდნენ, რომ ოჯახს არ დაჰკარგოდა საერთოდ კარგი ბედი და ბარაქა (ნაყოფიერება), არ გამხდარიყო იგი უბედური და საწყალი. სარწმუნო უნდა ყოფილიყო, რომ ღორში ან მთლიანად, ან მის ზოგიერთ ნაწილში ბედნიერებისა და ბარაქის მომნიჭებელი მაგიური ძალა სადგურობდა.

პირვანდელი რელიგიური (ფეტიშისტური) წარმოდგენები ღორის ნაწილებზე (განსაკუთრებით თავზე, თავის ქალას ძვლებზე, კბილებზე და დინგზე) იმ ხანაში უნდა იყოს შემუშავებული, როცა ეს ცხოველი სისტემატური ნადირობის ობიექტი გახდა, რაც მის მოშინაურებას ბევრად წინ უსწრებს. ღორის

---

[26] Ю. Францов, Фетишизм и проблема происхождения религий. Гос. антирелигиозное издание. 1940. გვ. 78.

[27] А. А. Попов, Пережитки древних дорелигиозных воззрений долган на природу. СЭ. 1958, № 2. გვ. 93.

[28] იქვე, გვ. 93.

[29] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, გვ. 206.

[30] იქვე, გვ. 111.

მოშინაურების შემდეგ ველური ღორის მიმართ შემუშავებული სარწმუნოებრივი შეხედულებები და ჩვეულებები შინაურ ღორზე იქნა გადატანილი და ისინი ახალი იდეებით და საკულტო წესებით შეივსო.

უამრავი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შეიძლება გადაწყვეტით ითქვას, რომ გარეული ღორის ნაწილების მაგიური დანიშნულებით გამოყენება და ამ ნაწილების (განსაკუთრებით თავის ქალასა და ძვლების) მიმართ „სარიტუალო ზრუნვა" (მიწაში ჩაფვლა, ხის ტოტებზე დაკიდება, საგანგებო სათავსში შენახვა და სხვ.) დაიწყო მუსტიეს ეპოქაში[31].

ამრიგად, ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფეტიშად გამოყენებული ღორის დიხგი გახეკუთვნება ადაძიანის ავი ძალებისაგან მფარველი ფეტიშების ჯგუფს. ის ხალხის უძველესი სარწმუნოებრივი შეხედულებით, აკვანში იცავდა ბავშვს, თანაც ოჯახს ავი ქარისაგან, ე. ი. მას მიეწერებოდა როგორც პიროვნული (ინდივიდუალური), ისე კოლექტიური მფარველის მნიშვნელობა. ღორის დიხგის ეს მნიშვნელობა და მისი ირაციონალური გამოყენების სფეროს სივიწროვე ავლენს ფეტიშისტური რწმენის საგნობრივსა და უაღრესად კონკრეტულ ხასიათს. ავი ქარისაგან დაცვა შეადგენდა ამ ფეტიშის პირად, განსაკუთრებულ ფუნქციას, ჩანს იგი საერთოდ ავი ძალების დასათრგუნავი საშუალებაც იყო.

ღორის დიხგის ფეტიშად გამოყენება ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში არ წარმოადგენს იზოლირებულ მოვლენას. ის შედის საერთოდ ღორთან და მის ცალკეულ ნაწილებთან (ცხვილი, ჯაგარი, სისხლი, ხორცი, ქონი, ძვლები, თავი და სხვ.) დაკავშირებულ საწესო ჩვეულებათა რთულ კომპლექსში. ამასთან ცხადვყავით, რომ შინაური ღორის ნაწილებზე შემუშავებულ ფეტიშისტურ წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებს წინ უსწრებდა გარეული ღორის ნაწილების მიმართ შემუშავებული ფეტიშისტური წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მათი წარმოშობა და განვითარების პირველი ეტაპი განეკუთვნება ძველი ქვის ხანას, რადგან უკვე ამ ხანაში გახდა შესაძლებელი გარეულ ღორზე ნადირობა, რომელმაც ალაგ-ალაგ, ალბათ, თითქმის სისტემატური ხასიათიც მიიღო. მაშინდელი მონადირეების მიერ დახოცილი გარეული ღორის ძვლები აღმოჩენილია ტაუბახის, შუა აზიის, ყირიმისა და კავკასიის მრავალ გამოქვაბულში[32]. საქართველოში პალეოლითის ხანის ღორის ძვლები ბევრგანაა აღმოჩენილი[33]. აქ შემდგომ ეპოქებში დახოცილი გარეული ღორის ძვლების რაოდენობა სულ უფრო მატულობს, რაც ამ ცხოველის მზარდ გამრავლებაზე მიუთითებს[34]. ამასთან აღსანიშნავია, რომ ღორის დიხგისა და სხვა ნაწილების პიროვნული ავი ძალების საწინააღმდეგოდ გამოყენება მაშინ უნდა გაჩენილიყო, როცა გაჩნდა რწმენა ავი და კეთილი დემონებისა[35] (სახიერი სულებისა).

---

[31] Ю. И. Семенов. Как возникло человечество. Москва, 1966, გვ. 414—427.

[32] С. А. Семенов. Очерк развития материальной культуры хозяйства палеолита. сбор. у истоков человечества, 1964, გვ. 162.


[33] Н. К. Верещагин. Млекопитающие Кавказа. М.-Л. 1959, გვ. 108—125.

[34] იქვე, გვ. 334—338.

[35] Ю. И. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 413.

[36] Ю. Францов, დასახ. ნაშრომი, გვ. 413.





ფეტიშად გამოყენებული ღორის დინგი.

ისეთი ფეტიშები, როგორიცაა ჩვენ მიერ განხილული საკიდარიანი ღორის დინგი, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, განეკუთვნება „ამულეტებს“ (თუმცა მათგან ყველას არ ატარებენ). მაგრამ ეს სწორი არ არის, რადგან სიტყვა ამულეტი (ლათ. amuletum) მომდინარეობს არაბული hamala-დან, რაც ტარებას ნიშნავს. მაშასადამე, ამულეტი სატარებელი ფეტიშია. ჩვენ მიერ განხილული ღორის დინგი კი ასეთი არ არის, მას კი არ ატარებენ, არამედ აკვანზე ან სახლის კარზე ჰკიდებენ. ეს იმას მოასწავებს, რომ იგი არ არის ამულეტი (ავგაროზი), თუმცა ამულეტებთან ერთად განეკუთვნება ფეტიშთა იმ კლასს, რომელიც მოიცავს ადამიანისა და მისი კუთვნილი ცხოველებისა თუ სხვა ობიექტების (სახლი, სამეურნეო ნაგებობანი, ვენახი, ბოსტანი, ყანა და სხვ.) მფარველ ფეტიშებს.

К. Е. КАХИАНИ, А. К. СОХАДЗЕ

ОБ ОДНОМ ВОПРОСЕ ГРУЗИНСКОЙ ЯЗЫЧЕСКОЙ РЕЛИГИИ

Резюме

В фондах отдела этнографии Гос. Музея Грузии хранится использованное в качестве фетиша свинное рыло — Yoris dingi $\left(№\frac{32-972}{1}\right)$, приобретенное К. Е. Кахиани в 1970 г. от жителя с. Хекордзи (Картли) Б. Заридзе. Имеет оно две дырки, в которых просунут шнурок фиалетового цвета, изготовленный из бумажных ниток. Посредством этого шнурка его вешали на люльке, а иногда над дверью жилого дома. Суеверные люди предполагают, что если этот фетиш висит на люльке, злой демон под названием avi kari (дурной ветерь) не может повредить ребенку и он не заболеет; висящий над дверью дома — загораживает вход несчастью, avi kari не смеет зайти в дом.

Весьма интересно, что такое же мнение было распространено в Западной Африке о некоторых фетишах. Г. Нассау пишет: «Фетиш висящий на ограде огорода или на ветвьях растений в саду, предупреждает воровство или причиняет болезнь вору; висящий над дверью дома — загораживает вход несчастью; висящий на лодке — обеспечивает успешное путешествие; носимый на руке на охоте — обеспечивает точный прицел; носимый на той или иной части тела, он обеспечивает удачу в любви или ненависти, в земледелии, рыбной ловле, «торговле и так далее через всю цепь ежедневной работы и интересов». Нассау приводит слова Арнота, который заявляет: «Африканцы широко верят в предохранящие средства, и их колдовство, связанное с фетишами, главным образом, этого порядка. Проходя через страну, где обитают леопарды и львы, они тщательно запасаются когтями, зубами, губами, усами этих животных и вешают их на шею чтобы помочь себе против их нападения. Точно так же кончик хобота слона предохраняет охотников на слонов».

Из ритуальной (калдовской) функции вышеназванного фетиша вытекает, что ему грузины приписывали сверхъестественную, устрашающую магическую силу, мощь изгнания avi kari. Это значение данного фетиша и сравнительная узость (ограниченность) ареала его иррационального использования выявляет предметный (чувственный) и весьма конкретный характер фетишистской веры, указывает, что для фетишиста

вещи, явления природы становятся «чувственно-сверх-чувственными вещами» (Маркс). Выясняется, что защита малолетних детей и семьи от вредного влияния avi kari была основная функция отрезанного свиного рыла, как фетиша. Вероятно, его могли иногда успешно использовать и против других «нечистых» сил.

Согласно словам сказителя Б. Заридзе, в селах Картли по традиции узаконено, что свиное рыло, использованное средством защиты от avi kari, должно быть только от самца. Это наверно объясняется тем, что грузины в ритуалах самца свиньи давали преимущество перед самкой.

Использование этого фетиша в быту грузинского народа не является изолированным явлением. Оно входит в состав сложного комплекса обрядовых действий, связанных вообще со свинёй и отдельными его частьями (зубы, щетина, кровь, мясо, кости, голова и др.).

Вместе с тем доказано, что выработанные веками фетишистские представления и обряды по отношению отдельных частей домашней свиньи, являются результатами развития и переобработки более архаичных представлений и обрядов, которые связаны были частьями дикой свиньи, кабана (вепра). Нам кажется, что одним из очевидных показателей этого служит понятие «шинконов» в религиозных представлениях эвенков. «Шинкон» означал счастье, удачу, собственно охотничье счастье, удачу на охоте, а также духа, от которого эта удача зависит, духа — хозяина животных, на которых шла охота. Дух этот представляли зооморфным: шинкон медведей — в виде огромного лохматого медведя, который и является хозяином медведей тайги; шинкон соболей в виде черного лохматого соболя величиной с кошку, он являлся хозяином всех соболей тайги; шинкон лисицы — соответственно — большая лисица, хозяин всех лисиц тайги и т. д. (А. Ф. Анисимов, Ю. Францов). Однако, эти верования, по мнению Ю. Францова, крепко были связаны с вещами, с предметами, за слоем этих представлений о духах ясно видны предметы, составляющие костяк культа, его прочную основу. Шинконом являлся и самый предмет, без которого якобы охота была обречена на неудачу. Шинконами являлись отдельные части тела животного: отрезанные мордочки лисиц, отрезанные мордочки соболей, выдр и других зверей, на которых шла охота. Охотник, овладевший этими шинконами в их вещественном виде, надеялся на удачу в охоте, для этого он носил их с собой в особом кожаном мешочке. Мешочек с шинконами являлся объектом различных колдовских действий. Проговаривая заклинания, охотник зазывал зверя, заставлял его поддаваться охотнику и т. д.

Согласно сообщению А. А. Попова у долган, например, считалось, что охотничье счастье-удача «находится в определенных частях тела животных или животном в целом. Так, счастье — удача дикого оленя находится в его голове и охотник никому не отдавал ее, чтобы не лишиться счастья-удачи. В прежнее время долганы, продавая шкурки песцов, отрезали у них носы и хранили их у себя, нанизав на нитку, так как в них находилось счастье-удача. Отдавая домашнего оленя на сторону, хозяин выдергивал у него несколько подшейных волосков и оставлял их у себя, так как в них якобы заключалось счастье-плодородие оленя»[1].

Эти ценейшие известия дают нам ключ для понимания сущности ритуального значения некоторых частей свиньи.

---

[1] А. А. Попов, Пережитки древних дорелигиозных воззрений долган на природу, СЭ, 1958, № 2, стр. 93.

Из этих частей християне грузины, кроме горцев восточной Грузии, которые не ели свинину, особое ритуальное значение придавали голове жертвенной свиньи. Поэтому не случайно, что одним из главных новогодних поздравительных объектов, которые готовились накануне новогоднего праздника в грузинской семье была вареная голова свиньи или поросенка. Ее вместе с другими поздравительными объектами (Большой пирог — «хачапури», кувшин с вином и др.) помещали в новогоднюю корзину. При исполнении новогоднего обряда, глава семьи с этой корзиной заходил в дом и благославлял членов семьи. После поздравительного обряда глава семьи раскладывал поздравительные предметы на столик («табла»). Из этих предметов голова свиньи или поросенка была необходимым и весьма почетным атрибутом новогоднего стола (saaxal.lo supra).

Особое обрядовое значение этого объекта в грузинском новогоднем ритуале объясняется тем, что она, как и новогодний большой пирог, который пекли для великого бога, являлась весьма значительным символом счастья семьи и, следовательно, имела органическую связь с тем значением, которое грузины придавали празднику нового года. Этот праздник в глазах грузин имел решающее значение для судьбы членов семьи на весь год. Несомненно, голова новогодней свиньи, которую жертвовали великому богу, от кого ожидали грузины счастье на весь год, считали счастливым, божественным объектом, вестником счастья. Выше приведенный сравнительный материал нас убеждает, что предшественником этого взгляда является весьма древняя идея, согласно которой, в голове кабана находится судьба, счастье-удача, как живое существо.

Древнейшим источником обрядового отношения грузин к некоторым частям свиньи (голова, нижняя челюсть, позвоночник, мясо) являются зоофагические праздники, которые возникли в палеолите. Известно что «в верхнем палеолите ритуальная забота о черепе и костях животных была теснейшим образом связана с зоофагическими праздниками». Это «свидетельствует в пользу положения о существовании такой связи и в мустьерскую эпоху» (Ю. И. Семенов).

Сильнейшим предохранительным фетишом («оберегом») считали в некоторых районах Грузии зуб свиньи. В Тушети его использовали как амулет для защиты детей от дурного глаза (avi tvali). Этот амулет, как и свинное рыло, в качестве предохранительного фетиша, принадлежит к группе магических «оберегов».

ჯუანშერ სონღულაშვილი

ღვინის დაყენების ხალხური ტექნოლოგიის ზოგიერთი წესი აღმოსავლეთ საქართველოში

მეღვინეობა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი დარგია საოჯახო მრეწველობისა, რაც XIX საუკუნემდე, ძირითადად, ისევ ოჯახურ მრეწველობად რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ღვინო ძველთაგანვე (ანტიკური ხანიდან) ექსპორტის საგანს წარმოადგენდა[1].

არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა მევენახეობა-მეღვინეობა[2].

სტრაბონის ცნობით, ალბანეთის (კახეთი) ტერიტორიაზე გავრცელებული ყოფილა ვაზი. სადაც ყურძნის იშვიათი მოსავალი მოდიოდა, რომ მოსახლეობა მას ვერ ითვისებდა და ამიტომ ვენახის ერთი ნაწილი დაუკრეფელი რჩებოდა. სტრაბონის გეოგრაფიაში ვენახის შესახებ ვკითხულობთ: „ზრდა დასრულებული კი იმოდენა (ნაყოფს) იძლევიან, რომ მეტი წილი რჩება ზედ ვაზზედვეო"[3].

მეღვინეობა ძველთაგანვე ვითარდება, როგორც მიწათმოქმედებისაგან (მევენახეობისაგან) გამოყოფილი დარგი მრეწველობისა. ესაა სოფლის მეურნეობის პროდუქტის ტექნიკური გადამუშავების ყველაზე პრიმიტიული ოჯახური მრეწველობის ფორმა[4].

საქართველო ღვინის ქვეყანაა. ილიას სიტყვით რომ ვთქვათ: „ჩვენი ქვეყანა ღვინის სმას ჩვეულია. ეგ ჩვეულება ისე აქვს გამჯდარი სულსა და ხორცში, რომ თითქმის პირველ საჭიროებად ჩაითვლება"[5].

ფრანგი მოგზაური შარდენი (1672—1673 წწ.) რომელსაც მრავალი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი, შემდეგს გადმოგვცემს: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არსად არ სვამენ ისე ბევრ და ისე კარგ ღვინოს, როგორც საქართველოში". ხოლო თვით მეფე ვახტანგის სასახლეში დალეული ღვინის შესახებ იგი წერს, რომ „ამაზე უკეთესი ღვინის წარმოდგენაც კი ძნელია"-ო[6].

---

1 პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს, ტომი V, გვ. 460.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1960. I. გვ. 22, 27.; ა. აფაქიძე, მცხეთა; დ. ხახუტაიშვილი, „უფლისციხე; ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, 1963.

3 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 132.

4 პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 461.

5 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1927, გვ. 278.

6 Ж. Шарден, Путешествие по Закавказью, გვ. 181.

კარგ ღვინოს რომ ძველთაგანვე თაყვანს სცემდნენ ეს კარგად მოჩანს გიორგი მონაზვნის „ხრონოღრაფის“ მთარგმნელის არსენ იყალთოელის (XII ს.) სიტყვებიდან „ღვინოს მახარობელსა გულთასა“[7].

ძველთაგანვე ღვინოს მისი დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით აფასებდნენ. მაგალითად, გიორგი მთაწმინდელის სიტყვებიდან ირკვევა, რომ ღვინო იმ დროს ღირსებით სამად იყოფოდა: იყო „სუბუქი ღვინოჲ“, ან „საშუალო“, ან არა და საუკეთესო თვისებისა „უმჯობესი“, რადგან მონასტერში მაგარი ღვინის სმა აკრძალული იყო; ეფთჳმე მთაწმინდელს ამისდა მიხედვით ნაბრძანები ჰქონდა მეღვინესათჳს, რომ „უკეთუ სუბუქი ღვინოჲ იყოს, ყოლა ნუურთავ წყალსა, და უკეთუ საშუალო იყოს ჯერისაებრ ურთე, და უკეთუ უმჯობესი იყოს, ვითარც ჯერ იყოს: ისე გაურიე წყალი და ბერებს ისე მოართვი“ („ცრი ირე და ეფრთს“, § 37)[8].

საბა ორბელიანის ლექსიკონის განმარტებით, „ღვინონიცა განიყოფებიან: რამეთუ რა დაიწნიხა ყურძენი, ეწოდებიან ტყბილი; უკეთუ ტყბილისა აღაზავეს წყალი. უწოდენ დგვიფინას და ურწყოსა ტყბილსა — შუმსა, ვიეთნი არ-მუნჯსა უკმობენ: უკეთუ ნაწნეხი ჰაჭა წყლით დაალტვნა და გამოქანჩა შამანსა უწოდეხ; უკეთუ ტყბილსა ძლიერად არა დაედუღნეს, ამბოხად სახელსდებენ; ახალსა ღუნოსა მაჭარი ეწოდების და შემდგომად ღუნო და გაწყალებულსა ღვინოსა ჟოჟო ეწოდების (ნ. საღვინე) ჭურჭელთანაც, ღუნო, შეღუნება, შუაღუნო, ჭიქის საღუნე (კარაბასთან)...“[9] ხოლო შუაღუნო — წყალნარევი ღუნო გუმურა ყოფილა[10].

როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითიდან ირკვევა, ღვინის დაყენების ტექნოლოგია ძველ საქართველოში მრავალფეროვანი ყოფილა. და სწორედ ქართული ღვინის დაყენების წესებიდან საყურადღებოა კიდევ ღვინის შეკაზმვისა და შენელების სხვადასხვა წესები, რომელსაც ვხვდებით საქართველოს ეთხოგრაფიულ ყოფაში. ისტორიული წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ძველი რომაელები და ბერძნები ღვინოს წყლით აზავებდნენ და ისე მიირთმევდნენ. საამისოდ ხმარობდნენ სპეციალურ კერამიკულ ჭურჭელს, რომელსაც არქეოლოგები „კრატერს“ უწოდებენ. ასეთი კრატერი საქართველოში პირველად აღმოჩნდა 1967 წ. ქობულეთში ადგილ ფიჭვნარში, რომელზედაც გამოსახულია ქალღმერთები, სხვადასხვა სახის სასმისებით ხელში, ხოლო 1970 წ. დიღმის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ადგილ თრელებში, გვიანბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ყორღანში, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით VIII საუკუნით თარიღდება, სხვადასხვა ღვინის ჭურჭლებსა და სასმისებს შორის აღმოაჩინა „კრატერის“ მსგავსი ღვინის დასაყენებელი ჭურჭელი, რომელიც ლამაზი ორნამენტებით არის მოხატული, ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში, ჩვენი წინაპრები, შენელებულ ღვინოს მიირთმევდნენ აზარფეშიდან.

დღესაც ხშირად გვხვდება, წყალგარეული ღვინოს მოყვარულები, ან კიდევ ძოხუცები, რომლებიც ღვინოს შაქრით აზავებენ.

---

7 ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისა, 1920, გვ. 75.

8 ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, 1964, გვ. 69.

9 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი.

10 იქვე.

ქსენოფონტეს (430—335 წწ.) ცნობებით ირკვევა, რომ კოლხები თურმე ღვინოს სვამდნენ, მაგრამ წყალნარევს, რადგან აქაური ღვინო უწყლოდ მწკლარტე ყოფილა. წყალნარევი კი სურნელოვანი და საამო[11].

ეთნოგრაფიული მასალების შესწავლის საფუძველზე ღვინის შეკაზმვას ადრე მხოლოდ და მხოლოდ გემოვნების, ანუ სურნელების გაუმჯობესების მიზნით მიმართავდნენ, დღეს კი, ზოგიერთ მათგანს ღვინის ფალსიფიკაციაში იყენებენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღვინის შეკაზმვის მიზნით ქართლ-კახეთში და მთელ საქართველოში დგინდება სხვადასხვა ხალხური წესი. რაც, ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიის ცალკეულ მხარეებს უნდა წარმოადგენდეს. ცნობები ღვინის შეკაზმვის შესახებ ისტორიულ წყაროებში მოგვეპოვება, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონში აღნიშნული აქვს, რომ: „კუნდიტი — ღვნო მგბარი შაქრისა და სურნელებითა შეზავებული“[12]-ო. იქვე ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში მოიპოვება ტერმინი „მაღარიკონი“, რომელსაც „დიდი ტვიბიკონის“ დამოწმებით შემდეგნაირად განმარტავს: „არა ვსუამთ სატრაპეზოდ ღვნოსა, არამედ შეიზავების, მაღარიკონსა შინა ღვინოჲ და მიეცემის ეკლესიის (ეკლესიასთან) მშენებელთა“[13]-ო. ამავე ლექსიკონში გვხვდება შემდეგი ტერმინები, რომლებიც ღვინის შეზავებას აღნიშნავენ: „თანგრუზი ... ესე არს ... ორნი ღვნონი, ანუ ღვნო და წყალი შეზავებული[14]. ხოლო ნაკლებ და ცუდ ღვინოს თუ კარგში აურევთ „თუკეთესი“ ეწოდებოდა[15].

ასევე, ღვინის შეზავებისა და შენელების შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით „ჭელმწიფის კარის გარიგებაში“; სადაც ნათქვამია: „საღამოს მეღვინე ფანჯას მომცროს მიიღებს მყინვარიანითა ჭურჭლითა ანუ ტაბაკითა. ზედა მყინვარსა დაჰყრის და ჭელთა მანდილი აქვს ბაღდადუისა. და თუ მეფესა ღამით მოეწყუროს(ს) ბრძანოს, რომელიცა უნდა, რაც დარჩეს, წინა-მწოლნი და კარის დარაჯა და საწოლის მეკარე წაიღებენ“[16]. იქვე, ჭელმწიფის კარის გარიგებაში ისიცაა აღნიშნული, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გაწყობილი „სამყინვარი ვერცხლისა ტაბაკი“ და როგორ უნდა მოეხმარათ ყინულთან დაკავშირებული იარაღ-ჭურჭელი. მაგ., „სამყინვაროჲ ვერცხლისა უნდა ტაბაკი, ცულწერაქვი პატარა კვერისაგან უმძიმესი, ტარის ბოლო მოჭედილი, ტარმოკლე, მოჭედილი მას ტაბაკსა ზედა ძეს, წვერით გასტეხს, კოვზით აიღებს ჭიქასა შიგან ჩასდებს იგიცა საღვინის მოლარეს ვედრია, სხვაჲ საღვინე ჭურჭელი, სანიადაგო, უმეჯლიშო საღვინეში დგას, და მეჯლიშისანი კიდეგან დგანან“[17].

ღვინის შეკაზმვა და შენელება, რომ ყოფილა ძველად გავრცელებული, ეს კარგად მოჩანს ხალხური სიტყვიერებიდანაც, მაგ. ერთ ლექსში ნათქვამია:

---

[11] В. В. Латышев, Известия греческих писателей о Скифии и Кавказе, III, I, СПб., 1893, გვ. 82.

[12] ს. ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი,

[13] იქვე.

[14] იქვე.

[15] იქვე.

[16] ე. თაყაიშვილი, ჭელმწიფის კარის გარიგება, 1920. გვ. 7.

[17] იქვე, გვ. 11.

კახურო ღვინოვ წითელო,
ზედ მოჰედილო კულაო.
პილპილით შენელებულო,
როდის დაგლიო მუდამო[18].

აქ პილპილად წიწაკა კი არ არის ნაგულისხმევი, არამედ სურნელოვანი სანელი, როგორც ამას ს. ს. ორბელიანი „კუნდიტი"-ს განმარტებისას აღნიშნავს „ღვნო მგბარი შაქრისა და სულნელებითა შეზავებული"-ო[19].

ერთი საინტერესო ფაქტისათვის აკად. გულდენშტედტსაც მიუქცევია ყურადღება. კერძოდ, იმერეთში ხონის აღწერისას აღნიშნავს, რომ „ხონი არის დიდი სოფელი, დაახლოებით 200 ოჯახი. იგი აქაური ჩვეულების საწინააღმდეგოდ წრეებად და ქუჩებადაა (დაყოფილი) მაგრამ ხალხი შორიშორს ცხოვრობს რადგან ყოველ ოჯახს თავისი ბაღები და ნათესები თავის სახლთან აქვთ. ჩემი სახლის პატრონის ვენახი იყო 400 ნაბიჯი სიგრძის და 300 ნაბიჯი სიგანის.

აქაური ბაღები შეიცავენ ყურძენს, კაკალს, შავი და თეთრი თუთის ხეებს. სხვა ხილი ნაკლებადაა, ბაღებში აგრეთვე სთესენ ლობიოს, კანაფს, თამბაქოს, ბოლოკს, კიტრს, ბოთლისებურ კვახს, შემდეგ ჭიაფერას, ღვინის შესაღებად, ალისარჩულას აბრეშუმის შესაღებად"-ო[20]. ეს ცნობა ჩვენთვის საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მისი სიძველისა და რეალობის მაჩვენებელია, რადგან ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში და ალბათ უფრო ადრეც ჭიაფერას თესვას მისდევდნენ ღვინის შეღებვის მიზნით და შეიძლება სურნელებისა და გემოვნებისათვისაც.

ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით „ჭიაფერა—Лаконсс—phytolacca americana l. (ph decandra I) კახ. იმერული საფერავი, საფერავი, გურ. ფერა-ფერა... ლეჩხ. ძეფრვიე .. რაჭ. ფერფა; აჭ. ჭყურტა: სამეგრ. ჯამფეზია, ჯიფეზია, ჯაფაზია: სვ. ჯამფეზ-"[21] ეწოდება.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჭიაფერას, ანუ როგორც დასავლეთ საქართველოში უწოდებენ, ფერა-ფერას, ყურძნის დაწურვის შემდეგ უკეთებდნენ ღვინოს „დასაფერად", რის შედეგადაც იღებდნენ ძალზე ღია წითელი ფერის ღვინოს. ძველად წითელი ღვინო იყო მიღებული და ვისაც წითელი ყურძენი არ ჰქონდა ზემოაღნიშნული წესით აფერადებდნენ მას (ვანის რაიონი. სოფ. უხუთი, 1967 წ. ისაი ნიკოლოზის ძე რაზმაძე).

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში, ხშირად ღვინის ფერის აღსანიშნავად გაიგონებთ გამოთქმას „ჭიაფერი დაკრავს მაგ ღვინოსაო", ან კიდევ „ჭიაფერიეით ღვინო იყოვო", რამაც ხალხურ ზეპირსიტყვაობაშიც პოვა ასახვა, მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ ნიმუშს:

ღმერთმანი მეჯვრისხეული,
ღვინო დადგება თხელიო.

---

18 მეორე ვარიანტში ნათქვამია: „პილპილით შენელებულო, როგორ დაგლიო სულაო". (იხ. ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვების მასალები, 1955, გვ. 111).

19 ს. ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

20 გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962, I, გვ. 151.

21 ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1961.

ისეთი ღვინო დადგება,
როგორც რომ ჰიაფერიო"[22].

ევროპაშიც მე-19 საუკუნისათვის ჰიაფერა და სხვადასხვა მცენარე ღვინის ტექნოლოგიაში გამოიყენებოდა, ძირითადად კი ყალბი ღვინის კეთების დროს, რაზედაც ი. ჭავჭავაძე შემდეგს აღნიშნავს: „ღვინის ფერის მისაცემად სანდალას უშვრებიან, ჰიაფერას, ლილას, ალუბლის წვენს, ანწლს და სხვას ათასგვარ წამალსა. მაგალითებრ შაბსა, რკინის არჯანსა, სპირტსა და ერთგვარ შენარევს ტყვიისას რომელსაც „პროტოქსიდს (Carbonate) ტყვიისას" ეძახიან. ერთგვარ ნივთიერებასაც ხმარობენ ღვინის საფერავად და ამ ნივთიერებას ფუქსინი ჰქვიან და ზოგჯერ ზედ დარიშხანასაც უმატებენ, ამას ფუქსინიზაციას" ეძახიან. ყველა ამას დიდის მეცნიერებით, ოსტატობით და ხერხით ახერხებენო"[23]. რაზედაც ილ. ჭავჭავაძე იქვე სვამს კითხვას „განა კარგია ყოველივე ეს?"[24].

ღვინის სანელებლებისათვის ყურადღება მიუქცევია ლ. ჯორჯაძესაც, რომელმაც უკეთ იცოდა ძველი ხალხური ღვინოების ტექნოლოგიის საქმე, რის გამოც აღნიშნავს: „...ძველი ხალხის ღვინოებიცა იყო წარმომდგარი ყურძნის წვენიდამ. და იმის ბუნების დუღილიდამ, მაგრამ იგინი იყო გასქელებული და შენელებული, ანუ შეზავებული სხვადასხვა სურნელების ბალახების ძირკვებითა"-ო.[25].

ჩვენ ძიერ ველზე დამოწმებული მასალების მიხედვით, ღვინის შეღებვისა და შეზავების სხვადასხვა საშუალება, როგორც ჩანს, ტრადიციული ცოდნა-გამოცდილების გამოვლინებაა და მეღვინეობის ტექნოლოგიის მაღალი დონის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. მე-19 საუკუნეში ევროპის ღვინის მოწინავე ტექნოლოგია იმავე ღონისძიებას მიმართავდა, რასაც ძველთაგანვე, ქართული ღვინის ტექნოლოგია იცნობდა.

ჩვენ თანმიმდევრობით განვიხილავთ ღვინის შეზავებისა თუ შეფერვის ისეთ ღონისძიებებს, რომელიც თანამედროვე ღვინის ტექნოლოგიაშიც მიღებულ საშუალებად მოსჩანს. აქედან ჩვენ გამოვყოფთ შემდეგ საშუალებებს. ღვიის გამოყენებას ღვინის დაყენების დროს, ვაზის ყვავილის ხმარებას, ყურძნის კლერტის გამოყენებას ღვინის დაწმენდისა და გამძლეობის ანუ დაძველების მიზნით, სვიის ყვავილის გამოყენებას და სხვა მრავალ საშუალებას.

ღ ვ ი ი ს ხ მ ა რ ე ბ ა ღ ვ ი ი ს დ ა ყ ე ნ ე ბ ი ს დ რ ო ს. ქართლ-კახეთში მოწმდება ღვიის ცოცხით ქვევრის რეცხვა (გარე კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი და ზემო ქართლი), რომელიც კრაზანის მაგივრობას სწევს ა. მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით ღვიას („... Можжевельник, арга Juniperus") ქიზიყში „ღვიო" ეწოდება, საინგილოში „ერჩან", აჭარაში „ოდაღაჯი", სვანეთში „ჰყერი", „ჰყურუ", გვხვდება აგრეთვე „ღვია ვირგინიისა ნ. ამერიკული ფანქრის ხე"; „ღვია კაზაკური", „ჭონდარა ღვია", „შავი ღვია", „წითელი ღვია"[26].

22 ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, წიგნი I, 1955, გვ. 186.

23 ი. ჭავჭავაძე, ღვინის ქართულად დაყენება. ტ. VII. 1950, გვ. 81.

24 იქვე, გვ. 81.

25 ლ. ჯორჯაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 6.

26 ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1943, გვ. 56.

ძველ ზვრებსა და ვენახებში ღვიის მასალა ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც გამძლე ხე. ძველ ვენახებში გვხვდება 100—200 წლის ღვიის ბოძები თალარზე, ვენახის ღობის მარგილებად, ხალხური დაკვირვებით ღვია „არ ლპება და საშვილიშვილოდ“ ითვლება, ღვიაზე აღმოსავლეთ საქართველოში მევენახეობა-მებაღეობაში დიდი მოთხოვნილება იყო, რის გამოც ღვიის ტყეები განადგურების გზაზე აღმოჩნდა[27].

დღეისათვის ღვიის ნარგავები ნაკრძალად ითვლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღვია არა მარტო მევენახეობაში იხმარებოდა მასალად, არამედ ღვინის ტექნოლოგიაშიც გამოიყენებოდა. მთხრობელთა ცნობების მიხედვით, „ღვიის ცოცხით ქვევრის რეცხვა კარგია, სასიამოვნო სუნსა და გემოს სტოვებს, თუ ქვევრი შმორიანია და რამე გემო აქვს, ღვიის სუნი აკეთებს და კარგ გემოსა და სურნელებას აძლევს ღვინოს“. (მუხრანი, გ. მახარაშვილი, 1967). ღვიის ცოცხით ქვევრის რეცხვის შესახებ საყურადღებო ცნობაა დაცული „დასტურლამალში“. იქ, სადაც ღვინის მოსავლის რიგისათვის განკუთვნილი თავია, შემდეგია ნათქვამი: „... ჩვენი მემარნე ქვევრს კარგად გაარეცხვინებდეს შეაფერვინებდეს“-ო[28].

ამ მცენარის თესლს იყენებდნენ ღვინის დუღილის დროსაც: აიღებდნენ ღვიის თესლს, დანაყავდნენ ან პირდაპირ დაუნაყავს მოაყრიდნენ გარკვეული დოზით. (მეღვინემ კარგად იცოდა, თუ რამდენი იყო საჭირო ქვევრში). დუღილის დროს ჭაჭა გამოიტანდა ღვიის სურნელებას და „ღვინოს კარგ გეპოვნებას აძლევდა“-ო. ასეთ ღვინოს „კარგი სურნელება და სასიამოვნო გემო აქვს, ასეთმა ღვინომ მიჩვევაც იცის, არც ფუჭდება ღვინოს ინახავს“. (ს. მუხრანი გ. მახარაშვილი). ვფიქრობთ, ღვიის ხმარებას ქვევრში და ღვინოში, მკურნალობის მიზნითაც მიმართავდნენ, რადგან ღვიის თესლის მიზნით ღვინო „არ ფუჭდება ღვინოს ინახავს“. „ღვინოს ავადმყოფობა არ ეკარება. როცა ღვიის ცოცხით ქვევრი ირეცხება“ — აღნიშნავენ მთხრობლები. მაშასადამე, ღვია და მისი თესლი, სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა. მაგალითისათვის დავიმოწმებთ „გუთნის დედი“-დან ერთ სტატიას, სადაც ლაპარაკია ქათმის ავადმყოფობაზე და მისი მკურნალობის საშუალებებზე: „...კარგი იქნება, თუ რომ სამს ან ოთხ კვირაში ერთხელ დააბოლებდნენ საქათმეში ღვიას ან კიდევ გაჩაღებულს მაყალზედ მოაყრიან ზირას, სუმბულს ან კიდევ ღვიას და ისე დაახრჩოლებდნენ. ეს სრულებით არაფერს სნეულებას არ მიაკარებს“-ო[29].

რა ქიმიური შემადგენლობისაა ღვია და ღვიის თესლი, ეს ჩვენ არ ვიცით. ვიცით ის, რომ ეს საშუალება გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობაში და მოწმდება ზემო ქართლში, სამუხრანოში, ახალგორის მიდამოებში[30]. თბილისის სანახებში, გარეკახეთში (ხაშმი, სართიჭალა, უჯარმა, საგარეჯო, პატარძეული და ა. შ.).

ქვევრისათვის, ღვიის ცოცხებს მწყემსები (მენახირეები) სჭრიან და შემდეგ სოფლებში ყიდიან. ზოგჯერ ღვიის ცოცხს თვითონ მეღვინე უკვეთავს მენახირეს, რამდენი კონა ღვიაც სჭირდება, კონაში ერთი ხელეური იკვრე-

27 ჯ. სონღულაშვილი, დიღმის ხეობა, წიგნი II, გვ. 235 (ხელნაწერი ინახება ავტორთან).

28 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1959, გვ. 258.

29 გაზ. „გუთნის დედა“, 1870, № 5. გვ. 53.

30 იხ. შინამრეწველობის მასალები, ქართული მტკ. ჩრ-ით, ახალგორი.

ბა, მაგალითად ხაშმში ერთ კონაში მანეთს იხდიან, რაზედაც რთველის წინა ხანებში დიდი მოთხოვნილებაა.

ღვინის ხმარების წესებს, შედარებით უფრო კარგად და დაწვრილებით აღწერს ლ. ჯორჯაძე. რაზედაც შემდეგია ნათქვამი: „ღვინის ხის მარცვალი, ესე იგი ხილი, კარგათ მოწეული და დამჭკნარი ანუ გაუჭკნობელი, ...ამ ხილს აქვს სიტკბო და კარგი სუნი, რომლის სიტკბო ღვინოს ამაგრებს და სუნი კიდევ კარგს სუნს აძლევს ღვინოსა, მაგრამ თეთრ ღვინოს კი ცოტათი გააწითლებს, რადგან იმის ჩენჩოსა ცოტა წითელი საღებავი აქვს ნარჯის ფერი. ერთს საპანე ყურძნის წვენსა, ერთი გირვანქა ღვიას ხილი ეყოფა, რომელიც უნდა ჩაყარო წმინდა თეთრს პარკში, ჩაჰკიდო ქვევრშია დადუღებამდე წვენისა, და როდესაც მაჭარი ჩაწმდეს, მაშინ ამოიღეთ“[31].

ამავე დროს თეთრი ღვინოს ფერის მისაცემად ღვიის შტოების ნახარში გამოიყენებოდა, რაზედაც აღნიშნულია: „ღვიის ხის შტოები გამოხარშე ძალიან, ასე, რომ მუქი ყვითელი ფერის გახდეს და ეს წვენი ორი ბოთლი, რომ ჩაასხა ერთს საპანე ღვინოში კარგათ გააყვითლებსო“[32]. ღვიის ნახარში წვენით ქვევრის გარეცხვა სცოდნიათ, თუ ქვევრს ცუდი სუნი ჰქონდა, მისი წვენი განკურნებდა და ღვინოზედაც დადებითად იმოქმედებდა. ლ. ჯორჯაძე ამ საშუალებასაც მიუთითებს 93 სტატიაში. ნახარში წვენის გარდა გამოიყენებოდა ღვიის ხის შტოებიც: „დაკუწეთ წვრილათ ანუ დაჩეჩქვეთ, ჩაყარეთ პარკში და ჩაჰკიდეთ ყურძნის ქვევრში. ერთ საპანე წვენზე ეყოფა ერთი გირვანქა დადუღებული ღვია. ეს ღვია კარგს სუნს გემოსა და სიმაგრეს აძლევს თეთრსა და წითელ ღვინოსა“[33].

ვაზის ყვავილის გამოყენება ღვინის დაყენების დროს. აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური ღვინის ტექნოლოგიიდან მოწმდება სურნელოვანი საკმაზავი საშუალება, ვაზის ანუ ყურძნის ყვავილი, რომლის გამოყენება გავრცელებული ყოფილა თბილისის სანახებში, საგარეჯოს, ყვარელის, თელავისა და ახმეტის რაიონში.

მთხრობელთა გადმოცემით, „ვაზის ყვავილს ნაზი სუნი აქვს და „ღვინოზე კარგა მოქმედებს“, კარგ „სუნსა და გემოს იჭერს“-ო, რისთვისაც ყვავილობის დროს ვაზის ძირებში პატარა ტილოებს ან ქაღალდებს უფენდნენ და ძირს ჩამოსულ ყვავილს აგროვებდნენ, მზეზე ახმობდნენ და საიმედო ჭურჭელში ინახავდნენ რთველამდე. ყურძნის დაწურვისას როცა ქვევრებში დაყენებულ ტკბილს დედას დაურევდნენ, ზემოდან ვაზის ყვავილს მოაყრიდნენ სურნელებისათვის, „კარგ ბუკეტს იჭერდა“-ო — აღნიშნავს მთხრობელი (ყვარელაშვილი სოსია, სოფ. ხაშმი. 1966 წ.) აღნიშნულ საკითხზე საინტერესო ცნობა მოგვაწოდა პროფ. გ. ტარასაშვილმა: „ძველად კახეთში მეღვინეები ვაზის ყვავილობას მუშებს ქირაობდნენ და ტყეში გზავნიდნენ, რომლებსაც ველური ვაზის კრიკინას ყვავილს აბერტყინებდნენ ტილოებზე. შემდეგ ახმობდნენ და პარკებში ინახავდნენ, რომელსაც ღვინის დუღილის დროს უშვრებოდნენ და სასიამოვნო გემოსა და სურნელებას მატებდა ღვინოსო. აქ, როგორც ჩანს, ჭართულად ღვინის დაყენების ერთ-ერთ საინტერესო წესთან გვაქვს საქმე. იმ დროს როცა ჩვენში გარკვეულ წრეში მიღე-

---

31 ლ. ჯორჯაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

32 იქვე, გვ. 181.

33 იქვე, გვ. 98.

ბული ყოფილა ღვინის შეკაზმვა სხვადასხვა „სურნელებით“, ამ შემთხვევაში ღვინოს ახელებენ ვაზის სურნელოვანი ნაყოფით — ვაზის ყვავილით.

ღვინის დუღილის დროს ვაზის ყვავილის გამოყენების წესი ლ. ჯორჯაძესაც აქვს შეტანილი თავის წიგნში, სადაც აღნიშნულია: „ვაზის ყვავილობაში უნდა დაკრიფოთ თვით ვაზის ყვავილი თუ იშოებოდეს, მაგრამ რადგან ვაზის წახდენა არ შეიძლება, ამისათვის გარეული კრიკინის ვაზის ყვავილი დაკრიფეთ, ხოლო ყვავილი სჯობია იმ კრიკინისა, რომელიც აყვავდება ხოლმე და მარცვალს კი არ იკეთებს. ეს ყვავილი უნდა გაახმო ჩრდილში, შემდეგ ჩაყარო მინის ჭურჭელში და კარგად მოაკრათ პირსა, ასე რომ ჰაერი არ ჩასდიოდეს და რთველამდის ყვავილსა სუნი და ძალა არ დაეკარგოს. რთველის დროსა მაჭარის დაყენებაში თვითეულ საპანე წვენსა მოუნდება ეს ყვავილი თითო გირვანქა, მაგრამ რაც მეტი იქმნება ის სჯობია, ხოლო უნდა გააკეთო ასე: ეს ყვავილი ჩაყარეთ წმინდა თეთრს ტილოს პარკში, მოაკარით პირსა და ძაფით ჩაჰკიდეთ ყურძნის წვენშია და იყოს ქვევრში ვიდრე ღვინის გადაღებამდე ანუ შემდეგ დუღილისა, როდესაც მაჭარი ჩაიწმინდოს მაშინა ამოიღეთ. ეს კრიკინის ყვავილი ძლიერ კარგია მეტადრე თეთრ ღვინისათვის, რომელსაც კარგ ფერსა და სუნს აძლევს“[34].

ყ უ რ ძ ნ ი ს კ ლ ე რ ტ ო ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა. ყურძნის კლერტით ღვინის დაყენება შეიძლება ჩაითვალოს სანელებელ საშუალებადაც, რადგან ამ შემთხვევაში ეს ხერხი დაკავშირებულია ღვინის გემოვნებისა და „ბუკეტის“ მიღებასთან. ასე მაგალითად, ყურძნის დაწურვის შემდეგ, როდესაც ქვევრს დედას დაურევენ, მეღვინე შეკრავს ერთ-ორ კონა ყურძნის კლერტს ანუ „ბურძღენას“ და ქვევრში ჩააგდებს, რათა „ფერი და სასურველი გემოვნება“ მისცეს ღვინოს, ამ შემთხვევაში ღვინო „ღრძილებსა და ენას ეკიდება“. სასიამოვნო „სიმწკლარტე“ დაკრავს, რაც კახური ღვინოებისთვის არის ძირითადად დამახასიათებელი; ეს საშუალებაა იქ, სადაც თხელი ღვინოები იცის (მაგ. ქართლში) კარგია, სხეულიანი ღვინო გამოყავს“. უნდა ითქვას ისიც, რომ კლერტის ხმარება ღვინოში ძირითადად კახეთში გვხვდება, ასევე გავრცელებულია თბილისის სანახებში და ქვემო ქართლის მეღვინეობაში.

იმ დროს, როდესაც ქართული ღვინოების მამაპაპური დაყენების წესებს იწუნებდნენ და უარყოფდნენ ქართული ღვინის ტექნოლოგიის მთელ რიგ მხარეებს, ილ. ჭავჭავაძემ ღირსეულად შეაფასა ქართული ღვინის დაყენების ძველი ტრადიცია და სპეციალური გამოკვლევაც უძღვნა: „ქართულად ღვინის დაყენება“, რაშიაც სხვადასხვა ღვინის ტექნოლოგიას გვაცნობს. იქვე ეხება ღვინის კლერტით დაყენების საკითხს, რაზედაც შემდეგს აღნიშნავს: „კლერტს რომ არ აცლიან და ტკბილს თან ჩააყოლებენ ჩვენში, ამასაც თავისი საბუთი ჰქონია და აქვს ... კლერტი ღვინოს კეთილ სუნოვნობას ჰმატებს და გაძლეობის ღონეს აძლევს თურმე. კლერტში ერთგვარი ნაწევარია (Дубильное вещество), რომელიც ამ სამსახურს უწევს ღვინოსა. უაძისოდ კეთილ სუნოვნება და გამძლეობა იმოდენად არ გამოჰყვება თურმე ღვინოსა. ამას თვითონ მეცნიერი ღვინის მკეთებელი ტარდანი ამტკიცებს და თუ მას დაუჯერებთ, ღვინის გემოსაც-კი უფრო სასიამოვნოდ ხდის ის სიმჟავე, რომელიც ენასა ჰკბენს და კლერტისაგან წარმოსდგებაო. გამოდის, რომ იმ სი-

---

34 ლ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

კეთის გარდა რაც კლერტზე წინადა ვსთქვით, — ეს სიკეთენიც კლერტის წყალობით ჰქონია ღვინოსა. არ ვიცით ეს რამდენად მართალია და თუ მართალია, მართალნი ყოფილან ჩვენებურნი ღვინის დამყენებელნიცა, რომელნიც უკლერტოდ ღვინოს არ ადუღებდნენ"[35].

სვიის ყვავილი მეღვინეობაში. ქართლ-კახეთის მეღვინეობაში ღვინის დაყენების დროს გამოიყენებოდა სვიის ყვავილი, სვია იზრდება ღობეებში, ბუჩქნარებში და გაჭალავებულ ალაგებში. სვიას ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალმხრივი გამოყენება აქვს, იყენებენ მხალადაც და ლუდის საფუვრადაც.

ა. მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით სვიას (хмель Humulus lupulus I.) საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შემდეგი სინონიმები მოეძებნება. ფშავ-ხევსურეთში „სვე": იმერეთში, გურიაში, „ფშალო", აჭარაში, „იბრი", ინგილოურში „სოი", ჭანურში „ბარდიბინეხი", სამეგრელოში „მაფშალია", „ფშალო", ხოლო სვანეთში „ფშალად"[37] ეწოდება.

სვიას, ღვინის ტკბილს დედის დარევასთან ერთად აძლევენ. მთხრობელთა გადმოცემით, „სვიის ყვავილი, ხელს უწყობს დუღილს და ფერად სასიამოვნო დგება. ამავე დროს ღვინოს გარკვეულ გემოვნებასაც მატებს და მიმზიდველი დასალევია".

სვიის გამოყენება მეღვინეობაში გვხვდებოდა გარეკახეთში ახმეტისა და ყვარელის რაიონში. ასევე დადასტურდა ზემო ქართლში.

ძველად სვია ღვინის საფუვრად, ღვინის დიდრონ მწარმოებლებსაც უხმარიათ. მაგალითად, ჟურნალ „გუთნის დედაში" აღწერილია ყირიმში მაღარჯის სასწავლებელში ღვინის კეთების სხვადასხვა ტექნოლოგია, სადაც სვიის საშუალებით ღვინის დაყენების წესსაც ვხვდებით[38], რაც იმას მოწმობს, რომ სვია უცხო არ ყოფილა სხვა ქვეყნის ღვინის წარმოებაში, მას გარკვეული ადგილიც სჭერია და პოპულიარობითაც სარგებლობდა.

სვიის ხმარებას ყურძნის წვენში ლ. ჯორჯაძეც იმოწმებს, მაგრამ უარყოფითად უყურებს მის გამოყენებას და აღნიშნავს: „ზოგიერთნი მაჭრის დუღილში ხმარობენ სვიის ყვავილსა, რომელსაც ჩაჰკიდებენ ხოლმე წვენში. ეს კარგი არ არის, ამისათვის რომ სვე საჩქაროზედ და ძალზედ ადუღებს ყურძნის წვენსა, რომლის გამო მაჭარი კარგად ვეღარ შეზავდება ღვინოთა, ამას გარდა სვიით ნადუღარმა ღვინომ ძალიან თავის ტკივილი იცის, სვიის ყვავილი, რომ ჩაყარო ღვინოში ანუ ოტკაში, ძალას დაუკარგავს და გააწყალებს"...[39].

ფურცლის სოკო. ბიჭვა თუთაზე (ფურცელზე) გამოსულ სოკოს რომელსაც მუქი ყავისფერი დაკრავს, მეღვინეები საგანგებოდ ეძებდნენ და ინახავდნენ, მას ტკბილით სავსე ქვევრში ჩაჰკიდებდნენ და დუღილის დროს, როგორც ამბობენ, საგანგებო ორიგინალურ მუქ ფერს (მუქ ჩაის ფერს) და „არომატს" აძლევდა ღვინოს.

---

35 ი. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.
36 ჯ. სონღულაშვილი. მებოსტნეობა თბილისის სანახებში, 1959, გვ. 127.
37 ა. მაყაშვილი, დასახ. ნაშრომი.
38 „გუთნის დედა", 1862, № 12, გვ. 92.
39 ლ. ჯორჯაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

ძირითადი დანიშნულება ფურცლის სოკოსი, ღვინის შეფერვა უნდა ყოფილიყო.

ფურცლის სოკოს გამოყენება დავამოწმეთ ახმეტის, თელავისა და ყვარელის რაიონებში.

კომშის ფოთლის გამოყენება აღმოსავლეთ საქართველოს მეღვინეობაში. კომშის ფოთოლს აღმოსავლეთ საქართველოს მეღვინეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ფოთოლს კრეფდნენ და ქვაბში ადუღებდნენ. თუ ქვევრს რაიმე მიზეზით სუნი ჰქონდა, კომშის ფოთლის ნახარში წვენით გარეცხვა აუცილებლად ითვლებოდა. ამ პროცედურის გავლის შემდეგ ქვევრს სუნი ეკარგებოდა და სასიამოვნო სურნელება ეძლეოდა, რაც ღვინოზეც მოქმედებდა. კომშის ფოთოლს ღვინის დუღილის დროსაც აძლევენ, რათა „სურნელება“ მიეცესო.

გარდა გამოხარშული კომშის ფოთლისა, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებულია ახლად გარეცხილი ქვევრისათვის ერთი კომშის წასმა ქვევრის კედლებზე, ე. ი. კომშს შეალევენ ზედ ხეხვით, რაც მთხრობელთა გადმოცემით, ღვინოს კარგ სურნელებას და გემოს აძლევდა.

მიხაკ-დარიჩინის და საკმევლის გამოყენება მეღვინეობაში. აღმოსავლეთ საქართველოში ჭურჭლის რეცხვისა და ქვევრის გახიზვის დროს ქონში მიხაკ-დარიჩინს და საკმეველს ურევდნენ, რათა „კარგი სურნელოვანი ჭურჭელი“ ყოფილიყო, რაც ღვინოზედაც მოქმედებდა[40].

იცოდნენ საკმევლის ქვევრში დაბოლებაც. სურნელებისათვის „ღვინო არ გაფუჭდება, როცა საკმეველს დაუბოლებ“-ო.

ღვინისათვის კარგი გემოს და სუნის მიცემის მიზნით ლ. ჯორჯაძე ამ სანელებლების გამოყენების შემდეგ წესს აღწერს: „ახალ აპელცინში დაურჭეთ გარშემო თავში დარიჩინი და მიხაკი და ძაფით ჩაჰკიდეთ ქვევრში. ისე კი რომ ღვინოში არ ჩაეიდეს და ისე დააფარეთ სარქველი, მიაყარეთ მიწა და ამით ღვინოს კარგი გემო და სუნი მიეცემა, ხოლო ერთი თვის შემდეგ ისევ ამოიღეთ, ერთი აპელცინი მოუნდება ერთს საპალნე ღვინოს, უკეთუ ბადიანის ყვავილსაც ჩაჰკიდებთ პარკითა შიგ ღვინოში იმ აპელცინთან უფრო კარგი იქნება“-ო[41].

ვაზის ფოთლის გამოყენება. ქართლ-კახეთში გვხვდება ღვინის დაყენების დროს ვაზის ფოთლის ხმარება დუღილის დასრულების შემდეგ. ქვევრს თავზე ვაზის ფოთოლს აფარებენ „კარგ ფერს აძლევს ღვინოსა“-ო.

ალუბლის ნორჩი ყლორტების ხმარება მეღვინეობაში. ალუბლის ყლორტებსაც დუღილის დროს იყენებდნენ. აფარებდნენ ჭაჭას თავზე „გემოს კარგს აძლევს“ და ფერად „ქარვის ფერის დგებაო“, აღნიშნავს მთხრობელი.

---

40 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის საქ. ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი, შინამრეწველობის მასალები. მეევნახეობა-მეღვინეობა ქიზიყში.

41 ლ. ჯორჯაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

ალუბლის ყლორტის გამოყენება დასტურდება შიდა ქართლში და ზემო ქართლში.

კაკლის ფოთოლი. აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთსა და ქართლში ვხვდებით მეღვინეობაში კაკლის ფოთლის გამოყენების წესსაც. მთხრობელთა გადმოცემით, კაკლის ფოთოლი ღვინოს „კარგ ფერს აძლევდა და სიმაგრეც ეძლევაო, იტყოდნენ მაგრამ არ ვარგოდა, რადგან ამით ფუჭდებოდა ღვინო ძან მწარდებოდა (სოფ. გრემი არჩილ ნიკოლოზის ძე ლუარსაბიშვილი). ამასვე ადასტურებს სხვა მთხრობლებიც „წინ-წინ იცოდნენ ღვინისათვის კაკლის ფოთოლით სიმაგრე მიეცა და ენა წაეწკლიტა ვითომ მაგარიაო და ფერს კარგს კი აძლევდა („სოფ.: ქისტაური, გ. მაკარიევი, მიხეილ ნასყიდაშვილი).

როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან ირკვევა, კაკლის ფოთოლი ყალბი ღვინოების კეთების დროს გამოუყენებიათ, ადრე კი მას სულ სხვა დანიშნულება ჰქონია, კერძოდ ქართლ-კახეთში დგინდება ფაქტი, რომ კაკლის ფოთოლს ქვევრის თავზე ალაგებენ, რის გამოც ახლო აღარ ეკარება სხვადასხვა მწერი და ქინქლა, რასაც კახეთში „ბურნას“ უწოდებენ, რომლებიც ღვინოსა და ჭაჭას სიმჟავეს აძლევენ და ღვინოს „ახდენენ“, ამ მიზნით კაკლის ფოთლის გამოყენება უებარ საშუალებად ითვლებოდა. ამავე დროს იცოდნენ ნაკლულ ჭურჭელში კაკლის ფოთლის ჩაყოლება, რათა ღვინო არ დამჟავდეს ან არ დაძმარდეს.

ამ შემთხვევაში კაკლის ფოთოლი გვესახება ღვინის სამკურნალო საშუალებად. ალბათ კაკლის ფოთოლს აქვს ისეთი ნივთიერება, რომელიც სპობს ღვინის მავნე მიკრობებს, რის გამოც ფართოდ ყოფილა გამოყენებული აღმოსავლეთ საქართველოს მეღვინეობაში.

ცაცხვის ყვავილის გამოყენება ღვინის სანელებლად. როცა მთხრობელთან ღვინის სანელებლების გარშემო გიხდებათ საუბარი, განსაკუთრებულ სიძნელეს ხვდებით, რადგან ამ საკითხზე მსჯელობა მაინც დამაინც არ ეხალისებათ და ბევრი მათგანი ფარავს კიდეც ამ საშუალებას, რადგან დღეისათვის ამან სულ სხვა ხასიათი მიიღო. ძველად თუ ყურძნის წვენის გაკეთილშობილების მიზნით იხმარებოდა, ეხლა, ზოგიერთი მათგანი, ფალსიფიცირებულ შაქრიან ღვინოს ანელებს და სურნელებას მატებს ამა თუ იმ სანელებლით. ადრე გამიგონია, რომ „ცაცხვის ყვავილი ღვინოში კარგიაო“, მაგრამ როგორ იყენებდნენ, ეს უკვე მიუღწეველი გახდა. 1964 წ. ს. მუხრანშიაც დამისახელეს ცაცხვის ყვავილის გამოყენება, მაგრამ აქაც ბინდით იყო მოცული ეს საკითხი. მთხრობელი აღნიშნავდა: „გამიგია და როგორ ხმარობენ არ ვიცი“-ო. (ს. მუხრანი, ამირაშვილი). ლ. ჯორჯაძის ცნობით ცაცხვის ყვავილის ხმარების წესი ასეთია: „ცაცხვის ყვავილი ჩრდილში გამხმარი ისე შენახული, როგორც კრაზანისა ანუ კრიკინის ყვავილი (სტატია 118), რომ ჩაჰკიდოთ მაჭარში ანუ ღვინოში კარგ სუნს მისცემს და როდესაც დუღილის შემდეგ მაჭარი დაწმდეს ისევე ამოიღეთ იმისი პარკი“[42].

ლ. ჯორჯაძე ღვინის ბევრ სხვადასხვა სანელებელსა და საღებავებს ასახელებს. მაგალითად, დიდგულის ყვავილს, კაკლის ჯავაზს, ბადიანას, ზაფ-

---

42 ლ. ჯორჯაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

რანას, შავთუთას, ალუბალს, კაკლის ფოთოლს და სხვა მრავალს, რომელთა ხმარების წესებიც დასტურდება ეთნოგრაფიულ ყოფაში.

კ რ ა ზ ა ნ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ღ ვ ი ნ ი ს დ ა ყ ე ნ ე ბ ა შ ი. აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში ქვევრების სარეცხად ხმარობენ ერთგვარ ბალახს, რომელსაც „კრაზანა" ეწოდება. ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით კრაზანას (зверобои—Nypericum) შემდეგი სინონიმები მოეპოვება: ხევსურეთში „უკმურის ბალახი", „ჩაის ყვავილი" ეწოდება, ხოლო მთიულეთში „უკმურაი" ქვიან, მესხეთ-ჯავახეთში „ნეჩო", ლეჩხუმში და იმერეთში „თავცეცხლა", ქვ. იმერეთში „კერეჟან" ეწოდება, ხოლო ჰანეთში და სამეგრელოში „მჟუაშ"-ს უხმობენ[43].

კრაზანას აქვს მეტად სასიამოვნო სუნი, მისი ყვავილი ერთგვარ სურნელებას აფრქვევს გარეცხილ ქვევრში, ისე როგორც ვაზის ყვავილი.

კრაზანის ყვავილის შესახებ ლ. ჯორჯაძეს მოეპოვება ცნობები და შემდეგი წესით აღწერს მის გამოყენებას. თეთრ ღვინოს, „რომ მიეცეს კარგი ყვითელი ფერი, არის კარგი კრაზანის ყვავილი, რომელიც ჯერ უნდა პატარა ჰურჭელში ჩაყაროთ, დაასხათ ზედ ღვინო და ისე შეინახო რამოდენიმე დღე, როდესაც კარგათ ფერი გამოიცეს მაშინ გადმოწურეთ ის ღვინო და ჩაასხით ქვევრშია და სულ შეიღებება ყვითლად ის ღვინო"[44]. ამავე წიგნის 119-ე მუხლში ნათქვამი იყო: „დაკრიფეთ კრაზანის ყვავილი თავისის ღეროებითა, რადგან მარტო ყვავილი ძნელი საკრეფი იქნება, გაახმეთ და შეინახეთ ისე, როგორც კრიკინას ყვავილი და საპანეზე თითო გირვანქა აურიეთ კრიკინის ყვავილში და ანუ საკუთრად ეს კრაზანის ყვავილი ტილოს პარკით მაჭრის დადუღებამდე და იყოს შიგა ღვინის გადაღებამდე ანუ მაჭრის ჩაწმენდამდე. ეს კრაზანის ყვავილი კარგს სუნსა და ფერს აძლევს ღვინოსა და ამაგრებს კიდეცა, მარგებელიც არის სასმელათ"[45].

ამრიგად, სათანადო მასალების შესწავლის საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოს მეღვინეობის ტექნოლოგიაში, სურნელების, ანუ ბუკეტის დაჭერის მიზნით, ღვინის შენელება ანუ შეზავება ხდება შემდეგი საშუალებებით: ღვიით, ვაზის ყვავილით, ყურძნის კლერტით, სვიის ყვავილით, კომშის ფოთლით, მიხაკ-დარიჩინით, კრაზანით, ცაცხვით და საკმეველით.

ამაღე კუთხეებში მეღვინეობის ქართულმა ტექნოლოგიამ შემოგვინახა ღვინის დაფერვის წესი შემდეგი საშუალებებით: ყურძნის კლერტით, ჭიაფერით, ანუ ფერა-ფერით, სვიით, ფურცლის სოკოთი, გაზის ფოთლით, ალუბლის ნორჩი ყლორტით, კაკლის ფოთლით და სხვ.

აქედან, ღვინის სამკურნალოდ გამოიყენება, ღვიის თესლი, კაკლის ფოთოლი, მიხაკ-დარიჩინი და საკმეველი.

---

43 ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1949, გვ. 27.

44 ლ, ჯ ო რ ჯ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 181.

45 ი ქ ვ ე, გვ. 97.

ჯემალ გვეტაძე

ურარტუს მეფის სარდური II წარწერაში მოხსენიებული ტოპონიმის „უხიმეაშუს“ გაგებისათვის

ურარტუს სამეფოს რუსა I მოღვაწეობის დროს (ძვ. წ. 735—714 წწ.) ჩრდილოეთის მხრიდან უჩნდება ახალი მეტად საშიში მტერი, რომლებიც ძველ ბერძნულ წერილობით წყაროებში კიმერიელთა სახელით მოიხსენიებიან, ხოლო ძველ ასურულ ლურსმულ წარწერებში გამირთა ან გიმერთა სახელით.

ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს გადმოცემით, სკვითების მიერ დევნილი კიმერიელები მეოტიის ზღვისა (აზოვის) და კოლხეთზე გავლით მცირე აზიაში შემოიჭრნენ[1].

შემოჭრილ კიმერიელებს ბრძოლა მოუხდათ ურარტუს სახელმწიფოსთან. ამ ბრძოლის ამბავი გადმოცემულია ასურულ ლურსმულ ტექსტში, კერძოდ ასურეთის მეფის სარგონII (ძვ. წ. 722—704 წწ.) მზვერავის ცნობაში, რომელიც შედგენილია უფლისწულ სინაქერიბისათვის[2]. მასში აღწერილია ურარტუს მეფის რუსა I დამარცხება გამირთა ქვეყანაში მისი ლაშქრობის დროს. ცნობაში ნათქვამია:

„იგი [რუსა] წავიდა გამირთა ქვეყანაში, მისი ჯარი მთლიანად იქნა მოსპობილი, ხოლო მისი სამი დიდებული [წინამძღოლი] ჯართან ერთად, მოკლულნი იქნენ. თვითონ ის გაიქცა თავის ქვეყანაში ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მის ბანაკს გამირები თავს დაესხმოდნენ“[3].

კიმერიელებთან რუსა I-ის დამარცხებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ურარტუს სახელმწიფოს შემდგომი დროის ისტორიულ ვითარებაზე.

გამირელთა მიერ ურარტელთა დამარცხებამ გამოიწვია ამბოხებები. ურარტუს სამეფოს დაპყრობილ ოლქებში. ურარტუს ბრძოლა მოუხდა რამდენიმე ფრონტზე, საჭირო შეიქნა არა მარტო ჯანყებების ჩაქრობა, არამედ ურარტუს მოსაზღვრე რაიონების შემომტკიცებაც. ასურის მეფემ სარგონ II, ისარგებლა რა ურარტუს სამეფოს შიგნით შექმნილი მძიმე მდგომარეობით, თავისი გავლენის სფეროში მოაქცია მანას ქვეყანა ძვ. წ. 714 წელს.

ამავე წელს ასურეთის ჯარი სარგონ II წინამძღოლობით მოულოდნელად შეიჭრა ურარტუს ტერიტორიაზე, სასტიკად დაამარცხა ურარტელთა ჯარი და აიღო ურარტელთა რელიგიური ცენტრი მუსასირი. ასურელებმა ქალაქ მუსასირში დიდძალი ქონება და სიმდიდრე ჩაიგდეს ხელთ, დაანგრიეს და გაძარცვეს ურარტუს მთავარი ღვთაების ხალდის ტაძარი.

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 79.

[2] Хрестоматия по истории Древнего Востока. М., 1963. გვ. 340—341.

[3] И. М. Дьяконов, Ассиро-вавилонские источники по истории Урарту. „Вестник Древней истории“, 1951, № 3, გვ. 340.

შეიტყო რა რუსა I მუსასირის აღება და ხალდის ტაძრის გაძარცვა, თავისი ხელით, საკუთარი რკინის ხანჯლით თავი მოიკლაო — გადმოგვცემს ასურული ტექსტი: სარგონ II მიმართავა ღმერთ ასურისადმი ურარტუს წინააღმდეგ ლაშქრობის (714 წ. ჩ. ერამდე) შესახებ[4].

ურარტელთა და გამირთა შორის გურიანიას ოლქში[5] მომხდარი ბრძოლა, როგორც მკვლევარნი მიუთითებენ, უნდა მომხდარიყო ძვ. წ. 714 წ-მდე, ძვ. წ. VIII საუკუნის 20-იან წლებში.

კიმერიელთა შემოსევის დროს აზუსტებს ის ფაქტი, რომ სარდური II (ძვ. წ. 760—735) მეფობის შემდეგ ურარტულ ტექსტებში არ გვხვდება კულხას გაერთიანება, რადგან კიმერიელები მცირე აზიაში შემოიჭრნენ სწორედ კულხას გაერთიანებისა და კოლხური ტომებით დასახლებული ტერიტორიების გავლით. ჩანს, კიმერიელთა შემოსევებმა ბოლო მოუღეს კულხას გაერთიანებას.

მიუხედავად ამ ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობისა, როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, ის არ მოიხსენიება ურარტულ ტექსტებში. არა იმიტომ, რომ არ იცნობენ გამირებსა და მათთან მომხდარ ბრძოლის შედეგს, არამედ, ძველი აღმოსავლური ტრადიციის შესაბამისად, საერთოდ არ აღნიშნავენ მტერთან თავიანთ დამარცხებას. ბრძოლის ადგილად ასურულ წყაროში მითითებულია გურიანიას ოლქი, რომელიც ურარტუსა და გამირთა ქვეყანას შორის მდებარეობდა[6]. ურარტული ტექსტების მიხედვით გურიანიას (კურიანის) ოლქი მდებარეობდა იგანის ქვეყნის ახლოს (ჩილდირის ტბის რაიონში, მტკვრის სათავეებში)[7].

საყურადღებოა ჩილდირის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, იგანის ქვეყნის მთავარი ქალაქის მაქალთუნთან დღევ. თურქულ სოფელ იაშ-კერპისთან კლდეზე ამოკვეთილი წარწერა, რომელშიც მოთხრობილია ურარტუს მეფის სარდური II ლაშქრობის შესახებ. „დიდებითა ხალდისათა სარდური, ძე არგიშთისა, ამბობს: როდესაც მე დავიპყრე უხიმეაშუს ქვეყანა, დაბრუნებისას, იმავე ლაშქრობის დროს, დავიპყარი მე ქალაქი მაქალთუნი"[8]. გ. მელიქიშვილის აზრით, ქალაქი მაქალთუნი ჩილდირის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს თანამედროვე სოფ. დაშკერპისთან, ხოლო უხიმეაშუს წაკითხვაში შესაძლებლად მიიჩნევს უხიმეაშუს კომპლექსის გაყოფას უხიმეა-შუდ, უხიმე ა-შუს ქვეყნის ტერიტორიას კი ჩილდირის ტბის ჩრდილოეთით მიუთითებს[9]. რუსა I-ის დროს მომხდარი ურარტელთა და კიმერიელთა ბრძოლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოხდა კურიანიში ე. ი. მდ. მტკვრის სათავეებში. ეს ოლქი იმ დროისათვის შესაძლებელია დასახლებული იყო დასავლურ ქართულ მოდგმის (ზანური, მეგრულ-ჭანური) ტომებით. ამას ადასტურებს, ჩვენი აზრით, ადიგენის რაიონის ზოგიერთი არქეოლოგიური მონაპოვარი. მაგალითად, სოფელ უდეში აღმოჩნდა საყურადღებო განძი: აქ მოპოვებული კერამიკა, ბრინჯაოს ნივთები, ძაღლის გამოსახულებიანი სარტყლები, დამახასიათებე-

[4] Fr. Thurcau-Dangin. Une relation de la huitième campagne de Sargon. Paris, 1912.

[5] И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 341.

[6] იქვე.

[7] Г. А. Меликишвили. Урартские клинообразные надписи. М., 1960. გვ. 438.

[8] იქვე. გვ. 308—309.

[9] იქვე. გვ. 444.

ლია დასავლურ ქართული კულტურული წრისათვის. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ უდის განძი ეკუთვნის არა შემოტანილი ნივთების ნაწარმს, არამედ, როგორც მკვლევარნი მიუთითებენ, ის წარმოადგენს ადგილობრივი კოლხი ხელოსნის ნახელავს[10].

არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად ყურადღებას იმსახურებს სამცხეში გამოვლენილი გეოგრაფიული ტოპონიმებიც, რომელთა ახსნა შესაძლებელია მხოლოდ მეგრული ენის მონაცემებით. მაგალითად, ოხომა, ტობა, წყორძა, ხვილიშა და სხვ[11]. ჩვენ შევეხებით ამათგან ერთ-ერთ ტოპონიმს — ოხომას (ნასოფლარი ანდრიაწმინდიდან). ოხომა-ოხვამე მეგრულად ნიშნავს სალოცავს.

ეს ტოპონიმი ძალზე ადრინდელი ჩანს. იგი გაჩენილი უნდა იყოს ამ მხარეში ზანური მოდგმის ტომების ბინადრობის დროს, კერძოდ, ძვ. წ. II—I ათასწლეულების მიჯნაზე. ზემოთ მოხსენიებული უდის განძი, რომელიც აღნიშნული ტომების კუთვნილებას წარმოადგენს, განეკუთვნება სწორედ ამ ხანას (ძვ. წ. XI—X სს.).

მოგვიანებით, ძვ. წ. VIII ს. 20-იან წლებში, როცა ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა კიმერიელთა ტომებმა გაანადგურეს მტკვრისა და ჭოროხის აუზებში მდებარე კოლხური ტომების პოლიტიკური გაერთიანებები, მათ შორის კულხას სამეფოც, ზანურმა მოსახლეობამ ჩრდილოეთით წაიწია. მდინარე რიონის აუზში გადმოინაცვლა მათმა პოლიტიკურმა ცენტრმაც. სავსებით მოსალოდნელია გადმოენაცვლებია ამ ტომების რელიგიურ ცენტრებსაც, მათ შორის ოხომას (ოხვამეს) ტიპის სალოცავებსაც. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ სიტყვის ძირიდან (ოხომა; ოხვამ) ნაწარმოები ტოპონიმები არა ერთი მოიპოვება, მაგალითად, ოხომირა ოკრიბაში. ქუთაისში არქიელის გორას უქიმერიონს უწოდებენ. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ უქიმერიონი მეგრული „ოხვამერი“-ს გადმოცემაა და მეგრულად სალოცავს ნიშნავს[12].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია. რომ სარდური II წარწერაში მოხსენიებული ტოპონიმი „უხიმეს ქვეყანა“ ზანურ ოხომას ანუ ოხვამერს დავუკავშიროთ.

Дж. П. ГВЕТАДЗЕ

О ТОПОНИМЕ „УХИМЕАШУ“, УПОМЯНУТОМ В НАДПИСИ ЦАРЯ УРАРТУ САРДУРИ II

(Резюме)

Надпись Сардури II в районе Чалдырского озера упоминает „страну Ухимеашу“ (или Ухиме). Автор наименование этой страны сопоставляет с занским словом „охома“ или „охвамер“, что на мегрельском языке означает „святилище“.

10 ა. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინიშვილი, უდის განძი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 4, გვ. 59—64.

11 ნ. ნორაკიძე, ზანიზმები სამცხის გეოგრაფიულ სახელებში, „მნათობი“, 1971, № 4, გვ. 137—141.

12 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I. თბ., 1913, გვ. 56.

ჰრიტიკა და ბიბლიოგრაფია

بدري محمد فهد. الحياة العامة في بغداد

في القرن الخامس الهجري. بغداد ١٩٦٧

ბადრი მუჰამმად ფაჰადი. ბაღდადის მდაბიო ხალხი ჰიჯრის V საუკუნეში, ბაღდადი, 1967.

უკანასკნელ ხანებში არაბულ ისტორიოგრაფიაში შეინიშნება შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის სოციალური ისტორიის პრობლემატიკით ცხოველი დაინტერესება[1]. ამ ტენდენციის გამოხატულებაა ერაყელი მეცნიერის ბადრი მუჰამმად ფაჰადის სამაგისტრო დისერტაცია „ბაღდადის მდაბიო ხალხი ჰიჯრის V საუკუნეში“, რომელიც ცალკე მონოგრაფიად გამოქვეყნდა 1967 წ. ქ. ბაღდადში[2].

ბაღდადელი მეცნიერის ინტერესი მშობლიური ქალაქის წარსულისადმი სავსებით გასაგებია. გასაგებია აგრეთვე, საზოგადოდ ორიენტალისტი ისტორიკოსების ყურადღება ხსენებული ქალაქის ისტორიის საკითხებისადმი, ბაღდადი ხომ საუკუნეთა მანძილზე მახლობელი აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა.

ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროები და მატერიალური კულტურის ძეგლები ამ ქალაქის გარდასულ დღეთა სხვადასხვა ასპექტების შესწავლისა და გაშუქების შესაძლებლობებს იძლევიან და ამ საკითხების შესახებ დღეისათვის უკვე დიდძალი სპეციალური ლიტერატურაც არსებობს[3]. ამ ნაშრომთა ერცელ სიას კიდევ ერთი ახალი დასახელება შეემატა ბ. მ. ფაჰადის ფრიად შინაარსიანი მონოგრაფიის სახით.

სარეცენზიო ნაშრომში ძირითადად ჰიჯრის V ს-ის (ანუ ჩვ. წ. XI ს.—XII ს. დასაწყისი) ქ. ბაღდადის სოციალური ისტორიის საკითხებია განხილული, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ამ ეპოქით და ხშირ შემთხვევაში სცილდება აღებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოს.

ბ. მ. ფაჰადის მონოგრაფია შედგება შესავლის (გვ. 5—9) და ხუთი თავისგან: I. მდაბიო ხალხი (გვ. 11—94). II. მდაბიო ხალხის ცხოვრების პირობები (გვ. 94—189), III. სურათები მდაბიო ხალხის ცხოვრებიდან (გვ. 191—251), IV. საზოგადოებრივი ურთიერთო-

---

1 სალიჰ აჰმად ალ-ალი, სოციალური და ეკონომიური ორგანიზაციები ბასრაში ჰიჯრის პირველ საუკუნეში, ბაღდადი, 1953; აჰმად ამინი, ღარიბობა და ფუთუვვა ისლამში, კაირო, 1953; აბდ ალ-აზიზ ალ-დური, ასნაფები და ხელოსნობა ისლამში „ფილოლოგიური ფაკულტეტის ჟურნალი“, ტ. I. ბაღდადი, 1959; ულაბი აჰმად სიჯილი, ზინჯების აჯანყება და მისი მეთაური ალი იბნ მუჰამმადი, ბეირუთი, 1961, უმარ იბნ ალ-დასუკი, ალ-ფუთუვვა არაბებთან, კაირო, 1959; ჰუსაინ იბრაჰიმ ჰუსაინი, ისლამის პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული და სოციალური ისტორია, 3 ტომად, კაირო, 1962 (ყველა არაბულ ენაზე).

2 ბ. მ. ფაჰადის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, სხვა შრომებიც: ყადი ალ-თანუხი და „ქითაბ ალ-ნიშვარ“, ბაღდადი, 1966; ტაბლასანი, «აღმოსავლური ფაკულტეტის ჟურნალი». ტ. 2, ბაღდადი, 1966; მომღერალი ხალიფა იბრაჰიმ იბნ მაჰდი, ბაღდადი, 1967; შაჰიდები, „აღმოსავლური ფაკულტეტის ჟურნალი“, ტ. 3, ბაღდადი, 1967 (ყველა არაბულ ენაზე).

3 ეს შრომები ეკუთვნით ისეთ ცნობილ მეცნიერებს, როგორებიც არიან: ლ. მასინიონი, ჰ. ბოუენი, რ. ლევი, გ. მაკდისი, ს. გოიტეინი, კლ. კაენი, ა. დური, ჯ. შახტი, ო. გრაბარი, ჯ. ლასსნერი, მ. კანარი, ს. რუნკიმანი, ე. გარსია გომესი, რ. მანტრანი, ს. ბ. სამედი, ტ. მ. ალ-ამიდი. საბჭოურ ორიენტალისტურ ისტორიოგრაფიაში ქ. ბაღდადის შუასაუკუნოვანი ისტორიის საკითხებს სპეციალური ნაშრომი უძღვნა ქართველმა მკვლევარმა ო. ცქიტიშვილმა. (ქალაქ ბაღდადის ისტორიისათვის, თბილისი, 1968).

ბები მდაბიო ხალხში (გვ. 252—284), V. მდაბიო ხალხის აჯანყებები (გვ. 286—315).

მდაბიო ხალხის აღსანიშნავად არაბულში იხმარება ტერმინი „ალ-'ამმა“ (العامة). შუა საუკუნეების მუსლიმანურ აღმოსავლეთში გაბატონებული ტრადიციული გაგებით „ალ-'ამმა“ წარმოადგენდა „ალ-ხასსას“ საპირისპირო ცნებას[4]. „ალ-ხასსა“ (الخاصة) გულისხმობდა საზოგადოდ დიდებულებს და წარჩინებულებს, ხალიფასთან დაახლოებულ პირებს, ვაზირებს, სარდლებს, ყადიებს, ქათიბებს, სწაელულებს, ღვთისმეტყველებს და სხვა (იხ. სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 11). ალ-'ამმას სინონიმური მნიშვნელობით წყაროებში ხშირად იხმარება, აგრეთვე, ტერმინი „ალ-სუკა“. ალ-სუკა აღნიშნავს ძალაუფლებას მოკლებულ ქვეშევრდომებს, რომელთაც უძღვებიან და აწესრიგებენ მეფეები — „ალ-მულუქ“ (იქვე, გვ. 12).

ალ-'ამმას დახასიათებისას ბ. მ. ფაჰადი საჭანგებოდ ჩერდება მდაბიო ხალხისადმი შუა საუკუნეების არაბი ისტორიკოსების დამოკიდებულების საკითხზე. აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ წყაროებში მდაბიო ხალხის მიმართ ხშირად ნახმარია ისეთი აბუჩად ამგდები და დამამცირებელი გამოთქმები, როგორიცაა, მაგალითად: سقاط الناس (უზნეო ხალხი), الجماهير الدها (შავი ხალხი), الاغنام الجهل (უვიცი ცხვრები) და ა. შ. ასეთი ხასიათის მრავალი ტერმინია ავტორის მიერ დაძებნილი წერილობით წყაროებში და სათანადოდ ფიქსირებული სარეცენზიო ნაშრომში. (გვ. 13—14).

ბაღდადის მდაბიო ხალხი თავისი შემადგენლობით არ იყო ერთფეროვანი. წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით ბ. მ. ფაჰადი ბაღდადის ალ-'ამმაში აერთიანებს მსახურებს, მოლაშქრეებს, დიდებაჭრებს, საშუალო და წვრილ ვაჭრებს, დალალებს, ხელოსნებს, გლეხებს, „ქურდებს“, „აიარებს“ და „შატირებს“ (გვ. 13). ეთნიკური თვალსაზრისით. ბაღდადის ალ-'ამმაში არაბებს გარდა წარმოდგენილი იყვნენ არაარაბებიც, რომელთა შორის წყაროები ასახელებენ თურქებს, სპარსელებს, ბერბერებს, ჩერქეზებს და, აგრეთვე, ქართველებს — „ქურჯ“ (გვ. '7).

ბ. მ. ფაჰადი აღნიშნავს, რომ ბაღდადის მდაბიო ხალხში განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ დიდვაჭრებს (التجار). ზოგიერთ დიდვაჭარს წყაროები „ალ-ხასსად“ ანუ წარჩინებულადაც კი მიიჩნევენ, თუმცა ოფიციალური (მმართველი წრეების, ულემების, ლიტერატორების) თვალსაზრისი ზოგადად ყველა ვაჭარს ალ-'ამმას კატეგორიას აკუთვნებდა (გვ. 23. 63).

თავიანთი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობით სინამდვილეში დიდვაჭრები, რასაკვირველია, მკვეთრად განსხვავდებოდნენ საშუალო და წვრილი ვაჭრებისაგან და მით უმეტეს ქალაქის ღარიბებისაგან. აქედან გამომდინარე ბ. მ. ფაჰადი სწორ დასკვნას აკეთებს, რომ ალ-'ამმასადმი დიდვაჭართა მიკუთვნება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

ცნობილია, რომ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში სოციალური მოძრაობების დროს დაბალი საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენლები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ და ებრძოდნენ არა მარტო ფეოდალებს, არამედ დიდვაჭრებსაც. ეს უკანასკნელები კი ფეოდალური არისტოკრატიის აქტიურ მოკავშირედ გამოდიოდნენ, როცა საქმე ქალაქში სოციალური მოძრაობის ჩახშობას ეხებოდა[5]. ამის საილუსტრაციოდ ფაჰადის ნაშრომში არაერთი ფაქტია XI—XII სს. ბაღდადის ისტორიიდან აღნიშნული (იხ, მაგ., გვ. 302—303), მაგრამ წყაროებიდან ამოკრეფილი ამ მხრივ მრავალისმეტყველი ცნობები ავტორის მიერ სათანადო შეფასების გარეშეა დატოვებული.

პირველწყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით სარეცენზიო ნაშრომში გამოყოფილია დიდვაჭრების სამი კატეგორია:

1. التاجر الخزان ალ-თაჯირ ალ-ხაზზან — ვაჭარი, რომელიც ბაზარში საქონელს ყიდულობდა მაშინ, როცა საქონელი იაფი იყო და ჰყიდდა, როდესაც მასზე მოთხოვნილება და ფასი მატულობდა (გვ. 65).

2. التاجر الركاض ალ-თაჯირ ალ-რაქქად. ეს ვაჭარი სხვადასხვა ქვეყნებში აწარმოებდა სავაჭრო ოპერაციებს, პირადად მოგზაურობდა და გადაჰქონდა საქონელი სახმელეთო გზით ან ზღვით (გვ. 66).

---

[4] J. H. Kramers, La sociologie de l'Islam, „Analecta Orientalia“, vol. II, Leiden, 1956, გვ. 190—191.

[5] ვ. გაბაშვილი, სოციალური მოძრაობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში (IX—XIII სს.), „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, ნაკვ. I, თბ., 1966, გვ. 33.

3. التاجر المجهز—ალ-თაჯირ ალ-მუჯაჰჰიზ. ასეთი დიდვაჭარი პირადად არ დაუყებოდა ქარავანს სხვადასხვა ქვეყნებში. საეჭრო ოპერაციებს პრაქტიკულად მისი წარმომადგენლები (وكلاء) ახორციელებდნენ (გვ. 66—67).

დიდვაჭართა კატეგორიების ჩამოთვლისა და დახასიათებისას ბ. მ. ფაჰადი ძირითადად ეყრდნობა ალ-დიმიშკის, ალ-ღაზალის და სხვა არაბი ავტორების მონაცემებს. აღნიშნულ ავტორთა შეხედულებები საზოგადოდ ვაჭრობის და ვაჭართა შესახებ (ვაჭრობის დანიშნულება, ვაჭართა როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში, ვაჭართა კატეგორიები და სხვ.) კარგადაა ცნობილი ორიენტალისტურ ისტორიოგრაფიაში და ამ მხრივ ბ. მ. ფაჰადის მონოგრაფია ახალს არაფერს შეიცავს. გაცილებით საინტერესოა ნაშრომის ის ადგილი, სადაც ავტორი არაბულ წყაროთა ცნობებს — ვაჭრობისა და ვაჭართა ფენის შესახებ ადარებს და აჯერებს XI ს-ის სპარსული დიდაქტიკურ-მორალისტური ტრაქტატის „ყაბუს-ნამეს“ საყურადღებო მონაცემებთან (გვ. 65—67). „ყაბუს-ნამეში“ მთელი ერთი თავი სწორედ აღნიშნულ საკითხებს ეძღვნება[7], მაგრამ ის ბოლო ხანებამდე არ ყოფილა ჯეროვანი სისრულით გამოყენებული მკვლევართა მიერ.

ამის შემდეგ ავტორი გადადის ქალაქის საშუალო და წვრილი ვაჭრების დახასიათებაზე. დიდვაჭართაგან განსხვავებით ჩვეულებრივი ვაჭრები (ალ-ბა'ა)ყოველდღიური მოთხოვნილების პროდუქტებითა და საქონლით ვაჭრობდნენ. მათში გამოყოფილია ორი ჯგუფი: I — ისინი, ვინც ბაზარში დუქნებს ფლობდნენ (الباعة الثابتون) და II — რომელთაც რაიმე განსაზღვრული საეჭრო ადგილი და ნაგებობა არ გააჩნდათ, ანუ მოხეტიალე მეწვრილმანეები, ფეხზე მოვაჭრეები (الباعة المتجولون) (გვ. 73).

მიუხედავად ქონებრივ შესაძლებლობათა მკვეთრი განსხვავებისა, აღნიშნავს ბ. მ. ფაჰადი, დიდვაჭრები და წვრილვაჭრები ზოგჯერ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას იჩენდნენ. მაგალითად, როდესაც მმართველი წრეების ან ალ-'ამმას რადიკალურად განწყობილი ელემენტების მხრიდან რაიმე საშიშროება იყო მოსალოდნელი, ისინი კეტაედნენ ბაზრებს და ერთად იცავდნენ მათ. იქვე ავტორი მართებულად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ აღებული ხანის მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში დიდვაჭრის პიროვნებისა და ქონების უშიშროება არ იყო ხელისუფლების მიერ დაცული და რომ სხვადასხვა ფინანსური ღონისძიებების თუ პირადი ანგარებითი მიზნების განხორციელებისათვის მმართველი წრეები ხშირად ახდენდნენ მის კონფისკაციას (გვ. 71, 76).

მდაბიო ხალხს მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე დალალები (دلال) ანუ მაკლერები რომლებიც ასრულებდნენ შუამავლის როლს გამყიდველსა და მუშტარს შორის (გვ. 81).

ალ-'ამმას შემადგენლობაში პატივისცემით სარგებლობდნენ ხელოსნები. საინტერესოა ბ. მ. ფაჰადის დაკვირვება, რომ აბასელთა ეპოქის დასაწყისისგან განსხვავებით აღნიშნულ ხანაში საზოგადოებრივი აზრი ხელოსნების მიმართ დადებითი იყო (გვ. 56.)

ქ. ბაღდადში წარმოდგენილი იყვნენ როგორც მონა-ხელოსნები ასევე თავისუფალი ხელოსნები, ამ უკანასკნელთა ხელობა, როგორც წესი, მემკვიდრეობითი იყო. თავისუფალი ხელოსნების ნაწილს თავისი დუქან-სახელოსნოები ჰქონდა სხვები კი თავიანთ შრომას აქირაებდნენ. მათი დღიური ხელფასის ოდენობა და სამუშაო დრო განისაზღვრებოდა დამქირავებელსა და ხელოსანს შორის დადებული შეთანხმებით. მათ შორის წამოჭრილ სადავო საკითხებს აწესრიგებდა მუჰთასიბი (გვ. 52—53).

ბ. მ. ფაჰადი ხელოსანთა რიგებში გამოყოფს ოსტატს (أستاذ) თანაშემწეს (خليفة) და დამწყებ ხელოსანს (مبتدى). ყველა ესენი ემორჩილებოდნენ რაისს (رئيس) (გვ. 54). იგი განიხილავს ხელოსნობაში ქალების მონაწილე-

[6] იხ. მაგ. H. Ritter, Ein arabisches Handbuch der Handelswissenschaft, „Der Islam“, Bd. VII, Hft. 1, 1917. გვ. 31—66; G. E. von Grunebaum, Medieval Islam. გვ. 215—216; Cl. Cahen, A propos et autour d „Ein arabisches Handbuch der Handelswissenschaft“, „Oriens“, XV, Leiden, 1962, გვ. 160—171; A. K. S. Lambton, The Merchant in Medieval Islam, „A Locust's Leg. Studies in honour of S. H. Taqizadeh,“ London, 1962. გვ. 122.

[7] „ყაბუს-ნამე“, რ. ლევის გამოც., G M S, NS, XVIII, 1951, გვ. 95—100 (ბ. მ. ფაჰადი სარგებლობს „ყაბუს-ნამეს“ არაბული თარგმანით, კაირო, 1960).

ობის საკითხს (გვ. 59) და შემდეგ ჩამოთვლის ხელოსნობის იმ დარგებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო ჰიჯრის V-ს. ქ. ბაღდადში (გვ. 59—61).

მონოგრაფიაში ალ-'ამმას სხვა ელემენტებთან ერთად ვრცლად არის დახასიათებული აგრეთვე მსახურთა კატეგორიები (თავისუფალი მსახურები, მონები, მხევლები, საქურისეები) და მათი საქმიანობა (გვ. 19—42), მოლაშქრეები (გვ. 43—46), ბაღდადის სანახებში მცხოვრები გლეხები (გვ. 85—90) ქალაქის დეკლასირებული ელემენტები (გვ. 73—83).

სარეცენზიო ნაშრომის II თავში განხილულია მდაბიოთა სასმელ-საჭმელი (გვ. 96—140), ტანისამოსი (გვ. 141—164), საცხოვრებელი სახლების გარეგანი სახე და ინტერიერი (გვ. 165—177), მდაბიოთა აბანოები (გვ. 178—189).

III თავში აღწერილია მდაბიო ხალხის მონაწილეობა რელიგიურ დღესასწაულებში და სხვადასხვა საზეიმო ვითარებასთან დაკავშირებით გამართულ ცერემონიებში (გვ. 207—215).

IV თავში შესწავლილია ისეთი საკითხები, როგორიცაა მამაკაცისა და ქალის ურთიერთდამოკიდებულება მდაბიო ხალხში, ქალისა და მამაკაცის ადგილი ოჯახსა და საზოგადოებაში, ურთიერთობა ქალაქის ცალკეულ უბნებს შორის და სხვა (გვ. 252—284).

განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის V თავი, რომელშიც ავტორი შეისწავლის ალ-'ამმას რადიკალური ელემენტების — აიარუნების და შატირების მოძრაობას. აქ ვრცლადაა დახასიათებული აიარუნებისა და შატირების ორგანიზაციები აღებული ხანის ქ. ბაღდადში, მათი გამოსვლები და აჯანყებები.

წერილობით წყაროებში დაცული ყველაზე ადრინდელი ცნობა აიარუნთა გამოსვლის შესახებ ქ. ბაღდადში 816 წლით თარიღდება. ამის შემდეგ, IX—XII სს. მთელს მანძილზე ქალაქში ადგილი ჰქონდა აიარუნთა აქტიურ მოქმედებას, რაც ხშირად შეიარაღებული აჯანყების სახეს იღებდა. აიარუნთა უკვე პირველსავე გამოსვლებში თვალნათლივ შეინიშნება მათი ორგანიზაციის სამხედრო ხასიათი: ყოველ ათ 'აიარს სათავეში ედგა 'არიფი, 10 'არიფს მეთაურობდა ნაკიბი, 10 ნაკიბს — კა'იდი, 10 კა'იდს კი — ამირი. აიარუნები ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ ქალაქისა და მისი სანახების მოსახლეობაში თავიანთი რიგების გასაზრდელად; ყოველ ახლადმიღებულ წევრს ისინი საგანგებო შარვალს აცმევდნენ და მის პატივსაცემად საუკეთესო ღვინოს სვამდნენ.

თავისთავად ტერმინი „აიარ", ისევე როგორც „შატირ", ოდიოზური შინაარსისაა. პირველი მაწანწალას ნიშნავს, მეორე კი — ეშმაკს, თავხედს, თავზეხელაღებულს. ამ ტერმინების გვერდით ბ. მ. ფაჰადი ასახელებს მსგავსი ხასიათის სხვა გამოთქმებსაც, რომლებსაც მრავალგზის ხმარობენ არაბული წყაროები აიართა და შატირთა მოძრაობის მონაწილეების დასახასიათებლად. ასეთი გამოთქმაა, მაგალითად, „ჯიბის ქურდები" (طرافون), „უზნეონი", „გარყვნილები" (دعار, ذعار), „ავაზაკები" (هراة), „ნაძირალები" (اوباش), „მრუშები" (فجرة) და სხვ. ბ. მ. ფაჰადი სავსებით სწორად ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ამგვარი ტერმინების სიუხვე დამახასიათებელია იმ ავტორთა თხზულებებისათვის, რომლებიც „ალ-ხასსას" ინტერესებს გამოხატავდნენ.

მართლაც, ზემომოყვანილი და მსგავსი ტერმინების სოციალური შინაარსი უშუალოდ არის დაკავშირებული მაშინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობებთან და ინტენსიურად მიმდინარე სოციალურ მოძრაობებთან. ეს ოდიოზური ტერმინები სრულიად გარკვეულ კლასობრივ ნიადაგზეა აღმოცენებული — ამგვარ გამოთქმებს, როგორც წესი, ხმარობენ არისტოკრატი მწერლები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატაენ და დამამცირებელი სიტყვებით აცილენენ თავიანთ კლასობრივ დამოკიდებულებას სოციალური მოძრაობების მონაწილე დაბალი ფენების წარმომადგენლებისადმი[8].

მონოგრაფიაში პირველწყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით მოტანილია უხვი საილუსტრაციო მასალა აიარუნთა და შატირთა დასახასიათებლად.

თუმცა აღსანიშნავია ის, რომ ბ. მ. ფაჰადს ხსენებული საკითხების კვლევისას რატომღაც გაუთვალისწინებელი დარჩა პროფ. Cl. Ca-

[8] ვრცლად იხ. ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24—25.

[9] Cl. Cahen, Mouvements populaire set autonomisme urbain dans l'Asie musulmane du Moyen Âge, Leiden, 1959.

იხ. პროფ. ვ. გაბაშვილის რეცენზია: „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1963, გვ. 241—248.

hen-ის საყურადღებო ნაშრომი „სახალხო მოძრაობანი და საქალაქო ავტონომიზმი შუა საუკუნეების მუსლიმანურ აზიაში“[9].

ბ. მ. ფაჰადის გამოკვლევას დართული აქვს გამოყენებული პირველწყაროებისა და ლიტერატურის ვრცელი სია და საძიებლები (პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა).

სარეცენზიო ნაშრომში დასმული საკითხების წრე ფართოა და საინტერესო, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საკითხი ერთნაირი სიღრმით როდია შესწავლილი და გაშუქებული. საერთოდ, ბ. მ. ფაჰადის გამოკვლევა ყურადღებას იქცევს უმთავრესად დიდძალი ფაქტიური მასალით, სოციალური ხასიათის ტერმინოლოგიის სიუხვით, რომლის დიდი ნაწილი ერაყელი მეცნიერის მიერ ამოკრეფილია ჩვენთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი ან აქამდე უცნობი პირველწყაროებიდან. ეს მასალა საჭირო შემთხვევაში შეიძლება წარმატებით გამოიყენონ საბჭოთა ორიენტალისტმა ისტორიკოსებმა.

გია ბერაძე
გოჩა ჯაფარიძე

НЕМЕЦКИЕ АРХИВНЫЕ МАТЕРИАЛЫ РАЗОБЛАЧАЮТ

Программа и другие исторические документы КПСС выдвигают перед советскими историками задачу всестороннего изучения проблем всемирной истории, раскрытия закономерностей процесса движения человечества к социализму и коммунизму, решительной борьбы против буржуазной идеологии, стремящейся задержать поступательное прогрессивное движение мировой истории. «Общественные науки, — сказано в Программе КПСС, — и впредь должны решительно выступать против буржуазной идеологии...»[1]. Одним из важнейших участков этой идеологической борьбы является историография.

Несмотря на то, что советская историческая наука к политике Германии в Закавказье неоднократно обращалась как предмету исследования, а имеющиеся в архивах СССР документы и материалы по этому вопросу давно изданы и введены в научный оборот, все же не все стороны этой политики одинаково полно освещены и исследованы. Причины этого скрывались в том, что до сих пор для советских историков не были доступны немецкие архивные материалы. Издание материалов архивов ГДР, осуществленное недавно советским ученым Г. В. Пипия[2], безусловно во многом способствует восполнению этого пробела.

Рецензируемая книга представляет собой сборник документов и архивных материалов, которые проливают свет на захватническую политику германского империализма в Закавказье, вскрывает тесные связи германских империалистических кругов с финансовой олигархией и отдельными группами промышленных монополий; в ней показана несостоятельность взглядов ряда буржуазных историков и публицистов, которые оправдывают интервенцию империалистов в Закавказье в 1917—1921 гг. Наряду с этим сборник содержит сведения о военном, политическом и экономическом положении республик Закавказья и другие данные.

Составитель сборника подобрал наиболее интересные документы, которые даны в хронологической последовательности и охватывают период пребывания немецких оккупационных войск в Закавказье (май—ноябрь 1918 года). Всего в сборник включено 87 наиболее важных документов, подавляющее большинство из них публикуется впервые.

Из публикуемых документальных материалов наибольший интерес представляют:

---

[1] «Программа Коммунистической партии Советского Союза», М., 1962, стр. 128.

[2] Г. В. Пипия, Политика Германии в Закавказье в 1918 году. Сборник документов. Издательство «Сабчота Сакартвело», Тбилиси, 1971.

1. Переписка генерального штаба, верховного командования и министерства иностранных дел Германии, относящаяся к Грузии и в целом к Закавказью;

2. Переписка канцелярии главы германской миссии в Грузии генерал-майора фон Кресса с отдельными правительственными учреждениями Германии и лично рейхсканцлером;

3. Переписка органов государственного регулирования экономики Германии, касающаяся Кавказа;

4. Протоколы переговоров и подлинники договоров, заключенных немцами с Грузией;

5. Донесения, информации, доклады немецких военных ведомств и другие материалы.

Во вступительной части рецензируемого сборника для лучшего уяснения органической связи между отдельными документами составитель дает краткое изложение политики Германии в Закавказье. Кроме того, сборник снабжен именным и географическим указателями, хронологией важнейших событий и примечанием.

Захватом Закавказья Германия первым долгом преследовала военно-стратегические, экономические и политические цели. Они очень ярко выражены в одной из докладных записок, представленной военным министерством германскому правительству в июле 1918 г. В ней, в частности, говорится:

«Кавказ расположен между Черным и Каспийским морями, т. е. соединяет кратчайшим путем Европу с Азией, и в будущем будет играть роль важной промежуточной станции в сообщении с Туркестаном, Бухарой, Хивой и Северной Персией...» «Население занимается исключительно земледелием, так как плодородные земли этой равнины как будто созданы для сельского хозяйства...» во всем Закавказье культивируется виноградная лоза и отсюда во Францию экспортируются и крепкие кахетинские вина и легкие сванские вина». Эти вина потом смешиваются там с местными сортами и полученные таким образом «подлинные» бордоские и бургундские вина расходятся затем по всем странам мира... Кроме того, в стране имеются колоссальные природные богатства, медь добывается в двух крупных медных рудниках..» Закавказье богато также серебряными, цинковыми и железными рудами... Добыча марганцевой руды сконцентрирована в Кутаисской губернии, в районе Чиатури... «Бакинские нефтяные промыслы известны каждому... В Муганской степи... имеются значительные хлопковые плантации... В Тифлисской и Елизаветской губерниях развивается шелководство... В Батумском округе находятся известные чайные плантации Чаквы...» и далее: «Из этого краткого описания видно, каким богатым краем является Кавказ и какие возможности он открывает для предпринимательской деятельности человека. Невольно приходит мысль привлечь Кавказ на нашу сторону и сделать его доступным нашему влиянию». Немецкие чиновники из военного ведомства считали, что «Сейчас пришел момент осуществить эту мысль, и надо его использовать сегодня, а не откладывать на завтра; такая благоприятная возможность может больше никогда не повториться... создается реальная возможность путем умелой агитации... парализовать влияние Антанты и привлечь Кавказ на нашу сторону. Цель стоит усилий!» (док. № 33).

Как видим, после четырехлетней войны, истекавший кровью германский империализм смотрел на Закавказье, как на весьма важный стратегический пункт для ликвидации английского господства на Ближнем Востоке, как на край, богатый стратегическим сырьем. «Германия,—читаем в другом документе, — которая после войны, без сомнения, будет в той или иной степени отрезана от заокеанских стран, должна с особой энергией обратить свои экономические устремления на Юго-Восток и уже сейчас подготовить экономическое завоевание Кавказа, Туркестана и Персии, а также по возможности Афганистана...» (док. № 31). Немцы не скрывали, что завоевание Кавказа открывало для Германии «второй, гораздо более близкий и удобный путь в Индию» (см. там же). Индия! — вот что являлось последней целью германской завоевательной политики на Юго-Востоке.

Правительство меньшевиков, дашнаков и мусаватистов, вступив на путь вооруженной борьбы с трудящимися Закавказья, начало гражданскую войну. Оно противопоставило себя Советской России, рабочим и крестьянам Закавказья. Чтобы обманывать трудящихся, оно спекулировало лозунгом национального самоопределения. Но

демагогические лозунги могли только на время прикрыть его контрреволюционную сущность. Грузинские меньшевики, азербайджанские мусаватисты и армянские дашнаки по существу своей целью ставили консолидацию всех реакционных сил страны против нарастающего революционного движения рабочих и крестьян Закавказья, доведенных до отчаяния буржуазно-помещичьим гнетом.

Безусловно, отделение Закавказья от России весной 1918 г. являлось первым и решающим шагом в направлении подчинения Закавказья иностранному владычеству. Это отделение было выгодным только реакционным силам Грузии, Армении и Азербайджана. Оно в корне противоречило «интересам миллионов армянских, грузинских и прежде всего интересам наиболее угнетенных мусульманских крестьян и рабочих»[3].

Демагогические лозунги помогли закавказским националистам только на время прикрыть контрреволюционную сущность их правительства. Это правительство не имело опоры в народе, оно, так же как все другие контрреволюционные правительства в России, могло дальше существовать лишь при поддержке интервентов.

И не удивительно, что меньшевики, дашнаки и мусаватисты вместе с белогвардейцами пошли в услужение к интервентам. Расчистив дорогу иностранным захватчикам, содействуя оккупации Закавказья, они стали орудием интервентов в их борьбе против Советской России, против рабочих и крестьян Закавказья.

«Независимость» Грузии, Армении и Азербайджана, с такой охотой признанная германскими империалистами, являлась ширмой для прикрытия подлинных целей меньшевиков, дашнаков и мусаватистов, направленных против Советской России и закабалению трудящихся Грузии, Армении и Азербайджана европейскими империалистами. И. В. Сталин, разоблачая предательскую политику грузинских меньшевиков в вопросе о «независимости» Армении, Грузии и Азербайджана, в своем письме чрезвычайному комиссару по делам Кавказа С. Г. Шаумяну от 8 июля 1918 г. дал такую директиву большевикам Закавказья: «Общая политика в вопросе о Закавказье состоит в том, чтобы заставить немцев официально признать грузинский, армянский и азербайджанский вопросы вопросами внутренними для России, в разрешении которых немцы не должны участвовать. Именно поэтому мы не признаем независимости Грузии, признанной Германией»[4].

28 мая 1918 г. в Поти министр иностранных дел меньшевистского правительства Грузии Чхенкели вместе с главой германской мирной делегации фон Лоссовым подписал грузино-германское соглашение, по которому германские капиталисты получали монополию на эксплуатацию природных богатств Грузии. Все суда, находящиеся в портах Грузии, на период военного времени передавались в свободное пользование правительству Германии. В ее распоряжение переходила и железная дорога Грузии (док. №№ 9, 10).

Все договоры, которые были заключены меньшевистским правительством Грузии с германскими представителями, ограждали не независимость Грузии, а способствовали оккупации Грузии германскими войсками. Так, например, в договоре об обмене военнопленными прямо было сказано: «Императорскому правительству Германии предоставляется право решения вопроса — следует ли немедленно возвратить на родину немецких военнопленных или же создать из них воинские соединения для их использования внутри Грузинского государства или в областях, граничащих с ним» (док. № 5).

Правительство Н. Жордания — А. Чхенкели согласилось также допустить немецкую валюту на территорию Грузии на равных правах с местной, неограниченно, как законное платежное средство (док. № 6).

Все эти соглашения являлись образцом тех договоров, которые западные империалисты навязывают обычно колониальным и зависимым странам.

Когда знакомишься с текстами этих договоров и соглашений, невольно бросается в глаза тот факт, что грузинское правительство должно было монополизировать свои железные дороги, порт, рудники и переработку горнорудной продукции для

[3] Труды Азербайджанского филиала ИМЭЛ, т. XII, Баку, 1947, стр. 76.

[4] «Документы по истории гражданской войны в СССР», т. I, стр. 289—290.

облегчения передачи их под контроль германских фирм в обмен на обещание Германии дать заем Грузии.

Благодаря антисоветской, антинародной, контрреволюционной политике меньшевиков, мусаватистов и дашнаков германским империалистам удалось в мае—июне 1918 года оккупировать Грузию и поставить под угрозу захвата остальные части Закавказья.

Отказавшись от Брестского мира, меньшевики и дашнаки вынуждены были 4 июня 1918 года подписать мирные договоры с Турцией на более худших условиях»[5].

Как свидетельствуют публикуемые документы, немцы серьезно были обеспокоены захватнической политикой Турции на Кавказе. Они делали все для того, чтобы приостановить расширение там турецкого влияния. Немецким представителям на Кавказе была дана инструкция продолжать политику отпора претензиям Турции на Кавказе. «Конкуренция Турции должна быть исключена, мы должны препятствовать ей. Турки обещали умерить свои притязания, однако словам турков верить нельзя, это пустые обещания. Только тогда, когда мы займем путь Тифлис—Баку и Тифлис—Джульфа, мы сможем проводить в жизнь в полной мере нашу точку зрения», — говорится в одном из документов (стр. 156, док. 58).

Еще до того, как грузинское правительство приглашало германские войска в Грузию, немцы принудили турок заключить в Константинополе секретное соглашение о разделе сфер влияния в Закавказье (см. док. №№ 24, 39, 54, 58, 68). Это соглашение говорит о том, что германские империалисты никогда не думали уступать кому-либо бакинскую нефть и чиатурский марганец. Они сами хотели стать полновластными хозяевами природных богатств Закавказья. Публикуемые документы еще раз показывают всю несостоятельность утверждений буржуазных историков и публицистов о том, будто кайзеровская Германия в ущерб интересам Турции становилась на сторону малых народов[6].

После того, как германские оккупанты упрочили свои позиции в Грузии, их уже не устраивало проникновение в Грузию своих союзников — турецких захватчиков. Теперь Германия сама хотела владеть Грузией и даже составляла план грузино-армянской федерации под протекторатом Германии (док. № 33). Так бывшие союзники еще до окончания войны превращались в непримиримых конкурентов.

Из других материалов определенный интерес представляют донесение уполномоченного германского генерального штаба верховному командованию, а также отчеты немецких военных чиновников Имперскому ведомству экономики, в которых характеризуется экономическое и политическое положение в Закавказье и, в частности, в Грузии летом 1918 года. «Современное экономическое положение Грузии неблагоприятно. Кризис, связанный с недостатком топлива, угрожает парализовать всю экономическую жизнь. Удорожание продуктов питания приняло угрожающие размеры, а необходимые промышленные товары почти совершенно отсутствуют» (док. № 24).

А между тем ежедневно из Потийского порта отправлялись в Германию пароходы, груженные продукцией сельского хозяйства и сырьем, в то время как во всем этом само население Грузии испытывало острую нужду[7].

Немецкие захватчики вели себя в Грузии как хозяева страны. Они реквизировали у крестьян хлеб, облагали население денежными контрибуциями, применяя при этом насилие[8]. Немецкие оккупанты часто вмешивались во взаимоотношения немцев-колонистов и соседних сел, чинили суд своей силой, громили, грузинские, ар-

---

[5] А. Н. Сургуладзе, Закавказье в борьбе за победу социалистической революции, Тб., 1971, стр. 131.

[6] M. Lashauri, Current soviet interpretation of XIX—XX century Georgian History—„Caucasien Review" № 1, 1956, стр. 93—94.

[7] См. «Германские оккупанты в Грузии в 1918 году». Сборник документов и материалов. Составил и подготовил к печати М. М. Габричидзе. Тбилисский филиал ИМЭЛ. Госиздат Грузинской ССР, Тб., 1942, стр. 22.

[8] А. Б. Кадишев, Интервенция и гражданская война в Закавказье, М., 1960, стр. 68.

мянские или же азербайджанские села в пользу колонистов[9].

Политика меньшевиков, мусаватистов и дашнаков и пособничество немецким и турецким оккупантам довели Закавказье до такого тяжелого положения, что, — по словам одного из руководителей немецкой экономической делегации, Мейеркорта, — «татарам (азербайджанцам — А. М.), армянам и грузинам приходится с горечью мечтать о столь ненавистном николаевском времени» (см. стр. 205, док. 76).

Осенью 1918 г., когда поражение Германии стало очевидным, немцы делают последние попытки закрепить свои позиции в Грузии. Глава германской делегации в Грузии фон Кресс предлагал рейхсканцлеру Гартлингу произвести новые ассигнования для усиления немецкого оккупационного режима (стр. 27). Однако его старания были уже напрасны. В ноябре в Германии произошла революция, а незадолго до этого, 21 октября, немецкое командование отдало приказ о выводе войск из Грузии.

Таким образом, захватнические планы, ради которых Германия начинала войну, в том числе и планы захвата Закавказья, провалились.

Публикация новых документов и архивных материалов по истории германской интервенции в Закавказье еще больше расширяет историографическую базу исследования подлинных целей германского империализма на Ближнем Востоке и, в частности, в Закавказье; кроме того, документы и материалы Центрального архива Германии в Потсдаме дополнительно проливают свет на предательское поведение меньшевиков, дашнаков и мусаватистов, они еще раз разоблачают антинародную сущность их внешней политики.

Безусловно, настоящая публикация представляет большую научную ценность как по содержанию и новизне материалов, так и по качеству ее редакционно-археографического оформления.

Мы целиком согласны с составителем рецензируемого сборника в том, что в наше время, когда в Западной Германии снова возрождается дух милитаризма и реваншизма, а буржуазная историография пытается оправдать политику германского империализма, опубликование немецких архивных материалов имеет важное политическое значение.

А. М. МЕНТЕШАШВИЛИ

[9] Г. В. Хачапуридзе, Борьба за пролетарскую революцию в Грузии. Очерки. 1918—1921 гг., Тб., 1936, стр. 134.

საქართველოს საისტორიო საზოგადოების მესამე ყრილობა

1972 წლის 13 და 14 იანვარს ჩატარდა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების მესამე ყრილობა. ყრილობა გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ. მან თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ საზოგადოების III ყრილობამ უნდა შეაჯამოს II ყრილობიდან განვლილი პერიოდის მუშაობა და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. აკადემიკოს გ. ჩიტაიას წინადადებით ყრილობის დელეგატებმა პატივი სცეს საქართველოს საისტორიო საზოგადოების გარდაცვლილი წევრების, გამოჩენილი მეცნიერების: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. აბულაძის, პროფესორების: მ. ალექსიშვილის, ვ. ბარდაველიძის, დ. გერიტიშვილის, ვ. დონდუას, დ. კაპანაძის, გ. ლომთათიძისა და სხვების ხსოვნას.

მოხსენება „სკკპ XXIV ყრილობა და ისტორიულ მეცნიერებათა ამოცანები" წაიკითხა პროფ. ი. კაჭარავამ. მან დელეგატებს გააცნო ის ძირითადი ამოცანები, რაც სკკპ XXIV ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თავის საანგარიშო მოხსენებაში დასახა საზოგადოებათა-მეცნიერების, კერძოდ, ისტორიული მეცნიერების წინაშე. მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა ქართული ისტორიული მეცნიერების ძირითადი მიღწევები და ის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც დგანან დღეს ქართველ ისტორიკოსთა წინაშე, განსაკუთრებით საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლის საქმეში.

საზოგადოების სამეცნიერო საბჭოსა და პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება გააკეთა საზოგადოების თავმჯდომარემ აკად. გ. ჩიტაიამ. იგი მოკლედ შეეხო საზოგადოების მიზნებს, რომელთა შესაბამისადაც მიმდინარეობდა საზოგადოების სამეცნიერო საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის საქმიანობა. ეს სამუშაო ტარდებოდა რამდენიმე ძირითადი ხაზით: დიდი ისტორიული თარიღებისადმი მიძღვნილი, კომპლექსურ-პრობლემური, გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო სამეცნიერო სესიები, იკითხებოდა ცალკეული მოხსენებები; ეწყობოდა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის განხილვა, საინფორმაციო მოხსენებები, ყურადღება ექცეოდა საგამომცემლო საქმიანობას და სხვ.

დიდი ისტორიული თარიღებისადმი მიძღვნილი სესიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გამსვლელი სესიები მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა (ჩატარდა ქ. გეგეჭკორში) და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი (ქ. რუსთავში); აგრეთვე, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სესიები თბილისში, ქუთაისსა და გელათში და სესია საისტორიო საზოგადოების დაარსების 60 წლისთავზე.

საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შემოღებულ იქნა კომპლექსურ-პრობლემური სესიების ჩატარება, რაც გულისხმობს რომელიმე მნიშვნელოვანი პრობლემის განხილვაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მონაწილეობას. ამგვარი სესიები მიეძღვნა მესხეთის შესწავლისა და მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის საკითხებს.

სესიები მიეძღვნა აგრეთვე გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მ. ბროსეს, ივ. გვარამაძის, დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, გ. ხაჭაპურიძის, გ. ნიორაძის, ი. სონღულაშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ვ. ბარდაველიძის, ს. მაკალათიას, ალ. კალანდაძის საიუბილეო თარიღებს.

გარდა ამისა, საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს ცალკეულ საჯარო სხდომებზე მოსმენილ იქნა მრავალი მოხსენება. მოეწყო განხილვა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებისა, რომელთა ავტორებია: პირველისა შ. მესხია და ვ. გუჩუა და მეორისა ლ. ციხისთავი, მ. ცერცვაძე და ი. მახარაძე.

დამყარებულია კავშირი საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან (ბერლინი, პოტსდამი, ლონდონი, ჰამბურგი, რომი), რამაც კარგი შედეგი გამოიღო. მაგალითად, რომი-

დან მიღებულია კასტელის სამტომიანი ალბომის მიკროფილმი, რომელიც 700-ზე მეტ სურათს შეიცავს. ეს მასალა რამდენჯერმე აღებეჭდილა აქამდე ცნობილს.

პრეზიდიუმმა გამოსცა კრებულები მიძღვნილი შ. რუსთაველის, ე. თაყაიშვილისა და თ. სახოკიასადმი. საფუძველი ჩაეყარა საზოგადოების პერიოდულ ორგანოს „საისტორიო წერილებს“, რომლის პირველი წიგნი უკვე დაიბეჭდა. იგი მიძღვნილია დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი. ორი მომდევნო წიგნი გადაცემულია დასაბეჭდად. გამოიცა პროფ. ი. ცინცაძის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი „ბასიანის ბრძოლა“. ამ სერიიდან დასაბეჭდად გადაცემულია ი. შაიშმელაშვილისა და ქ. ჩხატარაიშვილის „დიდგორის ბრძოლა“.

სესიების ჩატარებისას თავ-თავის დროზე იბეჭდებოდა მოხსენებათა თეზისები.

დიდი მუშაობა წარმოებდა საზოგადოების სექციებშიც. მაგალითად, ეთნოგრაფიის სექციამ (თავმჯდომარე აკად. გ. ჩიტაია) ცალკე ჩაატარა სესია მიძღვნილი შ. რუსთაველის იუბილისადმი. ფოლკლორის სექციამ (პროფ. მ. ჩიქოვანი) ჩაატარა თ. რაზიკაშვილისადმი მიძღვნილი სესია, მოაწყო სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის საჯარო განხილვა, გამოსაცემად მოამზადა კრებული პ. უმიკაშვილზე. კარგად მუშაობდა ახალჩამოყალიბებული სამართლის ისტორიის სექცია (პროფ. ი. სურგულაძე).

ადგილებზე კარგი მუშაობით გამოირჩევიან აჭარის საოლქო განყოფილება (თავმჯდომარე კულტურის დამსახურებული მოღვაწე ხ. ახვლედიანი), აფხაზეთის საოლქო განყოფილება (პროფ. გ. ძიძარია), ქუთაისის (დოც. შ. აბრამიძე), გეგეჭკორის (გ. ელიავა), წალენჯიხის (ა. შანავა), რუსთავის (ვ. ნიკოლაიშვილი), თელავის (მ. ცაკაშვილი) ადგილობრივი განყოფილებები.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ წევრთა რაოდენობა.

საზოგადოების სარევიზიო კომისიის ანგარიშით გამოვიდა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ბ. ბარამიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში კომისიამ სამჯერ შეამოწმა საზოგადოების მუშაობა 1968, 1970 და 1971 წლებში და შედეგები წერილობით გადასცა საზოგადოების პრეზიდიუმს. შემოწმებისას გამოელენილ იქნა შემდეგი ნაკლი: საზოგადოების პრეზიდიუმის სამუშაო გეგმას ზოგჯერ კონკრეტულობა აკლდა; საზოგადოებაში ირიცხებიან როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური წევრები, რომლებიც დიდი ხანია არ იხდიან საწევრო გადასახადებს და ფაქტობრივ გასული არიან საზოგადოებიდან. ამიტომ საწევრო გადასახადების აკრეფაში დაგვიანება ამჟამად შეადგენს 13 654 მანეთს. სარევიზიო კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღიძრას შუამდგომლობა საზოგადოების საშტატო ერთეულების გაზრდისა და ცალკე ბინის გამოყოფის თაობაზე.

სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმმა ყრილობას წარუდგინა საზოგადოების ახალი წესდების პროექტი. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების სწავლული მდივანი ლ. ჯანაშია. პროექტის თანახმად წესდებაში შეტანილია რედაქციული და შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებები და დამატებები. წამოყენებულია წინადადება საზოგადოების სახელწოდების შეცვლაზე, რადგან საზოგადოების არსებული სახელწოდება — „საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება“ — მოუხერხებელია და იწვევს რიგ გართულებებს. პრეზიდიუმმა წარმოადგინა ახალი სახელწოდების ორი პროექტი: „საქართველოს საისტორიო საზოგადოება“ და „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება“.

ამით დამთავრდა ყრილობის მუშაობის პირველი დღე.

მეორე დღეს ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ პროფ. ალ. კოჭლავაშვილმა. სამანდატო კომისიამ დაადგინა, რომ ყველა დელეგატი არჩეული იყო საზოგადოების წესდების თანახმად. სამანდატო კომისიის მოხსენებაში გაანალიზებული იყო ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა. ყრილობამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ ხ. ახვლედიანმა (აჭარის საოლქო განყოფილების სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე), პროფ. გ. ძიძარიამ (აფხაზეთის საოლქო განყოფილების სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე), მ. ცაკაშვილმა (თელავი), პროფესორებმა მ. ცერცვაძემ, მ. ჩიქოვანმა, ი. სურგულაძემ, გ. ჟორდანიამ და დოც. მ. ნიკოლეიშვილმა (ქუთაისი), ტ. ხარატიშვილმა (ლაგოდეხი), დოც. ი. მაისურაძემ (რუსთავი); აკად. გ. ახვლედიანმა, პროფ. მ. ნოდიამ, აკად. გ. ჯიბლაძემ, პროფ. ი. მეგრელიძემ და საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა ი. მიქელაძემ.

ყრილობამ მოისმინა პროფ. ლ. სუმბაძის მოხსენება „ღია ცის ქვეშ მუზეუმი თბილისში“.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა საზოგადოების საპატიო წევრებად აკადემიკოსები ილია ვეკუა, აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი.

ყრილობამ ძირითადად მოიწონა ახალი წესდების პროექტი, მაგრამ საზოგადოების სახელწოდებისა და ზოგიერთი ფინანსური საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მიანდო მომავალ სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმს.

შემდეგ ჩატარდა სამეცნიერო საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობამ საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში აირჩია: ი. აბაშიძე, მ. აბდუშელიშვილი, შ. ამირანაშვილი ი. ანთელავა, ზ. ანჩაბაძე, ა. აფაქიძე, ხ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, ზ. გაგლოევა, მ. გაფრინდაშვილი, ო. გვათუა, გ. გობეჯიშვილი, კ. გრიგოლია, მ. დუმბაძე, გ. ელიავა. ა. იოსელიანი, ნ. იმედაძე, ა. ინაიშვილი, ა, კალანდაძე, ნ. კახიძე, ა. კიკვიძე, ა. კოპლავაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ო. ლორთქიფანიძე, ა. მაგრაქველიძე, ი. მაისურაძე, გ. მაქაცარია, ნ. მახარაძე, გ. მელიქიშვილი, ვ. მერკვილაძე, შ. მესხია, რ. მეტრეველი, ი. მირცხულავა, ი. მიქელაძე, მ. ნოდია, ო. ჟორდანია, რ. რამიშვილი, ა. რობაქიძე, ლ. სანიკიძე, ქ. სიხარულიძე, დ. სტურუა, ი. სურგულაძე, მ. უზუნაშვილი, გ. ფირცხალავა, ლ. ფრუიძე. ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანავა. ვ. ჩაკვეტაძე, ნ. ჩერქეზიშვილი. გ. ჩიტაია, ა. ჩიქობავა, მ. ჩიქოვანი, შ. ჩხეტია. გ. ჩხიკვაძე, მ. ცაკაშვილი, მ. ცერცვაძე, ი. ცინცაძე, ლ. ციხისთავი, გ. ძიძარია, ვ. წულუკიძე, გ. ხოხლენკო, ლ. ჯანაშია, გ. ჯიბლაძე.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ბ. ბარამიძე, ვ. დონაძე, ე. ვირსალაძე. ი, კაჭარავა,. ა. სურგულაძე, ი. ტაბაღუა, ი. ჭყონია.

ყრილობამ მისალმება გაუგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

დაბოლოს ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომლის დასკვნით ნაწილში ნათქვამია:

1. საზოგადოების სამეცნიერო საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მიერ ჩატარებული მუშაობა საანგარიშო პერიოდში ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

2. საზოგადოებამ შემდეგშიაც წარმართოს მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად და კვლავაც შეუწყოს ხელი ახალი ადამიანის აღზრდას.

3. ჩაითვალოს მიზანშეწონილად, რომ სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმს დაემატოს საშტატო ერთეულები.

4. აღიძრას შუამდგომლობა საზოგადოებისათვის ბინისა და ცალკე საგამომცემლო ლიმიტის გამოყოფაზე.

5. სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმმა მოაგვაროს დებიტორთა საკითხი.

6. გაძლიერდეს კავშირი და ხელმძღვანელობა ადგილობრივ განყოფილებებზე.

7. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თბილისის მასწავლებელთა და კულტურის მუშაკთა ჩაბმას საზოგადოების საქმიანობაში.

ყრილობის შემდეგ ჩატარდა ახლად არჩეული სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელმაც აირჩია სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: შ. ამირანაშვილი, ი. ანთელავა, ა. აფაქიძე, ხ. ახვლედიანი, ზ. გაგლოევა, კ. გრიგოლია, ნ. იმედაძე, ა. იოსელიანი, ა. კიკვიძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ი. მირცხულავა, ი. მიქელაძე, ო, ჟორდანია, რ. რამიშვილი, დ. სტურუა, ი. სურგულაძე, ლ. ფრუიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ვლ. ჩაკვეტაძე, გ. ჩიტაია, მ. ჩიქოვანი, მ. ცერცვაძე, გ. ძიძარია, ლ. ჯანაშია.

საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს აკად. გ. ჩიტაია, ხოლო მის მოადგილეებად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: შ. მესხია და ა. აფაქიძე, პროფესორები ი. სურგულაძე და მ. ჩიქოვანი. თავმჯდომარის მოადგილედ საორგანიზაციო დარგში — პროფ. მ. ცერცვაძე. სექციების თავმჯდომარეებად: აკად. გ. ჩიტაია — ეთნოგრაფიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ. მესხია — ისტორიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. აფაქიძე — არქეოლოგიის, პროფ. ი. სურგულაძე — სამართლის ისტორიისა და პროფ. მ. ჩიქოვანი — ფოლკლორის. საზოგადოების სწავლულ მდივნად არჩეულია ლ. ჯანაშია.

შედგა საზოგადოების ახლად არჩეული სარევიზიო კომისიის სხდომა, რომელმაც კომისიის თავმჯდომარედ აირჩია საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ბ. ბარამიძე.

სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 18 თებერვლის სხდომამ დაადგინა, რომ საზოგადოებას ეწოდოს „საქართველოს საისტორიო საზოგადოება“.

ლაშა ჯანაშია

პროფესორ მ. პოლიევქტოვის ხსოვნას

გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლიევქტოვის სახელი კარგადაა ცნობილი საბჭოთა კავშირის ისტორიკოსთა შორის, განსაკუთრებით ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. მან თავისი შრომების დიდი ნაწილი საქართველოსა და კავკასიის ისტორიის პრობლემების შესწავლას დაუკავშირა. მისი სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა კი 22 წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში მიმდინარეობდა. პროფ. მ. პოლიევქტოვმა თავისი პედაგოგიური სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობით ქართველი ხალხის და სამეცნიერო საზოგადოების დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

ამ პატივისცემის ერთ-ერთი გამოხატულება იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილების 1972 წლის 17 თებერვლის ღია სხდომა (რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში ჩატარდა) მიძღვნილი პროფესორ მ. პოლიევქტოვის დაბადების 100 წლისთავისადმი. ამ სხდომაში მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა, პროფ. მ. პოლიევქტოვის ახლობლებმა, ფართო სამეცნიერო საზოგადოებამ.

მოხსენება თემაზე: „მ. პოლიევქტოვის ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხა საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. პაიჭაძემ (მოხსენება დაიბეჭდა ჟურნალ „მაცნე“-ში 1972, № 2).

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნ. ნაკაშიძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა პროფ. მ. პოლიევქტოვის მეცნიერულ შემოქმედებაში XVI—XVII სს. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხების შეფასებას. მან აღნიშნა, რომ ამ ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტების წარმოჩენასა და შეგროვებას პროფესორმა დიდი დრო და ენერგია მოანდომა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან მთლიანად ვერ მოასწრო ამ უნიკალური მასალის საფუძველზე ვრცელი მონოგრაფიის შექმნა.

პროფესორ მ. პოლიევქტოვის მთავარი საკვლევი პრობლემა მოსკოვის სახელმწიფოს კავკასიური პოლიტიკა იყო. მან ძირითადად სწორად შეაფასა XVI—XVII სს. მოსკოვის პოლიტიკა კავკასიის მიმართ, ხაზი გაუსვა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ხელშემწყობ ფაქტორებს და დაახასიათა მასში არსებული წინააღმდეგობანი.

იგი სავსებით სამართლიანად განასხვავებდა XVI საუკუნის საქართველო-რუსეთის ურთიერთობას XVII საუკუნისაგან, რაც მისი აზრით, გაპირობებული იყო როგორც მასშტაბებით, ისე საქმის წარმოების სიახლით.

პროფესორი მ. პოლიევქტოვი დადებითად აფასებდა თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკას, სწორედ ხსნიდა როსტომ მეფის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ელჩობის მიზანს, მართებულად კიცხავდა რუსი სამღვდელო მოღვაწეების პოზიციებს ქართველ მღვდელმთავრებთან მოლაპარაკება-პაექრობაში.

მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი გზების, დიპლომატიური საქმის, წარმოებისა და დაზვერვების შესწავლა-შეფასებაში და სხვ.

დასასრულ ნ. ნაკაშიძე აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ პროფესორ მ. პოლიევქტოვს არ დასცალდა გასცდენოდა დუკუმენტების პუბლიკაციებს და მცირე მოცულობის კომენტარებს, მისი დამსახურება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის კვლევის საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანია. მისი პუბლიკაციები და ნაშრომები ამ პრობლემის ყველა მკვლევრის სამაგიდო წიგნებად რჩებიან“.

სხდომის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ც. კალანდაძის მოხსენება „რუსეთის აკადემიური ექსპედიციები კავკასიაში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში“.

პროფესორმა პოლიევქტოვმა, დიდი შრომა ჩაატარა კავკასიაში ევროპელ მოგზაურთა მოღვაწეობის შესასწავლად. ამ მუშაობის შედეგია ორი წიგნი: „Европейские путешественники по Кавказу в XVII—XVIII веках“, ნაწ. 1 და „Европейские путешественники по Кавказу

в 1800—1830 гг. ნაწ. II. სამწუხაროდ, მას გამოუქვეყნებელი დარჩა ნაშრომის მე-3 ნაწილი, რომელიც მოიცავდა 1830 წლის შემდგომი პერიოდის მოგზაურობათა შესწავლას. ამრიგად, პროფ. პოლიევექტოვმა ჩვენს მეცნიერებაში დააყენა მეტად საჭირო და აქტუალური საკითხი ევროპელ მოგზაურთა კავკასიაში მოღვაწეობის სრული მეცნიერული შესწავლისა და საფუძველი ჩაუყარა მას. განსვენებულმა მეცნიერმა თავის ნაშრომს თავმდაბლურად „ცნობარი“ უწოდა, რითაც ხაზი გაუსვა საკითხის შესწავლის გაღრმავების აუცილებლობას მომავალში.

მომხსენებელმა თავის მიერ გამოვლენილი, სამეცნიერო ბრუნვაში პირველად შემოტანილი საარქივო მასალების გაანალიზების საფუძველზე შეაფასა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის (მე-19 საუკუნის I ნახევრის) სამეცნიერო ექსპედიციების მნიშვნელობა, აჩვენა მათი ხასიათი მიზნები და შედეგები. იგი შეეცადა აეხსნა თუ რით განსხვავდებოდნენ მე-19 საუკუნის ექსპედიციები მისი წინა პერიოდის ექსპედიციებისაგან. თუ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ექსპედიციების მთავარი მიზანი იყო დადგენა იმისა თუ შეერთების შემთხვევაში რა საგარეო პოლიტიკური და ეკონომიური სარგებლობა შეეძლო მოეტანა კავკასიას რუსეთისათვის, მე-19 საუკუნეში უკვე ისმება საკითხი ახლად შემოერთებული მხარის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლისა, მისი მდიდარი ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენების მიზნით. ხოლო პოლიტიკური გავლენის განმტკიცებისათვის საჭირო იყო არა მარტო ეკონომიკის, ბუნებრივი სიმდიდრეების ფაუნისა და ფლორის, არამედ მისი ხალხის ენის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადათ-წესის შესწავლაც, ამის გამო მომხსენებელი მე-19 საუკუნის ექსპედიციებიდან გამოჰყოფს ლინგვისტური და არქეოლოგიურ-ლინგვისტური ხასიათის ექსპედიციებს (კლაპროტის, შეგრენის, მ. ბროსეს და სხვების) და განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს მათ საქმიანობაზე.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის თ. ტივაძის მოხსენება: „ქართლის მეფე როსტომის მიერ 1652 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩობის საკითხისათვის“ ორ მიზანს ისახავდა: 1. სამეცნიერო ბრუნვაში შემოეტანა ერთი ახალი დოკუმენტი — სია იმ საპასუხო საჩუქრებისა, რომლებიც ქართლის მეფეს მოსკოვის მეფისაგან გაეგზავნა, რომელიც ელჩობის ისტორიის თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა და 2. ავტორმა წამოაყენა მოსაზრება, რომ არსებული წყაროები საშუალებას იძლევიან ვიმსჯელოთ ქართლის ელჩობის კონკრეტული მიზნების შესახებ, იგი ფიქრობს, რომ ელჩობა მოწყობილი იყო შაჰაბასის ბრძანებით და მიზნად ისახავდა რუსეთის კარზე ირანის ძლევამოსილების დემონსტრირებას. შაჰმა ყველა ღონე იხმარა. რათა არ დაეშვა, მისი ურჩი, კახეთის ელჩობის (ერეკლე ბატონიშვილის) ჩასვლა რუსეთის კარზე, ამავე დროს სპარსეთის ქვეშევრდომი, ქართლის მეფის ელჩობას რუსეთის კარზე ერთხელ კიდევ უნდა გაესვა ხაზი იმ გარემოებისათვის. რომ აღმოსავლეთ საქართველო შაჰის ხელქვეით იყო და თეიმურაზ — ერეკლეს იქ არავითარი დასაყრდენი არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, მომხსენებელმა უარყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს როსტომის ირანისაგან განდგომის ხმები შაჰის მოხელეების მიერ იყო გავრცელებული — რუსეთისათვის თავისი სისუსტის ჩვენება შაჰისათვის ხელსაყრელი არ იყო.

თ. ტივაძეს მიაჩნია, რომ ქართლიდან წასულ ელჩს მოსკოვში პოლიტიკური დაზვერვის წარმოებაც ევალებოდა, რათა დაეზუსტებია 1652 წლის კომფლიქტის შემდეგ რუსეთის მთავრობის განწყობა ირანის მიმართ.

განყოფილების მეცნიერმა თანამშრომელმა გ. ჟორჟოლიანმა თავის მოხსენებაში მიმოიხილა მ. პოლიევექტოვის პირადი არქივი, რომელიც საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივშია დაცული და 220 საარქივო ერთეულისაგან შედგება. არქივში დაცული მასალა ასახავს განსვენებული მეცნიერის გამოქვეყნებული შრომების ხელნაწერებს, მასალებს ბარათების სახით და, რაც მთავარია, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გამოუქვეყნებელი ნაშრომები. მაგალითად, „Русские источники по истории народов Закавказья в XVIII—XIX вв.“. რომელშიც ავტორს მოცემული აქვს რუსული წყაროებისა და ისტორიოგრაფის კრიტიკული ანალიზი. იგი არა მარტო მიუთითებს თუ სად, როგორ უნდა მოიძიოს დაინტერესებულმა მკვლევარმა ეს მასალა, არამედ ხაზს უსვამს მათდამი კრიტიკული დამოკიდებულების აუცილებლობას, რადგან რუსეთის ცარიზმის ექსპანსია და ამიერკავკასიის კოლონიური ექსპლუატაცია ძირითადი მომენტებია, რომლებიც განსაზღვრავენ ამიერკავკასიის ისტორიის რუსული წყაროების სოციალ-პოლიტიკურ ფესვებს და კლასობრივ არსს, ეს ყოველთვის უნდა ახსოვდეს მკვლევარს, რომელიც ამ წყაროებს იყენებს.

არანაკლებ საინტერესოა აგრეთვე გამოუქვეყნებელი ნაშრომი „Колонизация на Кавказе", რომელიც 1935 წელს დაუსრულებია პროფესორს და მომხსენებლის აზრით შესაფერის ადგილს დაიკავებს სპეციალურ ლიტერატურაში.

1939 წელს დაუმთავრებია 10-თაბახიანი მონოგრაფია: „Экспансия русского царизма на Кавказе до конца XVII века", რომელიც გამოუქვეყნებელია. ამ მონოგრაფიაში დასაბუთებულია, თუ როგორ თანდათანობით ყალიბდებოდა ცარიზმის მიზნები და ამოცანები ამიერკავკასიის მიმართ. მასში არა მარტო გაანალიზებულია მეცნიერული სისრულით ცარიზმის საგარეო პოლიტიკის არსი და ამიერკავკასიის ადგილი ამ პოლიტიკის ორბიტაში, არამედ დამაჯერებლადაა ნაჩვენები ის საზოგადოებრივი ძალებიც, რომელსაც ეყრდნობოდა ცარიზმი ამიერკავკასიაში თავისი პოლიტიკის გატარების დროს.

მომხსენებელმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი განსვენებული მეცნიერის ღრმად ერუდირებული კვლევის მეთოდს, მსჯელობის ლოგიკას და აზრის სინათლეს, რაც მისი კვლევის მაღალი კულტურის მაჩვენებელია და გამოთქვა რწმენა, რომ პროფესორ მ. პოლიევქტოვის გამოუქვეყნებელი ნაშრომები ჩქარა იხილავს მზის სინათლეს და ეს კიდევ ერთი დადასტურება იქნება იმ დიდი პატივისცემისა, რომელსაც ქართული სამეცნიერო საზოგადოება განსვენებული მეცნიერის ხსოვნისადმი იჩენს.

მიხეილ სამსონაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.XI.72; შეკვ. № 1854; ანაწყობის ზომა 7×11$^{1}/_{2}$; ქაღალდის ზომა 70×108$^{1}/_{16}$; ნაბეჭდი თაბახი 21.70; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.51; უე 01160; ტირაჟი 1500.
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19.

*

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19